

მზია გვენცაძე

გერმანული გრამატიკა

Msia Gwenzadse

# D

# Deutsche

# Grammatik

# 2



Lerngrammatik

neu



Deutsche



sche

Grammatik

Lerngrammatik

neu

Lerngrammatik

Deutsche  
Grammatik

Deutsche



Lerngrammatik

neu

მზია გვენცაძე  
გერმანული ენის  
სასწავლო გრამატიკა

2

Msia Gwenzadse  
**Lerngrammatik**  
**für Deutsch als Fremdsprache**



ბაკურ სულაიაშვილის  
ბაზმობცემლობა

გერმანული ენის სასწავლო გრამატიკა  
© მზია გვენცაძე, 2000  
ყველა უფლება დაცულია.

რედაქტორი: დოცენტი თამილა სესიაშვილი  
რეცენზენტები: პროფესორი პეტერ აიზენბერგი,  
დოცენტი ლალი ქეცბა-ხუნდაძე

გერმანულენოვანი მასალა გადამოწმეს  
დაგმარ ტიდემანმა, იოჰანეს პეშეკმა და  
აილინ რიგერმა.

სახელმძღვანელო მომზადდა და დაიბეჭდა  
გერმანიის აკადემიური გაცვლების სამსახურის,  
გოეთეს ინსტიტუტის, ოტო-ფრიდრიხის სახელობის  
ბამბერგის უნივერსიტეტის, ფონდის  
„ლია საზოგადოება — საქართველო“ და  
ფრანც თისენის ფონდის ხელშეწყობით.

ყდის დიზაინი: ალექსანდრე ვარვარიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა:  
ნათელა ბარაბაძე, ლუკა გოცირიძე

გამოცემული და დაბეჭდილია  
„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობაში“

ISBN 99928-52-80-1

Lerngrammatik für Deutsch als Fremdsprache  
© Msia Gwenzadse, 2000  
Alle Rechte vorbehalten.

Das deutschsprachige Material wurde von  
*Dagmar Tiedemann* in Zusammenarbeit mit  
*Johannes Peschek* und *Aylin Rieger* überprüft.

Die Vorbereitung und Publikation des Lehrbuches wurde  
vom Deutschen Akademischen Austauschdienst,  
dem Goethe-Institut, der Otto-Friedrich Universität Bamberg,  
der Open Society Georgia Foundation  
und der Franz-Thyssen-Stiftung gefördert.

Umschlag: *Alexander Warwaridse*  
Bakur Sulakauri Verlag, Tbilissi, Georgien

## შინაარსი

### მეშვიდე მონაკვეთი

#### თემა 28

1	როული წინადადება როგორც მარტივი წინადადების განვრცობის უმნიშვნელოვანესი საშუალება	9
1.1	როული თანწყობილი წინადადება (მაერთებელი კავშირები und, aber, denn, oder, sondern, nicht nur ... sondern auch)	9
1.2	როული ქვეწყობილი წინადადება	10
1.2.1	კავშირიანი როული ქვეწყობილი წინადადება (მაქვემდებარებელი კავშირები dass, ob, weil/da, bis, wenn, je... umso/je... desto)	11
1.2.2	კითხვითი წინადადება დამოკიდებული წინადადების როლში	14
1.2.3	როული ქვეწყობილი წინადადების ზოგიერთი თავისებურება დიალოგში	14
2	სავარჯიშოები	16
	მეშვიდე მონაკვეთის შეჯამება	21

### მერვე მონაკვეთი

#### თემა 29

1	პრეტერიტულ-პრეზენსული ზმნების მორფოლოგიური ჯგუფი (die Präteritopräsentia)	23
2	მოდალური ზმნები können, dürfen, sollen, müssen, wollen, mögen	24
2.1	მოდალური ზმნები და წინადადების სტრუქტურა	24
2.2	მოდალური ზმნების უმთავრესი მნიშვნელობები	26
2.3	მოდალური მნიშვნელობანი და მათი გადმოცემის ძირითადი საშუალებები (შეჯამება)	36
3	ზმნა wissen	38
4	სავარჯიშოები	40

#### თემა 30

1.	მოდალური ზმნების ხმარების ზოგიერთი თავისებურება დიალოგში	49
2.	მოდალური ზმნების ძირითადი ქართული შესატყვისები	49
3	ზმნა lassen	51
4.	სავარჯიშოები	53
	მერვე მონაკვეთის შეჯამება	58

### მეცხრე მონაკვეთი

#### თემა 31

1.	წარსულის ინფორმაციის შემოტანა აწმყოს სამეტყველო სიტუაციაში	63
1.1	ზმნის ძირითადი ფორმები (შეჯამება)	63
1.2	პერფექტის წარმოება	65

1.3	პერფექტის ხმარება .....	69
1.4	პერფექტული მნიშვნელობის ფორმები .....	71
1.5	პერფექტის ხმარების ზოგიერთი თავისებურება დიალოგში .....	72
2	სავარჯიშოები .....	73

<i>მეცხრე მონაკვეთის შეჯამება</i> .....	84
---	----

### მეათე მონაკვეთი

#### თემა 32

1	არსებითი სახელის განსაზღვრა ატრიბუტული სიტყვით .....	87
2	ზედსართავი სახელის ბრუნება მხოლოდით რიცხვში .....	88
2.1	ზედსართავი სახელის ბრუნება ორწევრა ჯგუფში .....	88
2.2	ზედსართავი სახელის ბრუნება სამწევრა ჯგუფში .....	90
3	ზედსართავი სახელის ბრუნება მრავლობით რიცხვში .....	93
3.1	ზედსართავი სახელის ბრუნება ორწევრა ჯგუფში .....	93
3.2	ზედსართავი სახელის ბრუნება სამწევრა ჯგუფში .....	93
4	ზედსართავი სახელის ბრუნების ზოგიერთი თავისებურება .....	94
5	არსებითი სახელის ჯგუფის განვრცობა .....	95
6	welcher? თუ was für ein? .....	96
7	არსებითი სახელის ჯგუფის ელიფსური ფორმა დიალოგში .....	99
8	ზედსართავი სახელის ზოგიერთი სიტყვანარმოებითი ასპექტი .....	99
9	სავარჯიშოები .....	102

#### თემა 33

1	საგნის ნიშან-თვისების გაძლიერება სახელურ შესიტყვებაში შემავალი ზედსართავი სახელით .....	111
1.1	კომპარატივის ხმარება .....	112
1.2	სუპერლატივის ხმარება .....	113
2	სავარჯიშოები .....	116

#### თემა 34

1	არსებითი სახელის განსაზღვრა რიცხვითი სახელით .....	119
1.1	რიგობითი რიცხვითი სახელის წარმოება და ჩართვა არსებითი სახელის ჯგუფში .....	119
1.2	ein/eine რაოდენობითი რიცხვითი სახელის ხმარება მსაზღვრელის ფუნქციით .....	123
2	საგნის დასახიათება მიმღობით .....	123
2.1	არსებითი სახელის განსაზღვრა მიმღობა II-ით (das Partizip II) .....	124
2.2	მიმღობა I-ის (das Partizip I) წარმოება და ხმარება .....	126
3	ატრიბუტული ლექსიკის გაარსებითება .....	128
4	სავარჯიშოები .....	132

#### თემა 35

1	არსებითი სახელის/ნაცვალსახელის განსაზღვრა დამოკიდებული წინადადებით ..	138
1.1.	მიმართებითი ნაცვალსახელი der/die/das და მისი ფუნქციური ეკვივალენტები ..	138
1.2.	მიმართებითი ნაცვალსახელები wer, was .....	143
2	სავარჯიშოები .....	143

<i>მეათე მონაკვეთის შეჯამება</i> .....	148
--	-----

## მეთერთმეტე მონაკვეთი

## თემა 36

1	პირიანი ზმნით გამოხატული მნიშვნელობის განვრცობა ინფინიტივით	155
1.1	ინფინიტივის დაკავშირება პირიან ზმნასთან „წმინდა“ ფორმით	155
1.2	ინფინიტივის დაკავშირება პირიან ზმნასთან zu ნაწილაკით	158
1.3.	ზმნები pflegen, wissen/verstehen, scheinen, geben/anbieten, suchen, finden, bekommen, nehmen, machen + zu + ინფინიტივი	161
1.4	ზმნა brauchen	162
1.5	პირიანი ზმნის განვრცობა ინფინიტიური ქცევით (um ... zu, anstatt/statt ... zu, ohne ... zu)	163
1.6.	zu + ინფინიტივი haben და sein ზმნებთან	165
2	სავარჯიშოები	167

## თემა 37

1	შედგენილი შემასმენლის განვრცობა zu + ინფინიტივით	177
2	არსებითი სახელის განსაზღვრა zu + ინფინიტივით	178
3	ინფინიტივი ქვემდებარის როლში	179
4	მოქმედებითი გვარის ინფინიტივი II (Infinitiv II Aktiv)	180
5	ინფინიტიური კონსტრუქციებისა და დამოკიდებული წინადადების ურთიერთმიმართება	181
6	სავარჯიშოები	182

## თემა 38

1	რთული წინადადება როგორც მარტივი წინადადების განვრცობის უმნიშვნელოვანესი საშუალება (გაგრძელება)	186
1.1	რთული ქვეწყობილი წინადადება (კავშირები wie, als, falls, solange, seit/seitdem, damit, soviel/soweit, obwohl)	186
1.2	რთული თანწყობილი წინადადება (კავშირები deshalb/deswegen/darum, zwar, entweder ... oder, nicht nur ... sondern auch, weder ... noch, mal ... mal/bald ... bald, sonst, trotzdem)	188
2	ფაქტის შეკუმშული სახელდება (გაგრძელება)	189
3	სავარჯიშოები	191

მეთერთმეტე მონაკვეთის შეჯამება	194
--------------------------------	-----

## მეთორმეტე მონაკვეთი

## თემა 39

1	მომავლის ინფორმაციის შემოტანა ანწყოს სამეტყველო სიტუაციაში	197
2	სავარჯიშოები	200

## თემა 40

1	დიალოგის ენობრივი თავისებურებები	202
1.1	მოდალური სიტყვები: mal, bloß, eben, halt, sowieso, wohl, schon, jedenfalls, schließlich, hoffentlich, quasi, allerdings	202
1.2	მოუბრის ემოციური განწყობის გამოხატველი ენობრივი საშუალებები	205
1.3	დიალოგური ნაწილაკები tja და na und?	208

1.4	პასუხის დანყება შემასმენლით .....	209
2	სავარჯიშოები .....	209

#### თემა 41

1	es ნაცვალსახელის ხმარება (შეჯამება) .....	212
2	da ზმნიზედის ხმარება (შეჯამება) .....	214
3	so-ს ფუნქციები ზეპირმეტყველებაში .....	215
4	meinetwegen .....	216
5	სავარჯიშოები .....	217

მეთორმეტე მონაკვეთის შეჯამება .....	221
-------------------------------------	-----

#### მეცამეტე მონაკვეთი

##### თემა 42

1	პრეტერიტუმი (das Präteritum) როგორც თხრობის ძირითადი დროის ფორმა .....	225
1.1	პრეტერიტუმის პარადიგმა .....	225
2	პლუსკვამპერფექტის (das Plusquamperfekt) ხმარება თხრობისას .....	227
2.1	პლუსკვამპერფექტის პარადიგმა .....	227
3	პრეზენსისა და პერფექტის გამოყენება თხრობისას .....	228
4	სავარჯიშოები .....	231

##### თემა 43

1	ტემპორალური მიმართებების დაზუსტება ლექსიკური საშუალებებით .....	233
1.1	მოქმედების მომენტის დაკონკრეტება .....	233
1.2	მოქმედების ხანგრძლივობის დაკონკრეტება .....	234
1.3	მოქმედების მრავალჯერადობის გადმოცემა .....	235
2	ორი ან მეტი მოქმედების ტემპორალური შეთანადება რთულ წინადადებაში .....	236
2.1	ურთიერთგანპირობებული კავშირები (als/wenn) .....	236
2.2	მოქმედებათა თანადროულობის/მონაცვლეობის გამომხატველი კავშირები (während, solange, seit/seitdem, sooft, dabei, zugleich, mal ... mal) .....	237
2.3	მოქმედებათა არათანადროულობის გამომხატველი კავშირები (nachdem, sobald, bevor, ehe) .....	238
3	მოქმედებათა თანამიმდევრობის გადმოცემის საშუალებები თხრობისას .....	239
4	სავარჯიშოები .....	241

მეცამეტე მონაკვეთის შეჯამება .....	244
------------------------------------	-----

#### მეთოთხმეტე მონაკვეთი

##### თემა 44

1	ერთი და იმავე ფაქტის გადმოცემის განსხვავებული საშუალებები გერმანულ ენაში .....	246
1.1	პასივის პარადიგმა .....	247
2	ინფინიტივის ფორმათა სისტემა .....	248
3	პასივის ხმარება .....	249
4	პასიური მნიშვნელობის მქონე კონსტრუქციები .....	252
5	სავარჯიშოები .....	254

მეთოთხმეტე მონაკვეთის შეჯამება .....	261
--------------------------------------	-----

### მეთხუთმეტე მონაკვეთი

#### თემა 45

1 შესაძლო მოქმედება .....	263
2 კონიუნქტივი II-ის პარადიგმა .....	263
3 კონიუნქტივი II-ის ხმარება .....	266
4 ვარაუდის გამოხატვის სხვა საშუალებები .....	270
5 სავარჯიშოები .....	272

#### თემა 46

1 ადრე ნათქვამის გამეორება: ირიბი თქმა .....	278
2 კონიუნქტივი I-ის ფორმები .....	278
3 ირიბი ნათქვამის გადმოცემის მორფოლოგიური საშუალებები .....	279
4 ირიბი შეკითხვა .....	283
5 ირიბი მოთხოვნა .....	284
6 კონიუნქტივი I-ის სხვა მნიშვნელობები .....	284
7 სავარჯიშოები .....	285

მეთხუთმეტე მონაკვეთის შეჯამება .....	288
--------------------------------------	-----

### მეთექვსმეტი მონაკვეთი

#### თემა 47

1 არტიკლის ხმარება (შეჯამება-შეესება) .....	291
2 საკონტროლო დავალება .....	295

#### თემა 48

1 მეტყველების ნაწილები (შეჯამება) .....	296
2 წინადადების წევრები (შეჯამება-შეესება) .....	300
3 საკონტროლო დავალებები .....	303

#### თემა 49

1 წინადადების სტრუქტურა (შეჯამება-შეესება) .....	305
1.1 მარტივი წინადადება (ძირითადი მოდელები) .....	305
1.1.1 წინადადების მოდელები მარტივი ზმნური შემასმენლით .....	305
1.1.2 წინადადების მოდელები შედგენილი სახელადი შემასმენლით .....	307
1.1.3 წინადადების მოდელები es ფორმალური ქვემდებარით .....	308
1.1.4 წინადადების მოდელები შემასმენლით პასივში: .....	309
1.1.5 წინადადების მოდელები შედგენილი ზმნური შემასმენლით .....	310
1.1.6 ელიფსური მოდელები .....	310
1.1.7 შეკუმშული სინტაქსური სტრუქტურები .....	311
1.1.8 სინტაქსური მოდელები და წინადადების მნიშვნელობა .....	312
2 რთული წინადადება (ძირითადი ტიპები) .....	314
3 საკონტროლო დავალებები .....	314

#### თემა 50

1 მოუბრის სამეტყველო მიზანი და მისი გადმოცემის საშუალებები გერმანულ ენაში (შეჯამება-შეესება) .....	317
---	-----

1.1	ბრძანების გამოხატვა	317
1.2	თხოვნა-შეთავაზება	318
1.3	რჩევა	319
1.4	რჩევის კითხვა	319
1.5	შეკითხვა	319
1.6	ნებართვის აღება	320
1.7	გაფრთხილება	320
2	სავარჯიშოები	320
	<i>მეთექვსმეტე მონაკვეთის შეჯამება</i>	324
<b>დანართი</b>		
1.	ძლიერი და უნესო უღლების ზმნების სია	327
2.	ტრანსკრიფციის ნიშნები	331
2.1	ტრანსკრიფცია	331
3.	ძირითადი ლიტერატურა	334

### შემოკლებები:

ავსტრ.	- ავსტრიული ფორმა
ლათ.	- ლათინური
მოძვ.	- მოძველებული ფორმა
ოფიციალ.	- ოფიციალური მეტყველებისათვის დამახასიათებელი
პოეტ.	- პოეტური
სამწ.	- წერიით მეტყველებისათვის დამახასიათებელი
სამხრ.	- სამხრეთგერმანული დიალექტური ფორმა
სასაუბრ.	- სასაუბრო სტილის ფორმა
ჩრდილ.	- ჩრდილოგერმანული დიალექტური ფორმა

### პირობითი ნიშნები:

➤	- მიუთითებს წინადადების ან დიალოგის დასაწყისზე
☐	- ტექსტი ჩანერილია აუდიოკასეტაზე
🔑	- სავარჯიშოს ახლავს პასუხი
3	- /დავალების ნინ/თემის შესაბამისი საკითხის ნომერი
—	- გამოტოვებულია სიტყვა, შესიტყვება, წინადადება
-	- გამოტოვებულია სიტყვის გრამატიკული კომპონენტი
()	- ფრჩხილებში მოთავსებული ქართული თარგმანი ემსახურება გერმანული წინადადების შინაარსის გადმოცემას, ხოლო თარგმანი ფრჩხილების გარეშე გულისხმობს გერმანული და ქართული გრამატიკული მოვლენების შედარება-შეპირისპირებას.

### თემა 28

- 1 რთული წინადადება როგორც მარტივი წინადადების განვრცობის უმნიშვნელოვანესი საშუალება
- 1.1 რთული თანწყობილი წინადადება (მაერთებელი კავშირები *und, aber, denn, oder, sondern, nicht nur ... sondern auch*)
- 1.2 რთული ქვეწყობილი წინადადება
- 1.2.1 კავშირიანი რთული ქვეწყობილი წინადადება (მაქვემდებარებელი კავშირები *dass, ob, weil/da, bis, wenn, je ... umso/je ... desto*)
- 1.2.2 კითხვითი წინადადება დამოკიდებული წინადადების როლში
- 1.2.3 რთული ქვეწყობილი წინადადების ზოგიერთი თავისებურება დიალოგში
- 2 სავარჯიშოები

#### 1 რთული წინადადება როგორც მარტივი წინადადების განვრცობის უმნიშვნელოვანესი საშუალება

რთული წინადადება ორი ან მეტი მარტივი წინადადებისაგან შედგება. ეს წინადადებები ერთმანეთს უკავშირდება როგორც აზრობრივად, ისე ფორმალურად. ისინი მხოლოდ მთლიანობაში გადმოსცემენ მოუბრის სათქმელს.

განასხვავებენ რთული წინადადების ორ ძირითად სახეს – თანწყობილს (*die Satzverbindung/die Satzreihe*) და ქვეწყობილს (*das Satzgefüge*).

#### 1.1 რთული თანწყობილი წინადადება (მაერთებელი კავშირები *und, aber, denn, oder, sondern, nicht nur ... sondern auch*)

თანწყობა რთული წინადადების აგების ერთ-ერთი ხერხია. თანწყობილი წინადადების კომპონენტები გრამატიკულად რამდენადმე დამოუკიდებელი წინადადებებია, რომლებიც ერთმანეთს ამა თუ იმ მორფოლოგიური საშუალებით უკავშირდება.

თანწყობილი წინადადების ასაგებად გერმანულში ძირითადად მაერთებელი კავშირები იხმარება: ეს კავშირები მომდევნო წინადადების სიტყვათა წყობას არ ცვლის:

- und** (და): Der Mensch denkt, **und** Gott lenkt.  
Ich gehe in Konzerte, **und** meine Tochter geht in Diskos.
- aber** (მაგრამ; კი): Ich arbeite viel, **aber** wir werden nicht reich.  
Herr Schneider wohnt in Dresden, **aber** Frau Schneider wohnt in Berlin.  
Meine Schwester ist groß und schlank, ich **aber** bin klein und dick.

წინადადებებს შორის აზრობრივ კავშირებს ზოგჯერ ზმნიზედები აძლიერებენ:

- Die Menschen verdienen heute gut, aber trotzdem sind sie unzufrieden.
- Es ist kalt, aber trotzdem gehen wir spazieren.  
**denn** (ვინაიდან; რადგანაც; იმიტომ რომ; რაკი): Wir bleiben zu Hause, **denn** es regnet.  
 Heute hat keiner Zeit, **denn** jeder rennt nach Geld.  
**oder** (თუ; ან): Fahren wir aufs Land, **oder** bleiben wir zu Hause?  
 Er besteht die Prüfung, **oder** er besteht sie nicht.
- sondern** (არამედ): Professor Glück bleibt nicht in Berlin, **sondern** fährt ins Ausland.
- nicht nur ... sondern auch** (არა მარტო ... არამედ): Wir kaufen **nicht nur** Obst, **sondern auch** Gemüse.

## 1.2 რთული ქვენობილი წინადადება

ქვენობა წინადადებათა დაკავშირების ისეთი საშუალებაა, როდესაც მთავარ წინადადებას ერთი ან ერთზე მეტი დამოკიდებული წინადადება ექვემდებარება. დამოკიდებული წინადადება, როგორც წესი, რომელიმე სინტაქსური წევრის ფუნქციას ასრულებს.

გერმანულში, ქართლისაგან განსხვავებით, დამოკიდებული წინადადების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმალური ნიშანია სიტყვათწყობა: მასში შემასმენლის უღლებადი ნაწილი ბოლო პოზიციას იკავებს:

- Wir gehen zu Fuß. Das Wetter ist schön. → Wir gehen zu Fuß, weil das Wetter schön ist. (ფეხით მივდივართ, რაკი კარგი ამინდია.)

ეს წესი ძალაშია მაშინაც, როდესაც დამოკიდებული წინადადება წინ უსწრებს მთავარს ან ჩართულია მასში:

- Da das Wetter schön ist, gehen wir zu Fuß. (რაკი კარგი ამინდია, ფეხით მივდივართ.)
- Wir gehen, da das Wetter schön ist, zu Fuß.

დამოკიდებულ წინადადებაში ზმნა-შემასმენელს თავსართი არ სცილდება:

- Ich finde, dass du heute sehr schön aussiehst. (ჩემი აზრით, დღეს ძალიან კარგად გამოიყურები.)
- Peter sagt, dass er um 10 Uhr einschläft. (პეტერი ამბობს, 10 საათზე ვიძინებო.)

უკუქცევითი ზმნების შემთხვევაში ნაცვალსახელი sich ქვემდებარეს მოსდევს:

- Mir gefällt, dass du dich jeden Tag rasierst. (მომწონს, რომ ყოველდღე იპარსავ პირს.)
- Ich bin überzeugt, dass Max sich über unseren Besuch wundert. (დარწმუნებული ვარ, რომ მაქსს ჩვენი სტუმრობა გაუკვირდება.)

რთული ქვეყნობილი წინადადების სტრუქტურა ძალზე მრავალფეროვანია. თავდაპირველად შევჩერდებით ორ შემთხვევაზე:

- როდესაც დამოკიდებული წინადადება მთავარს მაქვემდებარებელი კავშირებით უკავშირდება;
- როდესაც დამოკიდებული წინადადების როლში კითხვითი წინადადება გამოდის.

### 1.2.1 კავშირიანი რთული ქვეყნობილი წინადადება (მაქვემდებარებელი კავშირები *dass, ob, weil/da, bis, wenn, je ... umso/je ... desto*)

ჩვეულებრივ მთავარი წინადადება დამოკიდებულს კავშირების საშუალებით მიერთებს. კავშირებიდან გერმანულში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ყველაზე ხშირად ხმარებულ **dass** კავშირს და შესაბამისად ე.წ. **dass-წინადადებებს**. ქართულში **dass** კავშირს ჩვეულებრივ *რომ* შეესატყვისება.

ნიმუშები:

- **Schmeckst du nicht, dass der Kuchen viel zu süß ist?**
- **Ich hoffe, dass du mich verstehst.**
- **Es ist nett, dass du mir Blumen mitbringst.**
- **Wir wissen, dass du Recht hast.**
- **Ich bin sicher, dass du in einer Woche wieder gesund bist.**
- **Ich wette, dass ich diese Klausur nicht bestehe.**
- **Entschuldigen Sie, dass ich Sie mit meinen Problemen belästige.**

**dass-წინადადება** იშვიათად უსწრებს წინ მთავარს:

- **Dass das Bild echt ist, glaube ich nicht.**

მთავარი წინადადება ზოგჯერ შეიცავს მინიშნებას, რომ მას **dass-წინადადება** მოჰყვება. ამგვარი მინიშნებებია:

- **es** მაკავშირებელი სიტყვა (კორელატი):
  - **Es wundert mich sehr, dass Max heute fehlt.**
  - **Ich finde es gut, dass du dir ein Motorrad kaufst.**
  - **Du verdienst es, dass man dich bestraft.**
  - **Hoffentlich klappt es, dass ich diese Stelle bekomme.**
- ნაცვალსახელური ზმნიზედები:
  - **Ich ärgere mich darüber, dass du so wenig arbeitest.**
  - **Ich bitte dich darum, dass du rechtzeitig nach Hause kommst.**
  - **Wir freuen uns darauf, dass Sie uns besuchen.**
  - **Ich gewöhne mich nicht daran, dass wir uns so selten sehen.**

- so მაკავშირებელი სიტყვა (კორელატი):
  - Es ist hier **so** dunkel, dass ich niemanden sehe.
  - Sie ist **so** schön, dass sie überall auffällt.

დანარჩენი კავშირებიდან გამოვყოფთ კიდევ რამდენიმეს:

1. **ob** კავშირი გამოიყენება მაშინ, როდესაც მთავარი წინადადების სუბიექტისათვის დამოკიდებულ წინადადებაში დასახელებული ფაქტი რამდენადმე უცნობია. ქართულში მას რთული კავშირი თუ არა/ხოზ არა შეესაბამება:

- Wir wissen nicht, **ob** wir in einer Woche mit dieser Arbeit fertig sind. (არ ვიცით, ამ სამუშაოს დავამთავრებთ თუ არა ერთ კვირაში.)
- Ich habe keine Ahnung, **ob** das Bild echt ist. (წარმოდგენა არა მაქვს, სურათი ორიგინალია თუ არა.)
- Fragen wir unseren Lehrer, **ob** er unsere Arbeiten schon heute durchsieht. (შევეკითხოთ მასწავლებელს, დღესვე გადასინჯავს თუ არა ჩვენს ნამუშევრებს.)
- Der Chef fragt mich, **ob** ich das alles allein schaffe. (უფროსი მეკითხება, შევძლებ თუ არა მარტო ამის გაკეთებას.)
- Ich frage mich, **ob** ich Erna wirklich liebe. (ჩემს თავს ვეკითხები, მართლა მიყვარს თუ არა ერნა.)
- Mich interessiert, **ob** Ihnen Ihr Beruf gefällt. (მინტერესებს, მოგწონთ თუ არა თქვენი პროფესია.)

2. ჩვენ უკვე ვიცით, რომ მიზეზის გამოხატვა შეიძლება denn-კავშირიანი თანწყობილი წინადადებით. ამავე ფუნქციას ასრულებს weil-კავშირიანი (ვინაიდან, რაკი, იმიტომ რომ) ქვენყობილი წინადადებაც:

- Ich gehe nicht hin, denn ich **habe** keine Lust. = Ich gehe nicht hin, weil ich keine Lust **habe**.
- Max kommt nicht zum Unterricht, denn er ist seit gestern krank. = Max kommt nicht zum Unterricht, weil er seit gestern krank ist.

ამავე მნიშვნელობით, მაგრამ უფრო იშვიათად, **da**-წინადადებაც იხმარება. მისი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი, როგორც წესი, მთავარ წინადადებას წინ უსწრებს:

- Ich gehe ins Kino, **denn** der Film interessiert mich.
- Ich gehe ins Kino, **weil** mich der Film interessiert.
- **Da** mich der Film interessiert, gehe ich ins Kino.

აგრეთვე:

- **Da** es regnet, nehme ich meinen Schirm mit.
- **Da** ich heute einen Anruf erwarte, bleibe ich zu Hause.
- **Da** es sehr kalt ist, kuscheln wir uns aneinander.

3. **bis** კავშირით დაწყებული დამოკიდებული წინადადება ჩვეულებრივ ზღვარს უდებს მთავარი წინადადებით გადმოცემულ მოქმედებას. ქართულში მას *სანამ, ვიდრე* შეესაბამება:

ნიმუშები:

- Ich warte hier, **bis** du kommst.
- Wir bleiben hier, **bis** es regnet.
- **Bis** du nach Hause kommst, bin ich mit meiner Arbeit fertig.

4. **wenn** წინდებული იწყებს დროის დამოკიდებულ წინადადებას, რომელიც გადმოსცემს ანმყოში ან მომავალში მიმდინარე, ხშირად მრავალჯერად მოქმედებას. ქართულში მას შეესაბამება *როცა, როდესაც*.

ნიმუშები:

- **Wenn** mein Vater nach Hause kommt, steht das Essen schon bereit.
- **Wenn** ich dich sehe, vergesse ich alles.
- Sag mir, **wenn** du soweit bist.
- Die Arbeit ist zu Ende, **wenn** das Klingelzeichen ertönt.
- Immer, **wenn** es an der Tür läutet, bellt Bello laut.

ამგვარი დამოკიდებული წინადადების მნიშვნელობას ხშირად **nur** ნაწილაკი აძლიერებს:

- **Nur** wenn du mich siehst, denkst du an mich.

5. **wenn** კავშირი პირობითობასაც გამოხატავს და იწყებს შესაბამის დამოკიდებულ წინადადებას:

- **Wenn** das wahr ist, helfe ich dir nicht. (თუ ეს მართალია, არ დაგეხმარები.)
- **Wenn** du mich liebst, lass mich nicht allein. (თუ გიყვარვარ, მარტო ნუ დამტოვებ.)
- **Wenn** ich jetzt meinen Vater um Geld bitte, wird er sauer. (მამაჩემს რომ ახლა ფული ვთხოვო, გაჯავრდება.)

*შენიშვნა:* ზოგჯერ ჭირს იმის გარკვევა, რომელ დამოკიდებულ წინადადებას იწყებს **wenn** კავშირი – დროისას თუ პირობითის:

- Sing ein Lied – wenn du mal traurig bist, (იმღერე, როცა/თუ სევდიანი ხარ,
- Sing ein Lied – wenn dich kein Mädels küsst. იმღერე, როცა/თუ გოგონები არ გკოცნიან.)

6. როდესაც ერთი ცნების ხარისხი მეორისას განაპირობებს, იხმარება რთული კავშირი **je...umso** ან მისი ვარიანტი **je...desto** (რაც უფრო... მით უფრო). ამასთან პირველი კომპონენტი იწყებს დამოკიდებულ წინადადებას, მეორე კი მთავარს:

- **Je höher** die Preise sind, **umso** sparsamer leben wir. (რაც უფრო მაღალია ფასები, მით უფრო ხელმომჭირნედ ვცხოვრობთ.)
- **Je mehr** ich arbeite, **desto müder** bin ich abends. (რაც უფრო მეტს ვმუშაობ, მით უფრო დაღლილი ვარ საღამომობით.)

- **Je länger ich dich kenne, umso weniger verstehe ich dich.**

(რაც უფრო მეტ ხანს გიცნობ, მით უფრო ნაკლებად მესმის შენი.)

### 1.2.2 კითხვითი წინადადება დამოკიდებული წინადადების როლში

კითხვით წინადადებას შეიძლება დაეკისროს დამოკიდებული წინადადების ფუნქცია. ასეთ შემთხვევაში სწორედ იგი შეიცავს მსმენელისთვის მნიშვნელოვან ძირითად ინფორმაციას.

როტულ ქვეწყობილ წინადადებაში კითხვითი წინადადების ჩართვისას მისი სინტაქსური შედგენილობა არ იცვლება – იცვლება მხოლოდ სიტყვათწყობა: ზმნა-შემასმენლის უღლებადი ნაწილი, ისევე როგორც დამოკიდებულ წინადადებაში საერთოდ, წინადადების ბოლოს გადადის:

Wir wissen nicht,

wohin dieser Zug fährt.  
wann die Maschine startet.  
wie es unseren Großeltern geht.  
warum unser Computer streikt.  
wer ihr Mann ist.  
über wen Monika redet.  
worauf du wartest.  
womit Sie sich beschäftigen.

### 1.2.3 როტული ქვეწყობილი წინადადების ზოგიერთი თავისებურება დიალოგში

მეტყველებაში როტულ ქვეწყობილ წინადადებას რამდენიმე თავისებურება ახასიათებს. დავიმახსოვროთ სამი ყველაზე მნიშვნელოვანი:

1. დიალოგში მოუბარი ხშირად თავს არიდებს ქვეწყობილი წინადადების სრულად გამეორებას და პასუხში მხოლოდ დამოკიდებულ წინადადებას მიმართავს. ასეთ შემთხვევაში დამოკიდებული წინადადება მისთვის დამახასიათებელ სიტყვათწყობას ინარჩუნებს:

- |   |  |
|---|--|
| ➤ – Kommst du mit?                              | ➤ – Spielst du Mozart?   |
| – Nein.   | – Ja, ich spiele immer Mozart, wenn ich traurig bin.                             |
| – Warum nicht?                                  | – Warum bist du denn jetzt traurig?  |
| – <b>Weil ich keine Lust habe.</b>              | – <b>Weil es dunkel wird.</b> Ich bin immer traurig, wenn es Abend wird. Und du? |
| ➤ – Die Arbeitslosenzahl ist bei uns sehr hoch. | – Ich? <b>Wenn ich allein bin.</b>   |
| – Woran liegt das?                              | ➤ – Schlafen Sie tagsüber?   |
| – <b>Daran, dass viele Firmen pleite gehen.</b> | – Nur wenn ich sehr müde bin.  |
| ➤ – Trinken Sie Tee?                            |  |
| – Ja, wenn er heiß ist.                         |  |

2. დიალოგში არც თუ ისე იშვიათია მსმენელის მიერ დასმული შეკითხვის გამოვრება, ზოგჯერ უმნიშვნელო სახეცვლილებით. ასეთ შემთხვევაში იგი თითქოს ამონებს, რამდენად სწორად გაიგო მან შეკითხვა, ან დროს იგებს პასუხის მოსაფიქრებლად. ამ მოვლენას გერმანულ გრამატიკაში *die Nachfrage/die Gegenfrage* ეწოდება. იგი დამოკიდებული წინადადების პრინციპით იგება:

- – **Wer sorgt jetzt für die Kinder?**
- **Wer jetzt für die Kinder sorgt, meinst du?** Ich glaube, ihre Tante.
- (იგულისხმება: *Du fragst, wer jetzt für die Kinder sorgt?*)

აგრეთვე:

- – **Wem schenkst du diese Blumen?**
- **Wem ich diese Blumen schenke?** Das ist ein Geheimnis.
- – **Wovor hast du Angst?**
- **Wovor ich Angst habe?** Davor, dass ich dich nie wiedersehe.
- – **Ist dieses Bild echt?**
- **Ob dieses Bild echt ist?** Keine Ahnung. Fragen Sie lieber einen Kunstkenner!
- – **Karl kommt morgen an. Ist dir das denn völlig egal?**
- **Ob mir das egal ist?** Nein, das ist mir überhaupt nicht egal.

3. ზოგჯერ მთავარი წინადადებაც იკვეცება. ეს ჩვეულებრივ სახელადი შემასმენელის შემთხვევაში ხდება:

- **Ein Glück**, dass ich dich treffe. (რა ბედნიერებაა, რომ შეგხვდი.)
- **Fein**, dass du da bist. (რა კარგია, რომ აქა ხარ.)
- **Kein Wunder**, dass der Lehrer mit dir unzufrieden ist. (რა გასაკვირია, რომ მასწავლებელი შენით უკმაყოფილო იყოს.)

## 2 სავარჯიშოები

**1.1** დავალება 1. მოცემული წინადადებები შეაერთეთ კავშირებით *und, aber, denn, sondern, nicht nur ... , sondern auch*:

1. Ich kenne Peter nicht. Ich kenne seinen Bruder.
2. Du arbeitest viel. Du bestehst die Prüfung ganz bestimmt.
3. Ich gehe heute nicht zur Arbeit. Ich habe Magenschmerzen.
4. Die Ledertasche ist eine Tasche aus Leder. Die Schultasche ist eine Tasche für die Schule.
5. Paul ist herzkrank. Trotzdem raucht er viel.
6. Wir kaufen die Himbeeren nicht. Wir pflücken sie selbst.
7. Er ist nicht nur krank. Er ist auch einsam.
8. Max kommt nicht. Er ist seit einer Woche im Ausland.

9. Wir fahren nach Italien. Frau Rose sorgt für unseren Hund.
10. Die Kunden kommen nicht allein. Sie bringen ihre Familien mit.
11. Hans fotografiert. Inge pflückt Blumen.
12. Bleib nicht im Hotel! Übernachte bei uns!

1.2 დავალება 2. ჩახვით კავშირები *dass* ან *ob*:

1. Ich halte es für richtig, — du dich bei deinen Kollegen entschuldigst.
2. Es wundert mich sehr, — Frau Weil nicht zu Hause ist.
3. Wir wissen aber nicht, — er in der Firma oder woanders ist.
4. Achten Sie darauf, — Ihr Beutel nicht kaputtgeht!
5. Es ist mir egal, — du mitkommst oder nicht.
6. Wir finden es gut, — Sie uns stets darüber informieren.
7. Die Frage ist nur, — er den Weg kennt.
8. Ich vermute, — er Maria nicht heiratet.
9. Ich habe keine Ahnung, — Frau Briese zur Zeit in München ist.
10. Ich bin ganz sicher, — Paul schon informiert ist.
11. Prüfe nach, — die Rechnung stimmt.
12. Ich finde, — Latein und Mathe Spaß machen.
13. Ich bin dafür, — wir sofort losfahren.
14. Ich glaube dir wirklich, — du unschuldig bist.
15. Es ist jetzt sicher, — wir auf den Philippinen Urlaub machen.
16. Herr Berg schreibt, — er uns einladen möchte.
17. Mutti, Andrea fragt, — du morgen zu Hause bist.
18. Ich fürchte, — es schon zu spät ist.

1.2 დავალება 3. *weil, da* თუ *denn*?

1. – Ich kritisiere dich, — du neidisch bist.  
– Nein, du kritisierst mich, — du einfach Spaß an Kritik hast.
2. — niemand mehr fehlt, fahren wir jetzt los.
3. — niemand etwas dagegen hat, nehmen wir Ihren Vorschlag an.
4. Bertolt studiert Jura, — er möchte Staatsanwalt werden.
5. — unser Professor krank ist, fallen heute alle Vorlesungen aus.
6. Du verstehst nicht, — du nicht zuhörst.
7. — ich heute frei habe, denke ich nur an unser Beisammensein.
8. Peter ist böse auf mich, — ich ihm immer meine Meinung ganz offen sage.
9. Wir gehen ins Café, — wir uns da ein bisschen amüsieren möchten.
10. Ich ziehe mir den Mantel an, — es ist heute ziemlich kalt.

1.2 დავალება 4. *wenn* თუ *bis*?

1. Wir gehen ins Restaurant, \_\_\_ wir Geld haben.
2. Wartest du auf mich, \_\_\_ ich damit fertig bin?
3. \_\_\_ ich in München bin, besuche ich meine Schulkameraden.
4. Wir bleiben solange hier, \_\_\_ Sie den Wagen reparieren.
5. \_\_\_ der Zug abfährt, haben wir noch etwas Zeit.
6. Immer, \_\_\_ unsere Mannschaft spielt, sind wir sehr aufgeregt.
7. Immer, \_\_\_ ich Ursula Komplimente mache, wird sie ganz rot.
8. Wir spielen im Park, \_\_\_ es dunkel wird.

1.2 დავალება 5. გადაადგილეთ მთავარი და დამოკიდებული წინადადებები.

წიშში: *Ich sehe schon, dass es so nicht weiter geht.* → *Dass es so nicht weiter geht, sehe ich schon.*

1. Ich finde gut, dass Herr Neumann schon informiert ist.
2. Wir bleiben hier, bis der Regen aufhört.
3. Es ist kein Geheimnis, dass Karl seine Freundin heiratet.
4. Er besucht mich immer, wenn er Lust hat.
5. Es freut mich sehr, dass du so begabt bist.
6. Ich komme heute nicht, weil ich mich nicht wohl fühle.
7. Da ich es allein nicht schaffe, bin ich Ihnen für Ihre Hilfe sehr, sehr dankbar.
8. Ich bin schon informiert, dass es Schwierigkeiten gibt.
9. Unsere Lehrer machen mit, wenn wir Feste feiern.
10. Ich habe hier wenig Kontakt, weil mein Deutsch nicht so gut ist.
11. Ich komme vielleicht kurz mal vorbei, wenn ich Zeit habe.
12. Hier gibt es keine Kontaktprobleme, da alle Studenten auf einem Campus zusammenleben.

1.2 დავალება 6. ჩასვით მატყემდებარებელი კავშირები *je ... desto*, *je ... umso*, *dass*, *ob*, *weil*, *da*, *wenn*, *bis*:

1. \_\_\_ die Kinder im Auto sitzen, fahre ich sehr vorsichtig.
2. Ich trinke keinen Alkohol, \_\_\_ ich oft Magenschmerzen habe.
3. \_\_\_ eine Reise nach Afrika so gefährlich ist, verzichte ich darauf.
4. Achte darauf, \_\_\_ du keine Fehler machst!
5. Ich bleibe bei meinem Onkel, \_\_\_ ich 14 bin.
6. Ich werde verrückt, \_\_\_ die Musik so laut spielt.
7. Du gefällst mir, \_\_\_ du so gern Musik hörst.
8. Passen Sie bitte auf meinen Hund auf, \_\_\_ ich nach Hause komme.
9. Es ist so laut, \_\_\_ ich dich nicht höre.
10. Ich habe immer Angst, \_\_\_ ich an die Grenze komme.

11. Ich finde es unmöglich von dir, — du Max dreimal am Tag anrufst.
12. Ich bin nicht sicher, — ich so viel Geld bei mir habe.
13. Ich tanze nicht, — mir der Fuß schrecklich weh tut.
14. — mehr Geld Sie auf Ihrem Konto haben, — höher werden die Zinsen.
15. Frag bitte die Sekretärin, — der Chef da ist.
16. Ich denke, — Sie sich irren.
17. — älter der Wein ist, — besser ist er.
18. — ich das Stipendium bekomme, kaufe ich mir einen/Laserdrucker.

**1.2.2** დავალება 7. ჩასვით შესაბამისი კითხვითი სიტყვა:

1. Sag mir bitte, — du nicht verstehst.
2. Sagen Sie uns bitte, — Sie heißen.
3. Wir wissen nicht, — noch mitfährt.
4. Frag mal, — der Bus hält.
5. Wissen Sie, — man Radios verkauft?
6. Sag mir bitte, — du so lange nachdenkst.
7. Sagen Sie mir bitte, — das Flugzeug aus München ankommt.
8. Ich verstehe nicht, — du kämpfst.
9. Warum sagst du mir nicht, — du schreibst?
10. Wissen Sie, — die Fahrt kostet?
11. Du fragst, — ich Urlaub mache?
12. Mich interessiert, — ihr Tennis spielt.

**1.1-1.2.3** დავალება 8. ჩასვით სათანადო მაკავშირებელი სიტყვა:

- (1) – Gefällt es Ihnen, — Ihre Tochter Karate lernt?  
– Nein, gar nicht. Ich habe es nicht gern, — ein Mädchen brutal ist und nur mit Jungen spielt.  
– Und Ihr Sohn? Treibt er auch Sport?  
– Nein! Der ist gar nicht sportlich, — er zu dick ist.
- (2) – Man sagt, — Ihr Mann Boxer ist.  
– Sie wissen doch ganz genau, — das nicht stimmt.
- (3) – Was machst du, — du Zeit hast?  
– Ich stricke, — es dunkel wird. Dann sehe ich fern.
- (4) – Unterhalten sich eure Eltern viel mit euch?  
– Leider nicht.  
– Warum denn nicht?  
– — sie keine Zeit dazu haben.
- (5) – Wisst ihr, — die Hauptstadt vom Senegal heißt?  
– Nein, wir wissen noch nicht mal, — der Senegal liegt.

- (6) – Warum tanzst du nicht mit Herrn Braun?  
– \_\_\_ er verheiratet ist.
- (7) – \_\_\_ ich mich nie beschwere, machen meine Nachbarn jede Nacht Krach.  
– Kein Wunder, \_\_\_ du so müde aussiehst.
- (8) – Ist das wahr, \_\_\_ du die Schule langweilig findest?  
– Ja, das stimmt.
- (9) – Warum gehst du zu Fuß? Du hast doch ein Auto!  
– \_\_\_ ich fit bleiben möchte.
- (10) – Was macht Jens, \_\_\_ er nicht betrunken ist ?  
– Er spielt Karten.
- (11) – Ich habe immer Zahnschmerzen, \_\_\_ ich gehe nie zum Zahnarzt.  
– Warum denn nicht?  
– \_\_\_ ich Angst habe.
- (12) – Wissen Sie, \_\_\_ die Linie 6 fährt?  
– Zum Stadttheater.
- (13) – Wisst ihr, \_\_\_ eure Eltern euch zu Weihnachten schenken ?  
– Wir glauben, nur zwei Tafeln Schokolade.
- (14) – Warum fährt Herr Lind im Urlaub immer ins Ausland?  
– \_\_\_ er zu viel Geld hat.
- (15) – Mit wem sprichst du, Alfred?  
– Mit Diro. Er fragt, \_\_\_ die Geschäfte jetzt noch offen sind.
- (16) – Ich möchte Frau Krug sprechen.  
– Ich guck(e) mal eben, \_\_\_ sie noch da ist.
- (17) – Kann dein Bruder Erikas Studium nicht finanzieren? Er ist doch so reich.  
– Ja, aber \_\_\_ reicher die Leute sind, \_\_\_ weniger helfen sie den anderen.
- (18) – Wie lange bleibst du hier?  
– \_\_\_ meine Eltern zurückkommen.



1.1-1.2.3

დავალემა 9. თარგმნეთ:

- |   |  |
|---|--|
| (1) – რისი იმედი გაქვს?<br>– რისი იმედი მაქვს? იმიხი, რომ<br>მშობლები ფულს<br>გამომიგზავნიან. | (2) – ნამოხვალ?<br>– არა, სახლში დავრჩები.<br>– რატომ?<br>– იმიტომ, რომ წვიმს. |
| (3) – რისი გეშინია?<br>– რომ ვინმე გაიგებს<br>სიმართლეს.                                      | (4) – რატომ არ მოდიხარ?<br>– იმიტომ, რომ მინდა<br>შეფს დღესვე ველაპარაკო.      |
| (5) – რაზე ფიქრობ?<br>– რაზე ვფიქრობ? იმაზე, რომ<br>მიყვარხარ.                                | (6) – როდის მოხვალ ჩემთან?<br>– როდის მოვალ შენთან? მე<br>მგონი, არასოდეს.     |
| (7) – დალევთ ლუდს?  | (8) – რატომ მიგზავნი ყვავილებს?  |

- კი, თუ ცივია.
- (9) – არ ვიცი, დამირეკავს თუ არა მანფრედი ამ კვირაში.  
– რატომ?  
– ის ახლა საშინელ სტრესშია.
- (11) – გჭირდებათ ჩემი ლექსიკონი?  
– მჭირდება თუ არა თქვენი ლექსიკონი? ვფიქრობ, კი.
- (13) – სად სადილობთ?  
– სად ვსადილობ? რა თქმა უნდა, რესტორანში.
- (15) – რას იწერება ევა?  
– იწერება, რომ ამ ზაფხულს პოლონეთში უნდა წასვლა.
- (17) – გინდა გათხოვდე?  
– არა.  
– რატომ?  
– იმიტომ, რომ არავინ მიყვარს.
- იმიტომ, რომ მომწონხარ.
- (10) – რაშია ღორისი დამნაშავე?  
– რაშია ღორისი დამნაშავე? იმაში, რომ დღემდე ცოლი არა მყავს.
- (12) – ხშირად დადიხართ ექიმთან?  
– არა, მხოლოდ მაშინ, თუ ტკივილები მაქვს.
- (14) – რა გაინტერესებს ამჟამად?  
– რა მაინტერესებს ამჟამად? მხატვრობა და უცხო ენები.
- (16) – რაზე ჩივი?  
– რაზე ვჩივი? იმაზე, რომ სამუშაო არა მაქვს.
- (18) – მომეხმარები?  
– ვწუხვარ, მაგრამ ვერა.  
– მაინც რატომ?  
– იმიტომ, რომ დღეს დრო არა მაქვს.

## მეშვიდე მონაკვეთის შეჯამება

მეშვიდე მონაკვეთის გავლის შემდეგ თქვენ უკვე შეგიძლიათ გადმოსცეთ სათქმელი რთული წინადადებით.

საკონტროლო დავალებები შექმნილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესამოწმებლად:

დავლება 1. ჩასვით შესაბამისი მაკავშირებელი სიტყვა.

1. Ich freue mich auf dich und nicht darauf, — du mir etwas mitbringst.
2. Unser Huhn legt jeden Tag ein Ei, — niemand merkt das, — Bello klaut es sofort.
3. Der Apparat läuft von morgens bis abends, — mein Sohn „fernsehstüchtig“ ist.
4. Ich esse meinen Teller leer, — ich habe Hunger.
5. Mir ist es egal, — du mich liebst oder nicht.
6. Ich finde es schön, — meine Frau sich das Sportprogramm mit mir zusammen ansieht.
7. — meine Großeltern schon über 70 Jahre alt sind, gehen sie sehr selten spazieren.
8. Ich fühle mich krank, — ich huste und niese pausenlos.
9. Ich studiere — Englisch, — Spanisch.
10. — Was machst du abends? — Ich schlafe, — ich spiele Karten.
11. Frag deinen Chef, — er etwas Zeit für mich hat.
12. Wissen sie, — dieser Weg führt?
13. Der Chef fragt, — du mit deiner Arbeit schon fertig bist.
14. Wissen Sie, — unsere Maschine landet?
15. Ich danke dir dafür, — du mir immer mit Rat und Tat zur Seite stehst.
16. Ich arbeite dort, — andere Leute Urlaub machen — ich bin nämlich Reiseleiter.
17. Sag dem Direktor, — ich ihn sprechen möchte.
18. Im Herbst fahre ich nach München, — mir diese Stadt sehr gefällt.
19. Was machst du, — du dich langweilst?
20. Ich bin eifersüchtig, — ich dich liebe.
21. Ich bleibe am Telefon sitzen, — du zurückrufst.
22. Ich suche nicht dich, — deinen Bruder.
23. Er schreibt — Gedichte, — Novellen.
24. Ich möchte wissen, — du so gespannt bist.
25. Die Zeitungen berichten, — bei uns im April eine Umweltschutzkonferenz stattfindet.
26. Ruf die Firma an und sag, — du den Mantel reklamieren möchtest.
27. Ich gerate sehr in Panik, — ich unter Menschen bin.
28. Ihr geht morgen ohne mich ins Theater, — ich heute Abend für eine Woche ins Ausland fahre.

29. Mir gefällt nicht, — Frauen rauchen.

30. Ich möchte wissen, — die Maschine geht.

**□□□** დავალება 2. მოუსმინეთ ანეკდოტებს კასეტაზე. მოყოლისას გამოიყენეთ რთული წინადადებები. ტექსტის გაგებაში დაგეხმარებათ შემდეგი სიტყვები:

(1) das Angeln	- თევზაობა	(2) der Geigenkasten	- ვიოლინოს ფუტლარი
der Angelschein	- თევზაობის უფლება	die Maschinenpistole	- ავტომატი
(3) ins Bett stecken	- დაძინება (აძინებს)	(4) schwankend	- ბარბაცით
hellwach	- სრულიად ფხიზელი	vorbeikommen	- ჩავლა (ჩამივლის)

**♀** დავალება 3. თარგმნეთ!

- ნიძლავს ვდებ, რომ დღეს 3:0 მოვიგებთ.
- რომ წააგო სანაძლეო?
- მაშინ შენ და ანკეს რესტორანში დაგპატიუებთ.
- მე კი ნიძლავს ვდებ, რომ ანკე არ წამოვა.
- რატომ?
- იმიტომ რომ ნანყენია შენზე.
- ჰა, ჰა, ჰა!
- რა გაცინებს? გგონია, რომ ყველაფერს გააპატიებს?
- იმიტომ ვიცინი, რომ ქალებზე წარმოდგენა არ გაქვს. დარწმუნებული ვარ, რომ მააპატიებს.
- ამჯერად ამბობს, რომ ეს ამბავი მას არასოდეს დაავინყდება.
- ჰოო? ვის ეუბნება ამას?
- მე.
- მაგრამ შენ ხომ მას თითქმის არ იცნობ!
- როგორ არა. მარტო მას კი არა, მის მშობლებსაც ვიცნობ. ხანდახან ვესტუმრები ხოლმე. ცხადია, მაშინაც, როცა დედამისი შინ არის.
- თქვენ ერთად ხომ არ დადიხართ სადმე?
- რა თქმა უნდა - დისკოთეკაზე ან კაფეში.
- მე არ მკითხულობს?
- როგორ არა. ზოგჯერ აინტერესებს, კარგად თუ ხარ.
- ზოგჯერ? ღმერთო ჩემო! მე კი სულელივით შინ ვზივარ და მასზე ვოცნებობ. უკვე ერთი თვეა! ერთი მითხარი, რატომ ვაკეთებ ამას?
- იმიტომ, რომ ქალებზე წარმოდგენა არა გაქვს.

თემა 29

- 1 პრეტერიტულ-პრეზენტული ზმნების მორფოლოგიური ჯგუფი (*die Präteritopräsentia*)
- 2 მოდალური ზმნები *können, dürfen, sollen, müssen, wollen, mögen*
- 2.1 მოდალური ზმნები და წინადადების სტრუქტურა
- 2.2 მოდალური ზმნების უმთავრესი მნიშვნელობები
- 2.3 მოდალური მნიშვნელობანი და მათი გადმოცემის ძირითადი საშუალებები (შეჯამება)
- 3 ზმნა *wissen*
- 4 სავარჯიშოები

1 პრეტერიტულ-პრეზენტული ზმნების მორფოლოგიური ჯგუფი (*die Präteritopräsentia*)

ჩვენ შევისწავლეთ და შევაჯამეთ ზმნის უღლება პრეზენტში. მაგრამ არსებობს ზმნების კიდევ ერთი ჯგუფი, რომლის პარადიგმაც უღლების განსაკუთრებულ ტიპს მიეკუთვნება. ამ ჯგუფს სულ შვიდი ზმნა შეადგენს. მათ შორის ექვსი მოდალური ზმნაა: *können, dürfen, müssen, sollen, wollen, mögen*. ისინი გამოხატავენ მოდალობას, ანუ მოქმედი პირის დამოკიდებულებას შესასრულებელი მოქმედების მიმართ (*სურს თუ არა/შეუძლია თუ არა/მოსწონს თუ არა მას ამა თუ იმ ქმედების შესრულება*). მეშვიდე ზმნა *wissen*.

პრეტერიტულ-პრეზენტული ზმნებისათვის დამახასიათებელია ორი მორფოლოგიური ნიშანი:

- მათ არა აქვთ პირის ნიშანი მხოლობითი რიცხვის I და III პირში, რის შედეგადაც ეს ფორმები ერთმანეთს ემთხვევა;
- მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში (გარდა *sollen* ზმნისა) მათ აქვთ სხვადასხვა ფუძისეული ხმოვანი. ამასთან ფუძისეული ხმოვნის ცვლა რაიმე ერთ კანონზომიერებას არ ექვემდებარება. ამიტომ თითოეული ზმნის პარადიგმა საგანგებოდ უნდა დავიმასხოროთ:

**können** – ძირითადი მნიშვნელობა: *შემიძლია*

მხოლ.	მრავლ.	თავაზიანი ფორმა
ich kann	wir können	
du kannst	ihr könnt	Sie können
er kann	sie können	

**dürfen** – ძირითადი მნიშვნელობა: *შემიძლია/უფლება მაქვს*

ich darf	wir dürfen	
du darfst	ihr dürft	Sie dürfen

er darf sie dürfen

**müssen** – ძირითადი მნიშვნელობა: უნდა გააკეთო/იძულებული ვარ გააკეთო:

ich muss wir müssen  
du musst ihr müsst Sie müssen  
er muss sie müssen

**sollen** – ძირითადი მნიშვნელობა: უნდა გააკეთო/ვალდებული ვარ გააკეთო:

ich soll wir sollen  
du sollst ihr sollt Sie sollen  
er soll sie sollen

**wollen** – ძირითადი მნიშვნელობა: მსურს/მინდა:

ich will wir wollen  
du willst ihr wollt Sie wollen  
er will sie wollen

**mögen** – ძირითადი მნიშვნელობა: მომწონს, მიყვარს:

ich mag wir mögen  
du magst ihr mögt Sie mögen  
er mag sie mögen

**wissen** – ცოდნა (ვიცი)

ich weiß wir wissen  
du weißt ihr wisst Sie wissen  
er weiß sie wissen

პრეტერიტულ-პრეზენტული ზმნები სუსტ უღლებას მიეკუთვნება, მაგრამ ძირითადი ფორმების წარმოებისას ისინი ზოგიერთ თავისებურებებს იჩენენ:

können	–	konnte	–	gekonnt	wollen	–	wollte	–	gewollt
dürfen	–	durfte	–	gedurft	mögen	–	mochte	–	gemocht
müssen	–	musste	–	gemusst	wissen	–	wusste	–	gewusst
sollen	–	sollte	–	gesollt					

## 2 მოდალური ზმნები können, dürfen, sollen, müssen, wollen, mögen

### 2.1 მოდალური ზმნები და წინადადების სტრუქტურა

რადგანაც მოდალური ზმნები გამოხატავენ დამოკიდებულებას მოქმედებასთან, ცხადია, წინადადებაში ეს მოქმედებაც უნდა იყოს დასახელებული: *მინდა ვიმღერო; ანა უნდა წავიდე; შემძლია დაგეხმარო და ა.შ.*

გერმანულ წინადადებაში მოქმედებას ასახელებს ძირითადი (სრულმნიშვნელოანი) ზმნა ინფინიტივის ფორმით. იგი წინადადების ბოლოს დგას და მოდალურ ზმნასთან ერ-

თად შედგენილ ზმნურ შემასმენელს ქმნის:

- Ich will dieses Lied **singen**. (მინდა ეს სიმღერა ვიმღერო.)
- Ich kann dieses Lied **singen**. (შემიძლია ვიმღერო ეს სიმღერა.)
- Ich soll dieses Lied **singen**. (უნდა ვიმღერო ეს სიმღერა.)

ეს ორი ზმნა ქმნის ე.წ. პრედიკატულ ჩარჩოს: მოდალური ზმნა მუდამ მეორე ადგილზეა, ძირითადი – უკანასკნელზე, მათ შორის კი წინადადების სხვა წევრები განლაგდება:

- Ich muss heute zu dir **kommen**.      ➤ Heute muss ich zu dir **kommen**.

უკუთქმით წინადადებაში უარყოფითი ნაწილაკი გრამატიკული წესის თანახმად ინფინიტივის წინ თავსდება, მაგრამ ეს წესი ზეპირმეტყველებაში ხშირად ირღვევა – განსაკუთრებით მაშინ, თუ ინფინიტივი მის წინ მდგომ სიტყვასთან მჭიდროდაა დაკავშირებული:

შდრ.: ➤ Ich kann diesen Text **nicht** übersetzen.

და: ➤ Er will mir **nicht** die Wahrheit sagen.      ➤ Ich will **nicht** Taxi fahren.

მოდალურზმნიან კონსტრუქციაში მოცილებადი თავსართი ძირითად ზმნას არ სცილდება:

- Wir sollen heute früh **aufstehen**.      ➤ Ich will heute gut **aussehen**.

თუ ძირითადი ზმნა უკუქცევითია, ნაცვალსახელი sich პირდაპირი წყობისას მოდალურ ზმნას მოსდევს, ირიბისას კი – ქვემდებარეს:

- Wir müssen **uns** heute beeilen.      ➤ Heute müssen wir **uns** beeilen.

დამოკიდებულ წინადადებაში მოდალური ზმნა ბოლო ადგილზეა – იგი ინფინიტივს მოსდევს:

- Es tut mir Leid, dass ich schon abreisen **muss**.
- Ich weiß noch nicht, ob ich mitkommen **kann**.

მოდალური ზმნები იშვიათად, მაგრამ მაინც, ინფინიტივის გარეშეც გვხვდება. აქ ძირითადად ორ შემთხვევას განვსახვავებთ:

1. როდესაც მოდალურ ზმნას სრულმნიშვნელობანი ზმნის ფუნქცია აქვს:

- Ich mag diese Frau nicht.      ეს ქალი არ მიყვარს.
- Ich mag dieses Mädchen gern.      მიყვარს ეს გოგონა.
- Mögen Sie Eis?      გიყვართ ნაყინი?
- Ich mag kein Bier.      ლუდი არ მიყვარს.
- Was willst du denn?      მაინც რა გინდა?
- Willst du Brot oder Kuchen?      პური გინდა თუ ნამცხვარი?
- Was wollen Sie eigentlich von mir?      რა გინდათ ბოლოს და ბოლოს ჩემგან?
- Das darf ich nicht.      არ შემიძლია/უფლება არა მაქვს.
- Ich kann nicht anders.      სხვაგვარად არ შემიძლია.
- Du kannst viel.      შენ ბევრი რამ შეგიძლია.
- Du kannst, wenn du willst.      შეგიძლია, თუ გინდა.
- Ich kann einfach nicht mehr.      მეტი აღარ შემიძლია.

➤ Ich soll das nicht.

არა ვარ ვალდებული.

აგრეთვე:

➤ Was soll der Kuli unter dem Bett?

რა უნდა კალამს საწოლის ქვეშ?

➤ Was soll der Quatsch?

ეს (სისულელე) რას ნიშნავს?

➤ Er kann Englisch.

მან ინგლისური იცის.

➤ Ich kann dieses Gedicht immer noch nicht.

ლექსი ჯერაც არ ვიცი.

2. როდესაც გამოიტოვება მოძრაობის გამოხატველი ზმნები (*gehen, fahren, laufen, fliegen ...*):

➤ Ich will heute in die Stadt.

დღეს ქალაქში მინდა წასვლა.

➤ Du darfst nicht in die Stadt.

ქალაქში ვერ წახვალ (უფლება არა გაქვს).

➤ Ich muss dienstlich nach Bonn.

ბონში უნდა წავიდე მივლინებით.

➤ Muss Anna schon zur Schule?

ანა უკვე სკოლაში უნდა წავიდეს?

➤ Jetzt muss ich weg.

უნდა წავიდე.

➤ Ich muss zur Toilette.

ტუალეტში უნდა გავიდე./ტუალეტში მინდა.

➤ Ich muss aufs Klo.

ტუალეტში უნდა გავიდე./ტუალეტში მინდა.

➤ Ich muss mal.

ტუალეტში უნდა გავიდე./ტუალეტში მინდა.

➤ Wir dürfen nicht ins Kino.

კინოში წასვლის ნება არა გვაქვს.

➤ Im Moment darf niemand zu ihm.

ახლა არავის აქვს მასთან შესვლის უფლება.

➤ Möchtest du ans Steuer?

გინდა საქვსთან დაჯდე?

## 2.2 მოდალური ზმნების უმთავრესი მნიშვნელობები

### können – dürfen

**können** გამოხატავს შესაძლებლობას (შემიძლია, ძალა შემწევს) და უნარს (შემიძლია/ვიცი რაიმეს კეთება; უნარი შემწევს). ამდენად, ნართქმით წინადადებაში იგი მიუთითებს, რომ სუბიექტს არაფერი უშლის ხელს, შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება, ხოლო უკუთქმითი – რომ მოქმედების შესრულება ვერ ხერხდება:

ნიმუშები:

➤ Wir können Ihnen helfen.

(შეგვიძლია დაგეხმაროთ.)

➤ Kannst du heute zu mir kommen?

(შეგიძლია დღეს ჩემთან მოხვიდე)?

➤ Herr Berg ist im Moment nicht da. Kann ich (ihm) etwas ausrichten?

(ბატონი ბერგი ახლა აქ არ არის.

გადავცე რამე?)

➤ Kann ich was für Sie tun?

(რითი შემიძლია გემსახუროთ?)

➤ Jeder kann sich mal irren.

(ყველა შეიძლება შეცდეს.)

➤ Ich kann Ihnen nicht helfen.

(ვერ დაგეხმარებით.)

➤ Ich kann deine Schrift nicht entziffern.

(შენს ხელნაწერს ვერ ვარჩევ.)

➤ Ich kann mir solchen Luxus nicht leisten.

(ასეთი ფუფუნების უფლებას ვერ მივცემ თავს.)

- Ich kann mich nicht dazu entschließen. (ვერ გადამიწყვეტია.)
- Die Arbeit ist fertig. Sie können gehen. (სამუშაო დასრულებულია. შეგიძლიათ ნაბრძანდეთ.)
- Du kannst mit diesem Bus fahren. (შეგიძლია ამ ავტობუსით ნახვიდე.)
- Du kannst machen, was du willst. (შეგიძლია აკეთო, რაც გინდა.)
- Das kann ich mir vorstellen. (წარმომიდგენია.)
- Das kann ich mir nicht vorstellen. (ვერ წარმომიდგენია.)
- Ich kann das nicht mehr aushalten. (ამას ვეღარ ავიტან.)
- Ich kann keinen Alkohol vertragen. (ალკოჰოლს ვერ ვიტან.)
- Ich kann Herrn Reiz nicht leiden. (ბატონ რაიცი ვერ ვიტან.)
- Ihr könnt auf mich zählen. (შეგიძლიათ ჩემი იმედი იქონიოთ.)
- Eine Dreizimmerwohnung können wir uns nicht leisten. (სამოთახიანი ბინის საშუალება არა გვაქვს.)
- Ich kann schon kaum noch laufen. (სიარული აღარ შემიძლია.)
- Wie kann ich das wieder gut machen? (როგორ შევძლო ამის გამოსწორება?)

შენიშვნა: როგორც ქართული შესატყვისებიდან ჩანს, უკუთქმით წინადადებაში **können** ზმნის მოდალური მნიშვნელობა უმრავლეს შემთხვევაში *ვერ/ვეღარ/აღარ; ვერაფერს/ვეღარაფერს/აღარაფერს* უარყოფითი ნაწილაკებით გადმოიცემა:

- შდრ.
- Ich komme **nicht**. არ მოვალ. ➤ Ich rufe dich **nicht** an. (არ დაგირეკავ.)
  - Ich kann **nicht** kommen. ვერ მოვალ. ➤ Ich **kann** dich **nicht** anrufen. (ვერ დაგირეკავ.)

- აგრეთვე:
- Ich **kann nichts** sehen. ვერაფერს ვხედავ.
  - Ich **kann nicht mehr** sehen. ვეღარ ვხედავ.
  - Mit diesem Messer **kannst du keine** Birnen schneiden. ამ დანით მსხალს ვერ დაჭრი.
  - Mit diesem Messer **kannst du nichts mehr** schneiden. ამ დანით ვეღარაფერს დაჭრი.

können ზმნა აღნიშნავს აგრეთვე რაიმეს ცოდნას და ამდენად შესაბამისი მოქმედების შესრულების უნარს:

- Das Kind kann schon lesen. (ბავშვმა უკვე იცის კითხვა.)
- Ihr könnt schon ziemlich gut Georgisch. (თქვენ უკვე საკმაოდ კარგად იცით ქართული.)
- Ich kann kein Spanisch. (ესპანური არ ვიცი.)
- Können Sie Maschine schreiben? (იცით მანქანაზე ბეჭდვა?)
- Können Sie nicht Rad fahren? (ველოსიპედით ვერ დადიხართ?)
- Kannst du schon auf Deutsch lesen? (უკვე კითხულობ გერმანულად?)
- Können Sie mit dem Computer umgehen? (გესმით კომპიუტერი?/იცით კომპიუტერი?)

➤ – Können ihr schwimmen? – Ja, können wir. (– იცით ცურვა? – ვიცით.)

können ზმნა ზოგჯერ უსულო საგნის აღმნიშვნელ სახელებთანაც გვხვდება, ასეთ შემთხვევაში იგი ჩვეულებრივ ვარაუდს გამოხატავს:

➤ Magenschmerzen können sehr gefährlich sein. (კუჭის ტკივილი შეიძლება ძალზე საშიში იყოს.)

können ზმნა იხმარება მოკრძალებული თხოვნის გადმოსაცემად:

- Kann ich mir das Foto mal ansehen? (შეიძლება შევხედო სურათს?)
- Kann ich bitte Herrn Becker sprechen? (შეიძლება ბატონ ბეკერს ველაპარაკო?)
- Kann ich kurz mal mit Ihrem Chef sprechen? (შეიძლება ერთი წუთით თქვენს შეფს დაველაპარაკო?)
- Kann ich eine Tasse Tee haben? (თუ შეიძლება ერთი ჭიქა ჩაი!)
- Können Sie mir bitte sagen, wie ich zum Stadtzentrum komme? (ხომ ვერ მეტყვი, როგორ მივალ ქალაქის ცენტრამდე?)
- Können Sie uns vielleicht sagen, wo hier ein Taxistand ist? (ხომ ვერ გვეტყვით, სად არის აქ ტაქსის გაჩერება?)
- Wo habe ich bloß meinen Filzstift? Kann ich mal deinen haben? (სად არის ჩემი ფლომასტერი? შეიძლება შენი ავილო?)

können სასაუბრო ენაში ხშირად იხმარება sein ზმნასთანაც:

- Das kann sein. = Kann sein. (შესაძლებელია./შეიძლება.)
- Kann sein, dass Erwin lügt. (შეიძლება, ერვინი ტყუოდეს.)
- – Helmut raucht nur deswegen nicht, weil sein Vater es ihm nicht erlaubt. – (Das) kann sein. (– ჰელმუტი იმიტომ არ ეწევა, რომ მამამისი ამის უფლებას არ აძლევს. – შეიძლება.)
- Was kann das sein? (რა შეიძლება იყოს ეს?)
- Wer kann das sein? (ვინ შეიძლება იყოს?)

**dürfen** ზმნის მნიშვნელობა და შესაბამისი ხმარების სფეროც können-თან შედარებით ბევრად უფრო ვიწროა: წართქმით წინადადებაში იგი აღნიშნავს უფლების ქონას (უფლება/ნება მაქვს), ხოლო უკუთქმითი – აკრძალვას, უფლების/ნების არქონას:

წართქმითი ფორმა:

- Die Kinder dürfen vor unserem Haus spielen. (ბავშვებს შეუძლიათ/უფლება აქვთ ჩვენი სახლის წინ ითამაშონ.)
  - Heute darfst du ins Kino gehen. (დღეს შეგიძლია/ნება გაქვს კინოში წახვიდე.)
- უფლების შეზღუდვის შემთხვევაში ჩნდება nur ნაწილაკი:
- Sie dürfen nur dort drüben parken. (შეგიძლიათ/უფლება გაქვთ გააჩეროთ მანქანა მხოლოდ ქუჩის მეორე მხარეს.)
  - Sie dürfen diese Zeitschrift nur in der Unibibliothek benutzen. (შეგიძლიათ/უფლება გაქვთ ამ ჟურნალით მხოლოდ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში)

ისარგებლოთ.)

dürfen ზმნას ამ მნიშვნელობით ზეპირმეტყველებაში ხშირად ენაცვლება können:

- > Darf ich reinkommen? = Kann ich reinkommen?
- > Sie dürfen gehen. = Sie können gehen.
- > Die Kinder dürfen heute bis 12 Uhr aufbleiben. = Die Kinder können heute bis 12 Uhr aufbleiben.
- > Sie dürfen mich jederzeit anrufen. = Sie können mich jederzeit anrufen.

უკუთქმითი ფორმა:

- > Das darfst du nicht tun. (ამის გაკეთების უფლება არა გაქვს).
- > So dürfen Sie nicht reden! (ამის თქმის უფლება არა გაქვთ!)
- > Bei Rot dürft ihr die Straße nicht überqueren. (ნითელ შუქზე ქუჩის გადაჭრა აკრძალულია.)
- > Sie dürfen hier nicht rauchen. (აქ მონევა არ შეიძლება/აკრძალულია.)
- > Ich darf nicht zu fett essen. (ცხიმიანი საჭმელი ამიკრძალებს.)
- > Ich darf keinen Alkohol trinken. (დალევა აკრძალული მაქვს.)
- > Wir dürfen leider nicht hinein. (სამწუხაროდ, შესვლის ნება არა გაქვს.)
- > Das darf ich auf keinen Fall riskieren. (ასეთი რისკის უფლება არავითარ შემთხვევაში არა მაქვს.)

dürfen ზმნა შეიძლება საგნების სახელსაც დაუკავშირდეს. ასეთ შემთხვევაში იგი ჩვეულებრივ მათი თვისებიდან გამომდინარე რჩევას გულისხმობს:

- > Die Bierflasche darf nicht in der Sonne stehen. (ლუდის ბოთლი მზეზე არ უნდა დადგათ.)
- > Dieser Fisch darf nur 10 Minuten kochen. (ეს თევზი მხოლოდ 10 წუთს უნდა იხარშოს.)

können ზმნის ანალოგიურად dürfen ზმნას მოკრძალებული თხოვნის გამოსახ-  
ატავადაც მიმართავენ, ხოლო ნებართვის ალებისას და შეთავაზებისას უპირატესად  
dürfen გამოიყენება:

- > Darf ich noch ein Stück Torte haben? = Kann ich noch ein Stück Torte haben?  
(შეიძლება კიდევ ერთი ნაჭერი ტორტი?)
- > Darf ich mal telefonieren? = Kann ich mal telefonieren?  
თესლების ყიდვა?  
– არ ვიცი.
- (19) – გიყვართ პიცა?  
– მე, სხვათაშორის, ყველაფერი  
მიყვარს. მხოლოდ თევზს არ  
ვჭამ.
- ყოველ შემთხვევაში აქ არ  
ნერია.
- (16) – სვამ კონიაკს?  
– ალკოჰოლიანი სასმელი  
საერთოდ არ მიყვარს.
- (18) – ფოსტაში უნდა წავიდე, მარკები  
მჭირდება.  
– მე შემიძლია მოგცე რამდენიმე.
- (20) – სულ ტელევიზორს უნდა  
უყუროთ? არ შეგიძლიათ ერთად  
ითამაშოთ?  
– ოთახში ხომ ვერ ვითამაშებთ!

**3** დავალება 3. თარგმნეთ ქართულად:

1. Ich lasse meine Tasche zu Hause.
2. Das lässt sich nicht beweisen.
3. Kannst du mir das Buch bis morgen lassen?
4. Lass bitte Wasser in die Wanne laufen!
5. Lassen Sie Ihr Gepäck auf dem Bahnhof!
6. Lass den Jungen etwas lernen!
7. Ich lasse gleich den Arzt holen.
8. Warum lassen Sie Ihr Kind allein in der Wohnung?
9. Hier lässt es sich gut leben.
10. Lass uns das Essen ins Esszimmer bringen!
11. Klara möchte sich ein Kleid machen lassen.
12. Lassen Sie bitte alles so, wie es ist.
13. Lass endlich das Rauchen!
14. Warum lässt du den Motor laufen?
15. Ich lasse mich nicht anschreien.
16. Lassen Sie sich sofort untersuchen!
17. Lassen Sie den Arzt kommen!
18. Lassen Sie die Bremsen prüfen!
19. Ich möchte meinen Pass verlängern lassen.
20. Wir müssen unseren Hund impfen lassen.
21. Wenn Sie eine Nachricht von Ihrem Bruder erhalten, lassen Sie es mich wissen.
22. Lasst uns woanders baden, hier ist es viel zu gefährlich.
23. Lass uns woandershin reisen!
24. Ich muss diesen Brief kopieren lassen.

დავალემა 4. ჩასვით *lassen* ზმნა მოცემულ ზმნებთან ერთად:

- (1) – \_\_\_ du deine Kinder \_\_\_ ?  
– Nur samstags.
- (2) – Ich \_\_\_ meine Untermieter nicht  
\_\_\_ , und du?
- (3) – Streichst du die Fenster selbst?  
– Nein, ich \_\_\_ sie \_\_\_ .
- (4) – Gehst du in die Reinigung?  
– Ja, ich muss meine Jacke \_\_\_ .
- (5) – Das geht ziemlich schnell.  
– Ja, Herr Stock \_\_\_ seine Patienten  
nicht gerne \_\_\_ .
- (6) – \_\_\_ ihr eure Kinder im Garten \_\_\_ ?  
– Aber gewiss!
- (7) – Ich möchte meinen Wagen \_\_\_ .  
Gehst du das?  
– Aber natürlich.
- (8) – Reparierst du deinen  
Kassettenrekorder selbst?  
– Nein, ich \_\_\_ ihn \_\_\_ .
- (9) – Wann \_\_\_ du dir endlich einen  
Anzug \_\_\_ ?  
– Ich brauche überhaupt keinen  
Anzug!
- (10) – Schläfst du hier?  
– Nein, auf der Terrasse. Da \_\_\_ es  
sich viel besser \_\_\_ .
- (11) – Erich sagt, dass dein Hund nie  
krank wird.  
– Stimmt. Wir \_\_\_ ihn ja jedes Jahr \_\_\_ .
- (12) – Was machst du heute Nachmittag?  
– Ich will mir die Haare \_\_\_ .


---

*reinigen, warten, waschen, fernsehen, machen, impfen, spielen, reparieren, streichen, schneiden, kochen, schlafen.*


## მერვე მონაკვეთის შეჯამება

მოდალური ზმნების შესწავლით თქვენ არა მარტო გაეცანით გერმანული წინადადების სტრუქტურის განვრცობის ერთ-ერთ საშუალებას, არამედ შეიძინეთ წინადადებაში ასახული ფაქტის მიმართ სხვადასხვა დამოკიდებულების გამოხატვის უნარი. როგორც ვნახეთ, ამ დამოკიდებულებათა არსში და მათი გადმოცემის ნიუანსებში გარკვევა გერმანული ენის შემსწავლელთათვის არც თუ ისე ადვილია. ამიტომ, ვიდრე ქვემოთ მოცემულ დავალებათა შესრულებას შეუდგებოდეთ, ერთხელაც გადახედეთ მთელ მასალას!

საკონტროლო დავალებები შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესამოწმებლად:

 დავალება 1. მოისმინეთ ანეკდოტები. დაუკვირდით, ერკვევით თუ არა სრულად მოდალურ მნიშვნელობებში. ტექსტების გაგებას შემდეგი სიტყვები გაგიადვილებთ:

- |                                       |   |
|---------------------------------------|---|
| (1) die Auster - ხამანკა (დელიკატესი) | (4) Kaiser Barbarosa = Friedrich I<br>Barbarosa (ცხოვრობდა XII საუკუნეში) |
| der Kaviar - ხიზილალა                 |   |
| (8) der Floh - რწყილი                 | (6) vollkommen - სრულიად  |
| feststellen - დადგენა; აღმოჩენა       | die Unterhose - საცვლები  |

 დავალება 2. ჩახვით können, dürfen, sollen, müssen, wollen, mögen, wissen და lassen ზმნები. გაითვალისწინეთ, რომ არ არის გამორიცხული ერთსა და იმავე წინადადებაში რამდენიმე მოდალური ზმნის ხმარება.

- (1) – Wir \_\_\_ ein Haus bauen.  
– Dann \_\_\_ ihr lange sparen.
- (2) – Ich \_\_\_ dir die Wahrheit sagen.  
– Woher \_\_\_ du denn die Wahrheit wissen?
- (3) – \_\_\_ du das Projekt alleine machen?  
– Leider nicht. Herr Reiz \_\_\_ es mir machen.  
– Was \_\_\_ er dafür haben?  
– 2.000 Mark.  
– \_\_\_ dein Vater das finanzieren?  
– Ja, er \_\_\_, aber er \_\_\_ nicht.
- (4) – Peters Telefonnummer ist 3-6-1-4.  
– Warte mal. Ich \_\_\_ sie aufschreiben, ich \_\_\_ in der letzten Zeit nichts behalten.
- (5) – \_\_\_ ich anfangen?  
– Warten Sie bitte noch ein bisschen, zwei Studenten \_\_\_ noch kommen.
- (6) – \_\_\_ ich dich morgen wecken?  
– Nein, morgen \_\_\_ ich mal richtig ausschlafen.
- (7) – \_\_\_ ich den Prospekt behalten?  
– Tut mir Leid, aber er gehört meiner Chefin.

- (8) – Wie \_\_\_ ich Zahnschmerzen vermeiden?  
– Ganz einfach. \_\_\_ Sie jedes Jahr die Zähne vom Zahnarzt untersuchen!
- (9) – Ich \_\_\_ gern ein Eis.  
– Na gut.  
– \_\_\_ ich auch eins haben?  
– Natürlich!  
– \_\_\_ ich gleich zahlen?  
– Wie Sie \_\_\_ .
- (10) – \_\_\_ ich einen Saft haben?  
– Ich haben leider keinen. \_\_\_ du vielleicht eine Cola?  
– Danke, aber ich \_\_\_ keine Cola.
- (11) – Ich \_\_\_ einen Mercedes haben.  
– Und was denkt dein Mann darüber?  
– Er denkt immer das, was ich ihn denken \_\_\_ .
- (12) – \_\_\_ Sie schon weg?  
– Ja, ich habe leider keine Zeit mehr.  
– \_\_\_ ich Sie begleiten?  
– Danke, das ist nicht nötig, mein Mann wartet unten auf mich.
- (13) – Ich \_\_\_ morgen nach Madrid fliegen.  
– Wann geht die Maschine?  
– Ich \_\_\_ noch nicht, ich \_\_\_ heute Nachmittag die Lufthansa anrufen.
- (14) – Ich \_\_\_ nach Hamburg telefonieren. Hier ist die Nummer von Herrn Schmidt in Hamburg.  
– Bitte gehen Sie in die Zelle drei! Sie \_\_\_ selbst wählen.  
– Danke.
- (15) – Ein Brot, bitte!  
– Wir haben nur Schwarzbrot. \_\_\_ Sie eins?  
– \_\_\_ ich davon auch nur die Hälfte haben?  
– Ja natürlich!
- (16) – Entschuldigung, fliegt morgen eine Maschine nach Rom?  
– Wann \_\_\_ Sie denn fliegen?  
– Morgen früh.  
– Wir haben eine um sechs. Passt Ihnen das?  
– Moment, da \_\_\_ ich meinen Chef fragen.
- (17) – Ich \_\_\_ gern eine Packung Antidepressiva.  
– Da \_\_\_ ich mal sehen, ob wir das da haben. Haben Sie ein Rezept?  
– Nein.  
– Dann \_\_\_ Sie erst zum Arzt gehen.
- (18) – Was \_\_\_ ich für Sie tun, Frau Stock?

- Ich habe Halsschmerzen.
  - Gegen Halsschmerzen \_\_\_\_ Sie diese Lutschtabletten nehmen.
  - \_\_\_\_ das sein? Die \_\_\_\_ ich nämlich gar nicht.
  - Dann schreibe ich Ihnen ein paar Tropfen auf.
  - Und wie \_\_\_\_ ich die dann nehmen?
  - Dreimal täglich 10 Tropfen vor dem Essen. \_\_\_\_ ich Sie krankschreiben?
  - Ja, bitte.
- (19) - Fährst du morgen mit?
- Mal sehen. Ich \_\_\_\_ es mir noch mal überlegen. Im Moment \_\_\_\_ ich das noch nicht.
- (20) - \_\_\_\_ ich von der Sportstunde wegbleiben? Ich habe nämlich Fieber.
- Bitte, aber Sie \_\_\_\_ dann später ein Attest vorlegen.
  - Ich \_\_\_\_ .
- (21) - Auf der Party \_\_\_\_ du mit Jens flirten.
- Mit Jens? Den \_\_\_\_ ich überhaupt nicht leiden.
- (22) - Diesen Fisch \_\_\_\_ man nicht in der Pfanne braten. Er ist viel zu groß.
- \_\_\_\_ ich ihn zerteilen lassen?
  - Ich glaube, ja.
- (23) - Brauchst du für den Teig nur Vanillezucker?
- Nein, man \_\_\_\_ auch Nüsse und Rosinen dazugeben.
- (24) - Heilt die Zeit wirklich alle Wunden?
- Wer \_\_\_\_ ?
- (25) - \_\_\_\_ man hier rauchen?
- Nein, das ist ein Wagen für Nichtraucher.
- (26) - Was macht Michael momentan?
- Das \_\_\_\_ der Himmel.
- (27) - \_\_\_\_ wir in die Disko gehen?
- In die Disko? Nein, ich habe kein Geld.
  - Du hast kein Geld? Das \_\_\_\_ ja wohl nicht wahr sein!
- (28) - Mein Fahrrad ist völlig kaputt. Es \_\_\_\_ sich nicht mehr reparieren.
- Versuchen \_\_\_\_ man es mal.
- (29) - \_\_\_\_ ich Sie was fragen?
- Ja, bitte! Was \_\_\_\_ Sie denn wissen?
  - Sie sind Arzt, oder?
  - Genau.
  - \_\_\_\_ Sie mir bitte helfen? Ich habe nämlich Herzschmerzen.
  - Da \_\_\_\_ Sie sofort ins Krankenhaus!
  - Ins Krankenhaus? Ist das denn so schlimm?
  - Ich \_\_\_\_ es nicht mit Sicherheit sagen, aber das \_\_\_\_ sehr gefährlich sein.

- (30) – Wohin geht ihr?  
 – Ins Schwimmbad.  
 – Ich \_\_\_ auch mit.  
 – Was? In deinem Abendkleid \_\_\_ du unmöglich mitgehen. Da \_\_\_ du dich schnell umziehen!
- (31) – \_\_\_ du ein Steak?  
 – Nein, ich \_\_\_ so was im Moment nicht essen.  
 – Warum denn nicht?  
 – Ich habe Magenschmerzen. Mein Arzt sagt, ich \_\_\_ Diät machen.  
 – \_\_\_ du denn Quark essen?  
 – Oh ja, das \_\_\_ ich sogar.  
 – Nimmst du auch Tabletten?  
 – Nein, ich \_\_\_ keine Medikamente nehmen.
- (32) – Wir \_\_\_ hier übernachten. \_\_\_ wir ein Doppelzimmer haben?  
 – Alles besetzt. Sie \_\_\_ weitersuchen. Hier in der Nähe gibt es noch ein paar Hotels.  
 – Wie weit \_\_\_ wir denn fahren?  
 – Das \_\_\_ ich nicht genau sagen.
- (33) – \_\_\_ Sie was? Geben Sie mir 100 Mark, und wir sind quitt.  
 – Okay.
- (34) – Sie \_\_\_ ein Visum für Italien?  
 – Genau.  
 – Dann \_\_\_ Sie dieses Formular hier ausfüllen.  
 – \_\_\_ ich es auch unterschreiben?  
 – Ja, bitte. Hier unten.
- (35) – Ich \_\_\_ das alles in einer Woche schaffen.  
 – Das \_\_\_ wir erst mal sehen!
- (36) – Meine Eltern \_\_\_ mir keine Freiheit geben.  
 – Dann \_\_\_ du dir deine Freiheit nehmen.

ღ დავალება 3. თარგმნეთ:

- |  |   |
|--|---|
| (1) – დაურეკე რა ბატონ ვანდერს!<br>– მე რატომ უნდა დავურეკო?<br>შენ თვითონ შეგიძლია დაურეკო.                                   | (2) – ეს ტელევიზორი ველარ შეეკეთდება, სულ აღარ ვარგა!<br>– სამწუხაროა!  |
| (3) – ბატონ ჰარტმანს მინდა ველაპარაკო.<br>– ბატონი ჰარტმანი ახლა აქ არ არის. შეგიძლიათ ერთ საათში დარეკოთ?<br>– კი, ასე ვიზამ. | (4) – ნავიდეთ ამ საღამოს რესტორანში?<br>– სიამოვნებით, მაგრამ წინასწარ უნდა შევუკვეთოთ მაგიდა.<br>დარეკოთ?<br>– ჰო! |

- (5) – ალფრედ, მარკები მჭირდება.  
შეგიძლია ბიუროდან წამოიღო?  
– სამწუხაროდ, ალარც მე მაქვს.  
– უთხარი შენს მდივანს, იყიდოს.  
– კარგი.
- (7) – მინდა განცხადება შემოვიტანო  
თქვენს ფირმაში თარჯიმნის  
ადგილზე?  
– იცით იაპონური?  
– იაპონური უნდა ვიცოდე?  
– კი, აუცილებლად!
- (9) – დედა, შეიძლება დღეს უფრო  
ადრე ვივახშმოთ?  
– ვახშამი ჯერ მზად არ არის! გშია?  
– არა, მაგრამ კინოში ვაპირებ  
წასვლას. შეიძლება ერთი ნაჭერი  
კარაქიანი პური?  
– კი ბატონო, თუ არ გინდა მოიცადო.
- (11) – თვითმფრინავის რეისი მინდა  
გადავდო, შეიძლება?  
– კი, შეიძლება, მაგრამ დამატებით  
80 მარკა უნდა გადაიხადოთ.  
– ვიცი.
- (6) – ერთი კილო ფორთოხალი მინდა.  
– ინებეთ, ხუთი მარკა!  
– მე მხოლოდ ასმარკიანი მაქვს,  
შეგიძლიათ დამიხსურდეთ?  
– რა პრობლემა!
- (8) – მენიუ შეიძლება!  
– აი, ინებეთ!  
– გმადლობთ. უი, უკაცრავად,  
ესპანური არ ვიცი!  
– მოგეხმაროთ?  
– დიახ, თუ შეიძლება!
- (10) – შეიძლება გკითხოთ?  
– დიახ, რა გნებავთ?  
– შიგ ფრანკფურტში ცხოვრობთ?  
– სწორედ რომ.  
– სოფლად არ გირჩევნიათ  
ცხოვრება?  
– კი, ბევრად უფრო მირჩევნია.
- (12) – დღეს პრალაში მივდივარ  
სამსახურის საქმეზე.  
– შეიძლება მეც წამოვიდე?  
– ამჯერად არა.

დავალება 4. ააგეთ დიალოგი მოცემული სამეტყველო სიტუაციების მიხედვით:

- თქვენ გსურთ გყავდეთ შინ რაიმე ცხოველი, მაგრამ მშობლები ამის ნებას არ გაძლევენ.
- თქვენ გინდათ იქირაოთ ოთახი და არკვევთ სახლის პატრონთან, რისი გაკეთების უფლება გაქვთ და რისი არა.

**დავალება 5.** ისაუბრეთ თქვენი მომავალი პროფესიის შესახებ მას შემდეგ, რაც მოუსმენთ კასეტაზე ნიმუშებს სათაურით „Wie soll meine Zukunft aussehen?“

თემა 31

- 1 წარსულის ინფორმაციის შემოტანა ანმყოს სამეტყველო სიტუაციაში
- 1.1 ზმნის ძირითადი ფორმები (შეჯამება)
- 1.2 პერფექტის წარმოება
- 1.3 პერფექტის ხმარება
- 1.4 პერფექტული მნიშვნელობის ფორმები
- 1.5 პერფექტის ხმარების ზოგიერთი თავისებურება დიალოგში
- 2 სავარჯიშოები.

1. წარსულის ინფორმაციის შემოტანა ანმყოს სამეტყველო სიტუაციაში

ჩვენ აქამდე ვსწავლობდით წინადადებებისა და ტექსტების აგებას მხოლოდ ახლანდელი დროის – პრეზენტის – საფუძველზე. ახლა კი გავცდებით ანმყოს ფარგლებს და საუბარში დავასახელებთ წარსულში (ე.ი. საუბრის მომენტამდე) მომხდარ ფაქტებს. ამგვარი ფაქტების გადმოცემას გერმანულ ენაში საგანგებო დროის ფორმა ემსახურება. მას პერფექტი (das Perfekt), ანუ ნამყო სასაუბრო ეწოდება.

პერფექტის პარადიგმის გაცნობამდე შევაჯამებთ ზმნის ძირითადი მორფოლოგიური ფორმების წარმოების წესს.

1.1 ზმნის ძირითადი ფორმები (შეჯამება)

1. შეგახსენებთ სუსტი ზმნების ფორმათა წარმოების ძირითად წესს:

ინფინიტივი      პრეტერიტუმი      მიმღობა II  
 machen – mach-te – gemacht  
 antworten – antwort-e-te – geantwortet

დავუმატებთ მხოლოდ, რომ ieren-ზე დაბოლოებული სუსტი ზმნები გე-პრეფიქსს არ დაირთავენ:

studieren – studierte – studiert      diskutieren – diskutierte – diskutiert

ჩვენ გავეცანით აგრეთვე პრეტერიტულ-პრეზენტის ზმნების ფორმაწარმოების თავისებურებებს:

können – konnte – gekonnt      wissen – wusste – gewusst და ა.შ.

ძირითად ფორმების წარმოებისას ფუძისეულ ხმოვანს იცვლის აგრეთვე რამდენიმე სუსტი ზმნა:

brennen – brannte – gebrannt	senden	⟨	sandte – gesandt
kennen – kannte – gekannt			sendete – gesendet
nennen – nannte – genannt	wenden	⟨	wandte – gewandt
rennen – rannte – gerannt			wendete – gewendet

2. ჩვენ დავისწავლეთ ძლიერი (a, au და e-ფუძიანი) ზმნების ძირითადი ფორმები. ახლა გავაფართოებთ მათ სიას (იხ. დანართი):

leihen	-	lieh	-	geliehen	bitten	-	bat	-	gebeten
beginnen	-	begann	-	begonnen	bieten	-	bot	-	geboten

და ა.შ.

ძლიერი ზმნების ფორმების წარმოებისას გვხვდება ორთოგრაფიული თავისებურებებიც:

ziehen	-	zog	-	gezogen	erschrecken	-	erschrak	-	erschrocken
leiden	-	litt	-	gelitten	nehmen	-	nahm	-	genommen
reiten	-	ritt	-	geritten	kommen	-	kam	-	gekommen

3. თავსართები და რთული ზმნების პირველი კომპონენტები პრეტერიტუმში იმავე კანონზომიერებებს ექვემდებარება, როგორსაც პრეზენსში. მიმღობა II-ში კი მოუცილებად თავსართიანი ზმნები გე-პრეფიქსს არ დაირთავენ, ხოლო მოცილებადი თავსართის შემთხვევაში გე-პრეფიქსი თავსართსა და ზმნას შორის თავსდება:

aufstehen	-	stand auf	-	aufgestanden
einschlafen	-	schief ein	-	eingeschlafen
übersetzen	-	setzte über	-	übersetzt

მაგრამ:

verstehen	-	verstand	-	verstanden
bekommen	-	bekam	-	bekommen
übersetzen	-	übersetzte	-	übersetzt

4. უკუქცევითი ზმნა sich ნაცვალსახელს იწარჩუნებს:

sich kämmen	-	kämmte sich	-	sich gekämmt
sich waschen	-	wusch sich	-	sich gewaschen

5. ზოგიერთი ზმნა ფორმებს წესისაგან გადახვევით აწარმოებს:

gehen	-	ging	-	gegangen	tun	-	tat	-	getan
stehen	-	stand	-	gestanden	sein	-	war	-	gewesen
bringen	-	brachte	-	gebracht	haben	-	hatte	-	gehabt
denken	-	dachte	-	gedacht	werden	-	wurde	-	geworden
sitzen	-	saß	-	gesessen					

6. ზოგ შემთხვევაში ფორმანარმოებას ზმნის მნიშვნელობა განსაზღვრავს:

erschrecken	-	erschreckte	-	erschreckt:	Ich erschreckte meine Schwester.
					(ჩემი და შევაშინე.)
erschrecken	-	erschrak	-	erschrocken:	Meine Schwester erschrak.
					(ჩემს დას შეეშინდა.)

7) ერთეულ შემთხვევებში გვხვდება სუსტი და ძლიერი ფორმების აღრევა:

backen – backte – gebacken      salzen – salzte – gesalzen  
hauen – haute – gehauen

## 1.2 პერფექტის წარმოება

პერფექტი ანალიზური (რთული) მორფოლოგიური ფორმაა: მის საწარმოებლად საჭიროა დამხმარე ზმნები haben და sein. მათი დანიშნულებაა ზმნის პირისა და რიცხვის გამოხატვა. პერფექტული ფორმის შემადგენლობაში ისინი პრეზენტის პარადიგმას ინარჩუნებენ (ich habe და ა.შ.; ich bin და ა.შ.). ამ ფორმის მეორე წევრი მიმღებია. იგი ძირითადი ზმნის მნიშვნელობას გამოხატავს და უცვლელი ფორმით უკავშირდება დამხმარე ზმნას. ამგვარად ერთიან ფორმას აქვს ასეთი სახე:

	მხოლ.	მრავლ.	თავაზიანი ფორმა
<b>machen:</b>	ich habe gemacht	wir haben gemacht	
	du hast gemacht	ihr habt gemacht	Sie haben gemacht
	er hat gemacht	sie haben gemacht	

ნიმუში:

- Heute **mache** ich nichts mehr, ich **habe** schon gestern alle Hausaufgaben **gemacht**.  
(დღეს აღარაფერს ვაკეთებ, ყველა დავალება გუშინ შევასრულე.)

<b>kommen:</b>	ich bin gekommen	wir sind gekommen	
	du bist gekommen	ihr seid gekommen	Sie sind gekommen
	er ist gekommen	sie sind gekommen	

ნიმუში:

- Mein Freund **kommt** heute nicht mehr, er ist gestern **gekommen**.

(ჩემი მეგობარი დღეს აღარ მოვა, ის გუშინ მოვიდა.)

წინადადებაში პერფექტული ფორმის კომპონენტები პრედიკატულ ჩარჩოს ქმნის: თბრობით წინადადებაში დამხმარე ზმნა მეორე ადგილზე დგას, ხოლო მიმღებია II – წინადადების ბოლოს.

ნიმუშები:

- Ich **habe** im Test keinen Fehler **gemacht**. (ტესტში არც ერთი შეცდომა არ დამიშვია.)  
➤ Ich **bin** ihm auf einem Fest **begegnet**. (მას ერთ დღესასწაულზე შევხვდი.)

დამოკიდებულ წინადადებაში დამხმარე ზმნა ბოლოში გადადის:

- Der Lehrer sagt, dass ich im Test keinen Fehler **gemacht habe**.  
➤ Weißt du, dass ich ihm auf einem Fest **begegnet bin**?

ამავე ნესით აიგება გამეორებული შეკითხვაც:

- – **Wen hast du heute gesehen?**
- **Wen ich heute gesehen habe?** Das kann ich dir gar nicht sagen.
- – **Wem bist du auf dem Fest begegnet?**
- **Wem ich auf dem Fest begegnet bin?** Das weißt du ja selber.

ემოციურ მეტყველებაში ზოგჯერ ზმნური ჩარჩო ირღვევა:

- **Ich bin fast geplatzt vor Wut.** (სიბრაზისაგან ლამის/გულზე/გავსკედი.)

პერფექტის შესწავლისას ერთ-ერთი ყველაზე რთული საკითხია დამხმარე ზმნის შერჩევა. ზმნების დიდი უმრავლესობა ამ დროის ფორმას **haben** ზმნის საშუალებით აწარმოებს. ზმნა **sein** მხოლოდ გარკვეული მნიშვნელობის ზმნებთან იხმარება. ამიტომ ჩვენ სწორედ ამ უკანასკნელით დაივსებთ.

დამხმარე ზმნა **sein** გამოიყენება იმ ზმნებთან, რომლებიც გამოხატავენ:

1) მოძრაობას ამა თუ იმ მიმართულებით (*gehen, kommen, laufen, rennen, springen, fahren, reisen, fliegen, fliehen, kriechen, schleichen, steigen, verschwinden, folgen, ziehen, umziehen, einziehen, ausziehen, wandern, abfahren, losfahren, ankommen, einsteigen, aussteigen* და ა.შ.)

- **Dirk ist nach Hause gegangen.** (დირკი შინ წავიდა.)
- **Wann sind sie umgezogen?** (როდის გადახვედით სხვაგან/სხვა ბინაში?)
- **Ist Frau Funk schon ausgestiegen?** (ქალბატონი ფუნკი უკვე ჩავიდა?)

2) საგნის ფიზიკური ან ფიზიოლოგიური მდგომარეობის შეცვლას (*aufstehen, fallen, sterben, erwachen, aufwachen, einschlafen, wachsen, ertrinken, umkommen* და ა.შ.)

- **Heute bin ich früh aufgestanden.** დღეს ადრე ავდექი. (ვიწეკი → ავდექი.)
- **Wann bist du eingeschlafen?** როდის დაიძინე? (გეღვიდა → დაიძინე.)
- **Wann ist deine Tante gestorben?** როდის გარდაიცვალა დეიდაშენი? (ცოცხალი იყო → გარდაიცვალა.)

3) უსულო საგნის ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლას:

- **Der Autoreifen ist geplatzt.** მანქანის საბურავი დაეშვა. (მთელი იყო → გასკდა.)
- **Das Feuer ist erloschen.** ცეცხლი ჩაქრა. (ენთო → ჩაქრა.)
- **Die Milch ist übergelaufen.** რძე გადმოვიდა. (არ დულდა → ადულდა/გადმოვიდა)

4) **sein** დამხმარე ზმნასთან იუღლება აგრეთვე რამდენიმე ზმნა: *sein, werden, bleiben, begegnen, passieren, geschehen, gelingen, misslingen*:

- **Wo bist du gestern gewesen?** (სად იყავი გუშინ?)
- **Du bist aber groß geworden!** (როგორ გაზრდილხარ!)
- **Anna ist lange bei uns geblieben.** (ანა დიდხანს დარჩა ჩვენთან.)
- **Ich bin vor kurzem meinen Schulkameraden begegnet.** (ცოტა ხნის წინ ჩემი სკოლის მეგობრები შემხვდნენ.)

- **Da ist etwas passiert.** (იქ რაღაც მოხდა.)
- **Was ist hier geschehen?** (რა მოხდა აქ?)
- **Der Kuchen ist mir gut gelungen.** (ნამცხვარი კარგი გამომოვიდა.)
- **Der Versuch ist misslungen.** (ცდა ჩაიშალა.)

sein დამხმარე ზმნის ხმარების წესი არც მაშინ იცვლება, როდესაც მოქმედება უნებლიედ ხდება:

- **Mir ist die Tasse heruntergefallen.** (ფინჯანი დამივარდა.)
- **Der Bus ist mir vor der Nase weggefahren.** (ავტობუსი ცხვირწინ წამივიდა.)
- **Ihm ist sein Hund weggelaufen.** (მას ძაღლი გაექცა.)

sein დამხმარე ზმნას მიმართავენ მაშინაც, როდესაც აღნიშნული მნიშვნელობის ზმნები გადატანით კონტექსტში გვხვდება:

- **Die Sache ist total schief gegangen.** (სასაუბრ.) (საქმე ცუდად წავიდა/წახდა/ჩაიფუშა.)
- **Ich bin zum zweiten Mal in der Fahrprüfung durchgefallen.** (მეორედ ჩავიჭერი მანქანის ტარების გამოცდაზე.)
- **Dein Führerschein ist abgelaufen.** (შენს მანქანის ტარების უფლებას ვადა გაუვიდა.)
- **Der Titel des Buches ist mir entfallen.** (წიგნის სათაური დამავიწყდა.)
- **Mir sind die Zigaretten ausgegangen.** (სიგარეტი გამითავდა.)

დანარჩენი ზმნები პერფექტის ფორმებს **haben** ზმნით აწარმოებენ. მათ შორის:

1) ყველა გარდამავალი ზმნა:

- **Ich habe alle diese Bücher schon gelesen.** (ყველა ეს წიგნი უკვე წავიკითხე.)
- **Er hat mir für meinen Wagen 1000 Mark geboten.** (მან ჩემს მანქანაში 1000 მარკა შემომთავაზა.)
- **Ich habe zu viel Zucker in den Tee getan.** (ჩაიში ბევრი შაქარი ჩავიყარე.)
- **Wir haben das Kind lieb gewonnen.** (ბავშვი ძალიან შევვიყვარდა.)
- **Haben Sie den Zug verpasst?** (ვერ მიუსწარიტ მატარებელს?)
- **Ich habe nie ein Auto gehabt.** (არასოდეს არ მქონია მანქანა.)
- **Wen hast du gestern kennen gelernt?** (ვინ გაიცანი გუშინ?)
- **Ich habe mir neue Möbel angeschafft.** (ახალი ავეჯი შევიძინე.)
- **Das habe ich mir gleich gedacht.** (მაშინვე მივხვდი./მაშინვე ეს გავიფიქრე.)

2) ყველა უკუქცევითი ზმნა, განურჩევლად მნიშვნელობისა:

- **Hast du dich schon ausgeruht?** (უკვე დაისვენე?)
- **Ich habe mich sehr darüber gefreut.** (ამან ძალიან გამახარა.)
- **Entschuldigung, ich habe mich in der Etage/in der Tür geirrt.** (უკაცრავად, სართული/კარი შემეშალა.)

- **Wir haben uns gesetzt<sup>1</sup>.** (დავსხედით.)
- **Er hat sich geschämt.** (მას შერცხვა.)

3) მოდალური ზმნები:

- **Ich habe das nicht gewollt.** (ეს არ მინდოდა.)
- **Er hat das nie gekonnt.** (მას ეს არასოდეს არ შეეძლო.)

თუ მოდალურ ზმნას ინფინიტივიც ახლავს, პერფექტი მიმდებარეობს II-ის გარეშე ინარმოება – მოდალური ზმნაც ინფინიტივის ფორმით იხმარება:

- **Ich habe ihn anrufen wollen.** (მინდოდა მისთვის დამერეკა.)
- **Wir haben diese Arbeit machen müssen.** (ეს საქმე უნდა გავაკეთებინა.)
- **Ich habe ihn nach Hause laufen lassen.** (მე ის სახლში გავუშვი.)
- **Er hat abreisen müssen.** (ის უნდა წასულიყო/გამგ ზავრებულიყო.)

დამოკიდებულ წინადადებაში ამ ფორმის კომპონენტთა თანამიმდევრობა არ იცვლება:

- **Er ist gekommen, weil er seine Frau hat sehen wollen.**

4) ზმნები *sitzen, liegen, gehen, stehen, hängen (hing – gehangen), stecken<sup>2</sup>*:

- **Wir haben auf der Bank gesessen.** (სკამზე ვისხედით.)
- **Der Hund hat noch vor fünf Minuten hier gelegen.** (ძალი ხუთი წუთის წინ აქ იწვა.)
- **Wo hast du gestanden?** (სად იდექი?)
- **Das Bild hat hier gehangen.** (სურათი აქ ეკიდა.)
- **Der Schlüssel hat in der Tür gesteckt.** (გასაღები კარებში იყო.)

5) ბუნების მოვლენების აღმნიშვნელი პირნაკლი ზმნები:

- **Gestern hat es geschneit.** (გუშინ თოვდა./გუშინ თოვლი მოვიდა.)
- **In der Nacht hat es gefroren.** (ღამე მოყინა.)
- **Es hat gedonnert und geblitzt.** (ქუხდა და ელავდა.)

ამას გარდა არის ზმნები, რომლებიც – იმისდა მიხედვით, თუ რა მნიშვნელობა აქვთ მათ კონტექსტში – ორივე დამხმარე ზმნასთან გვხვდება. ასეთი ზმნებია:

1) მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები, რომლებიც შეიძლება ვიხმაროთ როგორც პირდაპირ დამატებასთან, ისე მის გარეშე. პირველ შემთხვევაში ისინი იუღლება **haben** ზმნასთან, მეორეში – **sein**-თან:

1 შდრ.: **Wir sind aufgestanden.** (ავდექით.)

2 ამ ზმნებს **sein**-თან შეიძლება შეხვდეთ მხოლოდ ავსტრიული მწერლების ნაწარმოებებში.

პირდაპირ დამატებასთან ერთად:

- fahren: Ich **habe** *mein* Auto in die Werkstatt **gefahren**. (მანქანა სახელოსნოში წაიყვანე.)  
**gefahren**.  
 fliegen: Er **hat** *das* Flugzeug nach Afrika **geflogen**. (მან თვითმფრინავი აფრიკაში წაიყვანა.)  
**geflogen**.  
 treten: Ich **habe** *meinen* Freund **getreten**. (ჩემს მეგობარს ფეხი დავადგი.)

პირდაპირი დამატების გარეშე:

- fahren: Ich **bin** mit *meinem* Auto **gefahren**. (ჩემი მანქანით წავედი.)  
 fliegen: Er **ist** nach Afrika **geflogen**. (ის აფრიკაში გაფრინდა.)  
 treten: Ich **bin** in die Pfütze **getreten**. (გუბეში ჩავდგი ფეხი.)

იგივე ითქმის ზმნებზეც, რომლებიც ერთმანეთისაგან მორფოლოგიურადაც განსხვავდება:

- გარდამავალი სუსტი ზმნები:  
 löschen, te, t: Man **hat** das Feuer **gelöscht**. (ცეცხლი ჩააქრეს.)  
 senken, te, t: Man **hat** die Preise **gesenkt**. (ფასებს დაუწიეს./ფასები დაადგეს.)
- გარდაუვალი ძლიერი ზმნები:  
 erlöschen – erlosch – erloschen: Das Feuer **ist** **erloschen**. (ცეცხლი ჩაქრა.)  
 sinken – sank – gesunken: Die Preise **sind** **gesunken**. (ფასები დაეცა.)

2) ზმნები, რომლებიც გადმოსცემენ როგორც მიზანმიმართულ მოძრაობას, ისე უზრალოდ მოძრაობას (პროცესს, მოქმედების ხანგრძლივობას). პირველ შემთხვევაში ისინი იხმარება sein ზმნასთან, მეორეში – haben-თან ერთად:

schwimmen:

- Ich **bin** über den Kanal **geschwommen**. (არხი გადავცურე.)  
 ➤ Früher **habe** ich besser **geschwommen**. (იშვიათად) (წინათ უკეთესად ვცურავდი.)  
 tanzen:  
 ➤ Wir **sind** durch den Saal **getanzt**. (ცეკვით გავიარეთ დარბაზი.)  
 ➤ Gestern Abend **haben** wir viel **getanzt**. (გუშინ საღამოს ბევრი ვიცეკვეთ.)

### 1.3 პერფექტის ხმარება

რადგანაც პერფექტი საუბრის სამეტყველო სიტუაციაში წარსულის ინფორმაციის შემოტანას ემსახურება, ის, ცხადია, პირველ რიგში დიალოგში გამოიყენება:

- (1) – **Sind** Sie mit dem Zug nach Frankfurt **gekommen**?  
 – Nein, mit der Lufthansa.  
 – Wann **sind** Sie in Frankfurt **gelandet**?  
 – Um 23.45 Uhr.

- **Haben Sie in Frankfurt übernachtet?**
- Ja, in einem Hotel, in der Nähe des Flughafens.
- **Haben Sie von Frankfurt etwas gesehen?**
- Leider nicht. Ich **bin früh aufgestanden** und gleich zum Bahnhof **gefahren**.
- **Haben Sie denn wenigstens etwas gegessen?**
- Ja, im Speisewagen.
- Dann gehen wir jetzt ins Café!
- (2) - **Was hast du am Wochenende gemacht?**
- Ich **habe** in unserem Garten **gearbeitet**. Und du?
- Ich **habe** für die Prüfung **gelernt**.
- (3) - **Seid ihr mit mir unzufrieden?**
- Ja, du **hast** uns bitter **enttäuscht**.
- (4) - **Wo hast du Ursula kennen gelernt?**
- Auf einer Geburtstagsparty.
- (5) - **Hast du Geld für die Reise?**
- Ja, ich **habe** etwas vom Konto **abgehoben**.
- (6) - **Ulrich hat uns heute eingeladen.**
- Hat er Geburtstag?
- Nein, er **ist Vater geworden**.
- (7) - **Jochen, hast du deine Milch getrunken?**
- Nein, noch nicht.
- Was machst du denn?
- Ich suche meine Tasche.
- Die **hat** doch eben noch auf dem Sofa **gelegen**.
- Danke, Mutti. Ich **habe** sie **gefunden**.
- (8) - **Wie hat Bayern München in letzter Zeit gespielt?**
- Nicht schlecht.
- **Wie viele Spiele hat die Mannschaft gewonnen?**
- Drei.
- **Und wie viele Spiele hat sie verloren?**
- Zwei.
- **Wie viele Spiele hat sie unentschieden gespielt?**
- Drei.
- **Wie viele Tore hat sie geschossen?**
- Sieben.

როგორც ნიმუშებიდან ჩანს, ანმყოფი მომხდარ მოქმედებას პრეზენსი გადმოსცემს, ხოლო წარსულში მომხდარს – პერფექტი. ტექსტში პრეზენსისა და პერფექტის ერთად ხმარება გერმანული ენის დროის ფორმების გამოყენების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანია.

როგორც ვთქვით, პერფექტით გადმოიცემა მოქმედება, რომელიც საუბრის მომენტამდე დასრულდა. ამ მნიშვნელობას ხშირად ხაზს უსვამს ზმნიზედები schon, gerade, eben, nie, kaum, früher და მისთ.:

- Dieses Buch habe ich **schon** gelesen. (ეს წიგნი უკვე წაიკითხე.)
- Meine Tochter ist **eben** gekommen. (ჩემი ქალიშვილი ეს-ესაა მოვიდა.)
- – Wann rufst du Thomas an?  
– Ich habe ihn **gerade** angerufen. (– როდის დაურეკავ თომასს?  
– ეს ნუთია დაურეკე.)
- Ich habe dich **kaum** erkannt. (ძლივს გიცანი.)
- **Früher** haben wir in einem Dorf gewohnt. (წინათ სოფელში ვცხოვრობდით.)
- Diesen Mann habe ich noch **nie** gesehen. (ეს კაცი არასოდეს მინახავს.)

#### 1.4 პერფექტული მნიშვნელობის ფორმები

რამდენიმე ზმნა საუბრისას შეიძლება ვიხმაროთ როგორც პერფექტში, ისე პრეტერიტუმში. ამასთან პრეტერიტუმის ფორმებს აშკარა უპირატესობა ენიჭება. ეს ზმნებია haben, sein და მოდალური ზმნები.

როგორც ვიცით, პრეტერიტუმში ზმნის მეორე ძირითადი ფორმაა:

haben	–	hatte	–	gehabt.
sein	–	war	–	gewesen.
können	–	konnte	–	gekonnt.

ეს პრეტერიტუმის მხოლოდითი რიცხვის I და III პირის ფორმებია. პარადიგმის დანარჩენ ნევრებს პრეზენსის დაბოლოებები აქვს, რომლებიც ამ მზა ფორმას დაერთვის:

	მხოლ.	მრავლ.	თავაზიანი ფორმა
<b>haben:</b>	ich hatte	wir hatten	
	du hattest	ihr hattet	Sie hatten
	er hatte	sie hatten	
<b>sein:</b>	ich war	wir waren	
	du warst	ihr wart	Sie waren
	er war	sie waren	
<b>können:</b>	ich konnte	wir konnten	
	du konntest	ihr konntet	Sie konntet
	er konnte	sie konnten	

აგრეთვე: ich durfte/musste/sollte/wollte/mochte.

შენიშვნა: ფორმა mochte იხმარება მაშინ, თუ იგი სიყვარულს, სიმპათიას აღნიშნავს:

- Ich **mag** den Speck nicht. (ამჟამად)
- Ich **mochte** den Speck nicht. (წარსულში)

მაგრამ თუ ზმნა mögen სურვილს გამოხატავს, მას ჩვეულებრივ wollen ენაცვლება:

- Ich **möchte** Jura studieren. (ამყაბად)
- Ich **wollte** Jura studieren. (ნარსულში)

პრეტერიტუმის ეს ფორმები უფრო მოკლე და მოქნილია. ამით აიხსნება მათი ფართო გავრცელება სასაუბრო ენაში:

- **Wo warst du gestern?** (ნაცვლად: **Wo bist du gestern gewesen?**)
- Ich **hatte** das Buch nicht. (ნაცვლად: **Ich habe das Buch nicht gehabt.**)
- Ich **wollte** das nicht. (ნაცვლად: **Ich habe das nicht gewollt.**)
- Ich **konnte** das nicht **machen**. (ნაცვლად: **Ich habe das nicht machen können.**)

პერფექტისა და მოდალური ზმნების პრეტერიტუმის ფუნქციათა თანხვედრა კარგად ჩანს კ. დერშაუს (Chr. Derschau) შემდეგ ლექსში:

#### Frage

Gestern	Warum
wollte ich	habe ich mich
am liebsten	dennoch
sterben.	in meinem Auto
	angeschnallt.

საუბარში წარსულის ინფორმაციის შემოტანას ემსახურება აგრეთვე sein ზმნით აგებული კონსტრუქციები:

- Karl ist schon weg. (კარლი უკვე წავიდა.)
- Die Prüfung ist schon vorbei. (გამოცდამ ჩაიარა.)
- Das Geld ist weg. (ფული დაიხარჯა/დაიკარგა.)
- Der Käse ist alle. (ყველი გათავდა.)

### 1.5 პერფექტის ხმარების ზოგიერთი თავისებურება დიალოგში

დიალოგის კანონზომიერებები გარკვეულ გავლენას ახდენს პერფექტის ხმარებაზე. კერძოდ:

1. დიალოგის რეპლიკებში გამეორების თავიდან ასაცილებლად ხშირად პერფექტი შეკვეცილი ფორმით იხმარება. ამასთან ჩვეულებრივ დამხმარე ზმნა და ქვემდებარე გამოიტოვება:

- – Was habt ihr da eigentlich gemacht?
- Äpfel **geerntet**. (ნაცვლად: **Wir haben Äpfel geerntet.**)
- – Die Erdbeertorte schmeckt einfach phantastisch.
- Selbst **gemacht**. (ნაცვლად: **Ich habe sie selbst gemacht.**)
- – Wo hast du das Auto her?
- **Geklaut**. (ნაცვლად: **Ich habe es geklaut.**)

- – Wer ist die Frau dort?  
– Nie **gesehen**. (ნაცვლად: Ich **habe** sie noch nie **gesehen**.)
- – Ulrich hat geheiratet.  
– **Geheiratet?** Ist das wahr? (ნაცვლად: **Hat** er wirklich **geheiratet?**)  
თუმცა გვხდება სხვა სახის ელიფსური წინადადებებიც:
- – Haben Sie die Fahrt bezahlt?  
– Das **habe** ich, glauben Sie mir. (ნაცვლად: Ja, ich **habe** das **gemacht**.)  
დამხმარე ზმნა გამოიტოვება აგრეთვე შემდეგი ტიპის შეკითხვებში:
- – **Schon gehört?** Inge ist in der Prüfung durchgefallen. (ნაცვლად: Hast du/habt ihr schon gehört?)
- – **Schon gefrühstückt?** (ნაცვლად: Hast du/habt ihr schon gefrühstückt?)
2. ემოციის გამოხატვისას პირველ ადგილზე შეიძლება შეგვხვდეს როგორც მიმღობა, ისე დამხმარე ზმნა:
- – Woher hast du das Geld, Hannes? Hast du es gestohlen?  
– Nein, **gestohlen** habe ich es nicht.
- – Hast du alles genau gesehen?  
– **Gesehen** habe ich überhaupt nichts. Ich habe nur etwas gehört.
- – **Bist** du aber groß geworden! Wie alt bist du eigentlich? – 7.
3. დამხმარე ზმნა აღარ მეორდება, თუ მას შერწყმულ წინადადებაში ორი ან მეტი ზმნა უკავშირდება:
- – Du siehst müde aus.  
– Ja, ich hatte heute viel zu tun: Zuerst **habe** ich die ganze Wohnung **aufgeräumt**, dann Wäsche **gewaschen**.
- – Was hast du gestern gemacht?  
– Gestern? Gestern **bin** ich ganz früh **aufgestanden** und ins Schwimmbad **gegangen**.

## 2. სავარჯიშოები

**1-1.3** დავალება 1. აუღლეთ პერფექტში:

*malen, vergessen, einsteigen, sich waschen, sich ausruhen, sein, wollen, werden*

**1-1.3** დავალება 2. იხმარეთ მოცემული ზმნები პერფექტში:

(1) *hören, operieren*

– \_\_\_ du schon \_\_\_ ?

– Was denn?

– Gestern \_\_\_ man unseren Chef \_\_\_ .

(3) *übersetzen, vergessen*

– \_\_\_ du den Text \_\_\_ ?

(2) *kommen, warten, kochen*

– Warum \_\_\_ du gestern nicht \_\_\_ ?

Wir \_\_\_ auf dich \_\_\_ .

– Ich \_\_\_ für meinen Sohn und seine

Freunde \_\_\_ .

- Nein, das \_\_\_ ich total \_\_\_ .
- (5) *mitbringen, kaufen*  
– \_\_\_ du Brot \_\_\_ ?  
– Nein, ich \_\_\_ nur Brötchen \_\_\_ .
- (7) *essen*  
– Seit zwei Tagen \_\_\_ ich kaum etwas \_\_\_ .  
– Warum denn?  
– Weil wir im Moment kein Wasser und keinen Strom haben.
- (9) *lernen, machen*  
– \_\_\_ du im Gymnasium Latein \_\_\_ ?  
– Ja, natürlich. Ich \_\_\_ sogar das Abitur mit Latein und Griechisch \_\_\_ .
- (11) *sich(D) anschaffen, schenken*  
– Wann \_\_\_ du \_\_\_ diesen Wolga \_\_\_ ?  
– Den \_\_\_ mir mein Schwiegervater neulich \_\_\_ .
- (13) *springen, sich trauen*  
– \_\_\_ du auch ins Wasser \_\_\_ ?  
– Nein, ich \_\_\_ nicht \_\_\_ .
- (15) *werden, erkennen*  
– Das ist Rolf Schneider, unser Schulkamerad.  
– Rolf Schneider? Der \_\_\_ aber dick \_\_\_ ! Ich \_\_\_ ihn kaum \_\_\_ .
- (17) *machen*  
– Die Fotos sind aber gut!  
– Ja. Weil mein Mann sie selber \_\_\_ \_\_\_ .
- (19) *passieren, hinfallen, wehtun, schwellen, brechen*  
– Was \_\_\_ dir \_\_\_ ? Du humpelst ja.  
– Ich \_\_\_ .  
– \_\_\_ du dir \_\_\_ ?  
– Ja, am Fuß.  
– Zeig mal! Oh ja, der Fuß \_\_\_ ganz \_\_\_ , aber zum Glück nicht \_\_\_ .
- (4) *füttern, machen, telefonieren, aufräumen*  
– \_\_\_ ihr die Katze \_\_\_ ?  
– Nein, noch nicht.  
– Was \_\_\_ ihr denn \_\_\_ ?  
– Ich \_\_\_ mit Fred \_\_\_ , und Sabine \_\_\_ ihr Zimmer \_\_\_ .
- (6) *beantworten, bekommen*  
– Anna \_ meinen Brief nicht \_ .  
– Sie \_\_\_ ihn wahrscheinlich gar nicht \_\_\_ .
- (8) *passieren, anfahren*  
– Was \_\_\_ dir denn \_\_\_ ?  
– Ein Auto \_\_\_ mich \_\_\_ .
- (10) *fallen*  
– \_\_\_ der Dollarkurs wieder \_\_\_ ?  
– Ja, um zwei Punkte.
- (12) *stecken bleiben, fragen*  
– Oh Gott! Der Lift \_\_\_ !  
– Ist jemand drinn?  
– Eine Frau. Sie \_ mich eben nach Herrn Berg \_\_\_ .
- (14) *nähen*  
– Dein Kleid ist sehr schön.  
– Weil ich es selber \_\_\_ .
- (16) *dauern, sitzen*  
– Wie lange \_\_\_ das Konzert \_\_\_ ?  
– Fast drei Stunden.  
– Wo \_\_\_ ihr \_\_\_ ?  
– Im Parkett.
- (18) *kennen lernen*  
– Kennst du jemanden hier?  
– Ja, ich \_\_\_ durch meinen Job ein paar Leute \_\_\_ .
- (20) *kennen lernen, aufgeben*  
– Wie \_\_\_ Sie Ihre Frau \_\_\_ ?  
– Ich \_\_\_ ein Heiratsinserat in der Zeitung \_\_\_ .

- (21) *werden, schief gehen*  
 – Was \_\_\_ daraus \_\_\_?  
 – Nichts. Alles \_\_\_ total \_\_\_ .
- (23) *fernsehen, spazieren gehen*  
 – \_\_\_ ihr gestern Abend \_\_\_?  
 – Nein, wir \_\_\_ ein bisschen \_\_\_ .
- (25) *abhauen*  
 – Ist Paul noch da?  
 – Nein, er \_\_\_ wie immer \_\_\_ .
- (27) *sprechen, fliegen*  
 – \_\_\_ du mit dem Direktor \_\_\_ ?  
 – Nein, er \_\_\_ gestern Abend nach Rom \_\_\_ .
- (29) *verschweigen*  
 – Ich bin unzufrieden mit euch.  
 – Warum?  
 – Ihr \_\_\_ mir die Wahrheit \_\_\_ !
- (31) *wechseln*  
 – Arbeitet Ruth immer noch hier?  
 – Nein, sie \_\_\_ die Stelle \_\_\_ .
- (33) *sich verwählen*  
 – Hier ist die Polizei.  
 – Entschuldigung, ich \_\_\_ .
- (35) *sich (D) verbrennen*  
 – Was \_\_\_ du \_\_\_ ?  
 – Den Zeigefinger.
- (37) *kaufen, reklamieren, zurückgeben, reparieren lassen*  
 – Mein Regenschirm funktioniert nicht mehr, die Automatik ist kaputt.  
 – Wann \_\_\_ du ihn denn \_\_\_ ?  
 – Vor einer Woche.  
 – \_\_\_ du ihn schon \_\_\_ ?  
 – Ja.  
 – \_\_\_ man dir das Geld \_\_\_?  
 – Nein, ich wollte das Geld nicht zurückhaben. Man \_\_\_ ihn einfach \_\_\_ .
- (22) *unziehen, sprechen, klingeln, sich melden*  
 – \_\_\_ Hilgers \_\_\_?  
 – Nein. Gestern \_\_\_ ich mit Frau Hilger \_\_\_ .  
 – Wirklich? Ich \_\_\_ eben einige Male \_\_\_ , aber es \_\_\_ niemand \_\_\_ .
- (24) *kaputtmachen, hören, einschlafen*  
 – Wer \_\_\_ das Radio \_\_\_?  
 – Frag Marianne, sie \_\_\_ heute Abend Musik \_\_\_ .  
 – Marianne? Sie \_\_\_ auf dem Sofa \_\_\_ .
- (26) *sich brechen, fahren, hinunterfallen*  
 – Gabi \_\_\_ im Urlaub das Bein \_\_\_ .  
 – Sie \_\_\_ sicher Ski \_\_\_ .  
 – Ach was! Sie \_\_\_ einfach nur die Treppe \_\_\_ .
- (28) *gehen, bleiben*  
 – Jens \_\_\_ ins Krankenhaus \_\_\_ , oder?  
 – Nein, er \_\_\_ zu Hause \_\_\_ .
- (30) *kommen, läuten*  
 – \_\_\_ jemand \_\_\_ ?  
 – Nein. Warum fragst du denn?  
 – Es \_\_\_ eben an der Tür \_\_\_ .
- (32) *dolmetschen*  
 – \_\_\_ du simultan \_\_\_ ?  
 – Ja, wie immer.
- (34) *lesen, verstehen*  
 \_\_\_ du den Text \_\_\_ ?  
 Ja, aber ich \_\_\_ ihn nicht \_\_\_ .
- (36) *helfen, wissen, verkaufen*  
 – Warum \_\_\_ du mir nicht \_\_\_?  
 – Ich \_\_\_ nicht \_\_\_ , dass du deinen Wagen \_\_\_ .
- (38) *wählen*  
 – Ist da 5-8-3-1?  
 – Nein, da \_\_\_ Sie falsch \_\_\_ .

(39) *kennen lernen*

- Hier ist ein Brief von einem Herrn Grau. Kennst du ihn?
- Ja, wir \_\_\_ uns am Telefon \_\_\_ .

(41) *sich verabreden*

- Holt Georg dich ab?
- Nein, ich \_\_\_ mit ihm vor der Oper \_\_\_ .

(40) *saugen*

- \_\_\_ du den Teppich \_\_\_ ?
- Nein, unser Staubsauger ist kaputt.

(42) *erzählen, (hinter sich) bringen*

- \_\_\_ du endlich deiner Frau alles \_\_\_ ?
- Ja, ich \_\_\_ das, Gott sei Dank, hinter mich \_\_\_ .

## 1-1.3

დავალება 3. უპასუხეთ შეკითხვებს. პასუხებში გაიმეორეთ ზმნა-შემასმენელი პერფექტის ფორმით.

ნიმუში:

- Wann wärmst du denn das Essen auf? - Ich habe es gerade (schon, eben) aufgewärmt.

1. - Wann beginnt der Film?                      2. - Wann kommt meine Post?
3. - Wann fährt der Zug ab?                      4. - Wann landen unsere Gäste?
5. - Wann wacht Paul auf?                        6. - Wann telefonieren Sie mit Ihrem Mann?
7. - Wann essen Sie zu Abend?                    8. - Wann frühstückst du?
9. - Wann startet die Maschine nach Mailand?    10. - Wann schreibst du den Brief an Erika?

## 1-1.3

დავალება 4. ჩასვით ფრჩხილებში მოცემული ზმნები პერფექტის ფორმით:

- a) 1. - Wo ist denn mein Regenschirm? - Er \_\_\_ eben noch hier \_\_\_ . (*liegen*)  
 2. - Wo sind denn die Gläser? - Sie \_\_\_ immer im Schrank \_\_\_ . (*stehen*)  
 3. - Wo ist denn der Hund? - Er \_\_\_ eben noch in der Küche \_\_\_ . (*sitzen*)  
 4. - Wo ist denn mein Mantel? - Er \_\_\_ eben noch am Haken \_\_\_ . (*hängen*)  
 5. - Wo ist denn der Schlüssel? - Er \_\_\_ eben noch im Schloss \_\_\_ . (*stecken*)  
 6. - Wo ist denn die Katze? - Sie \_\_\_ eben noch im Sessel \_\_\_ . (*schlafen*)  
 7. - Wo ist denn Hans? - Er \_\_\_ eben hinter das Haus \_\_\_ . (*laufen*)  
 8. - Wo ist denn Ulrich? - Er \_\_\_ eben auf die Straße \_\_\_ . (*rennen*)
- b) 1. - Wo ist denn mein Foto? - Ich \_\_\_ es an die Wand \_\_\_ . (*hängen*)  
 2. - Wo ist denn meine Zeitung? - Walter \_\_\_ sie auf das Sofa \_\_\_ . (*legen*)  
 3. - Wo sind denn die Kinder? - Ich \_\_\_ sie schon ins Bett \_\_\_ . (*bringen*)  
 4. - Wo ist denn mein Hemd? - Ich \_\_\_ es in den Schrank \_\_\_ . (*hängen*)  
 5. - Wo sind denn meine Bücher? - Ich \_\_\_ sie in den Bücherschrank \_\_\_ . (*stellen*)  
 6. - Wo ist denn Annas Brief? - Sabine \_\_\_ ihn in ihre Tasche \_\_\_ . (*stecken*)  
 7. - Wo ist denn das Kind? - Ich \_\_\_ es in den Sessel \_\_\_ . (*setzen*)  
 8. - Wo ist denn meine Jacke? - Ich \_\_\_ sie gestern \_\_\_ . (*waschen*)

9. – Wo ist denn dein Auto? – Ich \_\_\_\_ es vor kurzem \_\_\_\_ . (*verkaufen*)  
 10. – Wo ist denn Bärbel? – Bei Thomas, er \_\_\_\_ sie \_\_\_\_ . (*einladen*)

**1-1.3** დავალება 5. გაეცით პასუხი. პასუხებში გამოიყენეთ მოცემული ზმნა პერფექტის ფორმით.

1. – Wasch dich! – Ich \_\_\_\_ schon \_\_\_\_ .  
 2. – Rasieren Sie sich! – Ich \_\_\_\_ schon \_\_\_\_ .  
 3. – Kämmt euch! – Wir \_\_\_\_ schon \_\_\_\_ .  
 4. – Ruh dich aus! – Ich \_\_\_\_ schon \_\_\_\_ .  
 5. – Setzt euch! – Wir \_\_\_\_ schon \_\_\_\_ .  
 6. – Zieh dich an! – Ich \_\_\_\_ schon \_\_\_\_ .  
 7. – Schmink dich nicht! – Ich \_\_\_\_ aber schon \_\_\_\_ .  
 8. – Beschwer dich! – Ich \_\_\_\_ schon \_\_\_\_ .

დავალება 6. ჩასვით გამოტოვებული ზმნები სათანადო ფორმით:

- (1) – Tut dein Zahn noch weh?  
 – Es geht, aber gestern \_\_\_\_ er sehr weh \_\_\_\_ .  
 (2) – Bist du immer noch müde?  
 – Im Moment nicht, aber vor ein paar Stunden \_\_\_\_ ich todmüde.  
 (3) – Kann dein Papagei sprechen?  
 – Dieser hier nicht. Aber vor zwei Jahren \_\_\_\_ ich einen Wellensittich, der \_\_\_\_ ganz gut \_\_\_\_ .  
 (4) – Regnet es noch?  
 – Nein, aber vor ein paar Minuten \_\_\_\_ es heftig \_\_\_\_ .  
 (5) – Wartest du auf mich?  
 – Jetzt nicht, ich \_\_\_\_ gestern auf dich \_\_\_\_ . Ich \_\_\_\_ nämlich mit dir ins Restaurant gehen.  
 – Das ist ja schade! Gestern \_\_\_\_ ich dich nicht erreichen.

**1-1.3** დავალება 7. *haben* თუ *sein*?

1. Der Junge \_\_\_\_ heute selbst gerudert. 2. Ich \_\_\_\_ lange nicht mehr getanzt.  
 3. Wer \_\_\_\_ den Wagen weggefahren? 4. Die Vase \_\_\_\_ zerbrochen.  
 5. Er \_\_\_\_ mit der Bahn gefahren. 6. Du \_\_\_\_ mich erschreckt.  
 7. Die Wunde \_\_\_\_ schnell geheilt. 8. Warum \_\_\_\_ du mich gestoßen?  
 9. Der Schnee \_\_\_\_ geschmolzen. 10. Es \_\_\_\_ ein paar Minuten gedauert.  
 11. Wo \_\_\_\_ du Hanna begegnet? 12. Gestern \_\_\_\_ ich meinen Freund getroffen.  
 13. Wer \_\_\_\_ dich nach Hause gefahren? 14. Der Bus \_\_\_\_ gegen den Baum gefahren.  
 15. Er \_\_\_\_ ins Zimmer getreten. 16. Wir \_\_\_\_ den Saal betreten.  
 17. Hoffentlich \_\_\_\_ die Frau nicht verunglückt? 18. Das Kind \_\_\_\_ unter ein Auto gekommen.

- |  |  |
|--|--|
| 19. Der Appetit — mir vergangen.                               | 20. Ich — 180 km/h gefahren.                         |
| 21. Wir — in Frankfurt mit einer Stunde Verspätung abgeflogen. | 22. Wir — den ganzen Tag in der Sonne gelegen.       |
| 23. Warum — du deinem Vater nicht gefolgt?                     | 24. Hans — Architekt geworden.                       |
| 25. Die Plastiktüte — geplatzt.                                | 26. Sieh mal! Dein Hund — sich auf mein Bett gelegt! |
| 27. Das — uns nicht gelungen.                                  | 28. Mein Geld — verschwunden.                        |
| 29. Ich — mir den Arm gebrochen.                               | 30. Das Kind — eingeschlafen.                        |
| 31. — ihr zum Dorf gewandert?                                  | 32. — ihr gefaulenzt?                                |
| 33. Er — uns Eis und Cola spendiert.                           | 34. — ihr die Füße abgetreten?                       |
| 35. Dem Kind — ein Zahn ausgefallen.                           | 36. Die Frau — mir gleich aufgefallen.               |

**1.4** დავალემა 8. ქვემოთ მოცემულ ფრაზებში პერფექტი და პრეტერიტუმი ერთმანეთს ენაცვლება. აღადგინეთ გამოტოვებული ვარიანტი!

პერფექტი

პრეტერიტუმი

- |   |  |
|---|--|
| 1. Ich bin in Zürich gewesen.           | — .                                      |
| 2. — .                                  | Er hatte damals keine Kinder.            |
| 3. — .                                  | Sie wollte das nicht.                    |
| 4. Streit haben wir nie gehabt.         | — .                                      |
| 5. Wir haben das nie gekonnt.           | — .                                      |
| 6. — .                                  | Sie konnten die Rechnung nicht bezahlen. |
| 7. Sie haben darüber nachdenken müssen. | — .                                      |
| 8. Wir haben das nicht wissen können.   | — .                                      |

**1.4** დავალემა 9. იხმარეთ ზმნები მოცემულ ფრაზებში პერფექტისა ან პრეტერიტულის მნიშვნელობის მქონე პრეტერიტუმის ფორმით:

- (1) *kaufen, bemerken, haben, reklamieren, haben*  
 – Gestern — ich einen Mantel — . Zu Hause — ich — , dass er kleine Fehler — .  
 – — du den Mantel nicht — ?  
 – Nein, gestern — ich keine Zeit.
- (2) *sein, frieren*  
 – — es denn im Saal so kalt?  
 – Ja, wir — ziemlich — .
- (3) *machen, sein*  
 – — Otto seine Prüfung — ?  
 – Noch nicht. Er — nämlich die ganze Zeit im Ausland.
- (4) *sein, ärgern*  
 – Wie — das Wetter im Urlaub?  
 – Sehr schlecht. Das — uns furchtbar — .

- (5) *hören, sein*  
 – \_\_\_ du von Bärbel und Peter mal irgendwas \_\_\_ ?  
 – Ich weiß nur, dass sie vor einer Woche noch im Urlaub \_\_\_ .
- (6) *bestellen, bringen, sagen, sein, sich beschweren, nützen*  
 – Ich bin gerade ein bisschen verärgert.  
 – Warum denn?  
 – Ich \_\_\_ einen Apfelkuchen \_\_\_ . aber der Kellner \_\_\_ mir ein Stück Torte \_\_\_ .  
 – \_\_\_ du ihm nichts \_\_\_ ?  
 – Doch, aber der Apfelkuchen \_\_\_ schon alle.  
 – \_\_\_ du \_\_\_ nicht \_\_\_ ?  
 – Habe ich, aber es \_\_\_ nichts \_\_\_ .
- (7) *sich scheiden lassen, werden, anschreien, können, lieben*  
 – Wir \_\_\_ uns \_\_\_ .  
 – Wieso denn?  
 – Max \_\_\_ in der letzten Zeit ganz unerträglich \_\_\_ . Ein paar Mal \_\_\_ er mich sogar wütend \_\_\_ .  
 – Wie \_\_\_ er so was machen? Er \_\_\_ dich doch so \_\_\_ !
- (8) *arbeiten, sein*  
 – In welchem Beruf \_\_\_ Sie \_\_\_ ?  
 – Ich \_\_\_ Tierarzt.
- (9) *sein, schmecken*  
 – Wie \_\_\_ es denn bei Klingers?  
 – Sehr schön, das Essen \_\_\_ mir ausgezeichnet \_\_\_ .
- (10) *sein, hören, wissen*  
 – Wie geht es dir?  
 – Danke, es geht. Übrigens \_\_\_ ich eine Woche in der Türkei. \_\_\_ du das nicht \_\_\_ ?  
 – Nein. Von deiner Türkeireise \_\_\_ ich gar nichts \_\_\_ .
- (11) *bestrafen, freisprechen, sein*  
 – \_\_\_ man den Taxifahrer \_\_\_ ?  
 – Nein, der Richter \_\_\_ ihn \_\_\_ .  
 – \_\_\_ er wirklich unschuldig?  
 – Wer weiß.
- (12) *sein, sich erkälten, sein, trinken, einschlafen, picknicken*  
 – Wie geht es dir?  
 – Nicht so gut. Gestern \_\_\_ ich auf dem Lande und \_\_\_ .  
 – \_\_\_ es windig?  
 – Nein, aber ich \_\_\_ Bier \_\_\_ und \_\_\_ dann auf der Wiese \_\_\_ .  
 – Ihr \_\_\_ also \_\_\_ ?  
 – Genau.

- (13) *kaputtmachen, sich entschuldigen, wiederholen, haben*  
 – Gestern Abend \_\_\_ ich bei meiner Tante eine Tasse \_\_\_\_ . Was soll ich bloß tun?  
 – \_\_\_ du \_\_\_ nicht \_\_\_ ?  
 – Das hab'ich, glaube mir. Aber sie \_\_\_ tausendmal \_\_\_\_, dass sie diese Tasse besonders gern \_\_\_ .
- (14) *ziehen, haben, stören*  
 – Frau Weiler, Sie \_\_\_ von der Stadt aufs Land \_\_\_\_, nicht?  
 – Ja, wegen der Kinder. Die \_\_\_ in der Stadt kaum Platz fürs Spielen. Und außerdem \_\_\_ uns der Lärm furchtbar \_\_\_ .
- (15) *kündigen, sein, können*  
 – Ich \_\_\_ heute \_\_\_ .  
 – Warum denn?  
 – Mein Chef \_\_\_ so unsympathisch. Ich \_\_\_ ihn einfach nicht leiden.
- (16) *kennen lernen, kennen*  
 – \_\_\_ du Leni erst heute \_\_\_ ?  
 – Nein, ich \_\_\_ sie schon früher \_\_\_ .
- (17) *vorbeikommen, sein, anrufen*  
 – Heute Nachmittag \_\_\_ ich bei Rolf \_\_\_\_, aber leider \_\_\_ er nicht zu Hause.  
 – \_\_\_ du ihn nicht vorher \_\_\_ ?  
 – Nein, um diese Zeit ist er normalerweise zu Hause.
- (18) *gehen, einladen*  
 – Frau Grau, ich möchte bitte Luisa sprechen.  
 – Luisa ist nicht da, sie \_\_\_ zu Peter \_\_\_ .  
 – Ist er krank?  
 – Nein, er \_\_\_ sie zum Abendessen \_\_\_ .
- (19) *sein, mitbringen*  
 – Warum \_\_\_ du so lange weg?  
 – Warte, bis du siehst, was ich \_\_\_ .
- (20) *zerbrechen, herunterfallen*  
 – \_\_\_ du was \_\_\_ ?  
 – Ja, mir \_\_\_ die Kanne \_\_\_ .
- (21) *beleidigen, wollen, sein*  
 – Sie \_\_\_ Herrn Kern \_\_\_ .  
 – Das \_\_\_ ich nicht \_\_\_ . Es \_\_\_ ein Missverständnis.
- (22) *weglaufen*  
 – Habt ihr Rex nicht mehr?  
 – Nein, er \_\_\_ uns \_\_\_ .

დავალება 10. ჩამოთვლილი ზმნური შესიტყვებებით ააგეთ ტექსტი პერფექტში. საჭირო შემთხვევაში შეცვალეთ არტიკლი კუთვნილებითი ნაცვალსახელით.

1) – Was hast du heute Morgen gemacht?

– Was ich heute Morgen gemacht habe? Heute \_\_\_\_ .

(früh aufstehen, duschen, dann frühstücken, danach die Brille suchen und nicht finden, 10 vor 8 aus dem Haus rennen, an der Haltestelle noch 5 Minuten warten müssen, 15 nach 8 schon im Büro sein)

2) – Herr Grimm, was haben Sie heute gemacht?

– Was ich heute gemacht habe? Heute hatte ich sehr viel zu tun. Um 9 Uhr \_\_\_\_ .

(schon im Büro sein, telefonieren und ein paar Briefe schreiben, dann zum Bahnhof fahren und einen Geschäftsfreund abholen, mit ihm einige wichtige Fragen besprechen, danach im Restaurant zu Mittag essen, nach dem Mittagessen den Geschäftspartner zum Bahnhof bringen, dann Blumen kaufen und zu Inge gehen)

3) – Was hat Familie Funk heute Abend gemacht?

– Was Familie Funk heute Abend gemacht hat?

Herr Funk \_\_\_\_ (eine Zeitung lesen, dann fernsehen)

Frau Funk \_\_\_\_ (das Abendessen kochen und Wäsche bügeln, dann mit einer Freundin telefonieren)

Stefan \_\_\_\_ (Musik machen, die Sportschau sehen, gleich danach schlafen gehen)

Leni \_\_\_\_ (der Mutter helfen, dann Musik hören und an der Mütze stricken)

🔑 1.5 დავალება 11. თარგმნეთ. გამოიყენეთ მოცემული ზმნები ნარსულის მნიშვნელობით.

(1) reparieren

– როდის შეაკეთებ შენი საათი?

– ჩემი საათი? არასოდეს შემიკეთებია.

(3) backen

– ეს ნამცხვარი ჩემთვის არის?

– კი, შენთვის გამოვაცხვე.

(5) ziehen, haben

– ერნას მშობლები სოფელში გადავიდნენ საცხოვრებლად.

– რატომ?

– ქალაქში პრობლემები ჰქონდათ ბინასთან დაკავშირებით.

(7) bekommen

– მიიღე საჩუქრები დაბადების დღეზე?

– კი, ფოტოაპარატი და ვიდეოკასეტები.

(2) gefallen, schmecken

– მოგეწონა აქ?

– ძალიან, ნაყინი საოცრად გემრიელი იყო.

(4) weg sein

– სად არის თინა?

– უკვე წავიდა.

(6) verbrennen, sagen, sich schneiden

– ფეხი დავინვი!

– მე მუდამ ვამბობდი, რომ ფრთხილი არა ხარ.

– მე არა ვარ ფრთხილი? ვინ გაიჭრა ამ დილას თითი?

(8) kennen lernen

– როდიდან იცნობთ ერთმანეთს?

- (9) *sehen, tun, vergessen*  
 - არ გინახავს ჩემი სათვალე?  
 - გუშინ საღამოს ჩანათაში ჩადე.  
 - სულ დამავიწყდა.
- (11) *hören*  
 - ჩვენს ქალაქში ყველა ეკლესია უნდა აღადგინონ.  
 - რადიოში მოისმინე?  
 - არა, ტელევიზორში.
- (13) *mitkommen*  
 - მოდიხარ დღეს ჩვენთან ერთად?  
 - არა, ლოგინში ვნევიარ. გუშინ გავცივდი.
- (15) *lesen, sterben, kennen, sein, tanzen, sehen*  
 - ნაიკითხე დღევანდელი გაზეთები?  
 - არა. რატომ მეკითხები?  
 - ქალბატონი შტანი გარდაიცვალა.  
 - ქალბატონი შტანი? მე ვიცნობდი?  
 - როგორ არა! ჩვენ ხომ ერთად ვიყავით ჰელმუტთან. შენ მხოლოდ მასთან ცეკვავდი.  
 - ააა, მაგრამ მას შემდეგ აღარ მინახავს.
- (17) *schenken*  
 - სად არიან შენი ცხოველები?  
 - ზოოპარკს ვაჩუქე.
- (19) *verlassen*  
 - მარტო ცხოვრობს ვალტერი?  
 - კი, ცოლმა მიატოვა.
- (21) *abnehmen*  
 - რა კარგად გამოიყურები.  
 - 10 კილო დავიკელი.
- (23) *bestellen, haben, sein, gehen, sein, wechseln, machen, warten, anrufen, sich melden, sich verewählen*  
 - შეუკვეთე ტაქსი?  
 - არა, არ მეცალა. თორმეტამდე ბიუროში ვიყავი, მერე ფოსტაში წავედი.
- სამი დღის წინ კაფეში გავიცანით-  
 (10) *ausleihen*  
 - ორი წიგნი გამოვიტანე შაბათიდან ორშაბათამდე.  
 - ჰო? ეს შესაძლებელია?
- (12) *schimpfen, fragen*  
 - რატომ ტირი?  
 - დირექტორმა გამლანძლა.  
 - სხვაგან სადმე ვერ იმუშავებ განა?  
 - მანაც ზუსტად იგივე მკითხა.
- (14) *stehen, stellen*  
 - აქ ადრე ტელევიზორი იდგა, თუ?  
 - ტელევიზორი სამზარეულოში დავდგი.
- (15) *gehen, nehmen, haben, aufstehen, einschlafen, lesen*  
 - დღეს სკოლაში ფეხით წახვედი?  
 - არა, ტაქსი გავაჩერე. ძალიან ცოტა დრო მქონდა.  
 - ვიცი. დღეს საკმაოდ გვიან ადექი.  
 - ჰო, მაგრამ გუშინ გვიან დავიძინე, იმიტომ რომ ორ საათამდე ვკითხულობდი.
- (18) *beginnen*  
 - როდის იწყება კონცერტი?  
 - ეს-ესაა დაიწყო.
- (20) *backen*  
 - ტორტი ძალიან გემრიელია.  
 - იმიტომ რომ მე თვითონ გამოვაცხვე.
- (22) *absolvieren, beenden, verlassen, gehen*  
 - როდის დაამთავრე სკოლა?  
 - სკოლა არ დამიმთავრებია. გამოსაშვები გამოცდების წინ მივატოვე და სამხრეთ ამერიკაში წავედი.
- (24) *werden, gratulieren, erinnern, sollen, schreiben*

- ბანკშიც იყავი?
- ბანკში? არა. შენ ხომ გუშინ უკვე გადაახურდავე ფული.
- რას აკეთებდი მაშინ სამიდან ოთხამდე?
- შენ ზარს ველოდებოდი.
- მე დავრეკე, მაგრამ არავინ მიპასუხა.
- ალბათ ნომერი შეგეშალა.
- რა სისულელეა! როცა მჭირდება, სწორედ მაშინ ვერ გიკავშირდები.

(25) *hören, zusammenziehen*

- გაიგე? ჰოლგერსა და კრისტას ერთად დაუნყიათ ცხოვრება.
- დაუჯერებელია.

- დანიელა გუშინ ოცისა გახდა.
- მიულოცე?
- რა თქმა უნდა! შენ?
- არა, რატომ არ გამახსენე?
- საიდან უნდა მცოდნოდა, რომ ასეთი რამ დაგავინყდებოდა. შენ სწერდი მას ლექსებს, მე კი არა.

(26) *ausmachen, einkaufen*

- ჩვენ ხომ შევთანხმდით, რომ შენ აკეთებ დღეს სადილს!
- კი, მაგრამ შენ გუშინ ბოსტნეული არ გიყიდი.

## მეცხრე მონაკვეთის შეჯამება

ამ მონაკვეთის გავლის შემდეგ თქვენ შეძლებთ ჩართოთ საუბარში ინფორმაცია ნარსულში მომხდარი ფაქტების შესახებ, თუ სწორად შეუხამებთ პრეზენსს პერფექტისა და პერფექტული მნიშვნელობის მქონე პრეტერიტუმის ფორმებს.

საკონტროლო დავალებები შექმნილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესამოწმებლად:

**დავალება 1.** მოისმინეთ კასეტაზე ჩანერილი ანექდოტები და შეეცადეთ გადმოსცეთ ისინი. მიაქციეთ ყურადღება წარსულის ფორმებს. ტექსტების გავებაში დაგეხმარებათ შემდეგი სიტყვები:

- |   |                                      |
|---|--------------------------------------|
| (1) das Beschwerdebuch - საჩივრის წიგნი | (2) die Anzeige - განცხადება         |
| reinkleben - ჩანებება                   | (4) beichten - მონანიება, აღიარება   |
| (3) den Arbeitsplatz aufgeben -         | starren - მიშტერება, ყურება          |
| სამუშაოსთვის თავის დანებება             | (6) rausschmeißen - აქ: გაგდება      |
| frech - უხეში                           | (7) der Klavierstimmer - ფორტეპიანოს |
| fristlos - აქ: გაფრთხილების გარეშე      | ამწყობი                              |
| entlassen - გათავისუფლდება              | bestellen- აქ: გამოძახება            |
| (სამსახურიდან)                          | (9) der Angler- ანკესით მოთევზავე    |
| (8) bestätigen - დადასტურება            | der Wurm- აქ: ჭიაყელა                |

**დავალება 2.** haben თუ sein?

- |  |  |
|--|--|
| 1. Was ____ dir der Arzt gegen dein Rheuma verschrieben? | 2. Ich ____ meiner Freundin 100 Mark geborgt.        |
| 3. Er ____ sich eben den Arm gebrochen.                  | 4. Ich ____ mich bei Dr. Weber angemeldet.           |
| 5. Er ____ ins Ausland geflohen.                         | 6. ____ ihr heute gesungen?                          |
| 7. Wir ____ die Treppe runtergerannt.                    | 8. Was ____ er für dieses Bild geboten?              |
| 9. Heute Nacht ____ es gefroren.                         | 10. Wir ____ gleich ins Wasser gesprungen.           |
| 11. Das Schiff ____ bei dieser Insel gesunken.           | 12. Was ____ Sie verloren?                           |
| 13. Gegen Abend ____ das Fieber wieder gestiegen.        | 14. Hast du ein Pflaster? Ich ____ mich geschnitten. |
| 15. Alle ____ geschwiegen.                               | 16. Wem ____ du dein Fahrrad geliehen?               |
| 17. Was ____ dir dein Arzt empfohlen?                    | 18. Du ____ mich erschreckt.                         |
| 19. ____ du die Tropfen schon genommen?                  | 20. Ich ____ Peter mein Radio gegeben.               |
| 21. Er ____ sich selbst treu geblieben.                  | 22. Ich ____ gleich auf die Bremse getreten.         |
| 23. Warum ____ sie das getan?                            | 24. Ich ____ neben Max gesessen.                     |
| 25. Der Junge ____ im Sommer ziemlich gewachsen.         | 26. Wo ____ die Rockgruppe zuletzt aufgetreten?      |
| 27. Wie ____ Sie hier zurechtgekommen?                   | 28. Udo ____ Vater geworden.                         |

29. \_\_\_\_ alle eingestiegen?  
 31. \_\_\_\_ du gut geschlafen?  
 33. Ich \_\_\_\_ völlig ausgeschlafen.  
 35. Heute \_\_\_\_ eine Unterrichtsstunde ausgefallen.  
 37. Ihr Mantel \_\_\_\_ eben noch hier an dem Haken gehangen.  
 39. \_\_\_\_ dich Dr. Falke untersucht?
30. Wir \_\_\_\_ uns hingesetzt.  
 32. \_\_\_\_ Anke schon zurückgekommen?  
 34. Wann \_\_\_\_ der Zug angekommen?  
 36. Der Bus \_\_\_\_ mir gerade vor der Nase weggefahren.  
 38. Ich \_\_\_\_ ein Taxi angehalten und \_\_\_\_ zum Bahnhof gefahren.  
 40. Ich \_\_\_\_ heute zu spät aufgewacht.

ღ დავალება 3. თარგმნეთ. გამოიყენეთ მოცემული ზმნები ნარსულის მნიშვნელობით.

- (1) *sich verlieben, erzählen*  
 - ერთი მითხარი, როგორ შეგიყვარდი?  
 - ღმერთო ჩემო, ეს უკვე ათასჯერ გაიმბე!
- (2) *stehen bleiben, bemerken*  
 - რატომ შეჩერდი?  
 - ვიტრინაში საჩუქარი შევნიშნე შენთვის.
- (3) *regnen, sein*  
 - გუშინ მაგრად წვიმდა.  
 - ჰო, თანაც კარგად ციოდა.
- (4) *arbeiten, wissen*  
 - ოტო ადრე BMW-ს ფირმაში მუშაობდა.  
 - BMW-ში? ეს არ ვიცოდი.
- (5) *studieren*  
 - იცნობთ მიუნხენს?  
 - ცხადია, ორი სემესტრი იქ ესწავლობდი.
- (6) *werfen, kaputtgehen*  
 - ვინ ესროლა ფანჯარას ქვა?  
 - წარმოდგენა არა მაქვს. გატყდა ფანჯარა?  
 - ჰო.
- (7) *sein, verbieten*  
 - ყოფილხარ რესტორანში?  
 - არა, მამაჩემმა ამიკრძალა.
- (8) *kommen, gewinnen*  
 - არის ჩემთვის ფოსტა?  
 - არა.  
 - რა ცუდია. ლოტოში მოვიგე და ახლა შეტყობინებას ველი.
- (9) *finden, sich bewerben*  
 - იშოვე ადგილი?  
 - ჯერ არა. მაგრამ სამ ფირმაში დაეტოვე განცხადება და ახლა შედეგს ველოდები.
- (10) *verlieren, fallen*  
 - რამე დაკარგე?  
 - გასაღები. ჯიბიდან ამომივარდა.
- (11) *verstehen, können*  
 - გაიგე ტექსტი?  
 - არა, ზოგი სიტყვა ვერც კი ამოვიკითხე.
- (12) *sein, stehen*  
 - როგორ იმგზავრეთ?  
 - ცუდად. საათობით ვიდექით.
- (13) *leiden können, sich freuen*  
 - მაშინ ჩვენთან ტურისტებს ველარ იტანდნენ. თქვენთან?  
 - ჩვენთან ტურისტების ჩამოსვლა მუდამ ძალიან უხაროდათ.
- (14) *blühen, verblühen*  
 - რა ლამაზად ყვავოდა ეს ვარდები!  
 - ჰო, მაგრამ უკვე დაიყვავილა.

- (15) *platzen, verlieren*  
 - ჩემი პარკი გაიხა.  
 - ვწუხვარ, მაგრამ ვერ მოგეხმარებით.  
 ჩემი დღეს დავკარგე.
- (17) *missverstehen*  
 - ესე იგი არ მოგწონვარ.  
 - პირიქით. შენ ცუდად გამიგე.
- (19) *auffallen*  
 - ფრანცისკა დღეს ძალიან კარგად გამოიყურება.  
 - ჰო, მეც თვალში მომხვდა.
- (21) *hören, passieren, anfahren*  
 - ოტო უკვე ერთი თვეა საავადმყოფოში წევს. შენ არაფერი გაგიგია?  
 - არა. რა დაემართა?  
 - მანქანა დაეჯახა.
- (23) *werden, aufgehen*  
 - უცებ განათდა.  
 - მთვარე ამოვიდა.
- (25) *laufen*  
 - რატომ სუნთქავთ ასე მძიმედ?  
 - სანაძლეოზე მოვრბოდით.
- (27) *aufgehen*  
 - ჩემი შესაკრავი  
 (der Reißverschluss) გაფუჭდა.  
 - მაჩვენე! არა, მხოლოდ გაიხსნა.
- (16) *kaufen, haben*  
 - მანქანა ვიყიდე.  
 - მერსედესი?  
 - არა, ამდენი ფული არ მქონდა.
- (18) *kennen lernen*  
 - როგორ გაიცანით ერთმანეთი?  
 - საქორწინო განცხადებით.
- (20) *wählen, sein, wollen*  
 - რატომ აირჩიე სწორედ ეს პროფესია?  
 - პაპაჩემი იყო საბანკო კომერსანტი.  
 - არ გინდოდა სრულიად სხვა რამ გამოსულიყავი?  
 - არა.
- (22) *warnen, machen*  
 - არ გააფრთხილეთ ვოლფგანგი?  
 - კი, მაგრამ მან ეს მაინც გააკეთა.
- (24) *sich verwählen*  
 - ეს 4-8-3-9-ა?  
 - არა, შეგეშალათ.
- (26) *geschehen, prallen*  
 - რა მოხდა აქ?  
 - მანქანა ხეს შეასკდა.
- (28) *kriechen*  
 - ბავშვებო, უკვე საბნის ქვეშ შეძვერით?  
 - ჰო, აქ ძალიან ცივა.

🔑 დავალება 4. აუწერეთ მეგობრებს თქვენი კლასის ფოტოსურათი. უამბეთ, თუ რა ბედი ენია თქვენს თითოეულ თანაკლასელს შემდგომში. (იხ. ნიმუში პასუხებში.)

თემა 32

- 1 არსებითი სახელის განსაზღვრა ატრიბუტული სიტყვით
- 2 ზედსართავი სახელის ბრუნება მხოლოდით რიცხვში
- 2.1 ზედსართავი სახელის ბრუნება ორნევრა ჯგუფში
- 2.2 ზედსართავი სახელის ბრუნება სამწევრა ჯგუფში
- 3 ზედსართავი სახელის ბრუნება მრავლობით რიცხვში
- 3.1 ზედსართავი სახელის ბრუნება ორნევრა ჯგუფში
- 3.2 ზედსართავი სახელის ბრუნება სამწევრა ჯგუფში
- 4 ზედსართავი სახელის ბრუნების ზოგიერთი თავისებურება
- 5 არსებითი სახელის ჯგუფის განვრცობა
- 6 welcher? თუ was für ein?
- 7 არსებითი სახელის ჯგუფის ელიფსური ფორმა დიალოგში
- 8 ზედსართავი სახელის ზოგიერთი სიტყვანარმოებითი ასპექტი
- 9 სავარჯიშოები

1. არსებითი სახელის განსაზღვრა ატრიბუტული სიტყვით

გერმანულში, ისევე როგორც სხვა ენებში, არსებითი სახელი ატრიბუტულ სიტყვასთან (ზედსართავთან, რიგობით რიცხვით სახელთან, მიმღობასთან) სახელურ ჯგუფს (შესიტყვებას) ქმნის:

<p>kaltes Wasser ein kleiner Junge der erste Schüler das schlafende Kind der angekommene Gast</p>	}	<p>(ზედსართავი სახელი: ცივი წყალი; პატარა ბიჭი); (რიგობითი რიცხვითი სახელი: პირველი მოსწავლე); (მიმღობა: მძინარე ბავშვი; ჩამოსული სტუმარი)</p>
---	---	--

აგრეთვე:

unsere schöne Stadt, mein neues Buch, dieser alte Mann და სხვ.

არსებითი სახელის ამგვარი ჯგუფი უპირატესად სამწევრაა: არტიკლი/ნაცვალსახელი + ატრიბუტული სიტყვა + არსებითი სახელი (der alte Mann/unsere alter Lehrer). ორნევრა ჯგუფი – ატრიბუტული სიტყვა + არსებითი სახელი (kaltes Wasser) – ბევრად უფრო იშვიათია.

როგორც ვიცით, არსებითი სახელის მორფოლოგიურ ნიშნებს (გრამატიკულ სქესს, რიცხვსა და ბრუნვას) გერმანულში ჩვეულებრივ მის წინ მდგომი არტიკლი ან ნაცვალსახელი გამოხატავს: der Mann/dieser Mann/ein Mann/meinem Mann და ა.შ. არსებითი სახელის სამწევრა ჯგუფში ამ მორფოლოგიური ნიშნების გადმოცემაში ატრიბუტული სიტყვაც მონაწილეობს, თუ მის წინ მდგომი არტიკლი/ნაცვალსახელი ამ ფუნქციას მაქსიმალური სიზუსტით ვერ ასრულებს (ასეთია, მაგალითად, ფორმები ein, kein, mein და მისთ., რომლებიც

მამრობით და საშუალ სქესს არ განასხვავებენ). ხოლო **ორწვერა** ჯგუფში მორფოლოგიურ ფუნქციას ატრიბუტული სიტყვა კისრულობს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას თვით სახელი ასრულებს (მაგალითად, მხოლობითი რიცხვის გენიტივი მამრობითი და საშუალი სქესის სახელებისათვის: *des Mannes/des Kindes*). ამრიგად, როდესაც მორფოლოგიური ნიშნები ახლავს თვით სახელს ან მის თანმხლებ არტიკლსა თუ ნაცვალსახელს, ატრიბუტული სიტყვა ნეიტრალური ფორმით (ანუ მორფოლოგიური ნიშნების გარეშე) იხმარება. ასეთი ფორმა სახელური ჯგუფის შემადგენლობაში ატრიბუტულ სიტყვას ორი აქვს: **-e** და **-en** სუფიქსიანი (*kalt: kalte* ან *kalten*). ხოლო მაშინ, როდესაც ვერც არსებითი სახელი და ვერც მისი მსაზღვრელი (არტიკლი/ნაცვალსახელი) მორფოლოგიურ მნიშვნელობას ცალსახად ვერ გადმოსცემს, ამ ფუნქციას თავის თავზე ატრიბუტული სიტყვა იღებს. ამ წესს „**ჰარმონიის პრინციპს**“ უწოდებენ. სწორედ მის მიხედვით გამოიყოფა ატრიბუტული სიტყვის ბრუნების ტიპები. ჩვენ მათ გავეცნობით ზედსართავი სახელის მაგალითზე. ამასთან თავდაპირველად გავმიჯნავთ ერთმანეთისაგან მხოლობით და მრავლობით რიცხვს, ვინაიდან მხოლობითი რიცხვის პარადიგმა მორფოლოგიური ნიშნების გამოხატვის თავალსაზრისით ბევრად უფრო ნაირფეროვანია და ბრუნების სახეობებსაც სწორედ იგი განაპირობებს.

## 2. ზედსართავი სახელის ბრუნება მხოლობით რიცხვში

ზედსართავი სახელის (*das Adjektiv*) ბრუნების პარადიგმისათვის ამოსავალია მისი მოკლე (საწყისი) ფორმა: *kalt, lang, groß, dunkel, herrlich* და ა.შ. ბრუნების ტიპს არსებითი სახელის ჯგუფის შემადგენლობა განაპირობებს.

### 2.1. ზედსართავი სახელის ბრუნება ორწვერა ჯგუფში

ორწვერა ჯგუფი, როგორც ვიცით, ზედსართავი და არსებითი სახელისაგან შედგება. ეს ის შემთხვევაა, როდესაც არსებითი სახელი წინადადებაში ჩვეულებრივ უარტიკლოდ იხმარება (მაგალითად, ნივთიერებათა სახელები: *Wasser, Wein, Bier, Wolle, Seide, Holz, Gold*, აბსტრაქტული სახელები *Liebe, Angst, Mut* და სხვა). ამგვარ ვითარებაში არსებითი სახელის მორფოლოგიურ ნიშნებს (სქესს, ბრუნვას, რიცხვს) ზედსართავი სახელი გამოხატავს. ის იღებს განსაზღვრული არტიკლის დაბოლოებებს, გარდა ერთადერთი შემთხვევისა — მამრობითი და საშუალი სქესის გენიტისა, სადაც ამ ნიშნებს არსებითი სახელის დაბოლოება გადმოსცემს, ხოლო ზედსართავი სახელი ნეიტრალური **-en** ფორმით იხმარება:

	მამრ.	საშ.	მდედრ.
N.	süß-er Wein	kalt-es Wasser	rein-e Wolle
Akk.	süß-en Wein	kalt-es Wasser	rein-e Wolle
D.	süß-em Wein	kalt-em Wasser	rein-er Wolle
G.	süß-en Weins <sup>1</sup>	kalt-en Wassers	rein-er Wolle

<sup>1</sup> გენიტის ფორმა მოძველებულია. მას თანამედროვე ენაში ხშირად ენაცვლება არსებითი სახელი *von* წინდებულთ. ასე, მაგალითად, წინდადება *Jeder kennt den Geschmack süßen Weins*. მალალფარლოვნად უღერს. ყოფით სიტუაციაში ვიტყვით: *Jeder kennt den Geschmack von süßem Wein*.

ზედსართავი სახელის ბრუნების ამ ტიპს **კლიერი** ეწოდება. ეს ტერმინი გულისხმობს, რომ ზედსართავი მორფოლოგიურად აქტიურია – მას შეუძლია იმ მიმართებების გადმოცემა, რომლებსაც ჩვეულებრივ არსებითი სახელის თანმხლები სიტყვები (არტიკლი/ნაცვალსახელი) გამოხატავენ. შესაბამისად მორფოლოგიური ნიშნების მქონე ზედსართავი სახელის ფორმასაც **კლიერი** ეწოდება, ხოლო ნეიტრალურ ფორმას – **სუსტი**.

ნიმუშები:

- |   |   |
|---|---|
| ➤ Das ist <b>absoluter Quatsch</b> .                      | ➤ Ich mag <b>warme Milch</b> nicht.   |
| ➤ Ist das Kleid aus <b>reiner Seide</b> ?                 | ➤ Ich bin <b>anderer Meinung</b> als Sie.   |
| ➤ Nur <b>bei gutem Wetter</b> können wir spazieren gehen. | ➤ Sie kleidet sich <b>sportlich</b> . <b>Modischer Kram</b> interessiert sie nicht. |
| ➤ Darfst du <b>starken Kaffee</b> trinken?                | ➤ Du bist immer <b>schlechter Laune</b> .   |
| ➤ Warum habt ihr <b>trockenes Brot</b> gekauft?           | ➤ Das macht mir <b>riesigen Spaß</b> .  |

ზედსართავი სახელი ამ ფორმით ხშირად იხმარება მიმართვისას, სურვილების გამოხატვისას და ა.შ.

- |  |                                       |
|--|---------------------------------------|
| ➤ Liebe Doris!                         | (ძვირფასო დორის!)                     |
| ➤ Lieber Herr Schwarz!                 | (ძვირფასო ბატონო შვარც!)              |
| ➤ Sehr geehrter Herr Schwarz!          | (დიდად პატივცემულ ბატონო შვარც!)      |
| ➤ Sehr geehrter Herr Präsident!        | (ღრმად პატივცემულ პრეზიდენტო!)        |
| ➤ Sehr geehrte Frau Professor Sanders! | (დიდად პატივცემულ ქალბატონო ზანდერს!) |
| ➤ Gute Nacht!                          | (ღამე მშვიდობისა!)                    |
| ➤ Gute Fahrt!/Glückliche Reise!        | (გზა მშვიდობისა!/კეთილი მგზავრობა!)   |
| ➤ Guten Appetit!                       | (გემრიელად მიირთვით!)                 |
| ➤ Schönes Wochenende!                  | (კარგად დაისვენეთ შაბათ-კვირას!)      |

ზედსართავი სახელი **კლიერი** ფორმით გვხვდება რამდენიმე სხვა შემთხვევაშიც:

- როდესაც სახელურ ჯგუფში შედის კუთვნილების გამოხატველი საკუთარი სახელი, რომელიც, ცხადია, ძირითადი არსებითი სახელის მორფოლოგიური თვისებების გამოხატვაში არ მონაწილეობს:

მამრ.	საშ.	მდედრ.
N. Monikas alter Freund	Monikas kleines Kind	Monikas schöne Schwester
Akk. Monikas alten Freund	Monikas kleines Kind	Monikas schöne Schwester
D. Monikas altem Freund	Monikas kleinem Kind	Monikas schöner Schwester
G. <sup>1</sup> –	–	–

- wessen კითხვითი სიტყვის შემდეგ:
 

➤ Wessen neues Auto steht da?	➤ Wessen alter Anzug hängt im Flur?
-------------------------------	-------------------------------------

<sup>1</sup> ამ შემთხვევაშიც გენტივს von-წინდებულნი ფორმა ცვლის: Das ist die Mutter von Monikas altem Freund.

- იმ ნაცვალსახელების შემდეგ, რომლებიც მორფოლოგიურ ნიშნებს არ შეიცავენ (*etwas, viel, wenig, genug, mehr*): viel frisches Gemüse, etwas frische Milch, genug kalter Sekt და სხვ.

## 2.2. ზედსართავი სახელის ბრუნება სამწევრა ჯგუფში

ზედსართავი სახელის ბრუნება სამწევრა ჯგუფში დამოკიდებულია იმაზე, განასხვავებს თუ არა ზედსართავი სახელის წინ მდგომი სიტყვა (არტიკლი/ნაცვალსახელი) მამრობით და საშუალ სქესს:

der Mann	–	das Kind	თუ:	ein Mann	–	ein Kind
dieser Mann	–	dieses Kind		mein Mann	–	mein Kind
jeder Mann	–	jedes Kind		ihr Mann	–	ihr Kind
mancher Mann	–	manches Kind		kein Mann	–	kein Kind
derselbe Mann	–	dasselbe Kind				

პირველ შემთხვევაში ზედსართავ სახელს მთლიანად ეხსნება ბრუნებაში მონაწილეობის ფუნქცია და იგი ნეიტრალური ფორმით იხმარება. ამასთან *der* (მამრ. სქესი), *das* და *die* არტიკლების და ანალოგიური დაბოლოებების მქონე ნაცვალსახელთა შემდეგ გამოიყენება *e-*ფორმა, ხოლო ყველა დანარჩენ შემთხვევაში – *en*:

	მამრ.	საშ.	მდედრ.
N.	<b>der alte Mann</b>	<b>das kleine Kind</b>	<b>die schöne Frau</b>
Akk.	den alten Mann	<b>das kleine Kind</b>	<b>die schöne Frau</b>
D.	dem alten Mann	dem kleinen Kind	der schönen Frau
G.	des alten Mannes	des kleinen Kindes	der schönen Frau

აგრეთვე:

dieser alte Mann	dieses kleine Kind	diese schöne Frau
jeder alte Mann	jedes kleine Kind	jede schöne Frau
mancher alte Mann	manches kleine Kind	manche schöne Frau
derselbe alte Mann	dasselbe kranke Kind	dieselbe schöne Frau

ზედსართავი სახელის ბრუნების ამ ტიპს სუსტი ეწოდება. ტერმინი გულისხმობს, რომ ბრუნების პარადიგმაში ზედსართავი სახელი მხოლოდ ნეიტრალური (ანუ *სუსტი*) ფორმით მონაწილეობს.

ნიმუშები:

- Kennen Sie **die alte Dame** dort?
- **Die heutige Jugend** ist pragmatisch.
- **Manches kranke Kind** wird schnell nervös.
- **Dieses neue Kleid** passt dir gut.
- In **der letzten Zeit** siehst du
- Warum weint **das kleine Mädchen**?
- **Dieser junge Lehrer** gefällt mir gut.
- Der Saal hat sich bis auf **den letzten Platz** gefüllt.
- Wo bist du **im vorigen Jahr** gewesen?
- Geben Sie mir bitte **500 Gramm**

wunderschön aus.

- |  |   |
|--|---|
| ➤ Hier sind Vertreter aus der ganzen Welt.       | ➤ von diesem schwarzen Tee!                 |
| ➤ Erinnerst du dich an diese glückliche Zeit?    | ➤ Hast du den ganzen Abend ferngesehen?     |
| ➤ Wer wohnt in diesem schönen Haus?              | ➤ Wann hast du ihn zum letzten Mal gesehen? |
| ➤ Er hat von seinem alten Freund erzählt.        | ➤ Ich muss mal an die frische Luft.         |
| ➤ Wir sind durch den finsternen Tunnel gefahren. | ➤ – Kennst du den kleinen Mann da?          |
|  | – Den in der blauen Hose?                   |

ამავე ტიპს მიეკუთვნება ზედსართავი სახელის ბრუნება საკუთარ სახელებთან, რომლებთანაც იგი სამწევრა ჯგუფს ქმნის:

die kleine Lore	das heiße Afrika
der kluge Max	die schöne Schweiz
das gastfreundliche Georgien	das alte Tbilissi

ნიმუშები:

- Besuchen Sie das historische Griechenland!
- Schenken Sie dieses Bilderbuch dem kleinen Peter!
- Das ist die Mutter der schönen Maria.

*შენიშვნა:* გეოგრაფიული სახელების წინ ზედსართავი სახელები ganz და halb შეიძლება უარტიკლოდაც შეგვხვდეს:

das freie Deutschland	მაგრამ: ganz Deutschland
das vereinigte Europa	ganz Europa
das schöne Rostock	halb Rostock

მეორე შემთხვევაში (ein, mein, ihr, kein და ა.შ. ფორმების შემდეგ) მამრობითი და საშუალო სქესის არსებით სახელთა გარჩევა ზედსართავ სახელს ევალება და იგი ძლიერ ფორმას იღებს:

ein alt-er Mann	ein klein-es Kind
ihr alt-er Mann	ihr klein-es Kind
kein alt-er Mann	kein klein-es Kind

მაგრამ ამავე მეტყველების ნაწილების ყველა დანარჩენი ბრუნვის ფორმის შემდეგ ზედსართავი სახელის ნეიტრალური (სუსტი) ein-ფორმა იხმარება. ხოლო მდებარეობითი სქესის შემთხვევაში სუსტი ბრუნების პარადიგმა არ იცვლება:

	მამრ.	საშ.	მდედრ.
N.	<b>ein alter Mann</b>	<b>ein kleines Kind</b>	eine schöne Frau
Akk.	einen alten Mann	<b>ein kleines Kind</b>	eine schöne Frau
D.	einem alten Mann	einem kleinen Kind	einer schönen Frau
G.	eines alten Mannes	eines kleinen Kindes	einer schönen Frau

აგრეთვე:

mein alter Mann      mein kleines Kind      meine schöne Frau  
kein alter Mann      kein kleines Kind      keine schöne Frau      და ა.შ.

ბრუნების ამ ტიპს შერეული ბრუნება ეწოდება, ვინაიდან მის პარადიგმაში მონაწილეობს როგორც ძლიერი, (ein alter Mann, ein krankes Kind) ისე სუსტი (einem alten Mann, eines kranken Kindes და ა.შ.) ფორმები.

ნიმუშები:

- Frau Beil ist eine bekannte Politikerin.
- Das ist mein neuer Freund.
- Ich mag ihren ehrgeizigen Mann nicht.
- Mein Sohn arbeitet zur Zeit bei einer ausländischen Firma.
- Es gibt keinen anderen Weg.
- Kannst du mir einen guten Tipp geben?
- Ich wünsche Ihnen ein frohes Weihnachtsfest und ein glückliches neues Jahr!
- Für unsere Prüfung gibt es noch keinen festen Termin.
- Ich hatte damals überhaupt keine praktische Erfahrung.
- Sein eigentlicher Name ist Alfred Reiz.
- Das ist unser privates Unternehmen.
- Der Polizeidienst ist ein harter Job.
- Du hast einen schlechten Charakter [k...].
- So was kann ich mir bei meinem kleinen Gehalt nicht leisten.
- Ich habe ein schlechtes Gewissen.

ეს ფორმები ხშირად გვხვდება მიმართვებშიც:

- Mein lieber Herr Schwarz!      (ძვირფასო ბატონო შვარც!)
- Meine liebe Inge!      (ჩემო ძვირფასო/საყვარელო ინგა!)
- Mein liebes Kind!      (ჩემო ძვირფასო!/ჩემო საყვარელო!)

შენიშვნა: მასალის ათვისების გააძვირების მიზნით შევუდართო ერთმანეთს სუსტი და შერეული ბრუნება:

- ძირითადი ბრუნვა, რომელიც ბრუნების ამ ორ ტიპს განასხვავებს, ნომინატივია. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება გვმართებს, თუ სამწევრა სახელური ჯგუფი ქვემდებარეს ასახელებს:
 

der alte Mann – ein alter Mann	das kleine Kind – ein kleines Kind
die schöne Frau – eine schöne Frau	
- საშუალი და მდებარეობითი სქესისთვის იგივეა აკუსატივის ფორმებიც:
 

das kleine Kind – ein kleines Kind	die schöne Frau – eine schöne Frau
------------------------------------	------------------------------------
- ყველა დანარჩენ შემთხვევაში ზედსართავი სახელი en-ფორმით იხმარება:
 

den alten Mann – einen alten Mann	des kleinen Kindes – eines kleinen Kindes
der schönen Frau – einer schönen Frau	და ა.შ.

### 3. ზედსართავი სახელის ბრუნება მრავლობით რიცხვში

ზედსართავი სახელის ბრუნება მრავლობით რიცხვში ასევე დამოკიდებულია არსებით სახელის ჯგუფში შემავალ წევრებზე.

#### 3.1. ზედსართავი სახელის ბრუნება ორწევრა ჯგუფში

ორწევრა ჯგუფში ზედსართავი სახელი ძლიერად იბრუნვის, რადგანაც იგი თვით გამოხატავს არსებითი სახელის მორფოლოგიურ ნიშნებს, იღებს რა მრავლობითი რიცხვის არტიკლის დაბოლოებებს:

N.	alt-e Männer	klein-e Kinder	schön-e Frauen
Akk.	alt-e Männer	klein-e Kinder	schön-e Frauen
D.	alt-en Männern	klein-en Kindern	schön-en Frauen
G.	alt-er Männer	klein-er Kinder	schön-er Frauen

ნიმუშები:

- In diesem Restaurant gibt es immer **ausgezeichnete Weine**.
- Meine Tochter hat **schwarze Augen**.
- Haben Sie noch **weitere Fragen**?
- Sind Sie in **fremde Länder** gereist?
- Ich wünsche Ihnen **fröhliche Weihnachtstage! /frohe Weihnachten!**
- **Rote Rosen** gibt es in jedem Blumengeschäft.

ეს ფორმები გვხვდება აგრეთვე მილოცვებსა და მოკითხვებში:

- Frohe Ostern!
- Schöne Grüße von meinem Vater!
- Mit freundlichen Grüßen!
- Liebe Grüße, auch von Alfred!

#### 3.2. ზედსართავი სახელის ბრუნება სამწევრა ჯგუფში

ზედსართავი სახელის ბრუნება სამწევრა ჯგუფში დამოკიდებულია აგრეთვე მის წინ მდგომ სიტყვაზე. ამ სიტყვათა დიდი უმრავლესობის შემდეგ ზედსართავი სახელი სუსტი (-en ნეიტრალური) ფორმით იხმარება:

die alten Männer	solche schönen Städte
meine kleinen Kinder	beide bulgarischen Touristen
diese schönen Frauen	die beiden georgischen Lehrerinnen
alle europäischen Staaten	diese beiden deutschen Biersorten

N.	die	alten	Männer	alle	deutschen	Städte
Akk.	die	alten	Männer	alle	deutschen	Städte
D.	den	alten	Männern	allen	deutschen	Städten
G.	der	alten	Männer	aller	deutschen	Städte

ნიმუშები:

- Wo kann man die leeren Flaschen zurückgeben?
- Die internationalen Beziehungen sind sehr wichtig.
- An der Konferenz haben alle europäischen Staaten teilgenommen.
- Wo sind meine warmen Handschuhe?
- Das sind unsere eigenen Kassetten.
- Hier gibt es keine guten Geschäfte.
- Das Auto hier gehört diesen jungen Leuten.
- Er flirtet mit allen schönen Frauen.

სავანგებოდ უნდა დავიმახსოვროთ ის ნაცვალსახელები, რომლებსაც ზედსართავი სახელი ძლიერი ფორმით შეეწყობა. ესენია: *viele, einige, mehrere, wenige, manche*. ამ ნაცვალსახელებს ემატება აგრეთვე რაოდენობითი რიცხვითი სახელი (*zwei, zehn, zwanzig* ...).

ნიმუშები:

viele neue Freunde	mehrere schöne Frauen
viele liebe Grüße (წერილის ბოლოს)	zwei ausländische Gäste
einige kranke Kinder	drei amerikanische Journalisten

პარადიგმის ნიმუშები:

N. viele wichtige Werke	manche ausländische Autos
Akk. viele wichtige Werke	manche ausländische Autos
D. vielen wichtigen Werken	manchen ausländischen Autos
G. vieler wichtiger/wichtigen Werke	mancher ausländischer/ausländischen Autos

შენიშვნა: როგორც ვხედავთ, გენტივში ორი ფორმაა დაშვებული:

mancher großer Männer = mancher großen Männer

einiger kranker Tiere = einiger kranken Tiere

პირველი ფორმა უფრო ხშირად იხმარება.

#### 4. ზედსართავი სახელის ბრუნების ზოგიერთი თავისებურება

1. ზედსართავი სახელი, რომელიც -el-ზე ბოლოვდება, კარგავს ფუძისეულ -e-ს:

dunkel: die dunkle Nacht      edel: edler Wein

იგივე ითქმის er-ზე დაბოლოებულ ზედსართავ სახელთა უმრავლესობაზე:

teuer: ein teurer Mantel      sauer: die saure Sahne

2. მსაზღვრელის ფუნქციით ნახმარი ზედსართავი სახელი hoch იცვლის თანხმოვანს (ch → h): das hohe Haus.

3. ზოგიერთი ნასესხები ზედსართავი სახელი არ იბრუნვის: eine rosa Bluse, ein lila Kleid, eine prima Idee, ein klasse Film (სასაუბრ.), eine sexy Frau (სასაუბრ.), ein extra Zimmer და მისთ., თუმცა კი გერმანულში არსებობს ზოგიერთი მათგანის ბრუნებად სახელებად გარდაქმნის ტენდენცია:

eine rosafarbene Bluse, ein lilafarbenes Kleid.

4. ქალაქების (იშვიათად ქვეყნების) სახელებიდან წარმოებულ ზედსართავ სახელებს er-დაბოლოება აქვს. ეს სახელები არ იბრუნვის და ასომთავრულით იწერება:

München – Münchener/Münchner      Tbilissi– Tbilisser  
London – Londoner                      Schweiz – Schweizer

ნიმუშები:

die Berliner S-Bahn, im Hamburger Hafen, der Wiener Kongress, die Schweizer Dichter, die Moskauer Straßen, die Tbilisser Museen, am Frankfurter Flughafen, და ა.შ.

en-ზე დაბოლოებული ქალაქების სახელები ასეთ შემთხვევაში იკვეცება:

Bremen → die Bremer Stadtmusikanten      Saarbrücken → die „Saarbrücker Zeitung“

5. ზოგჯერ ფორმები welcher/-e/-es, solcher/-e/-es და mancher/-e/-es შემოკლებული სახით იხმარება: *welch, solch* და *manch*, უმთავრესად განუსაზღვრელ არტიკლთან ერთად. ასეთ შემთხვევაში არსებითი სახელის მორფოლოგიურ ნიშნებს ზედსართავი სახელი გამოხატავს:

- *Welch (ein) heftiger Wind!* (რა ძლიერი ქარია!)
- *Solch (ein) schönes Wetter ist bei uns selten.* (ასეთი კარგი ამინდი ჩვენთან იშვიათია.)

ეს ფორმები სასაუბრო ენაში მოძველებულად ითვლება და მათ ნაცვლად *so* ნაწილად-კი იხმარება: *So ein heftiger Wind!*

6. თავისებურია აგრეთვე ზედსართავი სახელის ფორმა, რომელიც მოსდევს პირის ნაცვალსახელებს:

- *Ich dummer Esel!* (მე სულელი!)      ➤ *Wir dummen Gänse!* (ჩვენ სულელები!)
- *Du armes Kind!* (შე სანყალო!)      ➤ *Ihr guten Leute!* (თქვე კაი ხალხო!)
- *Sie alter Träumer!* (თქვე ძველი მეოცნებე!)      ➤ *Ihr Lieben!* (ძვირფასებო!)

## 5. არსებითი სახელის ჯგუფის განვრცობა

1. ორწევრა ჯგუფი შეიძლება განვირცოთ ზომის, ნონის, ოდენობა-მოცულობის გამოხატველი ერთეულებით:<sup>1</sup>

Ich trinke schwarzen Tee. → Ich trinke **eine Tasse schwarzen Tee.**  
Möchten Sie kaltes Bier? → Möchten Sie **ein Glas kaltes Bier?**  
Ich möchte frische Milch. → Ich möchte **eine Flasche frische Milch.**

<sup>1</sup> ამის შედეგად მიღებული ერთეულების მორფოლოგიური გაფორმებისას ნორმად შემდეგი წესი ითვლება: სახელადი ჯგუფი (არსებითი სახელი + ზედსართავი სახელი) იხმარება იმავე ბრუნვის ფორმით, რომლითაც მის მიერ განსაზღვრული ზომა-ნონისა თუ ოდენობა-მოცულობის ერთეული:

Ich trinke eine Tasse (Akk.) schwarzen Tee (Akk.).  
Was kostet eine Flasche (N.) ungarischer Wein (N.)?

აგრეთვე:

Sie hat wie immer **einen Haufen dummes Zeug** geredet.

Wir nehmen **ein Stück fremde Kultur** mit nach Hause.

2. სამწევრა ჯგუფის განვრცობა ხდება, როგორც წესი, თვისებების გამაძლიერებელი ან შემასუსტებელი სიტყვებით, რომლებიც არტიკლსა თუ ნაცვალსახელსა და ზედსართავ სახელს შორის თავსდება:

- |  |   |
|--|---|
| ➤ Maria ist ein <b>sehr</b> schönes Mädchen.                               | (მარია ძალიან ლამაზი გოგონაა.)                              |
| ➤ Das ist ein <b>ganz</b> neues Auto.                                      | (ეს სულ ახალი მანქანაა.)                                    |
| ➤ Ich bin ein <b>vollkommen</b> glücklicher Mensch.                        | (მე სავსებით ბედნიერი ადამიანი ვარ.)                        |
| ➤ Das ist ein <b>in der ganzen Welt</b> bekannter Maler.                   | (ეს მთელ მსოფლიოში ცნობილი მხატვარია.)                      |
| ➤ Ich möchte dieses mir <b>höchst</b> peinliche Gespräch nicht fortsetzen. | (არ მსურს გავაგრძელო ეს ჩემთვის ძალზე უხერხული საუბარი.)    |
| ➤ Ich bin kein <b>allzu</b> erfahrener Arzt.                               | (დიდად გამოცდილი ექიმი არა ვარ.)                            |
| ➤ Ich empfehle Ihnen diesen Föhn. Eine <b>ganz</b> besondere Qualität!     | (ამ ფენის ყიდვას გირჩევთ. სრულიად განსაკუთრებული ხარისხია.) |
| ➤ Das ist eine <b>äußerst</b> interessante Frage.                          | (ეს უაღრესად საინტერესო საკითხია.)                          |
| ➤ Ich kaufe einen <b>ziemlich</b> teuren Ring.                             | (საკმაოდ ძვირ ბეჭედს ვყიდულობ.)                             |
| ➤ Sie hat eine <b>besonders</b> schöne Haut.                               | (მას განსაკუთრებით ლამაზი კანი აქვს.)                       |
| ➤ Sie ist in einer <b>ganz</b> ähnlichen Lage wie du.                      | (ის ზუსტად შენაირ მდგომარეობაშია.)                          |
| ➤ Das ist eine <b>relativ</b> neue Sportart.                               | (ეს სპორტის შედარებით ახალი სახეობაა.)                      |

ორწევრა ჯგუფში გამაძლიერებელი სიტყვა ზედსართავი სახელის წინ დგას:

- |   |   |
|---|---|
| ➤ Das kann ich in <b>so</b> kurzer Zeit nicht schaffen. | (ამას ასე მოკლე დროში ვერ გავაკეთებ.)           |
| ➤ Ich koche Suppen mit <b>viel</b> frischem Gemüse.     | (წვნიანებს ვაკეთებ ათასნაირი ახალი ბოსტნეულით.) |
| ➤ Nehmen Sie sich <b>etwas</b> weichen Käse!            | (გადაიღეთ ცოტა რბილი ყველი!)                    |

## 6. welcher? თუ was für ein?

welcher/welche/welches – welche

ბრუნების პარადიგმა:

	მამრ.	მხოლ. მდედრ.	სამ.
N.	welcher Roman	welche Tasche	welches Kleid
Akk.	welchen Roman	welche Tasche	welches Kleid
D.	welchem Roman	welcher Tasche	welchem Kleid
G.	welchen Romans	welcher Tasche	welchen Kleides

მრავლ.

- N. welche Romane/Taschen/Kleider  
 Akk. welche Romane/Taschen/Kleider  
 D. welchen Romanen/Taschen/Kleidern  
 G. welcher Romane/Taschen/Kleider

ამ კითხვით სიტყვას ვხმარობთ მაშინ, როდესაც გვაქვს განსაზღვრული პირის ან საგნის გამორჩევის საშუალება. შესაბამისად პასუხშიც ჩვეულებრივ განსაზღვრული არტიკლი იხმარება:

- – **Welches Hotel gefällt Ihnen hier?** – **Das Hotel „Drei Könige“.**  
 – რომელი სასტუმრო მოგწონთ?  
 – სასტუმრო „სამი ხელმწიფე“.
- – **Welches Kleid nehmen Sie?** – **Das grüne.**  
 – რომელ კაბას იღებთ?  
 – მწვანეს.

აგრეთვე:

- – **Welche Filme willst du noch sehen?** – **Noch zwei amerikanische Filme.**  
 ➤ – **Welche Bücher können wir hier kaufen?** – **Einige neue Krimis.**

რაც შეეხება ზედსართავი სახელის გაფორმებას, იგი მხოლოდით რიცხვში ემორჩილება სამწევრა ჯგუფის ბრუნების წესებს, მრავლობითში კი შესაძლებელია ორივე ვარიანტი (-e და -n ფორმიანი):

- **Welchen deutschen Flussname(n) kannst du mir nennen?** (რომელი გერმანული მდინარე შეგიძლია დაასახელო/მითხრა?)  
 ➤ **Welche ernste(n) Nachteile vermutest du hier?** (რომელ სერიოზულ ხარვეზებს ვარაუდობ ამ შემთხვევაში?)

**was für ein/was für eine/was für ein – was für**

ამ კითხვით სიტყვას ვხმარობთ მაშინ, როდესაც საქმე ეხება პიროვნების ან საგნის თვისებას: პასუხში ასეთ შემთხვევაში ძირითადად განუსაზღვრელი არტიკლი გვხვდება:

- – **Was für ein Zimmer nehmen Sie?** – **Ein Zimmer mit Bad.**  
 – რა ოთახს იღებთ?  
 – აბაზანის.
- – **Was für ein Kleid möchten Sie?** – **Ich möchte ein buntes Kleid.**  
 – როგორი კაბა გნებავთ?  
 – ჭრელი კაბა მინდა.
- – **Was für Studenten warten draußen?** – **Das sind amerikanische Studenten.**  
 – ეს რა სტუდენტები იციან გარეთ?  
 – ეს ამერიკელი სტუდენტები არიან.
- – **Was für Geräte sind das?** – **Computer.**  
 – ეს რა ხელსაწყოებია?  
 – კომპიუტერებია.
- – **Was für einen Wagen fahren Sie?** – **Einen ganz neuen BMW.**  
 – რა მანქანით დადიხართ?  
 – სრულიად ახალი BMW-ით.
- – **Mit was für einem Auto fahrt ihr in die Stadt?** – **Mit einem neuen Mercedes.**  
 – რა მანქანით მიდიხართ ქალაქში?  
 – ახალი მერსედესით.

## ბრუნების პარადიგმა:

	მამრ.	მხოლ. მდედრ.	საშ.
N.	was für ein Mann	was für eine Frau	was für ein Kleid
Akk.	was für einen Mann	was für eine Frau	was für ein Kleid
D.	was für einem Mann	was für einer Frau	was für einem Kleid
G.	was für eines Mannes	was für einer Frau	was für eines Kleides

## მრავლ.

N.	was für Männer/Frauen/Kleider
Akk.	was für Männer/Frauen/Kleider
D.	was für Männern/Frauen/Kleidern
G.	was für Männer/Frauen/Kleider

როგორც ვხედავთ, ბრუნებისას იცვლება კითხვითი სიტყვის მხოლოდ ბოლო კომპონენტი ein/eine. რაც შეეხება მრავლობითი რიცხვის ფორმას, მის შემადგენლობაში ein კომპონენტი, ცხადია, არ შედის.

საუბრისას was für ein ფორმა ხშირად დანაწევრებულად გვხვდება. ამგვარი ტენდენცია ძირითადად sein ზმნასთან შეინიშნება:

- Was sind das für Tropfen? (ნაცვლად: Was für Tropfen sind das?)
- Was sind das für Brötchen? (ნაცვლად: Was für Brötchen sind das?)
- Was sind das für Leute? (ნაცვლად: Was für Leute sind das?)
- – Ich will ein Auto kaufen.  
– Was soll das für ein Auto sein? (ნაცვლად: Was für ein Auto soll das sein?)
- Weißt du, was dein Vater für ein perfekter Koch ist? (ნაცვლად: Weißt du, was für ein perfekter Koch dein Vater ist?)

ზედსართავი სახელი ამ კითხვით ნაცვალსახელთან შერეული ბრუნების ფორმებით იხმარება:

- Was für einen schönen Ring hast du da?
- Was für ein neues Kleid hängt hier?

ელიფსური შეკითხვისას was für ein ნაცვალსახელში არსებითი სახელის სქესი აისახება: იგი იღებს ფორმას was für einer/was für eine/was für eins. უთვლადი საგნების შემთხვევაში გვაქვს ვარიანტული ფორმაც: was für welcher/was für welche/was für welches. ხოლო was für (მრ. რიცხვი) იხმარება ფორმით was für welche:

- – Ich suche ein Kleid.
- – Was für eins?
- – Ein buntes Sommerkleid.
- – Ein Wagen gefällt mir sehr gut.
- – Was für einer?
- – Ein amerikanischer. Ich weiß aber nicht, wie das Modell heißt.
- – Wir führen nur japanische Computer.
- – Wie bitte? Was für welche?

- – Habt ihr auch Wein  
getrunken?  
– Ja.  
– Was für einen?  
– Einen ungarischen.
- – Ich nehme Obst.  
– Was für welches?  
– Birnen und Bananen.

irgend კომპონენტის დამატებით ამ კითხვითი ნაცვალსახელებიდან ვიღებთ განუსაზღვრელ ნაცვალსახელებს: *irgendwelcher/irgendwelche/irgendwelches* და *irgendein/irgendeine/irgendein* (რაცაც, რამე, რომელიმე, ვიღაც, ნებისმიერი). მრავლობითი რიცხვის ფორმა ამ ნაცვალსახელებს ზიარი აქვს – *irgendwelche*.

ეს ნაცვალსახელები ზედსართავ სახელს საერთო პრინციპით შეინიჭებს:

- **Nenne mir irgendeinen deutschen Vornamen!** (დამისახელე რომელიმე გერმანული სახელი!)
- **Irgendein alter Herr fragt nach dir.** (ვიღაც მოხუცი კაცი გკითხულობს.)
- **Über uns wohnen irgendwelche neuen Mieter.** (ჩვენს თავზე ვიღაც ახალი მდგმურები ცხოვრობენ.)

ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ მხოლოდით რიცხვში თვლად საგნებთან *irgendein* იხმარება (*irgendein Mann, irgendeine Person, irgendein Hotel*), ხოლო უთვლადთან უპირატესად *irgendwelcher* (*irgendwelcher Sekt*).

## 7. არსებითი სახელის ჯგუფის ელიფსური ფორმა დიალოგში

დიალოგში ჩართვისას არსებითი სახელის ჯგუფი ხშირად ელიფსურ ფორმას იღებს, ვინაიდან საპასუხო რეპლიკაში თვითონ სახელი ჩვეულებრივ არ მეორდება. რაც შეეხება ზედსართავ სახელს, იგი შესაბამის ბრუნვის ფორმას ინარჩუნებს:

- – Nehmen Sie den grauen Pulli?  
– Nein, den roten hier.
- – Welche Hose wollen Sie anprobieren?  
– Die schwarze da.
- – Hast du ein neues Auto?  
– Nein, ein altes.
- – Ich möchte einen Rock.  
– Was für einen Rock? Einen kurzen oder einen langen?  
– Einen kurzen.

## 8. ზედსართავი სახელის ზოგიერთი სიტყვიანარმოებითი ასპექტი

ზედსართავი სახელი განსაზღვრავს არსებითი სახელით აღნიშნულ საგანს, გადმოსცემს რა მის ნიშან-თვისებებს. ეს გულისხმობს აგრეთვე საგნის თვისებების დაკონკრეტებას, გაძლიერებასა თუ შესუსტებას. გერმანულ ენაში ზედსართავი სახელი ამგვარ ნიუანსირებას ძირითადად სიტყვიანარმოებითი საშუალებებით ახდენს. ეს საშუალებები ძალიან მრავალფეროვანია. მათი მეშვეობით არაერთი მნიშვნელობა გამოიხატება, მათ შორის:

- საპირისპირო მნიშვნელობა; ამ შემთხვევაში ზედსართავი სახელი დაირთავს un- პრეფიქსს:
  - zufrieden → unzufrieden (უკმაყოფილო: ein unzufriedener Hotelgast)
  - aufmerksam → unaufmerksam (უყურადღებო: ein unaufmerksamer Schüler)
  - kooperativ → unkooperativ (ძნელად საურთიერთო: ein unkooperativer Partner)
- რაოდენობრივი მნიშვნელობა; ამ შემთხვევაში რთული ზედსართავი სახელის წარმოებაში რიცხვითი სახელი მონაწილეობს:
  - zweijährig (ორწლიანი/ორი წლის: ein zweijähriges Kind)
  - achttagig (რვადღიანი: eine acht tägige Reise)
  - vierstöckig (ოთხსართულიანი: ein vierstöckiges Haus)
  - dreieckig (სამკუთხა: eine dreieckige Veranda)
  - viertürig (ოთხკარიანი: ein viertüriger Schrank)
- ადგილისა და დროის მნიშვნელობა; ამ შემთხვევაში ზედსართავი სახელი ინარმოება შესაბამისი მნიშვნელობის მქონე ზმნიშედეგისაგან -ig სუფიქსის დართვით. ეს ზედსართავი სახელები ჩვეულებრივ ოფიციალურ სფეროში იხმარება:
  - hier → hiesig (აქაური: die hiesige Bevölkerung)
  - dort → dortig (იქაური: die dortigen Sitten)
  - damals → damalig (მაშინდელი: die damaligen Ereignisse)
  - heute → heutig (დღევანდელი: die heutige Zeit)
  - gestern → gestrig (გუშინდელი: das gestrige Gespräch)
  - morgen → morgig (ხვალინდელი: die morgige Sitzung)

არსებობს ადგილის მნიშვნელობის გამომხატველ ზედსართავ სახელთა წარმოების სხვა ხერხიც:

  - hinten → hinter (-e, -er, -es) (უკანა: die hinteren Reihen)
  - vorn → vorder (-e, -er, -es) (წინა: die vordere Tür)
  - rechts → recht (-e, -er, -es) (მარჯვენა: die rechte Seite der Straße)
  - links → link (-e, -er, -es) (მარცხენა: das linke Bein)
  - außen → äußer (-e, -er, -es) (გარე/საგარეო: die äußere Seite)
  - oben → ober (-e, -er, -es) (ზემო: das obere Stockwerk)
  - unten → unter (-e, -er, -es) (ქვედა/ქვემო: die untere Etage)
  - innen → inner (-e, -er, -es) (შიდა/შინაგანი: innere Medizin)
- ამა თუ იმ ქმედებისადმი დაქვემდებარება/დაუქვემდებარების შესაძლებლობის მნიშვნელობა; ამ შემთხვევაში ზედსართავი სახელი ინარმოება ზმნის ფუძეზე -bar სუფიქსის დართვით:
  - essen → essbar (ein essbarer Pilz - სოკო, რომელიც იჭმება.)
  - heilen → heilbar/unheilbar (eine leicht heilbare Krankheit - ადვილად მოსარჩენი ავადმყოფობა.)  
(eine unheilbare Krankheit - განუკურნებელი სენი.)

sehen → sichtbar/unsichtbar	(sichtbare Erfolge - თვალსაჩინო წარმატებები.)
lesen → lesbar/unlesbar	(eine unlesbare Handschrift - გაურკვეველი ხელი/ხელნაწერი.)
denken → denkbar/undenkbar	(eine undenkbare Liebe - წარმოდგენელი სიყვარული.)
auflösen → auflösbar/unauflösbar	(ein unauflösbarer Stoff - უხსნარი ნივთიერება.)
erziehen → erziehbar	(ein Heim für schwer erziehbare Kinder - ძნელად აღსაზრდელ ბავშვთა სახლი.)

- შემადგენელი ნივთიერების, მასალის მინიშნება; ამ შემთხვევაში ზედსართავი სახელი ინარჩუნება შესაბამისი მნიშვნელობის მქონე არსებითი სახელისაგან -en/-en სუფიქსების საშუალებით:

Gold → golden	(ოქროსი: ein goldener Ring)
Silber → silbern	(ვერცხლის: ein silberner Gürtel)
Holz → hölzern	(ხის: ein hölzernes Schwert)
Stein → steinern	(ქვის: eine steinerne Mauer)

- ამა თუ იმ გარემოებით დაკონკრეტებული მნიშვნელობა; ამ შემთხვევაში რთული ზედსართავის პირველი კომპონენტი არსებითი სახელია:

kinderreich	(eine kinderreiche Familie - მრავალშვილიანი ოჯახი)
salzarm	(salzarmes Essen - ნაკლებმარილიანი საჭმელი)
wasserarm	(eine wasserarme Gegend - უწყლო ადგილი)
nervenschwach	(ein nervenschwacher Lehrer - სუსტნერვებიანი მასწავლებელი)
kontaktfreudig	(ein kontaktfreudiger Mensch - ურთიერთობის მოყვარული ადამიანი)
drogensüchtig	(ein drogensüchtiger Mensch - ნარკომანი/ნარკოტიკების მოყვარული)
lebensmüde	(eine lebensmüde Frau - ცხოვრებით დაღლილი ქალი)
hilfsbereit	(ein hilfsbereiter Mensch - დახმარებისათვის მუდამ მზად მყოფი ადამიანი)
fehlerfrei	(eine fehlerfreie Arbeit - უშეცდომო ნამუშევარი)
anspruchsvoll	(ein anspruchsvoller Professor - მომთხოვნი პროფესორი)

- ფერთა ნიუანსები:

blau → hellblau	(ცისფერი/ბაცი ლურჯი)	grün → grünlich	(მომწვანო)
rot → dunkelrot	(მუქი წითელი)	rot → purpurrot	(მწვანული)
blau → bläulich	(მოლურჯო/მოცისფრო)	rot → rötlich	(მონითალო)

- თვისებების გაძლიერება:

kalt → bitterkalt	(ein bitterkalter Wind - სუსხიანი ქარი)
finster → stockfinster	(eine stockfinstere Nacht - უკუნეთი ღამე)
müde → todmüde	(eine todmüde Frau - ქანცვანყვეტილი ქალი)

blank → blitzblank	}	(eine blitzblanke/blitzsaubere Wohnung -
sauber → blitzsauber		განკრიალებული ბინა)
reich → steinreich		(ein steinreicher Mann - უმდიდრესი კაცი)
alt → steinalt		(eine steinalte Frau - ღრმად მოხუცებული ქალი)
fein → extrafein		(extrafeine Strümpfe - ძალიან დახვეწილი წინდები)
elastisch → superelastisch		(superelastische Strümpfe - სუპერელასტიკური წინდები)
schnell → superschnell (სასაუბრ.)		(ein superschnelles Boot - უსწრაფესი ნავი)
modern → hypermodern (სასაუბრ.)		(hypermoderne Möbel - უკანასკნელი მოდის ავეჯი)
schneeweiß (თოვლივით თეთრი/ქათქათა)		hundemüde (სიქავამოცლილი)
mutterseelenallein (მარტოდ-მარტო)		messerscharf (დანასავით ბასრი)
kerngesund (ჯანმრთელი/კირკიტი)		nagelneu (ახალთ-ახალი)
kohlrabenschwarz (კუპრივით შავი)		riesengroß (უშველებელი)

- ამას გარდა, ზედსართავი სახელი შეიძლება იყოს რთული არსებითი სახელის პირველი კომპონენტი. ასეთი რთული სიტყვის მნიშვნელობა ზოგჯერ ემთხვევა შესაბამისი სახელურ შესიტყვების მნიშვნელობას, ზოგჯერ კი განსხვავებულ ნიუანსს შეიცავს:

der Rotwein - წითელი ღვინო      das Schwarzbrot - შავი პური  
 der Weißwein - თეთრი ღვინო      das Altgriechisch - ძველი ბერძნული

მაგრამ:

das Hochhaus - მაღლივი (და არა უბრალოდ მაღალი) სახლი  
 das Kleingeld - ხურდა (და არა მცირე თანხა)

## 9. სავარჯიშოები

**2.1-4** დავალება 1. აბრუნეთ.

- reine Seide, schwarzer Tee, kaltes Bier
- die billige Wohnung, dieser teure Mantel, jedes kranke Tier, das hohe Haus
- eine rote Bluse, ein schlechter Schauspieler, ein sauberes Glas, ihr grüner Hut
- rote Rosen, meine ausländischen Studenten, diese kurzen Regenschirme

**2.1-4** დავალება 2. ჩასვით წინადადებაში ფრჩხილებში მოთავსებული ზედსართავი სახელები სათანადო ფორმით:

1. Zu dieser Arbeit brauche ich \_\_\_\_ Licht. (hell)
2. Ich trage nur Pullis aus \_\_\_\_ Wolle. (rein)
3. Ich bin kein Fan von \_\_\_\_ Musik. (modern)
4. Diese Topfblumen brauchen \_\_\_\_ Erde. (neu)
5. Meine Tochter hat \_\_\_\_ Haar. (dunkel)
6. Wir haben oft \_\_\_\_ Wetter hier. (schlecht)

- |   |                  |
|---|------------------|
| 7. Es ist ____ Zufall, dass wir uns hier treffen.           | (rein)           |
| 8. Ich schlafe immer bei ____ Fenster.                      | (offen)          |
| 9. Er schreibt viel über ____ Kunst.                        | (antik [an'tik]) |
| 10. Hier ist immer ____ Luft.                               | (frisch)         |
| 11. Ich lese Ihre Erzählungen mit ____ Interesse.           | (groß)           |
| 12. Ich esse ____ Obst sehr gern.                           | (frisch)         |
| 13. Das ist Peters ____ Wagen.                              | (neu)            |
| 14. Wir haben genug ____ Bier.                              | (kalt)           |
| 15. Wessen ____ Hund läuft da im Garten herum?              | (schwarz)        |
| 16. Geben Sie mir bitte etwas ____ Wasser!                  | (warm)           |
| 2) 1. Dir fehlt noch die ____ Erfahrung. (praktisch)        |                  |
| 2. Sag mir bitte den ____ Grund!                            | (wahr)           |
| 3. Diese Pflanzen wachsen nur in der ____ Natur.            | (frei)           |
| 4. Die Post ist das ____ Gebäude auf der ____ Straßenseite. | (letz-, link-)   |
| 5. Ich friere am ____ Körper.                               | (ganz)           |
| 6. Kannst du diesen ____ Koffer tragen?                     | (schwer)         |
| 7. Auf diesem ____ Boden wächst fast nichts.                | (trocken)        |
| 8. Das Zugrestaurant ist im ____ Wagen.                     | (mittler)        |
| 9. Die ____ Sitzung fällt aus.                              | (heutig)         |
| 10. Haben Sie ein Buch über die ____ Geschichte?            | (deutsch)        |
| 11. Ist das derselbe ____ Gast?                             | (chinesisch)     |
| 12. Jeder ____ Tourist soll einen Pass bei sich haben.      | (ausländisch)    |
| 13. Zieh das ____ Kleid an!                                 | (rosa)           |
| 14. Siehst du den ____ Turm dort?                           | (hoch)           |
| 15. Kennst du das ____ Tbilissi?                            | (alt)            |
| 16. Kennen Sie den Vater des ____ Peters?                   | (klein)          |
| 17. Wir machen Urlaub im ____ Süden.                        | (sonnig)         |
| 18. Fährst du ins ____ Estland?                             | (kalt)           |
| 19. Er arbeitet bei der „ ____ Bank“.                       | (deutsch)        |
| 20. Ich habe viel über dieses ____ Land gelesen.            | (gastfreundlich) |
| 3) 1. Das ist ein ____ Fall. (merkwürdig)                   |                  |
| 2. Das ist ein ____ Problem.                                | (ernst)          |
| 3. Sie ist ein ____ Filmstar.                               | (jung)           |
| 4. Jedes Kind hat bei uns ein ____ Zimmer.                  | (eigen)          |
| 5. Du hast aber einen ____ Charakter!                       | (schlecht)       |
| 6. Heute gehen wir in ein ____ Klavierkonzert.              | (interessant)    |
| 7. Gibt es keinen ____ Zug nach Bonn?                       | (direkt)         |
| 8. Das ist ein ____ Geschenk von meiner Nichte.             | (schön)          |
| 9. Bitte unterschreiben Sie mit Ihrem ____ Namen.           | (voll)           |

- |  |                      |
|--|----------------------|
| 10. Ich muss meinen ... Mantel reinigen lassen.      | ( <i>grau</i> )      |
| 11. Wir wollen unser ... Geschäft vergrößern.        | ( <i>neu</i> )       |
| 12. Dein Motorrad macht einen ... Lärm.              | ( <i>furchtbar</i> ) |
| 13. Möchten Sie lieber in einer ... Stadt wohnen?    | ( <i>klein</i> )     |
| 14. Georgien ist ein Land mit einer sehr ... Kultur. | ( <i>alt</i> )       |
| 15. Wir sind in einer ... Situation.                 | ( <i>schwierig</i> ) |
| 16. Ich kann mir einen ... Anzug nicht vorstellen.   | ( <i>lila</i> )      |
- 
- |  |                         |
|--|-------------------------|
| 4) 1. Er schenkt mir nur ... Rosen.                  | ( <i>rot</i> )          |
| 2. Dazu fehlen uns die ... Mittel.                   | ( <i>nötig</i> )        |
| 3. Beim Karneval kannst du viele ... Kostüme sehen.  | ( <i>bunt</i> )         |
| 4. Das Kleid hat ... Fehler.                         | ( <i>klein</i> )        |
| 5. Ihr Wagen braucht ... Reifen.                     | ( <i>neu</i> )          |
| 6. Ich möchte viele... Länder kennen lernen.         | ( <i>fremd</i> )        |
| 7. Du hast ja ganz ... Hände.                        | ( <i>kalt</i> )         |
| 8. Ich kann ... Beispiele nennen.                    | ( <i>zahlreiche</i> )   |
| 9. Ich kaufe ... Bohnen.                             | ( <i>grün</i> )         |
| 10. Die ... Schauspieler sind zur Zeit in Berlin.    | ( <i>amerikanisch</i> ) |
| 11. In den ... Stockwerken sind nur Büros.           | ( <i>unter</i> )        |
| 12. Ich kenne diese beiden ... Journalisten.         | ( <i>französisch</i> )  |
| 13. Diese ... Tänze gefallen mir nicht.              | ( <i>modern</i> )       |
| 14. Wir sprechen oft über unsere ... Schulkameraden. | ( <i>alt</i> )          |
| 15. Über uns wohnen zwei ... Reporter.               | ( <i>japanisch</i> )    |
| 16. Er hat drei ... Kinder.                          | ( <i>klein</i> )        |

**2.1-4** დავალება 3. უპასუხეთ კითხვებს. პასუხებში იხმარეთ განსხვავებული ზედსართავი სახელი ან სახელური ჯგუფი.

1. Ich habe die deutsche Staatsangehörigkeit, und Sie?
2. Ich habe einen bunten Sonnenschirm, und Sie?
3. Mir gefällt chinesische Seide, und Ihnen?
4. Ich kaufe ein weißes Hemd, und Sie?
5. Ich trage im Winter immer schwarze Hosen, und du?
6. Ich habe einen ganz neuen Kassettenrekorder, und du?
7. Im Urlaub schlafe ich den ganzen Tag, und Sie?
8. Ich höre georgische Volkslieder sehr gern, und du?

**2.1-4** დავალება 4. გაეცით მოკლე პასუხი. პასუხებში გამოიყენეთ მოცემული სიტყვები.

- 1) 1. – Wem gehört dieses Auto da? – (*dieser, jung, Lehrer*)
2. – Wem gehört dieser Koffer hier? – (*dieser, amerikanisch, Tourist*)
3. – Wem schenkt ihr diese Rosen? – (*unsere, neu, Lektorin*)

4. – Wem willst du gratulieren? – (*mein, lieb, Kind*)  
 5. – Wessen Handschuhe sind das? – (*von, unser, italienisch, Gast*)  
 6. – Wessen Film ist das? – (*von, ein, noch unbekannt, Regisseur*)  
 7. – Wen willst du kennen lernen? – (*dieser, berühmt, Komponist*)  
 8. – Was trinken Sie lieber? – (*schwarz, Tee*)  
 9. – Was schmeckt Ihnen nicht? – (*süß, Wein*)  
 10. – Was mögen Sie nicht? – (*fett, Fleisch*)  
 11. – Müsst ihr in der Bibliothek arbeiten? – (*Ja, der, ganz, Tag*)  
 12. – Wie lange bleibst du hier? – (*das, ganz, Jahr*)
- 2) 1. – Wo kann man hier warm essen? – (*in, das, italienisch, Restaurant*)  
 2. – Wo kann ich einen modernen Mantel kaufen? – (*in, das, neu, Kaufhaus*)  
 3. – Wohin möchten Sie fahren? – (*zu, der, alt, Markt*)  
 4. – Wo macht Herr Berg Urlaub? – (*an, das Schwarze Meer*)  
 5. – Wo arbeitet Frau Werner? – (*in, das, historisch, Museum*)  
 6. – Wohin geht ihr? – (*in, die, neu, Disko*)  
 7. – Wo wohnt Familie Berger? – (*in, diese, alt, Villa*)  
 8. – Gehst du jeden Tag aus? – (*nein, nur, bei, schön, Wetter*)  
 9. – Mit wem spricht Werner? – (*mit, eine, elegant, Frau*)  
 10. – Wann kommst du? – (*nach, eine, halb, Stunde*)
- 3) 1. – Wo haben sie früher gewohnt? – (*in, dieses, alt, Haus*)  
 2. – Was hattest du heute zum Frühstück? – (*ein, weich, Ei*)  
 3. – Warum sind Sie nicht rechtzeitig gelandet? – (*wegen, dicht, der, Nebel*)  
 4. – Was hat die Künstlerin vorgestellt? – (*ihre, neu, Werke*)  
 5. – Von wem habt ihr geredet? – (*von, unser, alt, Nachbar*)  
 6. – Wer hat Sie untersucht? – (*ein, jung, Arzt*)  
 7. – Worüber hat der Professor heute gesprochen? – (*über, deutsch, Literatur*)  
 8. – Habt ihr auch Ausflüge gemacht? – (*nur, bei, schön, Wetter*)  
 9. – Was hast du bestellt? – (*kalt, Mineralwasser*)  
 10. – Wann war der Verkehr besonders stark? – (*an, spät, Nachmittag*)  
 11. – War das Spiel spannend? – (*bis zu, letzt, Minute*)  
 12. – Worum hast du den Kellner gebeten? – (*um, ein, sauber, Glas*)

2.1-4 დავალება 5. ჩასვით ზედსართავი სახელები სათანადო ფორმით:

- (1) – Du bist ein (*dumm*) Esel! (2) – Haben Sie auch (*echt*) Leder?  
 – Und du, du bist eine (*blöd*) Gans! – Nein, wir haben nur Kunstleder.  
 (3) – Ich suche eine (*gut*) Sonnencreme. (4) – Nimmst du die (*hell*) Krawatte hier?

- (5) – Wir haben nur Nachtcremes.  
– Gefällt Ihnen der Schmuck?  
– Ja. Das ist (*indisch*) Schmuck, oder?
- (7) – Gehen wir ins (*italienisch*) Restaurant?  
– (*prima*) Idee! Aber Moment, ich ziehe mir nur noch schnell meinen (*schwarz*) Pulli an.
- (9) – Ich verstehe fast nichts.  
– Ja, hier spricht man einen (*süddeutsch*) Dialekt.
- (11) – Trinkst du Mineralwasser?  
– Nein, ich trinke lieber ein (*kalt*) Bier.
- (13) – Was meinst du, wie soll „der (*ideal*) Chef“ sein?  
– Er soll vor allem eine (*klug*) Frau haben.
- (15) – Der (*jung*) Chef ist etwas komisch.  
– Das meine ich auch. Aber Gott sei Dank ist er gar nicht nett. (*nett*) Chefs sind nämlich gefährlich.
- (17) – Ist das Faxgerät neu?  
– Nein, gebraucht. Aber in einem (*gut*) Zustand.
- (19) – Alle (*alt*) Leute sind ein bisschen depressiv.  
– Ja, sie haben einfach kein (*schön*) Leben mehr.
- (21) – Wessen (*schwarz*) Kugelschreiber liegt da?  
– Meiner.
- (23) – Du hast ein (*rund*) Gesicht und deine Schwester ein ganz (*schmal*).  
– Das (*rund*) Gesicht habe ich von der Großmutter, und sie hat das (*schmal*) von unserem Vater.
- (6) – Das (*lila*) Kleid sieht gut aus.  
– Ja, aber ich möchte unbedingt ein (*rosa*) Kleid haben.
- (8) – Ich möchte gerne wissen, ob ich in Deutschland Auto fahren darf.  
– Nur, wenn Sie einen (*international*) Führerschein haben.
- (10) – Der (*recht*) Schuh ist ein bisschen zu klein.  
– Dann nehmen Sie die Stiefel hier! Die haben auch eine sehr (*gut*) Qualität.
- (12) – Erwin hat etwas (*krumm*) Beine.  
– Stimmt. Die hat er von seinem Vater.
- (14) – Die (*kurz*) Haare stehen dir nicht.  
– Ja, ich weiß, aber ich habe kein (*schön*) Haar.
- (16) – Wessen Heft ist das?  
– Ich meine, das eines (*afrikanisch*) Studenten. Hier steht ein (*ungewöhnlich*) Name.
- (18) – Ich will Fotomodell werden.  
– Warum das denn? Das ist doch überhaupt kein (*interessant*) Beruf.
- (20) – Gehst du schon?  
– Ja, ich kann den Geruch von so (*stark*) Zigaretten nicht ertragen.
- (22) – Wessen (*weiß*) Katze sitzt vor unserer Tür?  
– Die des (*neu*) Nachbarn.
- (24) – Nimm doch etwas (*gebraten*) Fisch!  
– Danke, diese Woche esse ich nur vegetarisch. Ich mache nämlich eine (*chinesisch*) Diät.  
– Hast du schon etwas abgenommen?  
– Ja, ein (*halb*) Kilo.

- (25) – Diese (*bunt*) Krawatte passt überhaupt nicht zu deinem (*braun*) Anzug.  
– Soll ich mir eine (*einfarbig*) umbinden?

- (26) – Der (*groß*) Koffer da, der sieht gut aus.  
– Der (*grau*)?  
– Nein, der daneben.

🔑 **2.1-4** დაეალემა 6. თარგმნეთ:

- (1) – გაქვთ ფრანგული ღვინო?  
– არა, მაგრამ შესანიშნავი ქართული ღვინოები გვაქვს.
- (3) – გაინტერესებს გერმანული ლიტერატურა?  
– კი, მაგრამ სამწუხაროდ გერმანული არ ვიცი.
- (5) – სინდისი მქენჯნის.  
– რატომ?  
– ვერნერს დაბადების დღე ვერ მივულოცე.
- (7) – ალფრედ კორნი ძალიან კარგი პოლიტიკოსია.  
– მე სხვა აზრისა ვარ.
- (9) – მარიას ახალი მეგობარი ძალზე სქელია.  
– მარიას ახალი მეგობარი? იცნობ მას?  
– კი, ჩემს ძველ სკოლის მეგობართან გავიცანი.
- (11) – ვისი შავი მანქანა დგას სახლის წინ?  
– ჩემი.
- (13) – მინდა თარჯიმანი გავხდე როგორც გერდი.  
– როგორც გერდი? გერდი ხომ სულაც არ არის კარგი თარჯიმანი!
- (15) – ყოველ დღე ერთ ჭიქა ცივ რძეს ვსვამ.  
– ტიბეტურ ღიებას იცავ?  
– არა, უბრალოდ მიყვარს რძე.
- (2) – გამირეცხავ თეთრ პერანგს?  
– შენი ჭუჭყიანი სარეცხი თვითონ გარეცხე!
- (4) – შეგიძლია რამდენიმე კვერცხი მასესხო?  
– სამწუხაროდ ახალი კვერცხი აღარა მაქვს.
- (6) – ხვალისათვის ლენცის ერთი პატარა მოთხოვრა უნდა ვთარგმნო და ლექსიკონი მჭირდება.  
– ვწუხვარ, მაგრამ გერმანულ-ქართული ლექსიკონი არა მაქვს.
- (8) – ამ შავ წინდებს ყიდულობ?  
– არა, აი იმ თეთრებს.
- (10) – სექტემბრის ბოლოს მადრიდში ძალიან მნიშვნელოვანი კონგრესი ჩატარდება.  
– ვინ იღებს მონაწილეობას?  
– თითქმის ყველა ევროპული სახელმწიფო.
- (12) – მოგწონს ჩემი საათი?  
– კი, შვეიცარიული საათები ძალიან მიყვარს.
- (14) – ჩვენი მასპინძელი მთელ საღამოს ძალიან ელეგანტურ ქალთან ცეკვავდა. ვინ არის?  
– ერთი საკმაოდ ცნობილი მომღერლის ცოლია.
- (16) – მინდა კარგი რჩევა მოგცე.  
– რა?  
– ჭამე მეტი ახალი ბოსტნეული!  
– ბოსტნეული და ხილი საერთოდ არ მიყვარს.

- (17) – პეტერ, მე სამსახურის საქმეზე  
ბონში მივდივარ. შეგიძლია დღეს  
ნაშუადღევს ჩემს ძმას დახვდე  
სადგურზე?  
– სიამოვნებით, მაგრამ არ ვიცნობ.  
– ავინერ. მაღალი, სიმპათიური  
კაცია, ქერა თმა და ცისფერი  
თვალები აქვს.  
– ქურთუკი აცვია?  
– არა, ნაცრისფერი ზამთრის  
პალტო.
- (18) – ნახე, ქვედაკაბა!  
– რომელს გულისხმობ – ნითელს  
თუ შავს?  
– ნითელს.  
– კი მაგრამ, ის შენს ნაცრისფერ  
ქურთუკს არ მოუხდება!  
– სწორია.  
– იქნებ აი ის? ფასდაკლებით  
იყიდება.  
– ის ჩემთვის ძალიან მოკლეა,  
მაგრამ მაინც მოვიზომავ.
- (19) – ბატონო ბერგმან, ორ ამერიკელ  
ჟურნალისტს სურს თქვენთან  
ლაპარაკი.  
– ნახევარი საათი მაინც უნდა  
მოიცადონ. ახლა დრო არა  
მაქვს.
- (20) – იცნობ ამ კაცს?  
– ვის გულისხმობ?  
– მაღალ კაცს ცისფერ პერანგში.  
– ფრანცისკას ქმარია.  
– ფრანცისკა ვილაა?  
– აი ის დაბალი ქალი.  
– ყვითელ ბლუზაში.  
– არა, შავ კაბაში.

4 დავალება 7. ანარმოეთ ზედსართავი სახელები ქალაქების სახელწოდებებიდან.

1. Der Wagen hat eine — Nummer. (Berlin)
2. Manche — Hotels sind sehr teuer. (Moskau)
3. Er studiert auf der — Universität. (Heidelberg)
4. Ich möchte alle — Museen sehen. (Dresden)
5. Das ist die weltbekannte — Messe. (Leipzig)

5 დავალება 8. განაწილეთ სახელადი ჯგუფი.

- 1) ნიმუში: *Er ist ein ordentlicher Mensch. (+sehr) → Er ist ein sehr ordentlicher Mensch.*
1. Ich habe eine neue Kamera. (+ ganz) →
  2. Er macht auf mich einen guten Eindruck. (+ recht) →
  3. Das kann man in kurzer Zeit nicht erreichen. (+ so) →
  4. Das ist doch eine verrückte Idee! (+ total) →
  5. Das ist eine traurige Nachricht. (+ ziemlich) →
  6. Das ist ein angenehmer Besuch. (+ höchst) →

- 2) ნიშნები: *Was kostet ein Kilo Bananen?* (+ *spanisch*) → *Was kostet ein Kilo spanische Bananen?*
1. Ich möchte 500 Gramm **Zucker**. (+ *braun*) →  
 2. Ich kaufe 200 Gramm **Butter**. (+ *frisch*) →  
 3. Trinken Sie eine Tasse **Kaffee!** (+ *stark*) →  
 4. Ich nehme ein Pfund **Orangen**. (+ *griechisch*) →  
 5. Was kostet eine Packung **Tee**. (+ *indisch*) →

6) დავალება 9. იხმარეთ *welcher?* და *was für ein?* სათანადო ფორმით.

- (1) – Kennst du die Frau da?  
– \_\_\_ Frau?  
– Die schlanke Frau in Schwarz.
- (2) – Kennst du den Mann da?  
– \_\_\_ Mann?  
– Den dicken Mann im schwarzen Anzug.
- (3) – Zeigen Sie mir das Kleid da!  
– \_\_\_ Kleid? Das grüne oder das gelbe?  
– Das grüne, bitte!
- (4) – Guck mal, die Lederhose ist gar nicht teuer.  
– \_\_\_ Lederhose?  
– Die braune da.
- (5) – \_\_\_ Text liest du da?  
– Einen englischen.
- (6) – \_\_\_ Gebäude ist das?  
– Ein Museum.
- (7) – Was kostet der Mantel da?  
– \_\_\_ Mantel?  
– Der mit dem warmen Futter.  
– 200 Mark.
- (8) – Mir tut das Bein weh.  
– \_\_\_ Bein?  
– Das linke.
- (9) – \_\_\_ T-Shirt gefällt Ihnen?  
– Das bunte hier.
- (10) – \_\_\_ Pulli soll ich mitnehmen?  
– Den dicken.
- (11) – Ich möchte bitte Blumen.  
– \_\_\_ Blumen?  
– Rosen und Nelken.
- (12) – Zeigen Sie mir bitte die Strümpfe da?  
– \_\_\_ denn?  
– Die grauen.
- (13) – Zeigen Sie mir bitte die Schuhe da.  
– \_\_\_ Schuhe?  
– Die mit den hohen Absätzen.
- (14) – Ich möchte einen Regenschirm haben.  
– \_\_\_ ?  
– Einen ganz kleinen Taschenschirm.
- (15) – Ich suche einen Ring.  
– \_\_\_ ?  
– Mit einem kleinen Diamanten.
- (16) – Ich suche Schuhe in Größe sechs.  
– \_\_\_ sollen es denn sein?  
– Schwarze oder dunkelbraune.
- (17) – \_\_\_ Tuch möchten Sie?  
– Ein Seidentuch.
- (18) – \_\_\_ Zimmer wollen Sie?  
– Ein Doppelzimmer mit Bad.
- (19) – \_\_\_ Blumen nehmen Sie?  
– Veilchen, bitte.
- (20) – \_\_\_ Schauspieler brauchen Sie?  
– Einen blonden.
- (21) – Mutti, wir machen eine
- (22) – Ich habe meine Handtasche

Klassenfete bei Günter.

- \_\_\_ Fete soll denn das sein?  
 – Eine ganz normale Klassenfete.  
 (23) – \_\_\_ sind das hier \_\_\_ Sachen?  
 – Alte Tennisschuhe und Sporthosen.
- verloren.  
 – \_\_\_ Handtasche war denn das?  
 – Eine blaue.  
 (24) – Ich möchte bitte eine Kette.  
 – \_\_\_ ?  
 – Eine mit bunten Steinen.  
 – Wie gefällt Ihnen diese hier?  
 – \_\_\_ ?  
 – Die lange.



8

დავალება 10. თარგმნეთ:

- (1) – უყურადღებო ხარ!  
 – რატომ? მე ხომ უშეცდომოდ ვნერ!
- (3) – აქ ცხოვრობ?  
 – კი, ამ სამსართულიან სახლში.
- (5) – რამდენი შვილი ჰყავთ საბინას და ვერნერს?  
 – მხოლოდ ერთი შვიდი წლის ვაჟი.
- (7) – ვერ კითხულობ ნერილს?  
 – ვერა, ქალბატონ ბერგერს გაუზრკვეველი ხელი აქვს.
- (9) – ანას ძალიან ლამაზი თმები აქვს.  
 – ასე გგონია? მე მონითალო თმა მაინცდამაინც არ მომწონს.
- (11) – ჭამენ თქვენთან ამ ნაყოფს?  
 – კი, ეს ნაყოფი იჭმევა, ზუსტად ვიცი.
- (2) – ეს გუშინდელი გაზეთია?  
 – კი.
- (4) – იმ ვერცხლის მედალიონს ყიდულობ?  
 – არა, ამ ოქროსას 400 მარკად.
- (6) – ვინ ცხოვრობს დაბლა სართულზე?  
 – არავინ, დაბლა სართულზე მხოლოდ მალაზიებია.
- (8) – სამდლიან მოგზაურობას გგეგმავ.  
 – სად მიდიხარ?  
 – ბარსელონაში.
- (10) – ქუდის ყიდვა მინდა.  
 – რა ქუდის?  
 – ღია ლურჯის.
- (12) – რატომ კოჭლობ?  
 – მარჯვენა ფეხი მტკიავა.

## თემა 33

- 1 საგნის ნიშან-თვისების გაძლიერება სახელურ შესიტყვებაში შემავალი ზედსართავი სახელით
- 1.1 კომპარატივის ხმარება
- 1.2 სუპერლატივის ხმარება
- 2 სავარჯიშოები

### 1. საგნის ნიშან-თვისების გაძლიერება სახელურ შესიტყვებაში შემავალი ზედსართავი სახელით

ჩვენ შევისწავლეთ საგნის ნიშან-თვისების გაძლიერება (უნბრუნველი ზედსართავი სახელის საშუალებით (პარადიგმა: schön – schöner – am schönsten):

- Ulla ist schön.      ➤ Annette ist schöner.      ➤ Melanie ist am schönsten.

სახელურ შესიტყვებაში შემავალი ზედსართავი სახელის შედარების ხარისხების ფორმანარმოება რამდენადმე განსხვავებულია. ეს ეხება სუპერლატივის ფორმას: იგი მარტივია და ინარმოება სანყის ფორმაზე -(e)st სუფიქსის დართვით. ამის შედეგად ეს მეორე პარადიგმა შემდეგ სახეს იღებს:

პოზიტივი		კომპარატივი		
schnell	–	schneller	–	schnellst-
warm	–	wärmer	–	wärmst-
alt	–	älter	–	ältest-
teuer	–	teurer	–	teuerst-

სახელურ შესიტყვებაში პარადიგმის ეს ფორმები, ზედსართავი სახელის მსგავსად, იღებენ დაბოლოებებს ჰარმონიის პრინციპის შესაბამისად:

	პოზიტივი	კომპარატივი	სუპერლატივი <sup>1</sup>
მამრ.	der kalt-e Tag	der kält-er-e Tag	der kält-est-e Tag
	ein kalt-er Tag	ein kält-er-er Tag	
	kalt-er Wein	kält-er-er Wein	der kält-est-e Wein
მდედრ.	die kalt-e Wohnung	die kält-er-e Wohnung	die kält-est-e Wohnung
	eine kalt-e Wohnung	eine kält-er-e Wohnung	
	kalt-e Milch	kält-er-e Milch	die kält-est-e Milch
საშ.	das kalt-e Herz	das kält-er-e Herz	das kält-est-e Herz
	ein kalt-es Herz	ein kält-er-es Herz	
	kalt-es Wasser	kält-er-es Wasser	das kält-est-e Wasser
		მრავლ.	
	die kalt-en Wohnungen	die kält-er-en Wohnungen	die kält-est-en Wohnungen
	kalt-e Wohnungen	kält-er-e Wohnungen	

<sup>1</sup> სუპერლატივის ფორმები აღნიშნავს ერთ ყველაზე გამორჩეულ საგანს. შესაბამისად არსებითი სახელიც განსაზღვრულ არტიკლთან ან ნაცვალსახელთან ერთად იხმარება.

ზედსართავი სახელი შედარებით ხარისხში ისევე იბრუნვის არსებითი სახელის ჯგუფის შემადგენლობაში, როგორც საწყისი ფორმით:

	კომპარატივი	სუპერლატივი
N.	ein <b>stärkerer</b> Mann	der <b>stärkste</b> Mann
Akk.	einen <b>stärkeren</b> Mann	den <b>stärksten</b> Mann
D.	einem <b>stärkeren</b> Mann	dem <b>stärksten</b> Mann
G.	eines <b>stärkeren</b> Mannes	des <b>stärksten</b> Mannes

### 1.1. კომპარატივის ხმარება

კომპარატივის ნიმუშებია:

- Im Dorf führt man ein **gemütlicheres** Leben als hier. (სოფლად უფრო მყუდრო ცხოვრებაა, ვიდრე აქ.)
- Dort triffst du **gutmütigere** Menschen als hier. (იქ უფრო გულთბილ ადამიანებს შეხვდები, ვიდრე აქ.)
- Ich will ein **billigeres** Zimmer mieten. (მე უფრო იაფი ოთახის დაქირავება მინდა.)
- Das Auto spielt in unserem Leben eine **immer größere** Rolle. (მანქანა ჩვენს ცხოვრებაში სულ უფრო და უფრო მეტ ადგილს იკავებს.)

კომპარატივის ფორმები *mehr* და *weniger* არ იბრუნვის:

- Ich habe viel Geld. → Ich habe **mehr** Geld als du.
- Ich habe wenig Zeit. → Ich habe **weniger** Zeit als Sie.
- Mein Haus hat viele Zimmer. → Mein Haus hat **mehr** Zimmer als deins.
- Ich habe hier nur wenige Bekannte. → Ich habe hier noch **weniger** Bekannte als Sie.
- Wir haben wenig Praxis. → Ihr habt **mehr** Praxis als wir.

გერმანულ ენაში შესაძლებელია აგრეთვე კომპარატივის ფორმების აბსოლუტური ხმარება – ამ შემთხვევაში იგულისხმება მიახლოებითი ხარისხი, რომლის ათვლის წერტილია ამოსავალი ზედსართავი სახელის ანტონიმი. ასეთი ზედსართავი სახელებია *alt, jung, kurz, lang, hoch, groß, klein, breit, schmal, arm, reich* და მისთ. შდრ.:

ჩვეულებრივი ხმარება

mein <b>älterer</b> Bruder (alt → älter)	(ჩემი უფროსი ძმა)
ein <b>längeres</b> Brett als dieses (lang → länger)	(ამაზე გრძელი ფიცარი)
eine <b>größere</b> Flasche als diese (groß → größer)	(ამაზე დიდი ბოთლი)

აბსოლუტური ხმარება

ein <b>älterer</b> Herr - შუახნის მამაკაცი	(ის, ვინც მოხუცზე უფრო ხნიერი კი არა, ახალგაზრდაა: jung → älter → alt)
eine <b>längere</b> Reise - საკმაოდ ხანგრძლივი მოგზაურობა	(ისეთი მოგზაურობა, რომელიც ხანგრძლივზე მეტი კი არა, ნაკლებია: kurz → länger → lang)

eine größere Geldsumme - მოზრდილი თანხა (ისეთი თანხა, რომელიც დიდ თანხაზე მეტი კი არა, ნაკლებია: klein → größer → groß)

აგრეთვე:

die reicheren Familien - შეძლებული ოჯახები

die ärmeren Leute - ხელმოკლე ხალხი

die höheren Ideale - მაღალი იდეალები

შედარების მომენტს აღარ შეიცავს შემდეგი შესიტყვებები:

die neuere Sprachwissenschaft/Literaturwissenschaft - თანამედროვე ენათმეცნიერება/  
ლიტერატურათმცოდნეობა

eine nähere Bekanntschaft - ახლო ნაცნობობა

## 1.2. სუპერლატივის ხმარება

სუპერლატივის საშუალებით გამოიყოფა ერთი საგანი, რომელიც ამა თუ იმ თვისებას ყველაზე მეტი ხარისხით შეიცავს. რაც შეეხება შედარების მომენტს, იგი გერმანულში, როგორც წესი, მინიშნებულია, მაგრამ შეიძლება გამოიტოვოს კიდეც, ვინაიდან ათვლის ნერტილი არის მუდამ ერთი და იგივე – ყველა:

- Er ist für mich **der angenehmste Mensch** auf der ganzen Welt. (ის ჩემთვის ყველაზე სასიამოვნო ადამიანია მთელს ქვეყანაზე.)
- Das ist **das neueste Hotel** von allen. (ეს ყველაზე ახალი სასტუმროა.)
- Das ist **der beste Film** in dieser Saison [se'zō]. (ეს ამ სეზონის საუკეთესო ფილმია.)
- Der Hamburger Hafen ist **der größte** in Deutschland. (ჰამბურგის ნავსადგური ყველაზე დიდია გერმანიაში.)

მაგრამ:

- Wie heißt **der größte Ozean**? (რა ჰქვია ყველაზე დიდ ოკეანეს?)
- Wie heißt **das leichteste Gas**? (რა ჰქვია ყველაზე მსუბუქ აირს?)
- Das ist **meine jüngste Tochter**. (ეს ჩემი უმცროსი ქალიშვილია.)

სუპერლატივი მრავლობითი რიცხვის გენიტივის ფორმით იხმარება აგრეთვე შემდეგ შესიტყვებაში:

- Der Rhein ist **einer der größten Ströme** Europas. (რაინი ევროპის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მდინარეა.)
- Rom ist **eine der ältesten Städte** der Welt. (რომი მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქია.)
- Wir wohnen **in einer der schönsten Villen** von Köln. (ჩვენ კიოლნის ერთ-ერთ ულამაზეს ვილაში ვცხოვრობთ.)
- „Zum Spatz“ ist **eines der besten Hotels** von Bamberg. („Zum Spatz“ ბამბერგის ერთ-ერთი ყველაზე უკეთესი სასტუმროა.)

შესაძლებელია სინონიმური კონსტრუქციაც:

- **Das ist der schönste aller synthetischen Steine.** (ეს ყველაზე ლამაზი სინთეტიკური ქვაა/ ყველაზე ლამაზია სინთეტიკურ ქვებს შორის.)

გერმანულ ენაში არის აგრეთვე აბსოლუტური სუპერლატივი. მას ელათივი (*der Elativ*) ეწოდება. იგი აღნიშნავს თვისების უმაღლეს ხარისხს შედარების გარეშე. ამ შემთხვევაში იგი მეტწილად უარტიკლოდ იხმარება:

- **Wir arbeiten mit modernsten Maschinen.** (ჩვენ ყველაზე თანამედროვე (უთანამედროვესი) მანქანებით ვმუშაობთ.)
- **Ich mache das mit dem größten Vergnügen.** (ამას უდიდესი სიამოვნებით ვაკეთებ.)
- **Ich bin in bester Stimmung.** (საუკეთესო გუნებაზე ვარ.)
- **Der Wagen ist in bestem Zustand.** (მანქანა საუკეთესო მდგომარეობაშია.)

აგრეთვე:

- **Es ist höchste Zeit.** (უკვე დროა.)
- **Es ist höchste Zeit, dass wir gehen.** (ნასვლის დროა/დროა, წავიდეთ.)

აბსოლუტური სუპერლატივი უარტიკლოდ იხმარება აგრეთვე მიმართვებში, წერილებში და სხვ.

- **Liebster Vater!** (უძვირფასესო/ძვირფასო მამა!)
- **Teuerste Mutter!** (უძვირფასესო/ძვირფასო დედა!)
- **Herzlichsten Dank für Ihren Brief.** (უღრმესი მადლობა თქვენი წერილისათვის!)
- **Besten Dank!** } (უღრმესი მადლობა!)
- **Meinen besten Dank!** }
- **Mit innigstem Dank!** (უღრმესი მადლობის გრძნობით)
- **Mit größter Hochachtung** (უღრმესი პატივისცემით)
- **Mit den besten Grüßen** (დიდი მოკითხვა/წერილის ბოლოს/)

ამ ფორმების ხმარებისას საკმაო სიფრთხილე გვმართებს, ვინაიდან ისინი ხშირად მალაღმარდოვნად უღერს.

აბსოლუტური სუპერლატივის ფორმას აძლიერებს ხშირად *aller* კომპონენტი:

- **Heute ist der allerschönste Tag meines Lebens.** (დღეს ჩემი ცხოვრების ყველაზე საუკეთესო დღეა.)
- **In diesem Abendblatt kannst du die allerneuesten Nachrichten lesen.** (ამ საღამოს გაზეთში შეგიძლია უახლესი ამბები წაიკითხო.)

საგანგებოდ შეეჩერდებით ფორმაზე nächst-, რომელიც გარდა სუპერლატივისა აღნიშნავს აგრეთვე შემდეგს, მომავალს:

შდრ.:

- Das sind meine **nächsten** Verwandten. ეს ჩემი უახლოესი ნათესავები არიან.  
 ➤ Wo ist hier die **nächste** Nachbar? სად არის აქ უახლოესი ღამის ბარი?

და:

- Ich komme in der **nächsten** Woche. } იმ (მომავალ) კვირაში მოვალ.  
 ➤ Ich komme **nächste** Woche. }  
 ➤ Wir sehen uns im **nächsten** Jahr. } ერთმანეთს მომავალ წელს/გაისად  
 ➤ Wir sehen uns **nächstes** Jahr. } ვნახავთ.  
 ➤ Ruf mich am **nächsten** Samstag an! } მომავალ/იმ შაბათს დამირეკე!  
 ➤ Ruf mich **nächsten** Samstag an! }  
 ➤ Fahren Sie mit dem **nächsten** Zug! შემდეგ მატარებელს გაყევით!  
 ➤ Tanken wir an der **nächsten** Tankstelle! ბენზინი შემდეგ სადგურთან ჩავასხათ!  
 ➤ Der **Nächste** bitte! შემდეგი!/შემდეგი შემოვიდეს!

შენიშვნა: აბსოლუტური სუპერლატივის ზოგიერთი ფორმა დღეს უკვე ვითარების გარემოების ფუნქციით გამოიყენება:

- höchstens: Ich bleibe hier höchstens zwei Wochen. (აქ დიდი-დიდი ორი კვირა დავრჩე.)  
 aufs Höchste: Ich war aufs Höchste erstaunt. (საოცრად გაოცებული ვიყავი.)  
 bestens: Ich bin auf dieses Examen bestens vorbereitet. (ამ გამოცდისთვის საუკეთესოდ ვარ მომზადებული.)  
 aufs Beste: Ich schaffe alles aufs Beste. (ყველაფერს საუკეთესოდ მოვაგვარებ/გავაკეთებ.)  
 meistens: Ich sehe ihn meistens in der Bar „Hamburg“. (ყველაზე ხშირად მას ბარ „ჰამბურგში“ ვხედავ.)  
 mindestens: Dieses Kleid kostet mindestens 100 Mark. (ეს კაბა სულ ცოტა 100 მარკა ღირს.)  
 zumindest: Ich kann zumindest verlangen, dass ihr mich anhört. (სულ ცოტა ის მინც შეიძლება მოვითხოვო, რომ მომისმინოთ.)  
 wenigstens (იშვიათად): Du musst mir wenigstens 10 Mark leihen. (სულ ცოტა 10 მარკა მინც უნდა მასესხო!)  
 spätestens: Ich komme spätestens um 20 Uhr. (8 საათს არ გადავაცდენ.)

აბსოლუტური სუპერლატივიდან ნაწარმოებია აგრეთვე გამაძლიერებელი მნიშვნელობის მქონე შემდეგი ნაწილაკები:

- höchst: Das Buch ist höchst interessant. (ნივნი ძალზე/უზომოდ საინტერესოა.)  
 Du bist immer höchst elegant gekleidet. (შენ მუდამ საოცრად ელეგანტურად გაცვია.)  
 äußerst: Günter ist äußerst schlau. (გიუნტერი უაღრესად ეშმაკია.)  
 möglichst: Fassen Sie sich bitte möglichst kurz! (რაც შეიძლება მოკლედ ბრძანეთ!)

## 2. სავარჯიშოები

1-1.2 დავალება 1. ჩასვით ფრჩხილებში მოცემული სიტყვები სათანადო ხარისხის ფორმით (პარადიგმა *klein – kleiner – kleinst-*):

- (1) – Oh, du hast aber eine schöne Bibliothek!  
– Habe ich (*viel*) Bücher als du? – Aber sicher!
- (2) – Wer ist der (*schnell*) Läufer des Tages?  
– Der Österreicher Peter Brunner.
- (3) – Ist der Kaukasus das (*hoch*) Gebirge der Welt?  
– Nein, der Himalaja ist noch (*hoch*).
- (4) – Ist der Rhein der (*lang*) Fluss Europas?  
– Nein, die Donau ist (*lang*) als der Rhein.
- (5) – Kennst du deine Nachbarn?  
– Nein, ich kenne sogar meine (*nah*) Nachbarn nicht. Und du?  
– Ich? Weißt du, ich komme aus einem Dorf, und in (*klein*) Orten kennt man sich  
viel (*gut*) als in den Städten.  
– Wohnst du eigentlich gern auf dem Dorf?  
– Ja, viel (*gern*) als in der Stadt. Die Luft ist dort (*sauber*), der Sommer ist (*kühl*), die Leute sind (*gesund*) und die jungen Leute sind etwas (*höflich*) als hier.
- (6) – Ich möchte ein deutsches Volksfest sehen.  
– Dann fahren Sie nach München zum Oktoberfest. Das ist das (*groß*) und (*schön*) Herbstfest mit (*viel*) als 2 Millionen Besuchern.
- (7) – Gehen wir mal ins Museum! Ich will dir die (*alt*) Uhr der Welt zeigen.  
– Die (*alt*) oder eine der (*alt*)?  
– Wahrscheinlich eine der (*alt*) Taschenuhren.
- (8) – Können Sie mir bitte den (*kurz*) Weg zum Stadtzentrum zeigen?  
– Tut mir Leid, aber ich bin Taxifahrer.
- (9) – Wir bestellen eine Flasche französischen Wein, oder?  
– Ach was, das ist viel zu teuer. Ich habe nicht so (*viel*) Geld.  
– Manchmal habe ich halb so viel wie du, aber trotzdem trinke ich nur die (*gut*) Weine.
- (10) – Kaufst du immer dieses Abendblatt?  
– Ja, es ist die (*interessant*) Zeitung von allen.
- (11) – Wohin fährst du eigentlich?  
– In eine der (*schön*) Städte der Welt.  
– Nach Rom?  
– Nein, nach Paris.
- (12) – Wem gehören alle diese Bücher?

- Meinem Onkel. Er ist der (*intelligent*) von uns allen.
- (13) – Ich esse furchtbar gern Süßigkeiten.  
– Deswegen wirst du immer (*dick*).
- (14) – Was willst du studieren?  
– Ich kann überhaupt nicht studieren, ich muss arbeiten und Geld verdienen.  
– Kann dein Onkel das Studium nicht finanzieren? Er ist doch der (*reich*) Mann in der Stadt.
- (15) – Wie heißt der (*breit*) Wasserfall der Welt?  
– Ich weiß nicht. Frag Helmut! Er ist in Geographie viel (*gut*) als ich.
- (16) – Wer ist zur Zeit der (*gut*) Tennisspieler der Welt?  
– Keine Ahnung. Ich weiß nur, wer der (*schnell*) Schwimmer ist.
- (17) – Wie heißt der Wagen da?  
– Rolls-Royce. Das ist eines der (*teuer*) Autos der Welt.
- (18) – Gefällt Ihnen der Rock hier?  
– Ja, der gefällt mir ganz gut, aber ich möchte einen noch (*kurz*) haben.

🔑 1-1.2 დავალება 2. თარგმნეთ:

- |  |   |
|--|---|
| (1) – სასწრაფოდ მჭირდება ფული!                 | (2) – ვილაც გიცდის.                               |
| – მოზრდილი თანხა?                              | – ვინ? შუახნის ქალი?                              |
| – კი, ფორდი მინდა ვიყიდო.                      | – არა, შუახნის კაცი.                              |
| (3) – თქვენს უფროს ქალიშვილს თინა ჰქვია, არა?  | (4) – ეს ერთ-ერთი უძველესი ეკლესიაა საქართველოში. |
| – არა, თინა ჩემს უმცროსს ჰქვია.                | – შევიდეთ შიგნით?                                 |
| (5) – მე მინდა ოთახი აბაზანით.                 | (6) – რას ყიდულობ?                                |
| – 100 მარკა ღირს.                              | – წლის საუკეთესო წიგნს.                           |
| – რა ძვირია!                                   | (7) – როდის ჩამოდის შენი ძმა ბერლინში?            |
| – ვწუხვარ, მაგრამ, უფრო იაფი ოთახი არა გვაქვს. | – მომავალ წელს.                                   |
| – სად არის აქ უახლოესი სასტუმრო?               | (8) – შორსაა სოფელი?                              |
| – სამი სახლის შემდეგ.                          | – კი, მაგრამ მე უმოკლესი გზა ვიცი.                |

დავალება 3. ჩასვით სუპერლატივიდან ნაწარმოები ზმნიზედები:

- (1) – Ich muss \_\_\_\_\_ zum Bahnhof.  
– Dann nimm ein Taxi!
- (2) – Warum schreibst du mir keine Briefe?  
– Ach, Mutti! Für Briefe habe ich wirklich keine Zeit.  
– Dann schreib \_\_\_\_\_ eine Postkarte!
- (3) – Wann ist mein Auto fertig?  
– Tut mir Leid, aber so schnell geht das nicht. Sie müssen noch \_\_\_\_\_

drei Tage warten.

- (4) – Wann ist der Brief denn in Tokio?  
– \_\_\_ in einer Woche.
- (5) – Was bezahlen Sie für diesen Mercedes?  
– \_\_\_ 1000 Mark. Der Wagen ist ja uralt.
- (6) – Wie geht es dir?  
– \_\_\_ .
- (7) – Lernt Hänschen gut?  
– Sehr gut. Er ist \_\_\_ begabt.
- (8) – Wie lange bleibst du denn hier?  
– \_\_\_ eine Woche, aber \_\_\_ einen Monat.

*besten, spätestens, mindestens, schnellstens, wenigstens, höchstens, äußerst*

დავალება 4. გაეცით ვრცელი პასუხი შემდეგ ორ შეკითხვას (იხ. ნიმუში პასუხებში):

- Warum kochen Frauen besser als Männer?
- Kochen Frauen wirklich besser als Männer?

## თემა 34

- 1 არსებითი სახელის განსაზღვრა რიცხვითი სახელით
- 1.1 რიგობითი რიცხვითი სახელის წარმოება და ჩართვა არსებითი სახელის ჯგუფში
- 1.2 *ein/eine* რაოდენობითი რიცხვითი სახელის ხმარება მსაზღვრელის ფუნქციით
- 2 საგნის დახასიათება მიმლეობით
- 2.1 არსებითი სახელის განსაზღვრა მიმლეობა II-ით (*das Partizip II*)
- 2.2 მიმლეობა I-ის (*das Partizip I*) წარმოება და ხმარება
- 3 ატრიბუტული ლექსიკის გაარსებითება
- 4 სავარჯიშოები

### 1 არსებითი სახელის განსაზღვრა რიცხვითი სახელით

არსებითი სახელის განსაზღვრა, ზედსართავი სახელის გარდა, შესაძლებელია ატრიბუტული ფუნქციის მქონე სხვა მეტყველების ნაწილებითაც. ერთ-ერთი მათგანია რიგობითი რიცხვითი სახელი, რომელიც საგნის რიგს აღნიშნავს.

#### 1.1 რიგობითი რიცხვითი სახელის წარმოება და ჩართვა არსებითი სახელის ჯგუფში

გერმანულ ენაში რიგობითი რიცხვითი სახელები (*Ordnungszahlen*) იწარმოება რაოდენობითისაგან სუფიქსების საშუალებით: 2-დან 19-მდე ისინი დაირთავენ *-t* სუფიქსს, ხოლო 20-დან *-st*-ს. ამასთან რიგობითი რიცხვითი სახელი ჩვეულებრივ სამწევრა სახელური ჯგუფის ნევრია და უმრავლეს შემთხვევაში განსაზღვრული არტიკლით იხმარება. ამიტომ მის წარმოებაში არტიკლიც მონაწილეობს:

1	der, die, das	<b>erste</b> <sup>1</sup>	(der erste Mai)
2	der, die, das	<b>zweite</b>	(die zweite Schülerin)
3	der, die, das	<b>dritte</b>	(das dritte Haus)
4	der, die, das	<b>vierte</b>	(der vierte Roman)
7	der, die, das	<b>siebente (= siebte)</b>	(das siebte Kreuz)
8	der, die, das	<b>achte</b>	(die achte Übung)
10	der, die, das	<b>zehnte</b>	(der zehnte Patient)
15	der, die, das	<b>fünfzehnte</b>	(der fünfzehnte Paragraph)
20	der, die, das	<b>zwanzigste</b>	(die zwanzigste Seite)
31	der, die, das	<b>einunddreißigste</b>	(der einunddreißigste Soldat)
100	der, die, das	<b>hundertste</b>	(das hundertste Auto)
1.000	der, die, das	<b>tausendste</b>	(der tausendste Tourist)

1 ხაზგასმული ფორმები წესიდან გადახვევით იწარმოება.

რიგობითი რიცხვითი სახელი იბრუნვის ისევე, როგორც ზედსართავი სახელი:

	მამრ.	მხოლ. მდედრ.	საშ.
N.	der erste Student	die dritte Seite	das erste Semester
Akk.	den ersten Studenten	die dritte Seite	das erste Semester
D.	dem ersten Studenten	der dritten Seite	dem ersten Semester
G.	des ersten Studenten	der dritten Seite	des ersten Semesters

	მრავლ.
N.	die ersten Blumen
Akk.	die ersten Blumen
D.	den ersten Blumen
G.	der ersten Blumen

რიგობით რიცხვით სახელს შეიძლება წინ უძღოდეს განუსაზღვრელი არტიკლი ან ნაცვალსახელი. ამ შემთხვევაშიც მის ფორმას პარამონიის პრინციპი განსაზღვრავს:

unser vierter Sohn sein drittes Kind ein zweites Haus

ხოლო უარტიკლოდ ხმარებისას, ასევე ზედსართავი სახელის ანალოგიით, თვითონ რიცხვითი სახელი გამოხატავს გრამატიკულ მნიშვნელობებს:

- Er hat als erster Lehrer seine Schüler gesiezt.
- Er ist als erstes Kind mit zwei Jahren in den Kindergarten gekommen.

ნიმუშები:

- Heute ist der zehnte April. (დღეს ათი აპრილია.)
- – Wie komme ich zur Post? (– ვერ მიმასწავლით ფოსტას?)
- Gehen Sie geradeaus, dann die dritte Straße links. (– ნაბრძანდით პირდაპირ, შემდეგ შეუხვით მარცხნივ მესამე ქუჩაზე!)
- Das Büro der Firma Müller & Co. befindet sich im zweiten Stock<sup>1</sup>. (ფირმის „მიულერი და კომპანია“ ბიურო მესამე სართულზეა.)
- Das war mein erstes Examen. (ეს ჩემი პირველი გამოცდა იყო.)
- Ich möchte ein zweites Auto kaufen. (მეორე მანქანის ყიდვა მინდა.)
- Sie arbeitet schon mit ihrem dritten Chef. (ის უკვე მესამე შეფთან მუშაობს.)
- Paula geht in die vierte Klasse. (პაულა მეოთხე კლასშია.)
- Ulrike ist im fünften Semester. (ულრიკე მეხუთე სემესტრს გადის.)
- Den ersten Platz hat Klara Stock belegt. (პირველი ადგილი კლარა შტოკმა დაიკავა.)
- Er kommt jeden zweiten Tag zu mir. (ის ყოველ მეორე დღეს მოდის ჩემთან.)
- Ich sehe Sie heute zum ersten Mal. (მე თქვენ დღეს პირველად გხედავთ.)
- In der zehnten Klasse sind 20 Schüler. (მეათე კლასში 20 მოსწავლეა.)

<sup>1</sup> სართულების ათვლის ნერტილი გერმანულში, ქართულისგან განსხვავებით, მეორეა: das Erdgeschoss – პირველი სართული; der erste Stock – მეორე სართული, და ა.შ.

- Köln steht an vierter Stelle der Großstädte in Deutschland. (კიოლნი გერმანიის ქალაქებს შორის სიდიდით მეოთხე ადგილზეა.)
- Bis zu meinem zehnten Lebensjahr konnte ich nicht lesen. (ათ წლამდე კითხვა არ ვიცოდი.)
- Ich habe eine Fahrkarte für die erste Klasse. (პირველი კლასის ბილეთი მაქვს.)
- Ich reise immer erster Klasse.(= erste Klasse /იშვიათად/) (მუდამ პირველი კლასით ვმგზავრობ.)
- Das ist ein Abteil zweiter Klasse. (ეს მეორე კლასის კუპეა.)

შენიშვნა: სასაუბრო გერმანულში არსებითი სახელის განმსაზღვრელ რიგობით რიცხვით სახელს შეიძლება შეენაცვლოს რაოდენობითი, რომელიც ციფრით იწერება:

- Das steht auf der zehnten Seite. = Das steht auf Seite 10.
- Ich gehe in die achte Klasse. = Ich bin in Klasse 8.

აგრეთვე:

- Zum Bahnhof fährt die Linie 8. ➤ Die Vorlesung findet in Raum 7 statt.
- Der Zug fährt von Gleis 3. ➤ Ich möchte einen schwarzen Anzug, Größe 50.
- Ich suche Schuhe in Größe 6.

ამ ფორმას უპირატესობა ენიჭება განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რიცხვითი სახელი რთული სიტყვაა:

- Lesen Sie das Gedicht auf Seite 141! (და არა: auf der hunderteinundvierzigsten Seite)

თუ რიგობით რიცხვით სახელს ციფრებით დავწერთ, მას წერტილი უნდა მივუწეროთ:

der 1. Mai = der erste Mai

der 8. Oktober = der achte Oktober

Montag, der 15. November = Montag, der fünfzehnte November

das 20. Jahrhundert = das zwanzigste Jahrhundert

im 19. Jahrhundert = im neunzehnten Jahrhundert

am 3. September = am dritten September

შესაძლებელია რიცხვის, თვის, წლის ციფრებით გამოსატყვაც:

am 6. 8. 1996 = am sechsten achten neunzehnhundertsechsunneunzig

5. 4. = der fünfte vierte

am Freitag, den 12. = am Freitag, den zwölften

წერილის თავში მიღებულია ამგვარი დათარიღება:

Berlin, den 11. 1. 1997 (იკითხება: den elften ersten ...)

Berlin, 11. 1. 1997 (იკითხება: den elften ersten ... ან: am elften ersten ...)

რიგობითი რიცხვითი სახელები სხვადასხვა შეკითხვაზე მიუგებენ:

- welcher/welche/welches:

- In welchem Stock wohnen Sie? – Im sechsten.

- **Welches Datum** haben wir heute? – Heute ist Dienstag, der neunte Mai.
- – **In welche Klasse** gehst du? – In die zehnte.
- **wann?**
  - – **Wann** kommen Sie nach Trier? – Am fünften Juli./Am Freitag, dem fünften Juli.
- **der Wievielte?** (ეს ფორმა აღნიშნავს მხოლოდ თარიღს.)
  - – **Der Wievielte** ist heute? – Heute ist der dritte (September).
  - – **Den Wievielten** haben wir heute? – Heute haben wir den dritten (September).
  - – **Am Wievielten** ist die Party bei Bergs? – Am zehnten Mai.

რიგობითი რიცხვითი სახელის მოკლე ფორმა იხმარება აგრეთვე **zu** ნაწილაკთან:

- **Wir gehen immer zu zweit** spazieren. (ჩვენ მუდამ ორნი ვსეირნობთ.)
- **Sie arbeiten zu viert.** (ისინი ოთხ-ოთხნი მუშაობენ.)
- **Zu sechst** kann ich euch nicht mitnehmen. (ექვსივეს ვერ წაგიყვანთ.)

რიგობით რიცხვით სახელზე **-tel** (ოცამდე) და **-stel** (ოცის შემდეგ) სუფიქსების დართვით იწარმოება წილობითი რიცხვითი სახელები:

- 1/3 – ein Drittel      3/100 – drei Hundertstel  
 1/4 – ein Viertel      7/1000 – sieben Tausendstel  
 3/8 – drei Achtel

აგრეთვე:

- Ich gebe ein Drittel meines Gehalts für die Miete aus.
- Ein Achtel der Studenten sind (= ist) Ausländer.

არსებით სახელთან ერთად ორი ვარიანტი გვხვდება:

- 3/4 Stunden = eine Dreiviertelstunde      2 1/3 Kilo = zwei eindrittel Kilo

1/2 აღნიშნება როგორც ein halb.

აგრეთვე:

- 1 1/2 Stunden = eineinhalb/anderthalb Stunden  
 2 1/2 Jahre = zweieinhalb Jahre  
 4 1/2 Kilometer = viereinhalb Kilometer

რიგობითი რიცხვითი სახელი მონაწილეობს აგრეთვე რთული სუპერლატივის წარმოქმნაში:

- Das ist die zweitgrößte Stadt Europas. (ეს სიდიდით მეორე ქალაქია ევროპაში.)
- Das ist der dritthöchste Berg Georgiens. (ეს სიმაღლით მესამე მთაა საქართველოში.)
- Für meinen Aufsatz habe ich die zweitbeste Note bekommen. (თხზულებაში „კარგი“ /ე.ი. ფრიადის მომდევნო ნიშანი/ მივიღე.)

რიგობითი რიცხვითი სახელისაგანაა ნაწარმოები შემდეგი ზმნიზედები: *erstens, zweitens, drittens, viertens ...* (ჯერ ერთი, მეორეც, მესამეც, მეოთხეც ...)

ნიმუში:

- – Ich fahre ans Meer.
- Brauchst du was?
- Allerdings. **Erstens** brauche ich einen neuen Badeanzug, **zweitens** einen Sonnenschirm und **drittens** einen großen Koffer.

### 1.2 ein/eine როდენობითი რიცხვითი სახელის ხმარება მსაზღვრელის ფუნქციით

რიცხვითი სახელი **eins** (ein/eine ფორმით) შეიძლება შედიოდეს არსებითი სახელის ჯგუფში როგორც განსაზღვრება. ასეთ შემთხვევაში მას წინ განსაზღვრული არტიკლი (იშვიათად ნაცვალსახელი) უძღვის. მას წინადადებაში ხშირად უპირისპირდება **ander-**ნაცვალსახელი. ამგვარი ხმარებისას ორივეს ზედსართავი სახელის დაბოლოებები აქვს:

- Ich habe **das eine** Streichholz in der Hand, **das andere** liegt auf dem Tisch. (ასანთის ერთი ღერი ხელში მიჭირავს, მეორე კი მაგიდაზე დევს.)
- Ich halte **mit der einen** Hand die Kerze, **mit der anderen** öffne ich die Tür. (ერთი ხელით სანთელი მიჭირავს, მეორეთი კარს ვაღებ.)

### 2 საგნის დასახიათება მიმღობით

მიმღობა განეკუთვნება სახელზმნებს, ანუ ისეთ ფორმებს, რომლებიც ნაწარმოებია ზმნი-საგან, მაგრამ წინადადებაში ზედსართავი სახელის ან ზმნიზედის ფუნქციას ასრულებენ.

მიმღობის კავშირი ზმნასთან ვლინდება იმაში, რომ იგი ინარჩუნებს – ცხადია, მის-თვის დამახასიათებელი სახით – ზმნის ისეთ კატეგორიებს, როგორიცაა დრო და გვარი. *მოპარული ვაშლი* არის ვაშლი, რომელიც მოიპარეს იქამდე, ვიდრე მასზე სიტყვა ჩამო-ვარდებოდა (წარსული დროის მნიშვნელობა). *მოსაპარი ვაშლი* არის ვაშლი, რომელიც უნდა მოიპარონ მას შემდეგ, რაც იგი საუბრის თემად იქცა (*მომავალი დროის მნიშვნე-ლობა*). *დანერილი* არის ის, რაც ვინმემ დაწერა (*ვნებითი გვარი*), ხოლო *დამწერი* არის ის, ვინც თვითონ დაწერა რამე (*მოქმედებითი გვარი*).

მიმღობას წინადადებაში სრულიად განსაკუთრებული ფუნქცია აქვს – იგი გადმოს-ცემს მეორე, ძირითად მოქმედებაზე კომუნიკაციური თვალსაზრისით ნაკლებად მნიშ-ვნელოვან მოქმედებას **შეკუმშულად** – არა წინადადების (ქვემდებარე-შემასმენელი), არამედ მორფოლოგიური ფორმის სახით. ამდენად მარტივი წინადადება, რომელიც მიმ-ღობას შეიცავს, კიდევ ერთ დამატებით ქმედებას გულისხმობს:

*ბავშვები მოპარულ ვაშლს ჭამენ.*

პირველი მოქმედება: *ბავშვებმა ვაშლი მოიპარეს.*

მეორე მოქმედება: *ბავშვები ვაშლს ჭამენ.*

იგივე შინაარსი, ცხადია, სხვაგვარადაც შეიძლება გამოვხატოთ:

- ბავშვებმა ვაშლი მოიპარეს, ახლა კი ჭამენ მას.
- ბავშვები ჭამენ ვაშლს, რომელიც მათ მოიპარეს.

მაგრამ, როგორც ვხედავთ, პირველი წინადადება უფრო მოკლე, მოქნილი და ტყევა-ღია. სწორედ ამიტომ მიმღეობები უხვად გვხვდება ტექსტებში, სადაც საჭიროა სათქმელის მაქსიმალური შეკუმშვა (რეკლამა, ინსტრუქცია, განცხადება, საინფორმაციო ცნობა და მისთ.).

ამდენად მიმღეობის შესწავლით ჩვენ გავეცნობით წინადადების შინაარსობრივი სტრუქტურის გაღრმავების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებას.

## 2.1 არსებითი სახელის განსაზღვრა მიმღეობა II-ით (*das Partizip II*)

ჩვენ შევისწავლეთ მიმღეობა II-ის ფორმების წარმოება და მისი ხმარება წინადადების ორ მოდელში, სადაც იგი ზედსართავი სახელის ან ზმნიზედის ფუნქციას ასრულებს:

- ქვემდებარე – შედგენილი შემასმენელი:
  - Das Auto ist gebraucht.                      ➢ – Ich möchte zu Frau Dr. Meier.
  - Er ist beim Standesamt angestellt.        – Sind Sie angemeldet?
- ქვემდებარე – შემასმენელი – ვითარების გარემოება:
  - Jeden Abend kommt mein Mann aufgeregt nach Hause.

ამის გარდა მიმღეობა II შეიძლება ჩაერთოს არსებითი სახელის ჯგუფში. ასეთ შემთხვევაში მისი ფორმები მთლიანად ემთხვევა ზედსართავი სახელის პარადიგმის ფორმებს:

der angekommene Gast	(ჩამოსული სტუმარი)
das gebrauchte Auto	(ნახმარი მანქანა)
die erstaunte Frau	(განცვიფრებული ქალი)

აგრეთვე:

ein erschrockenes Kind	mein gebrauchter Wagen
------------------------	------------------------

ბრუნების პარადიგმის ნიმუში:

N. das gebrauchte Auto	die gebrauchten Autos
Akk. das gebrauchte Auto	die gebrauchten Autos
D. dem gebrauchten Auto	den gebrauchten Autos
G. des gebrauchten Autos	der gebrauchten Autos

მიმღეობა II-ს არსებითი სახელის ჯგუფის შემადგენლობაში ორი ძირითადი გრამატიკული მნიშვნელობა აქვს:

1) იგი აღნიშნავს დასრულებულ მოქმედებას:

der verfilmte Roman	(ეკრანიზებული რომანი)
die gefundene Tasche	(ნაპოენი ჩანთა)

2) მის ამა თუ იმ არსებით სახელთან დაკავშირებას განსაზღვრავს ამოსავალი ზმნის გარდამავლობა – გარდაუვალობა, კერძოდ:

• თუ ზმნა გარდაუვალია, მისგან ნაწარმოებ მიმღეობა II-ს აქტიური მნიშვნელობა აქვს და იგი უკავშირდება არსებით სახელს, რომელიც მოქმედ პირს (ე.წ. აგენსს) აღნიშნავს:  
 der **angekommene** Gast (ჩამოსული სტუმარი)  
 die **abgereiste** Delegation (გამგზავრებული დელეგაცია)

აგრეთვე:

Frau **Anna Heller**, geborene **Schwarz** (ქალბატონი ანა შვარც-შელერი)  
 Sie ist eine geborene **Schmidt**. (მისი ქალიშვილობის გვარია შმიდტი.)

• თუ ზმნა გარდამავალია, მისგან ნაწარმოებ მიმღეობა II-ს პასიური მნიშვნელობა აქვს და იგი უკავშირდება არსებით სახელს, რომელიც ე.წ. პაციენს ანუ მოქმედების საგანს (პირს) აღნიშნავს:

der **geschriebene** Brief (დანერილი წერილი)  
 das **zerbrochene** Glas (გატეხილი ჭიქა)  
 die **wiederaufgeführte** Oper (ხელახლა დადგმული ოპერა)

სწორედ ამიტომ არსებითი სახელის ჯგუფში ზოგჯერ კონკრეტდება ისიც, ვინც უშუალოდ ასრულებს მოქმედებას:

der **von mir** geschriebene Brief (ჩემს მიერ დანერილი წერილი)  
 das **von meiner Schwester** zerbrochene Glas (ჩემი დის მიერ გატეხილი ჭიქა)

სხვა შემთხვევაში მიმღეობას შეიძლება ახლდეს დროის, ადგილის და ა.შ. დაკონკრეტება, რომელიც არტიკლსა და მიმღეობას შორის თავსდება:

die **im 15. Jh.** erbaute Kirche (მე-15 საუკუნეში აგებული ეკლესია)  
 die **im Krieg** zerstörte Stadt (ომში დანგრეული ქალაქი)  
 der **schlecht** gedruckte Text (ცუდად დაბეჭდილი ტექსტი)  
 der **beim Publikum** beliebte Filmstar (მაცურებლის საყვარელი კინოვარსკვლავი)

მიმღეობა და მისი დამაკონკრეტებელი სიტყვა შეიძლება არსებითი სახელის დანართის სახითაც შეგვხვდეს:

➤ Die Kirche, **im 15. Jahrhundert erbaut**, steht heute noch.

ზოგჯერ მიმღეობა და დამაკონკრეტებელი სიტყვა რთულ სიტყვად ერთიანდება:

➤ Um den Altmarkt sehen wir **reicherzierte** Barockhäuser. (ძველი მოედნის ირგვლივ ბაროკოს სტილის დეტალებით უხვად დამშვენებულ სახლებს ვხედავთ.)

იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება მიმღეობა II-ის შედარების ხარისხები:

➤ Er ist **gebildeter** als ich.

მიმღეობა II-ს აქვს ერთი სპეციფიკური ფუნქცია: **kommen**, **stehen**, **bekommen**/**kriegen** ზმნებთან ერთად იგი მათ მიერ გამოხატული მოქმედების შესრულების რაგვარობას აზუსტებს:

- **Das steht in diesem Buch geschrieben.** (ეს ამ წიგნში წერია.)
- **Ich kaufe nie Blumen, ich kriege sie geschenkt.** (ყვავეილებს არ ვყიდულობ, მათ საჩუქრად ვიღებ ხოლმე.)
- **Was hast du geschenkt bekommen?** (რა მიიღე საჩუქრად?)
- **Wer kommt da gelaufen?** (ვინ მორბის ჩვენკენ?)

## 2.2 მიმლეობა I-ის (das Partizip I) წარმოება და ხმარება

მიმლეობა I შეიძლება ვანარმოთ პრაქტიკულად ყველა ზმნის ინფინიტივისაგან -**d** სუფიქსის დართვით: *singen – singend, schreiben – schreibend, schlafen – schlafend* და ა.შ. მიმლეობა I წინადადებაში მიმლეობა II-ის ანალოგიურ ფუნქციებს ასრულებს, მაგრამ მას განსხვავებული გრამატიკული მნიშვნელობა აქვს:

- მიმლეობა I მოქმედებითი გვარის მიმლეობაა, ანუ მოქმედებას, რომელსაც იგი გულისხმობს, მუდამ მოქმედი პირი (აგენსი) ასრულებს:
  - **Das Kind kommt weinend heim.** (ბავშვი ტირილით მოდის შინ.)
  - **Sie hat das schlafende Kind aufs Bett gelegt.** (მან მძინარე ბავშვი საწოლზე დააწვინა.)
- მიმლეობა I-ით ნაგულისხმევი მოქმედების დრო, როგორც წესი, შემასმენელით გამოხატულ დროს ემთხვევა:
  - **Die hin- und herlaufenden Touristen gehen mir auf die Nerven.** (ტურისტები, აქეთ-იქით რომ მირბი-მორბიან, ნერვებს მიშლიან.)
  - **Das Geschäft ist durchgehend geöffnet.** (მაღაზია მთელი დღე ღიაა.)

აგრეთვე გადატანითი მნიშვნელობით:

- **Hier ist das Programm für das laufende Jahr.** (ეს მიმდინარე წლის პროგრამაა.)
- **Wir sehen uns am kommenden Wochenende.** (ერთმანეთს იმ /≠მომავალ/ შაბათ-კვირას ვნახავთ.)

ამდენად მიმლეობა I-ისა და მიმლეობა II-ის დაპირისპირება ორი გრამატიკული მნიშვნელობის მიხედვით ხდება:

**ankommend – angekommen** (შემასმენლის გრამატიკული დროის პარალელურად მიმდინარე – დასრულებული)

**liebend – geliebt** (მოქმედებითი – ვნებითი)

**singend – gesungen** (შემასმენლის გრამატიკული დროის პარალელურად მიმდინარე – დასრულებული; მოქმედებითი – ვნებითი)

ამრიგად:

**der beißende Hund**      ძალღი, რომელიც იკბინება  
**der gebissene Hund**    დაკბენილი ძალღი

der fragende Student სტუდენტი, რომელიც კითხვებს სვამს

der gefragte Student სტუდენტი, რომელსაც კითხვები დაუსვეს

ვინაიდან ქართულში ანმყოს მიმღეობა ყველა ზმნისგან არ იწარმოება, მიმღეობა I-ის შემცველი წინადადება ხშირად რთული, ზოგჯერ კი ორი წინადადებით გადმოდის, სადაც გერმანული მიმღეობით ნაგულისხმევი მოქმედება ზმნის პირიანი ფორმით გადმოიცემა:

➤ Die um Hilfe bittende Frau war blind. ქალი, რომელიც დახმარებას ითხოვდა, ბრმა იყო.

ხოლო რაც შეეხება ვითარების გარემოების ფუნქციით ნახმარ მიმღეობა I-ს, იგი ქართულად არსებითი სახელის მოქმედებითი ბრუნვით ითარგმნება:

➤ Die Kinder gehen heute singend durch die Straßen. ბავშვები დღეს სიმღერით მიუყვებიან ქუჩას.

ზოგჯერ ქართული ასეთ შემთხვევაში ფორმის გაორმაგებას მიმართავს:

➤ Lachend sind wir in den Saal getreten. დარბაზში სიცილ-სიცილით შევედით.

მიმღეობა I არსებითი სახელის ჯგუფის შემადგენლობაში ისევე იბრუნვის, როგორც ზედსართავი სახელი.

ნიმუში:

მხოლ.

მრავლ.

N.	der lachende Junge	die lachenden Jungen	lachende Jungen
Akk.	den lachenden Jungen	die lachenden Jungen	lachende Jungen
D.	dem lachenden Jungen	den lachenden Jungen	lachenden Jungen
G.	des lachenden Jungen	der lachenden Jungen	lachender Jungen

აგრეთვე: *ein singendes Kind, deine reizende Schwester, dieses tanzende Mädchen*

მიმღეობა I-ის შემთხვევაში შესაძლებელია არსებითი სახელის ჯგუფში დამაკონკრეტებელი წევრების ჩართვა:

das laut schreiende Mädchen	(გოგონა, რომელიც ხმამაღლა ყვირის)
der an die Unfallstelle eilende Polizist	(პოლიციელი, რომელიც შემთხვევის ადგილზე მიიჭქარის)

ხშირად დაკონკრეტების ფუნქციას რთული მიმღეობა ასრულებს:

- Mit ohrenbetäubendem Geschrei sind die Kinder ins Zimmer gestürmt. (ბავშვები გამაყრუებელი ყვირილით შეცვივდნენ ოთახში.)
- Hole mir bitte die Zeitung von heute und den daraufliegenden Brief aus der Küche! (მომიტანე სამზარეულოდან დღევანდელი გაზეთი და წერილი, ზემოდან რომ დევს!)

მიმღეობა I, თუ ამის საშუალებას სიტყვის შინაარსი იძლევა, შედარების ხარისხებსაც აწარმოებს:

➤ Maria ist reizender als Sabine. (მარია საბინაზე უფრო მომხიბლავია.)

- Sie ist das reizendste Mädchen in unserer Gruppe. (ის ჩვენს ჯგუფში ყველაზე მომხიბლავია.)
- Das ist eines der bedeutendsten Architekturdenkmäler des 18. Jahrhunderts. (ეს მე-18 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლია.)

### 3 ატრიბუტული ლექსიკის გაარსებითება

ატრიბუტული სიტყვა (ზედსართავი სახელი, მიმღობა, რიგობითი რიცხვითი სახელი) შეიძლება არსებითი სახელის კატეგორიაში გადავიდეს. ასეთ შემთხვევაში ის ინარჩუნებენ იმ ფორმას, რომელიც მას აქვს არსებითი სახელის ჯგუფის პარადიგმაში:

der alte Mann → der Alte      ein arbeitsloser Mann → ein Arbeitsloser  
die arme Frau → die Arme      eine kranke Frau → eine Kranke

ამგვარადაა ნაწარმოები შემდეგი არსებითი სახელები:

მამრობითი სქესი	მდედრობითი სქესი
der Bekannte/ein Bekannter	die Bekannte/eine Bekannte
der Blonde/ein Blonder	die Blonde/eine Blonde
der Deutsche/ein Deutscher	die Deutsche/eine Deutsche
der Fremde/ein Fremder	die Fremde/eine Fremde
der Verwandte/ein Verwandter	die Verwandte/eine Verwandte
der Angeklagte/ein Angeklagter	die Angeklagte/eine Angeklagte
der Abwesende/ein Abwesender	die Abwesende/eine Abwesende
der Anwesende/ein Anwesender	die Anwesende/eine Anwesende
der Betrunkene/ein Betrunkener	die Betrunkene/eine Betrunkene
der Gefangene/ein Gefangener	die Gefangene/eine Gefangene
der Gelehrte/ein Gelehrter	die Gelehrte/eine Gelehrte
der Geschiedene/ein Geschiedener	die Geschiedene/eine Geschiedene
der Verheiratete/ein Verheirateter	die Verheiratete/eine Verheiratete
der Verletzte/ein Verletzter	die Verletzte/eine Verletzte
der Verliebte/ein Verliebter	die Verliebte/eine Verliebte
der Verlobte/ein Verlobter	die Verlobte/eine Verlobte
der Verstorbene/ein Verstorbener	die Verstorbene/eine Verstorbene
der Vorsitzende/ein Vorsitzender	die Vorsitzende/eine Vorsitzende

მაგრამ:

der Beamte/ein Beamter      die Beamtin/eine Beamtin

მრავლობით რიცხვში ვკეცნება შესაბამისად:

die Deutschen      ან: Deutsche (მაგრამ: Wir Deutschen)

die Bekannten      ან: Bekannte

die Verwandten	ან:	Verwandte
die Jugendlichen	ან:	Jugendliche
die Erwachsenen	ან:	Erwachsene

ნაცვალსახელებთან ერთად:

mein Verlobter	unsere Bekannten	diese Jugendlichen	viele Deutsche
dieser Angestellte	meine Lieben	alle Erwachsenen	zwei Blonde და ა.შ.

აბსტრაქტული ცნებების და ენების სახელები ჩვეულებრივ საშუალო სქესისაა:

das Äußere, das Interessante, das Gute, das Innere, das Ganze, das Besondere, das Deutsche, das Französische, das Englische.

აგრეთვე: ihr Äußeres, sein Inneres

შესაძლებელია აგრეთვე კომპარატივისა და სუპერლატივის გაარსებითება:

schlimm:	Das ist das Schlimmste.
	Das ist das Allerschlimmste.
schön:	Es gibt nichts Schöneres, als fernsehen.
	Ach, was gibt es Schöneres, als einen Hund zu haben!

ფერების გაარსებითებისას ორი ფორმა გვხვდება:

grün: das Grüne – das Grün	weiß: das Weiße – das Weiß
rot: das Rote – das Rot	blau: das Blaue – das Blau

- Ich suche ein Kleid in Grün.
- Er überquert die Straße bei Rot.
- Wir fahren ins Grüne.
- Er verspricht seiner Frau das Blaue vom Himmel.

ხშირად შეფასებითი ზედსართავებისაგან ნაწარმოებ აბსტრაქტულ არსებით სახელებს წინ უძღვის ნაცვალსახელები *alles, wenig, viel, etwas, nichts, genug, allerlei* და ა.შ. ასეთ შემთხვევაში, ჰარმონიის პრინციპის თანახმად, გაარსებითებული ზედსართავი სახელი იღებს სქესის მაჩვენებელს მაშინ, თუ ნაცვალსახელი მას არ გამოხატავს:

- Ich wünsche dir **alles Gute!** (ყოველივე კარგს გისურვებ!)
- Wir müssen **alles Mögliche** bedenken. (ყველა შესაძლებლობა უნდა აენონ-დაეწონოთ.)

მაგრამ:

- Er hat mir **viel Neues** erzählt. (მან ბევრი რამ ახალი მიაგმო.)
- Ich habe **nichts Interessantes** erfahren. (არაფერი საინტერესო არ გამოვიცა.)
- Wenn du heute Abend bei uns vorbeikommst, koche ich **was ganz Feines** für dich. (ამ საღამოს თუ შემომვილი, ძალიან გემრიელ რამეს მოგიმზადებ.)
- Kann ich im Kühlschrank **was Essbares** finden? (არის მაცივარში რამე საჭმელი?)

ამრიგად:

das Neue	და:	mehr Neues
alles Neue		etwas/was Neues

einiges Neue                    nichts Neues  
auf's Neue                    viel Neues და ა.შ.

ნომინატივისა და აკუსატივის გარდა, გვხვდება აგრეთვე დატივის ფორმა:

- Ich möchte gerne von **etwas Besonderem** sprechen.
- Er strebt ständig nach **etwas Neuem**.

პარმონიის პრინციპს ემორჩილება აგრეთვე გაარსებობული რიგობითი რიცხვითი სახელი:

- Morgen ist **der Zwanzigste**.
- Fritz ist **der Erste** in der Klasse.
- Die Prüfung ist am Freitag, **dem Dreizehnten**.

გაარსებობული ატრიბუტული სიტყვა ხშირად ტიტულების (განსაკუთრებით მეფეების) აღნიშვნას ახლავს. პარმონიის პრინციპი ამ შემთხვევაშიც დაცულია:

Karl der Große	Karl V. = Karl der Fünfte
Ludwig der Deutsche	Elisabeth I. = Elisabeth die Erste
	Peter I. = Peter der Erste

გაარსებობული ატრიბუტული სიტყვა ბრუნებისას ინარჩუნებს იმ პარადიგმას, რომელიც მას შესაბამის სახელურ ჯგუფში ჰქონდა:

მხოლ.

	მამრ.		მდედრ.
N.	der Kranke	ein Kranker	die Kranke
Akk.	den Kranken	einen Kranken	die Kranke
D.	dem Kranken	einem Kranken	der Kranken
G.	des Kranken	eines Kranken	der Kranken
			eine Kranke
			eine Kranke
			einer Kranken
			einer Kranken

საშ.

N.	das Gute	das Junge <sup>1</sup>	ein Junges
Akk.	das Gute	das Junge	ein Junges
D.	dem Guten	dem Jungen	einem Jungen
G.	des Guten	des Jungen	eines Jungen

მრავლ.

N.	die Kranken	Kranke	die Jungen	Junge
Akk.	die Kranken	Kranke	die Jungen	Junge
D.	den Kranken	Kranken	den Jungen	Jungen
G.	der Kranken	(Kranker)	der Jungen	(Junger)

1 როგორც ვხედავთ, der Junge (ბიჭი) უკვე გადასულია არსებით სახელთა სუსტ ბრუნებაში, ხოლო das Junge (ახალშობილი ცხოველი) ინარჩუნებს ზედსართავის პარადიგმას. შდრ. აგრეთვე: viele Jungen და viele Junge.

აგრეთვე:

N.	Karl der Erste	Elisabeth die Erste
Akk.	Karl den Ersten	Elisabeth die Erste
D.	Karl dem Ersten	Elisabeth der Ersten
G.	Karls des Ersten	Elisabeths der Ersten

ნიმუშები:

- |  |  |
|--|--|
| ➤ Ein Kranker darf nicht rauchen.  | (ავადმყოფმა სიგარეტი არ უნდა მოწიოს.)              |
| ➤ Sie sind Fremde unter Fremden.   | (ისინი უცხონი არიან უცხოთა შორის.)                 |
| ➤ Man kennt den Namen des Verletzten nicht.                              | (დაზარებულის გვარი უცნობია.)                       |
| ➤ Herr Fischer ist kein Deutscher.                                       | (ბატონი ფიშერი გერმანელი არ არის.)                 |
| ➤ Hat die Polizei den Verdächtigen verhaftet?                            | (დააპატიმრა პოლიციამ ეჭვმიტანილი?)                 |
| ➤ Das ist das Auto meines guten Bekannten.                               | (ეს ჩემი კარგი ნაცნობის მანქანაა.)                 |
| ➤ Grüßen Sie Ihre Lieben von mir!  | (მოკითხვა გადაეცით თქვენებს!)                      |
| ➤ Ich übersetze zur Zeit einen Roman aus dem Französischen ins Deutsche. | (ამჟამად რომანს ვთარგმნი ფრანგულიდან გერმანულად.)  |
| ➤ Ich muss dir etwas Wichtiges sagen.                                    | (რალაც მნიშვნელოვანი უნდა გითხრა.)                 |
| ➤ Ich wünsche Ihnen alles Gute zum Geburtstag!                           | (დაბადების დღეზე ყოველივე კარგს გისურვებთ!)        |
| ➤ Kochen Sie bitte etwas typisch Georgisches!                            | (გააკეთეთ სადილად რამე ქართული!)                   |
| ➤ Nimm das nicht so tragisch! Es gibt Schlimmeres im Leben.              | (ნუ განიცდი ასე ძალიან! ცხოვრებაში უარესიც ხდება.) |
| ➤ Unser Hund hat vier Junge bekommen.                                    | (ჩვენმა ძაღლმა ოთხი ლეკვი დაყარა.)                 |

შენიშვნა: როდესაც გაარსებითებულ ატრიბუტულ სიტყვას წინ ზედსართავი სახელით გამოხატული განსაზღვრება უძღვის, ისინი პარალელურად იბრუნვის:

der große Blonde ihr hübsches Äußeres ein alter Bekannter von mir

## 4 სავარჯიშოები

1 დავალება 1. აბრუნეთ:

*die erste Prüfung, der zweite Stock, das vierte Zimmer, unser drittes Kind*

დავალება 2. ნაიკითხეთ:

der 28. August

Sonntag, den 7. Januar

am 22. März

im 18. Jahrhundert

das 21. Jahrhundert

am 10. 7. 2001

Tbilissi, den 24. 2. 1997

Köln, 15. 10.

Dichter des 20. Jahrhunderts

1 დავალება 3. თარგმნეთ:

- |  |   |
|--|---|
| (1) – დღეს რა რიცხვია?<br>– დღეს თხუთმეტი დეკემბერია.  | (2) – მეორე ტექსტი წავიკითხო?<br>– არა, მესამე.   |
| (3) – როდის გაქვს პირველი გამოცდა?<br>– ორშაბათს, 16 ივნისს.   | (4) – პირველი კლასით წავიდე?<br>– არა, ამდენი ფული არა მაქვს.   |
| (5) – ამ სახლში ცხოვრობ?<br>– არა, მეორე სახლში მარჯვნივ.<br>– რომელ სართულზე?<br>– მეათეზე.                           | (6) – როდის არის კონფერენცია?<br>– ათში.<br>– ათ აპრილს?<br>– არა, ათ მაისს.  |
| (7) – თქვენი მესამე ბავშვი ჯერ ისევ ბაღში დადის?<br>– არა, უკვე მეორე კლასშია.   | (8) – მოგონს ლექსი?<br>– რამდენადმე. მესამე სტრიქონი, მაგალითად, საერთოდ არ მესმის.   |
| (9) – სად ვნახავ ამ წესს?<br>– გრამატიკის წიგნში, მეცხრე გვერდზე.  | (10) – ტექსტი წავიკითხო?<br>– არა, აღწერეთ სურათები ორას ოცდამეოთხე გვერდზე!  |
| (11) – უკაცრავად, რომელ სართულზეა ბანკი?<br>– მეორე სართულზე მარცხნივ.<br>– ფოსტა?<br>– აქვე პირველ სართულზე მარჯვნივ. | (12) – ჰამბურგი გერმანიის უდიდესი ქალაქია?<br>– არა, ჰამბურგი მეორე ადგილზეა სიდიდით, ყველაზე დიდი ქალაქი ბერლინია.<br>– მიუნხენი?<br>– მიუნხენი მესამე ადგილზეა. |
- *Wir haben ihm geholfen, das Auto in die Garage zu fahren.*
- *Ich habe meine Tochter geschickt, Obst und Gemüse zu kaufen.*

## 1.2 ინფინიტივის დაკავშირება პირიან ზმნასთან *zu* ნაწილაკით

პირიანი ზმნების დიდი ნაწილი მოითხოვს ინფინიტივს *zu* ნაწილაკთან ერთად:

- *Ich bitte dich zu schweigen.* (გთხოვ, გაჩუმდე.)
- *Ich hoffe, Sie in Berlin zu treffen.* (იმედი მაქვს, რომ ბერლინში შეგხვდებით.)

ინფინიტივი *zu*-თი ქმნის ინფინიტიურ ჯგუფს. მისი გამოყოფა მძიმით სავალდებულო არ არის.

თუ ინფინიტივი მოცილებადთავსართიანი ზმნაა, *zu* ნაწილაკი თავსართსა და საკუთარი ზმნას შორის თავსდება:

- *Ich erlaube dir aufzustehen.* (უფლებას გაძლევ, ადგე.)
- *Wir bitten Sie zuzuhören.* (გთხოვთ, მოგვისმინოთ.)

თუ მოცილებადი თავსართი პირიან ზმნას აქვს, მაშინ ორგვარი სიტყვათწყობაა შესაძლებელი:

- Es hört auf zu regnen. } (წვიმა იღებს.)
- Es hört zu regnen auf. }

თუ ინფინიტივი უკუქცევითი ზმნაა, მაშინ sich ნაცვალსახელის ფორმა შეესაბამება ინფინიტივით ნაგულისხმევ პირს:

- Ich verspreche dir, **mich** zu beeilen. (გპირდები, რომ ავჩქარდები.)
- Er bemüht sich, **sich** zu verstecken. (ის ცდილობს, დაიმალოს.)

პერფექტივი – იმისდა მიხედვით, ვრცელთა კონტექსტი თუ არა – ორი ვარიანტია მოსალოდნელი:

- Du hast mir **versprochen**, das zu tun. } (შენ შემპირდი, რომ ამას გააკეთებდი.)
- Du hast mir **das zu tun versprochen**. }
- Ich **habe versucht**, das Radio zu reparieren. } (ვცაადე რადიოს შეკეთება.)
- Ich **habe das Radio zu reparieren versucht**. }

ინფინიტიურ ვგუფში შეიძლება ჩაირთოს მოდალური ზმნაც. მაშინ იგი ინფინიტივის ფორმით წინადადების ბოლო ადგილს იკავებს, **ZU** ნაწილაკი კი მის წინ დგება:

- Ich bedaure sehr, aus meiner gemütlichen Wohnung ausziehen **zu müssen**. (ძალიან ვწუხვარ, რომ მიხდება ჩემი მყუდრო ბინიდან გადასვლა.)
- Ich habe heute vor, mir einen kranken Zahn ziehen **zu lassen**. (დღეს ვაპირებ კბილი ამოვიღო/ამოვალეზინო.)
- Es tut mir wahnsinnig Leid, Sie verlieren **zu müssen**. (საოცრად მიჭირს, რომ მიხდება თქვენი დაკარგვა.)

ზოგჯერ პირიან ზმნას დაზუსტების მიზნით ნაცვალსახელი ან ნაცვალსახელური ზმნიზედები ახლავს:

- Ich leide **darunter**, allein zu sein. (მიჭირს მარტო ყოფნა.)
- Ich denke oft **daran**, mir einen gebrauchten Wagen zu kaufen. (ხშირად ვფიქრობ იმაზე, რომ ვიყიდო ნახმარი მანქანა.)
- Warum zwingst du mich **dazu**, meine Heimat zu verlassen? (რატომ მიბიძგებ, რომ დავტოვო სამშობლო?)
- Ich lehne es ab, darüber zu diskutieren. (დისკუსიაზე უარს ვამბობ.)

ყველა იმ ზმნის ჩამოთვლა, რომლებიც გერმანულში ინფინიტივს **ZU** ნაწილაკთან ერთად მოითხოვენ, ცხადია, შეუძლებელია. მაგრამ თქვენ შეგიძლიათ შეადგინოთ ყველაზე გავრცელებული ზმნების ნუსხა:

anfangen: Fang an, den Brief vorzulesen! (დაიწყე წერილის კითხვა!)

auffordern:	Der Chef fordert mich auf, meine Meinung zu diesem Projekt offen zu sagen.	(უფროსი მაიძულებს/ითხოვს გულახდილად ვთქვა ჩემი მოსაზრება ამ პროექტის თაობაზე.)
aufhören:	Hör auf zu nörgeln!	(მორჩი ბუზღუნს!)
beabsichtigen:	Ich beabsichtige, eine Reise nach Südamerika zu machen.	(სამხრეთ ამერიკაში გამგზავრებას ვაპირებ.)
befehlen:	Der Polizist hat uns befohlen weiterzugehen.	(პოლიციელმა გვიბრძანა, გაგვეგრძელებინა გზა.)
behaupten:	Klaus behauptet, etwas von Computern zu verstehen.	(კლაუსი ირწმუნება, რომ ერკვევა კომპიუტერებში.)
bitten:	Ich bitte dich, noch ein bisschen aufzubleiben.	(გთხოვ, ცოტა ხანსაც იყო ფეხზე.)
drohen:	Er hat gedroht, die Rechnung nicht zu bezahlen.	(ის დაიმუქრა, რომ ანგარიშს არ გაასწორებდა.)
empfehlen:	Ich empfehle dir, diesen Film zu sehen.	(გირჩევ, ნახო ეს ფილმი.)
entscheiden:	Wir haben uns entschieden, am Konzert teilzunehmen.	(გადავწყვიტეთ, მივიღოთ მონაწილეობა კონცერტში.)
sich entschließen:	Ich habe mich endlich dazu entschlossen, dieses Angebot anzunehmen.	(ბოლოს და ბოლოს გადავწყვიტე, მიმეღო ეს წინადადება.)
erlauben:	Mein Vater hat mir erlaubt, sonntags sein Auto zu benutzen.	(მამამ ნება მომცა, კვირაობით მისი მანქანი ვისარგებლო.)
sich freuen:	Ich freue mich, Sie kennen zu lernen.	(მიხარია თქვენი გაცნობა.)
sich gewöhnen:	Ich kann mich nicht daran gewöhnen, mein Zimmer jeden Tag aufzuräumen.	(ვერ შევეჩვიე ყოველ დღე ჩემი ოთახის დალაგებას.)
hoffen:	Ich hoffe, Ende Mai nach Indien reisen zu können.	(იმედი მაქვს, რომ მაისის ბოლოს ინდოეთში შევძლებ ნასვლას.)
kosten:	Es kostet viel Zeit, die Wohnung nach einer Party aufzuräumen.	(წვეულების შემდეგ ბინის დალაგება ბევრ დროს მოითხოვს.)
es lohnt sich:	Es lohnt sich nicht, dieses Haus zu kaufen.	(ამ სახლის ყიდვა არ ღირს.)
Spaß machen:	Macht es euch wirklich Spaß, eure Lehrer zu ärgern?	(მართლა გსიამოვნებთ მასწავლებლების გაბრაზება?)
raten:	Ich rate Ihnen, Urlaub zu nehmen.	(გირჩევთ, აიღოთ შვებულება.)
schaffen:	Claudia schafft es immer, als erste in das Badezimmer zu kommen.	(კლაუდია მუდამ ახერხებს, პირველი შევიდეს აბაზანაში.)
sich trauen:	Ich traue mich nicht, Sie zu stören.	(ვერ ვბედავ, ხელი შეგიშალოთ.)

verbieten:	Ich verbiete Ihnen zu rauchen.	(გიკრძალავთ მოწევას.)
vergessen:	Vergiss nicht, Blumen für Erika zu kaufen!	(არ დაგავიწყდეს ერიკასთვის ყვავილების ყიდვა!)
verlangen:	Der Fabrikdirektor verlangt, das Arbeitstempo zu beschleunigen.	(ფაბრიკის დირექტორი მოითხოვს მუშაობის ტემპის ზრდას.)
verlernen:	Ich habe verlernt, meine Gefühle auszudrücken.	(გადავეჩვიე ჩემი გრძნობების გამოხატვას.)
versprechen:	Versprich mir, bei uns vorbeizukommen!	(დამპირდი, რომ შემოგვივილი!)
vorhaben:	60% der Schulabgänger haben in diesem Jahr vor, sich zu immatrikulieren.	(აბიტურიენტთა 60% აპირებს წელს უმაღლეს სასწავლებელში შესვლას.)
zögern:	Ich zögere, meinen Eltern das zu sagen.	(ვეუწყმანობ, ვუთხრა თუ არა ეს მშობლებს.)
zweifeln:	Ich zweifle nicht daran, dich noch mal wiederzusehen.	(ეჭვი არ მეპარება, რომ ოდესმე კიდევ გნახავ.)
zwingen:	Warum zwingen Sie mich, Sie zu beleidigen?	(რატომ მაიძულებთ, რომ შეურაცხყოფა მოგაყენოთ?)

### 1.3 ზმნები *pflügen, wissen/verstehen, scheinen, geben/anbieten, suchen, finden, bekommen, nehmen, machen + zu + ინფინიტივი*

**pflügen** ზმნა ინფინიტიურ ჯგუფთან ერთად აღნიშნავს: ის ჩვეულებრივ ასე იქცევა:

- Er pflegt früh aufzustehen. (მას ჩვევად აქვს ადრე ადგომა.)
- Ich pflege abends spazieren zu gehen. (სალამობით ჩვეულებრივ სასეირნოდ დავდივარ.)
- Mein Großvater pflegt zu sagen: Das Leben ist kurz, aber süß. (პაპაჩემი ხშირად ამბობს ხოლმე: სიცოცხლე მოკლეა, მაგრამ ტკბილი.)

**verstehen** ზმნა ინფინიტიურ ჯგუფში მნიშვნელობით **wissen** ზმნას უახლოვდება:

- Er versteht/weiß, sich zu benehmen. (მან იცის, როგორ მოიქცეს.)
- Du verstehst zu reden. (ლაპარაკი გეხერხება.)
- Unser Direktor versteht es meisterhaft, andere zu überzeugen. (ჩვენს დირექტორს საოცრად ეხერხება სხვების დარწმუნება.)

**scheinen** ზმნა ინფინიტივთან ერთად ქართული სათავის სრულიად უცხო კონსტრუქციას ქმნის:

- Er scheint krank zu sein. (ის, როგორც ჩანს, ავადაა.)
- Sie scheinen ein Ausländer zu sein. (თქვენ, როგორც ჩანს, უცხოელი ხართ.)
- Ihr scheint uns zu kennen. oder? (თქვენ ჩვენ უნდა გიცნობდეთ, არა?)

- Das scheint die beste Lösung zu sein. (ეს საკითხის საუკეთესო გადაწყვეტას ჰგავს.)
- Dem Patienten scheint es besser zu gehen. (პაციენტი თითქოს უკეთესად არის.)
- Dieter scheint gestern nicht zu Hause gewesen zu sein. (დიტერი გუშინ, როგორც ჩანს, შინ არ იყო.)

**geben** და **anbieten** ზმნები უკავშირდება ინფინიტის **Zu-**თი ჩვეულებრივ მაშინ, როდესაც ლაპარაკია საქმელ-სასმელის მიცემა-შეთავაზებაზე:

- Gibst du mir endlich etwas zu essen? (მაჭმევ ბოლოს და ბოლოს რამეს?)
- Ich gebe dir nichts zu trinken. (არაფერს არ დაგაღვინებ.)
- Darf ich Ihnen etwas zu trinken anbieten? (ნება მომეცით, სასმელი შემოგთავაზოთ.)
- Hast du dem Hund zu fressen gegeben? (მიეცი ძაღლს საქმელი?/აჭამე ძაღლს?)

სხვა მნიშვნელობის ზმნები იშვიათად გვხვდება:

- Können Sie mir etwas zu lesen geben? (ვერ მომცემდით რამე წასაკითხს?)
- Diese Dinge geben mir zu denken. (ეს ამბები საფიქრალს მიჩენს.)

ანალოგიურია **finden, bekommen, nehmen, machen** და **suchen** ზმნების ხმარება:

- Wo können wir hier etwas zu essen finden? (სად შეიძლება აქ რამე შევჭამოთ?)
- Bekommen wir hier was zu trinken? (გექნებათ რამე დასალევი?)
- Nehmen Sie sich etwas zu trinken! (აიღეთ რამე სასმელი!)
- Das macht mir sehr zu schaffen. (ეს მე ძალიან ბევრ საზრუნავს მიჩენს.)

#### 1.4 ზმნა *brauchen*

**brauchen** ზმნა ინფინიტითან ერთად მოდალურ მნიშვნელობას იძენს და შეენაცვლება **müssen** მოდალურ ზმნას უკუთქმით წინადადებაში:

- Sie müssen ja nicht alle Kollegen einladen. – Sie **brauchen** ja nicht alle Kollegen einzuladen.
- Du musst hier nicht unbedingt warten. – Du **brauchst** hier nicht zu warten.

შდრ.: თქვენ სულაც არ გჭირდებათ ყველა თანამშრომლის დაპატიუება.  
შენ არ გჭირდება აქ მოცდა.

აგრეთვე:

- Du brauchst vor mir keine Angst zu haben. (არ უნდა გეშინოდეს ჩემი.)
- Sie brauchen nicht zu zahlen. (არ გჭირდებათ ფულის გადახდა.)
- Du brauchst morgen nicht zu kochen, Frank und Erika haben uns zum Mittagessen eingeladen. (ხვალ არ დაგჭირდება საქმლის გაკეთება, ფრანკმა და ერიკამ სადილად დაგვპატიუეს.)
- Das brauchst du dir nicht gefallen zu lassen. (ეს არ უნდა დაუშვა.)

წართქმით წინადადებაში brauchen ენაცვლება müssen ზმნას ჩვეულებრივ მაშინ, თუ ინფინიტივს ახლავს nur ნაწილაკი:

- Du musst **nur** anrufen, und ich hole dich dann ab. = Du brauchst **nur** anzurufen, und ich hole dich dann ab. (ერთი დარეკე და მაშინვე გამოგივლი.)
- Wir brauchen uns **nur** richtig lieb zu haben. (ერთმანეთის სიყვარულია გვინდა.)  
აგრეთვე:
  - – Beißt denn dein Hund?
  - Nein, du brauchst ihn **nur** zu füttern, dann tut er dir nichts.
  - – Mein Auto ist kaputt.
  - Kein Problem! Du brauchst es **nur** in die Werkstatt zu fahren.

უკანასკნელ ხანს სასაუბრო ენაში თავი იჩინა brauchen ზმნის zu-ს გარეშე ხმარების ტენდენციამ, ასე რომ წესი-ხუმრობა, რომელიც ყველა გერმანელმა მოსწავლემ იცოდა (Wer *brauchen* ohne zu gebraucht, braucht *brauchen* erst gar nicht zu gebrauchen), დღეს ნაწილობრივ ირღვევა:

- Du **brauchst** mir das **nicht** unbedingt **glauben**. (პ. ვაინრიხის მაგალითი)
- Du **brauchst** erst morgen **anfangen**. (Duden-Wörterbuch)
- Du **brauchst** dich nicht **darum** bemühen. (Wörterbuch der Sprachschwierigkeiten)
- Man **braucht** nicht ins Ausland **gehen**, hier ist es gut. (Juma, 1/92)

შენიშვნა: ზმნა brauchen ხშირად გვხვდება აგრეთვე გაარსებითებულ ინფინიტივთან, რომელიც ასევე განავრცობს და აკონკრეტებს მის მნიშვნელობას:

- Ich brauche **zum** Lesen eine Brille. (საკითხავად სათვალე მჭირდება.)
- Du hast alles, was man **zum** Leben braucht. (შენ ყველაფერი გაქვს, რაც კაცს ცხოვრებისათვის სჭირდება.)

### 1.5 პირიანი ზმნის განვრცობა ინფინიტიური ქცევით (um ... zu, anstatt/statt ... zu, ohne ... zu)

ინფინიტიური ქცევები აზუსტებენ, თუ რა მიმართებაშია პირიანი ზმნით გამოხატული მოქმედება რომელიმე სხვა მოქმედებასთან:

Ich gehe raus,  $\left\{ \begin{array}{l} \text{um} \\ \text{ohne} \\ \text{anstatt} \end{array} \right. \text{ zu rauchen.}$  გავდივარ გარეთ,  $\left\{ \begin{array}{l} \text{რომ მოვნიო.} \\ \text{ისე, რომ არ ვენევი.} \\ \text{ნაცვლად იმისა, რომ მოვნიო.} \end{array} \right.$

ინფინიტიურ ქცევებს (და ამას ქართული თარგმანიც ადასტურებს) წინადადების ტევადობა აქვს: ისინი ასახავენ ფაქტს და გულისხმობენ ზმნით აღნიშნული მოქმედების შემ-

სრულდებლს. ესაა თვით წინადადების ქვემდებარე. თუ ინფინიტიურ ქცევით გამოხატულ ქმედებას სხვა პირი ასრულებს, მაშინ დამოკიდებულ წინადადებას უნდა მივმართოთ:

- **Ich gehe raus, damit meine Frau in Ruhe lesen kann.**      გავდივარ გარეთ, რომ/რათა ჩემმა ცოლმა მშვიდად იკითხოს.

განვიხილოთ თითოეული ქცევის მნიშვნელობა.

- **um ... zu.** კონსტრუქცია ჩვეულებრივ აკონკრეტებს, თუ რა მიზნით სრულდება პირიანი ზმნის მიერ გამოხატული მოქმედება, ან რა შედეგია მოსალოდნელი:

- **Wir arbeiten hart, um besser zu leben.** (ჩვენ ბევრს ვმუშაობთ, რომ უკეთესად ვიცხოვროთ.)
- **Ich wollte dich gestern anrufen, um dir zum Geburtstag zu gratulieren.** (მინდოდა გუშინ დამერეკა შენთვის, რომ დაბადების დღე მომლოცა.)
- **Ich fahre nach Hamburg, um dort meinen alten Bekannten zu treffen.** (პამბურგში მივდივარ, რათა ჩემს ძველ ნაცნობს შევხვდე.)
- **Er hat einen Kredit aufgenommen, um sich ein Auto kaufen zu können.** (მან კრედიტი აიღო, მანქანა რომ ეყიდა.)
- **Wir essen kein Fleisch, um Geld zu sparen.** (ხორცს არ ვჭამთ, ფული რომ დავზოგოთ.)
- **Du hast das bestimmt nur gesagt, um mich zu beruhigen.** (შენ ეს უთუოდ იმიტომ თქვი, რომ მე დამამშვიდო.)

ინფინიტიურ ქცევა შესაძლოა წინაც უსწრებდეს წინადადებას:

- **Um Erfolg zu haben, müssen wir zusammenarbeiten.** (წარმატებას რომ მივაღწიოთ, ერთად უნდა ვიმუშაოთ.)
- **Um das zu verhindern, brauchen Sie viel Kraft.** (ეს რომ თავიდან აიცილოთ, დიდი ძალისხმევა გმართებთ.)

ინფინიტიურ ქცევას შეიძლება დამოკიდებული წინადადებაც მოსდევდეს:

- **Ich bin gekommen, um zu sehen, was du abends im Büro machst.** (მოვედი, რომ ვნახო, თუ რას აკეთებ ბიუროში საღამოობით.)
- **Ich gehe auf mein Zimmer, um darüber nachzudenken, was ich eben gehört habe.** (გავდივარ ჩემს ოთახში, რათა ვიფიქრო იმაზე, რაც ახლა გავიგე.)

კონტექსტიდან გამომდინარე დიალოგში შესაძლებელია ინფინიტიური ქცევის ცალკე რეპლიკად ხმარებაც:

- – **Warum bist du gekommen?**      (– რატომ მოხვედი?)  
– **Um dich zu sehen.**      (– რომ გნახო.)
- – **Wozu brauchst du heute Bargeld?**      (– რისთვის გჭირდება დღეს ფული?)  
– **Um es in Dollars zu wechseln.**      (– დოლარზე რომ გადავხურდო.)

მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში არა აქვს ამ კონსტრუქციას მიზნის თუ შედეგის მნიშვნელობა:

- **Das ist zu schön, um wahr zu sein.** (ეს იმდენად კარგია, რომ მართალი ვერ იქნება.)
  - **Er ist klug genug, um uns zu verstehen.** (იგი საკმარისად ჭკვიანია, რომ გაგვიგოს.)
- ინფინიტიური ქცევის ხმარების შესაძლებლობას ქმნის ამ შემთხვევაში იმ წინადადების მოდელი, რომელიც მას წინ უძღვის, განსაკუთრებით კი **zu** და **genug** ნაწილაკები.
- **ohne ... zu** ქცევა აღნიშნავს ისეთ თანმხლებ მოქმედებას, რომელიც სუბიექტს შეეძლო შეესრულებინა ძირითად მოქმედებასთან ერთად, მაგრამ არ შეასრულა:
  - **Warum gehst du weg, ohne meine Antwort abzuwarten?** (რატომ მიდიხარ ისე, რომ არ უცდი ჩემს პასუხს?)
  - **Ich glaube dir, ohne etwas zu verstehen.** (მჯერა შენი, თუმცა არაფერი მესმის.)
  - **Der Zug fährt direkt nach München, ohne in Erlangen zu halten.** (მატარებელი ისე მიდის მიუნხენში, რომ ერლანგენში არ ჩერდება.)
  - **Bitte eintreten, ohne anzuklopfen!** (დაკაკუნების გარეშე შემოდით!)
  - **anstatt ... zu/statt ... zu** ქცევა აღნიშნავს, რომ სუბიექტი, ნაცვლად ერთი მოქმედებისა, მეორეს ასრულებს:
  - **Klaus schläft, statt uns zu helfen.** (კლაუსს სძინავს, ნაცვლად იმისა რომ მოგვეხმაროს.)
  - **Du gibst Geld für Geschenke aus, statt dir Lehrbücher zu kaufen.** (შენ ფულს საჩუქრებში ხარჯავ, ნაცვლად იმისა, რომ სახელმძღვანელოები იყიდო.)
  - **Sie telefoniert jeden zweiten Tag nach Wien, statt ihren Eltern einen Brief zu schreiben.** (ის ყოველ მეორე დღეს ვენაში რეკავს, ნაცვლად იმისა, რომ მშობლებს წერილი მისწეროს.)
  - **Anstatt zu arbeiten, faulenzst du die ganze Woche.** (ნაცვლად იმისა, რომ იმუშაო, მთელი კვირა უქმად ზიხარ.)

### 1.6 zu + ინფინიტივი haben და sein ზმნებთან

**haben** და **sein** ზმნების დაკავშირება ინფინიტივთან **zu**-თი ანიჭებს წინადადებას მოძალობის (აუცილებლობის, ვალდებულების, შესაძლებლობის) მნიშვნელობას.

**haben + zu** + ინფინიტივი აღნიშნავს აუცილებლობას ან ვალდებულებას:

- **Wir haben diesen Text zu übersetzen.** (ეს ტექსტი სათარგმნელი გვაქვს.)
- **Was habe ich zu bezahlen?** (რა მაქვს გადასახდელი?)
- **Ich habe viel zu tun.** (ბევრი საქმე მაქვს.)
- **Die Tänzerin hat auf ihr Gewicht zu achten.** (მოცეკვავემ ყურადღება უნდა მიაქციოს თავის წონას.)

- **Ich habe ausländische Studenten zu betreuen.** (მე უცხოელი სტუდენტები მებარია.)
- **Er hat nur Studienanfänger zu unterrichten.** (ის მხოლოდ დამწყებებს ასწავლის.)
- **Ich jobbe nur, um Geld zu verdienen. Das hat mit meinem Beruf nichts zu tun.** (მე ვმუშაობ, რომ ფული ვიშოვო. ამას ჩემს პროფესიასთან არაფერი აქვს საერთო.)

ამ წინადადებათა დიდი უმრავლესობა **müssen** და **sollen** ზმნების შენაცვლების შესაძლებლობას იძლევა:

- **Wir sollen diesen Text übersetzen.** ➤ **Was muss ich bezahlen?**

**sein + zu + ინფინიტივი** აღნიშნავს როგორც აუცილებლობა-ვალდებულებას, ისე შესაძლებლობას:

- აუცილებლობა, ვალდებულება:

- **Diese beiden Texte sind zu übersetzen.** (ეს ორივე ტექსტი გადასათარგმნია.)
- **Das Radio ist zu reparieren.** (რადიო შესაკეთებელია.)
- **Die Wohnung ist sofort zu beziehen.** (ბინაში შესახლება სასწრაფოა.)

**sein** ზმნა შეიძლება შეცვალოს ანალოგიური ფუნქციის მქონე რომელიმე სხვა ზმნამ:

- **Hier ist viel zu tun.** (აქ ბევრი რამეა გასაკეთებელი.)
- **Hier bleibt genug zu tun.** (აქ საკმაოდ რჩება გასაკეთებელი.)
- **Da scheint es nichts zu tun zu geben.** (იქ არაფერი ჩანს გასაკეთებელი.)

- შესაძლებლობა:

- **Das Radio ist nicht mehr zu reparieren.** (რადიო ვეღარ შეკეთდება.)
- **Ihm ist nicht zu helfen.** (მას არაფერი ეშველება.)
- **Die Reise ist nicht zu verschieben.** (მოგზაურობის გადადება შეუძლებელია.)
- **Die Videokamera ist leicht zu bedienen.** (ვიდეოკამერა ადვილად მოსახმარია.)
- **Diese Taschenlampe ist wiederaufzuladen.** (ეს ჯიბის ფარანი დასატენია.)
- **Das Flugzeug ist nicht zu sehen.** (თვითმფრინავი არ ჩანს.)
- **Es ist nicht zu glauben.** (დაუჯერებელია.)
- **Das ist ja nicht zu fassen!** (წარმოუდგენელია!)
- **Wie ist das zu verstehen?** (ეს როგორ გავიგოთ/გავიგო?)

ანალოგიური მნიშვნელობით იხმარება კონსტრუქციაც **es gibt + zu + ინფინიტივი**:

- **Hier gibt es viel Schönes zu sehen.** (აქ ბევრი რამაა სანახავი.)
- **Gibt es was zu trinken?** (გაქვთ/არის რაიმე დასალევი?)
- **Dazu gibt es nichts zu sagen.** (სათქმელი აღარაფერია.)

შესაძლებლობის გამოხატველი მაგალითები შეიძლება შეიცვალოს მოდულურ-ზმნიანი კონსტრუქციით:

- Das Radio ist nicht mehr zu reparieren. = Das Radio kann man nicht mehr reparieren. = Das Radio lässt sich nicht mehr reparieren.

აგრეთვე:

- Die Videokamera lässt sich leicht bedienen.  
 ➤ Die Taschenlampe muss man wieder aufladen.  
 ➤ Hier kann man viel Schönes sehen.  
 ➤ Dazu kann man nichts sagen.

## 2 სავარჯიშოები

**1-1.1** დაეალება 1. ჩასვით პირიანი ზმნა და მასთან დაკავშირებული ინფინიტივი:

- |   |  |
|---|--|
| (1) <i>lernen + gehen</i><br>– Wie alt ist dein Hänschen?<br>– Schon 11 Monate alt.<br>– ___ er schon ___?<br>– Nein, noch nicht.               | (2) <i>helfen + finden</i><br>– Wohnt hier Frau Berg?<br>– Nein, Frau Berg wohnt in der Parkstraße. Aber ich ___ Ihnen gern, ihr Haus ___ .                |
| (3) <i>gehen + baden, gehen + arbeiten</i><br>– ___ du ___?<br>– Nein, ich ___ ins Büro ___ .   | (4) <i>schicken + schlafen</i><br>– Wo sind denn die Kinder?<br>– Ich habe sie eben ___ .  |
| (5) <i>sehen + sitzen, sehen + fliegen</i><br>– ___ du da einen Vogel ___?<br>– Nein, ich ___ nur zwei Vögel ___ .                              | (6) <i>helfen + waschen, helfen + bügeln</i><br>– Erika, ___ mir bitte ___!<br>– Ich ___ dir später ___ .  |
| (7) <i>hören + zuschlagen, sehen + runtersteigen</i><br>– Ich habe die Eingangstür ___ .<br>– Kann sein. Ich habe einen Jungen die Treppe ___ . | (8) <i>lernen + kochen/backen</i><br>– Julia, was ist eigentlich dein Lieblingsfach?<br>– Hauswirtschaft. Da ___ wir ___ und ___ .                         |
| (9) <i>nennen + arbeiten</i><br>– Wir haben in einer Stunde die ganze Wohnung geputzt.<br>– Das ___ ich ___!                                    | (10) <i>kommen + besuchen</i><br>– Du, Christian, hast du heute Zeit?<br>– Leider nicht. Erikas Bruder, mit dem ich zusammen studiert habe, ___ mich ___ . |
| (11) <i>hören + weinen</i><br>– ___ du nicht das Baby ___?<br>– Ja, aber sein Essen ist noch nicht fertig.                                      | (12) <i>helfen + aufstehen</i><br>– Schwester Stefanie, ___ Sie mir bitte ___ !<br>– Sofort!   |

- (13) *sein + tanzen*  
 – \_\_\_ ihr \_\_\_?  
 – Nein, wir waren bei meinem Onkel.
- (14) *sehen + gehen*  
 – Kennst du Herrn Schwarz?  
 – Nein, aber ich \_\_\_ ihn täglich zur Arbeit \_\_\_.

**1.2-1.3** დაჯალღება 2. ჩასვით პირიანი ზმნა სათანადო ფორმით და შეუწყვეთ მას ინფინიტივი:

- (1) *anfangen + lesen*  
 – Dein Deutsch ist schon viel besser.  
 – Ja, ich habe sogar \_\_\_\_, Bücher auf Deutsch \_\_\_\_.
- (2) *versuchen + sich (D) abgewöhnen*  
 – Ich mag keine Zigaretten.  
 \_\_\_\_ doch bitte, es \_\_\_\_!  
 – Na gut, ich probiere es.
- (3) *versuchen + sich einleben*  
 – Ziehen Sie wieder aufs Dorf?  
 – Leider ja. Wir haben zwar \_\_\_\_,  
 \_\_\_\_ hier \_\_\_\_, aber an den Lärm wir uns nicht gewöhnen.
- (4) *raten + spazieren gehen*  
 – In der letzten Zeit fühle ich mich nicht ganz wohl.  
 – Ich \_\_\_\_ Ihnen, jeden Abend eine halbe Stunde \_\_\_\_.
- (5) *planen + machen*  
 – Wann machst du Urlaub?  
 – Im August. Ich \_\_\_\_, eine Indienreise \_\_\_\_.
- (6) *bitten + geben*  
 Sehr geehrter Herr Löffler! Ich \_\_\_\_ Sie, mir 3 Tage Urlaub \_\_\_\_.
- (7) *vergessen + helfen*  
 – Über wen ärgerst du dich?  
 – Über meinen Mann. Er \_\_\_\_ immer, mir in der Küche \_\_\_\_.
- (8) *sich gewöhnen + ins Bett gehen*  
 – Du siehst müde aus.  
 – Ich kann \_\_\_\_ nicht daran \_\_\_\_, etwas früher \_\_\_\_.
- (9) *versprechen + sein*  
 – Wir gehen doch heute ins Konzert, oder?  
 – Ja, aber \_\_\_\_ mir, pünktlich \_\_\_\_!
- (10) *beginnen + sich (D.) Gedanken machen*  
 – Kauft ihr euch ein Auto?  
 – Wir haben schon \_\_\_\_, \_\_\_\_ darüber \_\_\_\_.
- (11) *vergessen (Perfekt) + abschließen*  
 – Warum bist du so unruhig?  
 – Ich \_\_\_\_, die Haustür \_\_\_\_.
- (12) *aufhören (Perfekt) + arbeiten*  
 – Arbeiten Sie noch?  
 – Nein, Mit 60 \_\_\_\_ ich \_\_\_\_.
- (13) *sich weigern + machen*  
 – Hast du dich mit Ulla gestritten?  
 – Ja, und ich \_\_\_\_, den ersten Schritt \_\_\_\_.
- (14) *hassen + machen müssen*  
 – Warum gehst du nicht mit?  
 – Ich \_\_\_\_ es, mit Erwachsenen Ausflüge \_\_\_\_.
- (15) *hoffen + helfen können*  
 – Gerd ist schwer verletzt.
- (16) *vorschlagen + bleiben/fernsehen*  
 – Wohin gehen wir heute Abend?

- Ja, aber der Arzt \_\_\_\_\_ , ihm \_\_\_\_\_ .
- (17) *pflegen + trinken* (მალღებარე)  
– Trinken Sie Bier?  
– Nein, danke! Zum Essen \_\_\_\_\_ ich Wein \_\_\_\_\_ .
- (19) *zwingen + unterschreiben*  
– Unser Geschäftspartner will uns \_\_\_\_\_ , den Vertrag \_\_\_\_\_ .
- (21) *es gibt + besprechen*  
– Ich möchte mit dir dein gestriges Benehmen besprechen.  
– \_\_\_\_\_ absolut nichts \_\_\_\_\_ , Vati!
- (23) *aufhören (Perfekt) + lieben*  
– Liebst du mich noch?  
– Na klar! Ich \_\_\_\_\_ nie \_\_\_\_\_ , dich \_\_\_\_\_ .
- (25) *verbieten + sprechen*  
– Mein Mann \_\_\_\_\_ mir, über Politik \_\_\_\_\_ .  
– Na ja, dann sprechen wir eben über das Wetter.
- (27) *geben + fressen, scheint + sein*  
– \_\_\_\_\_ dem Hund etwas \_\_\_\_\_ !  
– Aber er \_\_\_\_\_ gar nicht hungrig \_\_\_\_\_ !
- (29) *empfehlen + essen*  
– Nimm bitte noch etwas Butter!  
– Nein, danke. Mein Arzt \_\_\_\_\_ mir, nicht fett \_\_\_\_\_ .
- (31) *geben + trinken*  
– Können Sie mir etwas \_\_\_\_\_ ?  
– Ja, bitte.
- (33) *vergessen (Perfekt) + tanken*  
– Das Benzin ist alle.  
– Wieso denn?  
– Ich \_\_\_\_\_ .
- Ich \_\_\_\_\_ , zu Hause \_\_\_\_\_ und \_\_\_\_\_ .
- (18) *Spaß machen + ärgern*  
– Bin ich wirklich so dick?  
– Ganz im Gegenteil, aber es \_\_\_\_\_ mir \_\_\_\_\_ , dich \_\_\_\_\_ .
- (20) *versuchen + sich gewöhnen*  
– Ich mag ihn doch gar nicht.  
– \_\_\_\_\_ einfach, \_\_\_\_\_ an ihn \_\_\_\_\_ !
- (22) *raten + gehen*  
– Ich habe jeden Tag Kopfschmerzen.  
– Ich \_\_\_\_\_ Ihnen, so schnell wie möglich zum Arzt \_\_\_\_\_ .
- (24) *sich entschließen + annehmen*  
– Was schreibt Herr Klein aus München?  
– Er hat \_\_\_\_\_ noch nicht \_\_\_\_\_ , unser Angebot \_\_\_\_\_ .
- (26) *es lohnt sich + reparieren lassen*  
– \_\_\_\_\_ nicht mehr, diese Schuhe \_\_\_\_\_ .  
– Stimmt Die sind total kaputt.
- (28) *wissen + leben*  
– Wie gefällt dir unser neuer Nachbar?  
– Ich glaube, er \_\_\_\_\_ .
- (30) *scheinen + haben*  
– Der Patient \_\_\_\_\_ Schmerzen \_\_\_\_\_ .  
– Ich rufe gleich Dr. Braun.
- (32) *scheinen + helfen*  
– Wie fühlen Sie sich?  
– Viel besser. Die Tabletten \_\_\_\_\_ mir \_\_\_\_\_ .
- (34) *hoffen + finden, vergessen + sich bewerben*  
– Ich \_\_\_\_\_ , bei dieser Firma Arbeit \_\_\_\_\_ .  
– Dann \_\_\_\_\_ nicht, \_\_\_\_\_ rechtzeitig \_\_\_\_\_ !

- (35) *sich entschließen (Perfekt) + kündigen*  
*versprechen (Perfekt) + sprechen*  
 – Eva \_\_\_\_\_, \_\_\_\_\_.  
 – Warum hat sie mir nichts gesagt?  
 – Sie \_\_\_\_\_ ihrem Chef \_\_\_\_\_, bis  
 Montag nicht davon \_\_\_\_\_.

- (36) *wissen + helfen,*  
 – Alles hat großartig geklappt!  
 – Kein Wunder. Unser Chef  
 \_\_\_\_\_ sich in jeder Situation

1.2-1.3 დავალება 3. დაასრულეთ საპასუხო რეპლიკა. გამოიყენეთ პირველი ნინადადების პირიანი ზმნა.

- Jeden Abend **bitte** ich meinen Sohn, sein Radio leiser zu stellen. – Und ich \_\_\_\_\_.
- Der Arzt **empfiehlt** mir, abends früh ins Bett zu gehen. – Und mir \_\_\_\_\_.
- Wir **erlauben** unseren Kindern nicht, im Stadtzentrum Rad zu fahren. – Und wir \_\_\_\_\_.
- Ich **verbiete** meiner Sekretärin, stundenlang zu telefonieren. – Und ich \_\_\_\_\_.
- Ich **schaffe** es nicht, mit Julia ins Gespräch zu kommen. – Und ich \_\_\_\_\_.
- Unsere Tochter **lernt** schwimmen. – Und unser Sohn \_\_\_\_\_.
- Wir **gehen** heute angeln. – Und wir \_\_\_\_\_.
- Ich **höre** eine Lokomotive pfeifen. – Und ich \_\_\_\_\_.
- Ich **pflge** abends im Restaurant zu essen. – Und ich \_\_\_\_\_.
- Ich **vergesse** immer, meiner Frau zum Geburtstag zu gratulieren. – Und ich \_\_\_\_\_.
- Meine Oma **rät** mir, öfter Knoblauch zu essen. – Und mir \_\_\_\_\_.
- Ich **zwinge** meinen Sohn, mehr zu arbeiten. – Und ich \_\_\_\_\_.
- Meine Frau **versucht** immer, mich zu ärgern. – Und meine Frau \_\_\_\_\_.
- Wir **sind fest entschlossen**, diesen Plan zu realisieren. – Und wir \_\_\_\_\_.

1.4 დავალება 4. აღადგინეთ გამოტოვებული რეპლიკა. იხმარეთ ზმნა *brauchen* უკუთქმით ნინადადებაში შესაბამის უარყოფით ნაწილაკთან (*nicht, kein, nichts*) ერთად.

ნიმუში: – *Ich muss Gerd anrufen.* – *Du brauchst ihn nicht anzurufen. Ich habe ihm schon alles erzählt.*

- Ich muss jetzt zahlen. – \_\_\_\_\_ . Ich habe schon für dich gezahlt.  
 – Ich fange gleich an zu kochen. – \_\_\_\_\_ . Ich habe im Club gegessen.  
 – Ich habe Angst vor deinem Hund! – \_\_\_\_\_ . Er beißt nicht.  
 – Soll ich schneller lesen? – Nein, \_\_\_\_\_ . Der Text ist ziemlich schwer.  
 – Ich muss dir etwas sagen. – \_\_\_\_\_ . Ich weiß schon alles.

1.4 დავალება 5. თარგმნეთ:

- (1) – Wie kann ich denn die Kassette stoppen?  
 – Das ist ganz einfach. Sie brauchen nur auf die Stoptaste drücken.

- (2) – Der Wein ist alle.  
– Kein Problem. Du brauchst nur fünf Minuten gehen, dann bist du schon beim nächsten Supermarkt.
- (3) – Wir können doch nicht das ganze Gedicht auswendig lernen.  
– Keine Panik! Ihr braucht auch nur die erste Strophe lernen.
- (4) – Soll ich dich morgen wecken?  
– Ja, bitte. Du brauchst nur dreimal an die Tür klopfen, und ich wache sofort auf.
- (5) – Ich langweile mich oft.  
– Du brauchst mich nur anzurufen, und wir unternehmen etwas.

**1.5** დავალება 6. ჩასვით ინფინიტიურ კონსტრუქციაში ნაწილაკები *um, (an)statt, ohne*:

1. Das Kind läuft dem Ball nach, \_\_\_ auf den Straßenverkehr zu achten.
2. \_\_\_ sich ins Bett zu legen, geht er zur Arbeit.
3. \_\_\_ die Ferien planen zu können, habe ich mir einige Reiseprospekte besorgt.
4. Der Lehrer erklärt uns grammatische Regeln, \_\_\_ Beispiele dazu zu geben.
5. \_\_\_ zu frühstücken, raucht er morgens drei Zigaretten nacheinander.
6. \_\_\_ richtig attraktiv zu sein, gebe ich viel Geld aus.
7. Du sitzt stundenlang vor dem Fernseher, \_\_\_ mit mir tanzen zu gehen.
8. Ich gehe nicht in die Disko, \_\_\_ mich zu schminken.
9. Ich fahre nach Italien, \_\_\_ Italienisch zu lernen.
10. Ich kann nicht heiraten, \_\_\_ mir das vorher ganz genau zu überlegen.
11. Ich gehe ins Reisebüro, \_\_\_ eine Reise nach Indien \_\_\_ buchen.
12. Er tut manchmal, was ich will, \_\_\_ es selbst zu wollen.
13. \_\_\_ mir zu helfen, brüllst du mich an.
14. \_\_\_ Umweltprobleme zu lösen, braucht man in erster Linie Geld.
15. Ich brauche keinen Anlass, \_\_\_ ihr Blumen zu schenken.

**1.2-1.5** დავალება 7. დაასრულეთ წინადადება ინფინიტიური ჯგუფით, რომლის ნევრებიც ფრჩხილებშია მოცემული.

- (1) – Ich plane, (*einladen, einige Kommilitonen, zum Abendessen*). Kommst du auch?  
– Gerne!
- (2) – Wohin gehst du?  
– In die Mensa. Meine Vermieterin verbietet mir, (*kochen, das Zimmer, in*).
- (3) – Hast du Bekannte in Berlin?  
– Nein, aber ich hoffe, (*kennen lernen, besser, ein paar Kollegen*).
- (4) – Hast du dich hier schon eingelebt?  
– Noch nicht. Ich habe nämlich Kontaktprobleme.  
– Versuche, (*sich unterhalten, die Leute, mit, mehr*).

- (5) – Helmut zögert, (*kommen, unsere Party, zu*)  
– Helmut? Ich überrede ihn, (*mitmachen*).
- (6) – Erika, du störst mich! – Entschuldige, Vati! Ich höre sofort auf, (*Musik hören*).
- (7) – Kommt Walter heute nicht?  
– Ach, ich habe total vergessen, (*anrufen, er*).
- (8) – Du sprichst schon gut Deutsch.  
– Ja, und jetzt fange ich an, (*lernen, Französisch*).
- (9) – Hilfst du mir, (*dieser schwere Koffer, tragen*)?  
– Aber gerne.
- (10) – Gehst du schon?  
– Ja, mein Chef hat mir heute erlaubt, (*Feierabend machen, eine Stunde früher*).
- (11) – Bringst du mir morgen meine Videos?  
– Ganz bestimmt. Du brauchst mich nicht (*erinnern, daran*).
- (12) – Mutti, ich möchte Eis!  
– Du bist noch zu krank, (*um, Eis essen*).
- (13) – Ich möchte mein Fahrrad selber reparieren.  
– Du bist nicht geschickt genug, (*um, schaffen, können, das*).
- (14) – Du hast eine neue Uhr?  
– Ich habe diese Uhr gekauft, (*um, schenken, sie, du*).
- (15) – Warum gehst du vorbei, (*ohne, grüßen, ich*)?  
– Entschuldige, ich habe dich nicht bemerkt.
- (16) – Du korrigierst mich pausenlos, (*statt, ich, erklären, alles, ordentlich*).  
– Ja, stimmt. Aber du sollst auch etwas alleine herausfinden.
- (17) – Ich kündige.  
– Darf ich wissen, warum?  
– Ich habe mich endlich entschlossen, (*wechseln, der Beruf*).
- (18) – Gefällt Ihnen Ihre neue Wohnung?  
– Überhaupt nicht. Wir haben vor, (*umziehen, die nächste Woche, in*).
- (19) – Herr Kraus macht alles, was die Chefin sagt.  
– Klar, er wagt nicht, (*widersprechen, sie*).
- (20) – Es macht mir Kopfschmerzen, (*zuhören, du*).  
– Dann höre ich eben auf (*erzählen*).

1.5 დავალება 8. შეადგინეთ ორი წინადადებიდან ერთი. გამოიყენეთ *um ... zu* ინფინიტიური ქცევა.

წიგნი: *Der Chef ist heute nach München gefahren. Er will mit seinem Geschäftsfreund sprechen.* → *Der Chef ist heute nach München gefahren, um mit seinem Geschäftsfreund zu sprechen./Um mit seinem Geschäftsfreund zu sprechen, ist der Chef heute nach München gefahren.*

1. Herr Lang ruft Frau Jung an. Er will sie ins Kino einladen.
2. Ich reise nach Indien. Ich will die alte indische Kultur kennen lernen.
3. Herr Fischer will fit bleiben. Er spielt Fußball.
4. Wir wollen gewinnen. Wir trainieren täglich.
5. Ich will an Herrn Sander schreiben. Ich brauche seine Adresse.
6. Ich verreise. Ich will einmal gründlich ausspannen.
7. Wir hören mit der Arbeit auf. Wir wollen uns erholen.
8. Sie haben sich hier versteckt. Sie wollten uns ausspionieren.

1.5 დავალება 9. ჩასვით ზმნები *haben* ან *sein*. თარგმნეთ წინადადებები ქართულად.

1. Diese Frage — schwer zu verstehen.
2. Ich — heute zwei Gedichte zu lernen.
3. Jeder Bürger — Steuern zu zahlen.
4. Der Motor — kaum zu hören.
5. Er — nirgends zu finden.
6. Alle Autofahrer — die Verkehrsvorschriften genau zu beachten.
7. Auf der Straße — niemand zu sehen.
8. Die Balletttänzerin — auf ihre Figur zu achten.
9. Sie — sich im Dekanat zu melden.
10. Er — nie zu sprechen.
11. Ich — heute nichts zu tun.
12. Du gehst schon? Wie — das denn zu verstehen?
13. Was — das mit meinem Vorschlag zu tun?
14. Was — Sie zu verzollen?
15. Jetzt — ich an was anderes zu denken.

1-6 დავალება 10. დაუძებნეთ მოცემულ წინადადებებს სინონიმური კონსტრუქციები მოდალური ზმნით:

წიგნი: *Ich habe für morgen zwei Übungen zu machen.* → *Ich muss für morgen zwei Übungen machen.*

- |  |   |
|--|---|
| 1. Ich habe Schulden zu zahlen. →      | 5. Was hast du zu verkaufen? →            |
| 2. Frau Kühn ist nirgends zu finden. → | 6. Auf der Straße war niemand zu sehen. → |

3. Die Uhr ist nicht mehr zu reparieren. → 7. Sie haben 100 Mark zu bezahlen. →  
 4. Gibt es hier etwas Warmes zu essen? → 8. Das hast du mir zu überlassen. →

🔑 **1.1-1.6** დავალება 11. თარგმნეთ. იხმარეთ ინფინიტივი zu-თი ან მის გარეშე.

- (1) *helfen*
  - მომეხმარები სადილის გაკეთებაში?
  - არა, მირჩევნია ჭურჭლის დარეცხვაში მოგეხმარო.
- (2) *sein + essen; vergessen*
  - საჭმელად იყავი?
  - არა, ფოსტაში ვიყავი, გუშინ დამავინყდა მარკების ყიდვა.
- (3) *sein + übersetzen; anfangen*
  - ეს წერილი სათარგმნია.
  - მე ვერ ვთარგმნი. ინგლისურის სწავლას მხოლოდ ახლა ვიწყებ.
- (4) *pflügen*
  - ღვინოს დაღვევთ?
  - სიამოვნებით. ჩვევად მაქვს საღამოს, მუდამ ცოტა სასმელი დავლიო.
- (5) *versprechen; empfehlen*
  - შემპირდი, რომ ყოველ საღამოს ისეირნებ.
  - ექიმმა კი მირჩია, ადრე დავიძინო.
- (6) *es lohnt sich nicht*
  - არ ღირს ამ სასტუმროში დარჩენა.
  - რატომ?
  - ლიფტი გაფუჭებულია, ოთახები პატარაა და წყალს ვერ გადაივლებ.
- (7) *vorschlagen; haben*
  - წინადადება შემომაქვს, დღეს კონცერტზე წავიდე!
  - არა, დღეს არ შემიძლია, რეფერატი მაქვს დასაწერი.
- (8) *vergessen; versuchen*
  - არ დაგავინყდეს დღეს დამირეკო!
  - სად დაგირეკო?
  - შეეცადე, ექვსამდე ბიუროში დამიჭირო.
- (9) *raten*
  - დილიდან საღამომდე თავის ტკივილები მაქვს.
  - გირჩევ, ტკივილგამაყუჩებელი აბები არ მიიღო.
  - რას მირჩევ კიდევ?
  - მეტი იარო ფეხით. მოძრაობა და სუფთა ჰაერი სასარგებლოა.
- (10) *Spaß machen*
  - ნაწყენი ხარ ჩემზე?
  - შენ გგონია წვიმაში დგომა და ლოდინი მსიამოვნებს?

- (11) *bitten*  
 – მომიტანე კასეტები?  
 – რა კასეტები?  
 – მე ხომ გთხოვე, ორი კასეტა გეთხოვებინა ჩემთვის.
- (12) *hoffen*  
 – როდის დაბრუნდები?  
 – იმედი მაქვს, რომ ცხრაზე შინ ვიქნები.
- (13) *haben*  
 – მოდიხარ ჩვენთან ერთად?  
 – არა, კიდევ რაღაც მაქვს ბიუროში მოსაგვარებელი.
- (14) *haben*  
 – საკმაოდ გაქვთ საქმელი?  
 – დიახ, გმადლობთ.
- (15) *haben*  
 – გაქვს რამე სათქმელი?  
 – აღარაფერი.
- (16) *scheinen*  
 – გესმის მუსიკა?  
 – კი, როგორც ჩანს, ჩვენი მეზობლები შვებულებიდან დაბრუნდნენ.
- (17) *sein*  
 – კმაყოფილი ხართ ჩემით?  
 – ძალიან. თქვენ, როგორც თანამშრომელი, შეუცვლელი ხართ.
- (18) *planen*  
 – შეირთო იანმა სარა?  
 – ჯერ არა. სექტემბერში აპირებენ დაქორწინებას.

🔑 1.5 დავალება 12. თარგმნეთ. გამოიყენეთ ინფინიტიური ქცევები.

- (1) – ჩემი აპარატის წამოღება მინდა.  
 – არ მიკვირს. შენ ხომ არ შეგიძლია იცხოვრო ისე, რომ სურათები არ გადაიღო.
- (2) – რატომ მიდიხარ გერმანიაში?  
 – იმიტომ, რომ გერმანული ვისწავლო.
- (3) – ნაცვლად იმისა, რომ ფული დაზოგო, დღეში 100 მარკას ხარჯავ.  
 – არ მჭირდება დაზოგვა, ფული საკმაოდ მაქვს.
- (4) – თურქეთში შენი ფირმის საქმეებზე მიდიხარ?  
 – არა, იქ მივდივარ, რომ დავისვენო.
- (5) – რატომ ჭამ ხილს გაურეცხავად?  
 – არ მჭირდება გარეცხვა, ჩემს ბაღში მოვკრიფე.
- (6) – კატა ისევ შენს სანაოლზე წევს, ნაცვლად იმისა, რომ სავარძელში ეძინოს.  
 – ვიცი. მე ვაძლევ უფლებას, ეძინოს ჩემს სანაოლზე.

- (7) – გადავწყვიტეთ ინდოეთში წასვლა.  
– რატომ მაინცდამაინც ინდოეთში?  
– რომ სპილოებით ვიაროთ.
- (8) – მხნედ რომ დარჩე, კაცმა ჩვენს ასაკში ჩოგბურთი უნდა ითამაშო.  
– ვინ თქვა?  
– ბატონმა ფუქსმა, ჩემმა ექიმმა.  
– ფუქსი კარგი ექიმი?  
– კი, სულ ცოტა ის მაინც იცის, როგორ მოექცეს პაციენტებს.

## თემა 37

- 1 შედგენილი შემასმენლის განვრცობა *zu* + ინფინიტივით
- 2 არსებითი სახელის განსაზღვრა *zu* + ინფინიტივით
- 3 ინფინიტივი ქვემდებარის როლში
- 4 მოქმედებითი გვარის ინფინიტივი II (*Infinitiv II Aktiv*)
- 5 ინფინიტიური კონსტრუქციებისა და დამოკიდებული წინადადების ურთიერთმიმართება
- 6 სავარჯიშოები

### 1 შედგენილი შემასმენლის განვრცობა *zu* + ინფინიტივით

ინფინიტივს შეუძლია შეავსოს და დააკონკრეტოს შედგენილი შემასმენელი, რომლის პრედიატივიც ატრიბუტული სიტყვა ან მყარი შესიტყვებაა. აქ ძირითადად ორი შემთხვევა იკვეთება:

1. წინადადების ქვემდებარე სულიერია (ჩვეულებრივ ადამიანი):

- **Er ist sehr stolz, Medizin zu studieren.** (ის ამაყობს იმით, რომ სამედიცინოზე სწავლობს.)
- **Wir sind bereit, euch zu helfen.** (მზადა ვართ, დაგეხმაროთ.)
- **Sie sind bereit, sich für den Umweltschutz zu engagieren.** (ისინი მზად არიან, ილვანონ ბუნების დაცვისათვის.)
- **Ich bin gezwungen, meinen Onkel um Hilfe zu bitten.** (იძულებული ვარ, ბიძაჩემს დახმარება ვთხოვო.)
- **Wir sind gewohnt, (= gewöhnt) früh aufzustehen.** (ადრე ადგომას მიჩვეულები ვართ.)
- **Ich finde es langweilig, immer zu Hause zu sitzen.** (გამუდმებით შინ ჯდომა, ვფიქრობ, მოსაწყენია.)
- **Ich finde es ganz normal, wenig Fleisch zu essen.** (ჩემთვის სრულიად ბუნებრივია ცოტა ხორცის ჭამა.)
- **Ich bin gerade dabei, den Koffer zu packen.** (ახლა სწორედ ჩემოდანს ვალაგებ.)
- **Wir sind im Begriff zu singen.** (სწორედ სიმღერას ვაპირებდით.)
- **Ich bin nicht in der Lage mitzugehen.** (არ შემიძლია წამოსვლა.)

ოფიციალურ მეტყველებაში ხშირად ისმის:

- **Wir sind glücklich, Sie in unserer Stadt begrüßen zu dürfen.** (ბედნიერები ვართ, მოგესალმოთ ჩვენს ქალაქში.)
2. ქვემდებარე *es* ნაცვალსახელია:
- **Es ist nicht leicht, berühmt zu werden.** (არ არის ადვილი, გახდეს ცნობილი.)

- Es ist einfach **unmöglich**, alle Angestellten unter Kontrolle zu haben. (უბრალოდ შეუძლებელია, მუდმივად აკონტროლო ყველა თანამშრომელი.)
- Es ist **angenehm**, hier zu sitzen. (სასიამოვნოა აქ ჯდომა.)
- Es ist **verboten**, Getränke mitzubringen. (სასმელების თან მოტანა აკრძალულია.)
- Es ist **schwierig**, die Heimat verlassen zu müssen. (მძიმეა, როცა იძულებული ხარ სამშობლო დატოვო.)
- Es ist **wichtig**, die Kunden genau zu informieren. (მნიშვნელოვანია, კლიენტებს ზუსტი ინფორმაცია მიენოდოს.)
- Es **fällt** mir immer **schwer**, mit einer Frau ein Gespräch anzufangen. (მუდამ მიჭირს ქალთან საუბრის დაწყება.)

### 2 არსებითი სახელის განსაზღვრა zu + ინფინიტივით

ინფინიტივი zu-თი განსაზღვრავს არსებით სახელს უპირატესად იმ შემთხვევაში, როდესაც იგი აბსტრაქტული ცნებაა და პირდაპირი დამატების ფუნქციით იხმარება (ძირითადად haben ზმნასთან). ყველაზე ხშირად იხმარება სახელები: *die Absicht, die Aufgabe, das Bedürfnis, die Eigenschaft, die Fähigkeit, die Geduld, die Gelegenheit, die Kunst, die Lust, die Möglichkeit, der Mut, die Pflicht, das Recht, die Zeit*:

- Ich **habe** leider **keine Zeit**, auf dich zu warten. (სამწუხაროდ არა მაქვს დრო, მოგიცადლო.)
- **Hast** du **Lust**, mit mir Musik zu hören? (გაქვს სურვილი ჩემთან ერთად მოუსმინო მუსიკას?)
- Ich **habe** nicht **die Geduld**, mir das alles anzuhören. (არ მყოფნის მოთმინება, ყოველივე ეს მოვისმინო.)
- Wir **haben** leider **keine Möglichkeit**, Ihnen behilflich zu sein. (სამწუხაროდ არა გვაქვს საშუალება, დაგეხმაროთ.)
- Du **hast** nicht **das Recht**, in meine Privatsphäre einzudringen. (შენ არა გაქვს უფლება, ჩემს პირად ცხოვრებაში შემოიჭრა.)
- Nicht jeder **hat** den **Mut**, ein Risiko einzugehen. (ყველას არ ჰყოფნის გამბედაობა, წავიდეს რისკზე.)

ინფინიტივს შეუძლია განსაზღვროს არსებითი სახელი-პრედიკატივი:

- Es ist **meine Pflicht**, Sie darauf aufmerksam zu machen. (ჩემი ვალია, გაგიმახვილოთ ამაზე ყურადღება.)
- Es war **ein Fehler**, sie zu heiraten. (მისი ცოლად შერთვა შეცდომა იყო.)
- Es ist für mich **das Wichtigste**, einen Ausweg zu finden. (ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, ვიპოვო გამოსავალი.)
- Es ist schließlich **Aufgabe der Polizei**, diese Frage zu untersuchen. (ამ საკითხის გარკვევა ბოლოს და ბოლოს პოლიციის საქმეა.)

- **Mein Traum** ist es, Arzt zu werden. (ჩემი ოცნებაა, გავხდე ექიმი.)
- **Ein großer Wunsch von mir** ist es, einmal nach Japan zu reisen. (ჩემი დიდი სურვილია, ოდესმე იაპონიაში წავიდე.)
- **Unsere Aufgabe** ist es, gute Studienergebnisse zu erzielen. (ჩვენი ამოცანაა, მივაღწიოთ სწავლაში კარგ შედეგს.)

ინფინიტივის ნებისმიერ სხვა შემთხვევაშიც შეუძლია არსებითი სახელის განსაზღვრა, თუ წინადადების შინაარსი ამის საშუალება იძლევა:

- **Der Wunsch, Seemann zu werden,** lässt mir keine Ruhe. (არ მასვენებს სურვილი, გავხდე მეზღვაური.)
- **Deine Absicht, eine Oper zu komponieren,** finde ich sehr interessant. (შენი განზრახვა, დანერო ოპერა, ძალზე საინტერესოდ მეჩვენება.)
- **Mir gefällt Ihre Art, Witze zu machen,** nicht. (არ მომწონს თქვენი ხუმრობის მანერა.)

### 3 ინფინიტივი ქვემდებარის როლში

ინფინიტივის წინადადებაში შეიძლება ჰქონდეს დამოუკიდებელი წევრის ფუნქციაც. ასეთ შემთხვევაში იგი ჩვეულებრივ ქვემდებარის როლს ასრულებს:

- **Bücher zu schreiben** ist auch nicht mehr mein Wunsch. (წიგნების წერა აღარ არის ჩემი სურვილი.)
- **Krimis zu lesen** ist eine Leidenschaft von mir. (დეტექტივების კითხვა ჩემი სისუსტეა.)
- **Für dich zu kochen** macht mir viel Spaß. (შენთვის სადილის კეთება სიამოვნებას მანიჭებს.)
- **Briefe zu beantworten** ist mir lästig. (მიჭირს წერილებზე პასუხის გაცემა.)
- **Ohne Licht Rad zu fahren** ist sehr gefährlich. (ფარების გარეშე ველოსიპედით სიარული ძალზე სახიფათოა.)
- **Alle Autofahrer zu Disziplin zu zwingen** ist einfach nicht möglich. (შეუძლებელია, აიძულო ყველა მძღოლი დაიცვას წესრიგი.)

ქვემდებარის ფუნქციით ნახმარ განუვრცობელ ინფინიტივს ჩვეულებრივ zu ნაწილაკი არ ახლავს:

- **Leben heißt kämpfen.** (ცხოვრება ბრძოლაა.)
- **Heiraten** ist heute riskant. (ქორწინება დღეს სარისკოა.)

ამ სახის ინფინიტივი ზოგჯერ გაარსებითებულად აღიქმება და ასომთავრულით ინერება: **Reden** ist Silber, **Schweigen** ist Gold.

#### 4 მოქმედებითი გვარის ინფინიტივი II (Infinitiv II Aktiv)

გარდა ინფინიტივის მარტივი ფორმისა (ინფინიტივი I) გერმანულ ენას აქვს მოქმედებითი გვარის მნიშვნელობის მქონე მეორე – რთული – ინფინიტიური ფორმაც. იგი შედგება ძირითადი ზმნის მიმღება II-ისაგან და იმ დამხმარე ზმნის ინფინიტივისაგან, რომელთანაც ეს ზმნა პერფექტში იუღლება:

ინფინიტივი I	ინფინიტივი II
lesen	gelesen haben
kommen	gekommen sein

აგრეთვე: tanzen – getanzt haben sein – gewesen sein  
haben – gehabt haben werden – geworden sein

ინფინიტივის ამ ფორმას დასრულებული მნიშვნელობა აქვს. ამიტომ იგი იხმარება მაშინ, როდესაც ლაპარაკია წარსულში მომხდარ ფაქტზე:

შდრ.:

- Ich bin stolz darauf, diesen Maler **zu kennen**.  
Ich bin stolz darauf, diesen Maler **gekannt zu haben**.  
➤ ვამაყობ, რომ ვიცნობ ამ მხატვარს.  
➤ ვამაყობ, რომ ვიცნობდი ამ მხატვარს.
  - Klaus behauptet, diesen Roman **zu lesen**.  
Klaus behauptet, diesen Roman **gelesen zu haben**.  
➤ კლაუსი ირწმუნება, რომ ახლა ამ რომანს კითხულობს.  
➤ კლაუსი ირწმუნება, რომ ეს რომანი ნაიკითხა.
  - Herr Weiß will nicht sterben, ohne einen Erben **zu hinterlassen**.  
Herr Weiß ist gestorben, ohne einen Erben **hinterlassen zu haben**.  
➤ ბატონ ვაისს არ უნდა ისე მოკვდეს, რომ მემკვიდრე არ დატოვოს.  
➤ ბატონი ვაისი გარდაიცვალა ისე, რომ მემკვიდრე არ დაუტოვებია.
  - Ich freue mich, in Rom **zu sein**.  
Ich freue mich, in Rom **gewesen zu sein**.  
➤ მიხარია, რომ რომში ვარ.  
➤ მიხარია, რომ რომში ვიყავი.
- როგორც ვხედავთ, ინფინიტივის ამა თუ იმ ფორმის არჩევა პირიანი ზმნის დროის ფორმაზე დამოკიდებული არ არის:
- Ich fange an, den Brief **zu schreiben**.  
Ich habe angefangen, den Brief **zu schreiben**.  
➤ Ich wundere mich, ihn bei dir **zu sehen**.  
Ich wundere mich, ihn gestern bei dir **gesehen zu haben**.

### 5 ინფინიტიური კონსტრუქციებისა და დამოკიდებული წინადადების ურთიერთმიმართება

როგორც ვიცით, ინფინიტიური კონსტრუქციები გადმოსცემს ფაქტს, მოვლენას, პროცესს, რომელიც შეიძლება წინადადების სახითაც გამოიხატოს. დაუუკვირდეთ ამ ორი სინტაქსური ოდენობის ურთიერთმიმართების რამდენიმე ასპექტს.

1. ინფინიტიურ კონსტრუქციას ყველაზე ხშირად dass-კავშირიანი წინადადება ცვლის:

- Ich hoffe, bald wieder gesund zu sein. → Ich hoffe, dass ich bald wieder gesund bin.
- Ich glaube, die richtige Entscheidung getroffen zu haben. → Ich glaube, dass ich die richtige Entscheidung getroffen habe.
- Ich finde es anstrengend, die ganze Zeit kochen zu müssen. → Ich finde es anstrengend, dass ich die ganze Zeit kochen muss.

ინფინიტიური კონსტრუქცია შეიძლება შეცვალოს აგრეთვე wenn კავშირიანმა წინადადებათ:

- Es ist heute ganz normal, zu Hause zu kochen. → Es ist heute ganz normal, wenn man zu Hause kocht.
- Für mich ist es keine so große Mühe, dir beim Übersetzen zu helfen. → Für mich ist es keine so große Mühe, wenn ich dir beim Übersetzen helfe.

შეგახსენებთ, რომ ინფინიტიური კონსტრუქცია zu-თი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი იმავე სუბიექტს გულისხმობს, რომელიც მთავარ წინადადებაში გვაქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა მივმართოთ დამოკიდებულ წინადადებას:

- Ich hoffe, dass **du** bald wieder gesund bist.
- Ich glaube, dass **ihr** die richtige Entscheidung getroffen habt.
- Ich finde es unmöglich, dass **die Frauen** die ganze Zeit kochen müssen.

2. კონსტრუქცია um + zu + ინფინიტიურ ქცევას ჩვეულებრივ weil კავშირიანი მიზეზის დამოკიდებული წინადადება შეენაცვლება. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია დამატებით მოდალური ზმნების შემოტანაც:

- Sie gehen ins Ausland, um mehr Geld zu verdienen. → Sie gehen ins Ausland, weil sie mehr Geld verdienen **wollen**.
- Ich fahre nach Prag, um meinen alten Freund zu besuchen. → Ich fahre nach Prag, weil ich meinen alten Freund besuchen **will/muss**.
- Er macht die Taschenlampe an, um den Fremden besser sehen zu können. → Er macht die Taschenlampe an, weil er den Fremden besser sehen **will**.

როგორც ვხედავთ, აქაც ინფინიტიური კონსტრუქცია მთავარი წინადადების სუბიექტს გულისხმობს. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია მხოლოდ დამოკიდებული

წინადადების აგება. ამასთან um ... zu კონსტრუქციის ნაცვლად იხმარება damit კავშირი, ხოლო ohne ... zu-სა და (an)statt ... zu-ს ნაცვლად – შესაბამისად ohne dass და (an)statt dass:

- > Mein Vater hat mir Geld gegeben, damit ich mir einen Rock kaufen kann.
- > Schließ das Fenster, damit es nicht reinregnet!

მაგრამ არის ცალკეული შემთხვევები, როდესაც damit-კავშირიან წინადადებას უპირატესობა ინფინიტიური ქცევის ხმარების სფეროშიც ენიჭება. ეს ხდება განსაკუთრებით ბრძანების გამოხატვისას:

- > Nehmen Sie ein Taxi, damit Sie rechtzeitig ins Büro kommen! (= Nehmen Sie ein Taxi, um rechtzeitig ins Büro zu kommen!)
- > Nimm die Jacke mit, damit du dich nicht erkältest!

კავშირები ohne dass და (an)statt dass თანამედროვე ენაში იშვიათად იხმარება:

- > Er redet, ohne dass ihm jemand zuhört.
- > Jeden Tag bekomme ich Briefe, anstatt dass jemand mir Blumen schickt.

### 6 სავარჯიშოები

1 დავალე 1. დაასრულეთ წინადადებები ფრწხილებში მოცემული ინფინიტიური ქცევის წევრებით.

- (1) – Du hast gelogen.  
– Nein, ich bin nicht in der Lage, (*tun, so etwas*).
- (2) – Du erkältest dich!  
– Nein, ich bin gewöhnt, (*gehen, barfuß*).
- (3) – Haben Sie mich nicht erkannt?  
– Doch, es ist nicht so schwer, (*erkennen, Sie*).
- (4) – Lassen Sie sich auf der Straße ansprechen?  
– Es ist schwierig, (*beantworten, Ihre Frage*). Normalerweise nicht.
- (5) – Darf ich mein Wörterbuch mitbringen?  
– Nein, Es ist nicht erlaubt, (*benutzen, während der Kontrollarbeit, das Wörterbuch*).
- (6) – Es ist verboten (*Fußball spielen, hier*).  
– Okay, dann hören wir jetzt eben auf.
- (7) – Unsere Partei kämpft für den Umweltschutz.  
– Wir sind auch bereit, (*sich einsetzen, dafür*).
- (8) – Es ist hier nicht erlaubt (*rauchen*).  
– Ach so. Entschuldigung, ich mache sofort meine Zigarette aus.
- (9) – In der letzten Zeit kommst du spät heim.  
– Ich bleibe nach der Arbeit noch ein bisschen im Büro. Es ist interessant, (*sich unterhalten, unser neuer Chef, mit*).

- (10) – Es ist mir sehr angenehm, (*sich unterhalten, Sie, mit*).  
– Das freut mich.
- (11) – Heute bekommt man viel mehr Information als früher.  
– Das stimmt, aber trotzdem ist es heute viel schwerer, (*sich orientieren, politisch*).
- (12) – Geht es dir schon besser?  
– Ja, ein bisschen. Aber es ist langweilig, (*liegen müssen, im Bett, wochenlang*).
- (13) – Ich bin ganz erschöpft.  
– Das wundert mich nicht. Es ist ungesund, (*sitzen, über den Büchern, stundenlang*).  
– Ja, du hast Recht. Es tut gut, (*sich bewegen, etwas*).
- (14) – Wie gefällt es Ihnen hier?  
– Ich bin froh, (*wohnen dürfen, das Studentenheim, in*).
- (15) – Siehst du abends gern fern?  
– Nein, ich finde es viel interessanter, (*gehen, die Disko, in*).
- (16) – Gehst du schon ins Bett?  
– Ja, ich bin gewöhnt, (*einschlafen, früh*).
- (17) – Wir gehen jetzt. Kommst du mit?  
– Ja, Moment! Ich bin gerade dabei, (*sich anziehen*).
- (18) – Ist etwas passiert, Klaus?  
– Nein, aber es ist ganz schön langweilig, (*jeden Tag, sechs Stunden, in der Schule, sitzen*).

1 დავალება 2. შეადგინეთ სამასობო რეპლიკა:

1. Bei uns ist es nicht höflich, direkt nach dem Gehalt zu fragen. Und bei Ihnen?
2. Bei uns ist es ganz normal, beim Essen zu rauchen. Und bei euch?
3. Bei uns ist es nicht üblich, ins Café Getränke mitzubringen. Und bei euch?
4. Bei uns ist es üblich, vor dem Essen „Guten Appetit“ zu sagen, Und bei Ihnen?
5. Bei uns ist es unhöflich, nach 22 Uhr Musik zu machen. Und bei Ihnen?
6. Bei uns ist es erlaubt, der Dame die Hand zu küssen. Und bei Ihnen?
7. Bei uns ist es verboten, mit dem Fahrrad auf dem Gehsteig zu fahren. Und bei euch?
8. Bei uns ist es nicht üblich, Schweinefleisch zu essen. Und bei euch?

2-3 დავალება 3. ვანსაზღვრეთ არსებითი სახელი ფრჩხილებში მოცემული ინფინიტიური ჯგუფით:

- (1) – Machst du Sport?  
– Nein, ich habe keine Zeit, (*Sport treiben*).
- (2) – Du, Gerd, was studierst du?  
– Chemie.  
– Was? Wolltest du nicht Informatik studieren?

- Doch, aber an unserer Uni gibt es leider keine Möglichkeit, (*studieren, Informatik*).
- (3) – Haben Sie hier viele Freunde?  
– Ja, wir haben keine Schwierigkeiten, (*Kontakt finden, hier*).
- (4) – Können Sie diese Übersetzung korrigieren?  
– Lieber nicht. Ich habe nicht den Mut, (*übernehmen, diese Arbeit*).
- (5) – Bist du mir böse?  
– Es ist kein Vergnügen, (*du, tanzen, sehen, meine Freundin, mit*).
- (6) – Ruf mich doch mal an!  
– Nein, ich habe keine Lust, (*anrufen, du*).
- (7) – Bleib doch bitte noch ein bisschen! Ich habe Angst, (*sein, hier, allein*).
- Mach' ich.
- (8) – Mein Wunsch ist, (*reisen, Japan, nach*).
- Hast du denn so viel Geld?  
– Zur Zeit leider gar keins. Aber leben heißt (*hoffen*).
- (9) – Gehen wir heute Abend ins Kino!  
– Nein, ich habe Kopfschmerzen.  
– Überleg es dir! Wer weiß, ob du noch mal Gelegenheit bekommst, (*sehen, dieser Film*).
- (10) – Warum machst du den Fernseher aus?  
– Ich habe keine Lust, (*sehen, diese Sendung, zu Ende*).
- (11) – Geht eure Partei auch auf die Demonstration?  
წარსული:	einst/einmal (ოდესღაც)	vor kurzem/neulich (ამის წინათ)
	damals (მაშინ)	letzten Sonntag (გასულ კვირას)
	früher (წინათ)	in der Vergangenheit (წარსულში)
	gerade/eben (ეს-ეს არის)	im 17. Jahrhundert (მე-17 საუკუნეში)
	vor langem (დიდი ხნის წინ)	in den letzten Jahren (ბოლო წლებში)
	in den siebziger Jahren (სამოცდაათიან წლებში)	
	im vergangenen Jahr/im vorigen Jahr (გასულ წელს/მარშან)	
მომავალი:	sofort/gleich (ახლავე)	künftig/in der Zukunft (მომავალში)
	einst/einmal (ოდესმე)	bald (მალე)
	nächste Woche (მომავალ კვირას)	
	nächstes Jahr (მომავალ წელს)	
	heute in einer Woche (ერთ კვირაში/ერთი კვირის თავზე)	
	heute in zwei Wochen (ზუსტად ორი კვირის შემდეგ)	

ყველა დროს და მოქმედების დაწყება-დამთავრებას მიესადაგება თქვენთვის ყველა ცნობილი დასახელებები:

am 5. Januar/am 3. September 1977

im Mai des Jahres 1986/im Jahre 2050

Punkt ein Uhr/um 3/um 10 Uhr/pünktlich um 9 Uhr/kurz nach 8 Uhr/  
gegen 12

morgens/vormittags/nachmittags/abends/nachts/morgens früh/morgens um  
 6 Uhr/früh/spät  
 am Abend/in der Nacht/am frühen Vormittag/gegen Morgen/am Tage  
 Anfang Januar/Ende Dezember/Anfang des Monats  
 im Frühling/im Winter  
 am Montag/diesen Montag/diese Woche/dieses Wochenende/diesen  
 Sommer  
 eines Tages/eines Morgens/eines Nachts'/mitten in der Nacht/spät in der  
 Nacht/vor Mitternacht  
 zu dieser Zeit/zu diesem Zeitpunkt  
 anfangs/von Anfang an  
 endlich/schließlich  
 von diesem Tag an  
 in letzter Sekunde/Minute  
 vom ersten Augenblick an  
 ab Montag/ab morgen

ნიმუშები:

- |   |  |
|---|--|
| ➤ Es war am 10 Mai 1987.                                  | ➤ Er fuhr am Samstag nach Hamburg.     |
| ➤ Er war einmal ein berühmter Filmstar.                   | ➤ Ich will einmal Zirkusartist werden. |
| ➤ Er ist gerade am Frühstück.                             | ➤ Sie ist gerade gekommen.             |
| ➤ Damals fuhr hier noch kein Bus.                         | ➤ Geben Sie mir sofort Ihre Pistole!   |
| ➤ Peter hat mir alles erzählt. Nun weiß ich die Wahrheit. |  |
| ➤ Neulich habe ich meinen alten Bekannten getroffen.      |  |

### 1.2 მოქმედების ხანგრძლივობის დაკონკრეტება

მოქმედების ხანგრძლივობის დასაკონკრეტებლად მიმართავენ შემდეგ ზმნიზებებსა და შესიტყვებებს:

lang(e) (დიდხანს/ხანგრძლივად)	kurz (ცოტა ხნით)
schnell/blitzschnell (სწრაფად/წამიერად)	immer/stets (მუდამ/ყოველთვის)
nie/niemals (არასოდეს/არასდროს)	ewig (სამუდამოდ)
tagsüber (დილიდან საღამომდე/დღის განმავლობაში)	noch (ჯერ კიდევ)
von montags bis freitags (ორშაბათიდან პარასკევამდე)	Tag und Nacht (დღე და ღამე)
von früh bis spät (დილიდან საღამომდე)	halbtags (ნახევარი დღე)
den ganzen Abend/Morgen/Tag (მთელ საღამოს/დილას/დღეს)	die Nacht hindurch (მთელი ღამე)

1 ფორმა eines Nachts, გრამატიკული სქესის მიუხედავად, ინარმოება eines Tages ფორმის ანალოგიურად.

während einer Stunde (ერთი საათის განმავლობაში); in einer Stunde (ერთ საათში)  
sekundenlang (წამების განმავლობაში)

აგრეთვე: stundenlang/tagelang/nächtelang/monatlang/jahrelang/jahrhundertlang  
eine Weile lang (ცოტა ხნის/წამის, წუთის/განმავლობაში)

აგრეთვე: eine Stunde lang/drei Wochen lang/einen Monat lang

ნიმუშები:

- Ich habe ihn **lange** nicht gesehen.
- Lene geht **halbtags** in den Kindergarten.
- **Eine Woche lang** hat es pausenlos geregnet.
- **Tagelang** warteten wir auf seinen Brief.
- **Tag und Nacht** hat er seinen Geldbeutel bei sich.
- **Den ganzen Abend** dachte ich an diesen Unfall.
- Wir haben **die ganze Nacht hindurch** gearbeitet.

შენიშვნა: დაუკვირდით ზმნიზედას kurz:

- Ich gehe **kurz** raus. ცოტა ხნით გარეთ გავალ.
- Ich möchte Sie **kurz** sprechen. ერთი წუთით მინდა დაგელაპარაკოთ.

### 1.3 მოქმედების მრავალჯერადობის გადმოცემა

მოქმედების მრავალჯერადობა გადმოიცემა შემდეგი ზმნიზედებით და შესიტყვებებით:

feiertags	(დასვენების დღეებში)	werktags	(სამუშაო დღეებში)
häufig/oft/öfter(s)	(ხშირად)	manchmal	(ზოგჯერ)
jederzeit	(ნებისმიერ დროს)	jedesmal	(ყოველ ჯერზე/ყოველთვის)
zeitweise	(დროდადრო)	ab und zu	(ხანდახან/დროდადრო)
meistens	(ხშირ შემთხვევაში)		
morgens, abends	(დილას/დილაობით; საღამოს/საღამოობით)		
montags/sonntags	(ორშაბათობით/კვირაობით)		
täglich/tagtäglich/alltäglich	(ყოველდღიურად)		
wöchentlich	(ყოველ კვირას)		

აგრეთვე: monatlich/jährlich/alljährlich

wieder/nochmals/noch mal	(სასაუბრ.)	(კიდევ/განმეორებით)
unaufhörlich/pausenlos		(გაბმულად/შეუსვენებლად)
immer wieder/immer und immer wieder		(ისევ და ისევ)
immer noch		(ისევ/ისევ და ისევ)
noch immer		(ჯერ ისევ)
tausendmal	(ათასჯერ; აგრეთვე: zweimal/zehnmahl/hundertmal)	

tagaus, tagein (განუწყვეტლივ/დღიდან დღემდე)  
 jedes Jahr/jeden Tag/jede zweite Woche (ყოველ წელს/ყოველდღე/ყოველ მეორე კვირას)  
 einmal die Woche (კვირაში ერთხელ)

ნიმუშები:

- Wir sehen uns **manchmal** bei Karin.
- **Ab und zu** besuche ich meine Eltern.
- Das Museum ist nur **werktags** geöffnet.
- Ich gehe **zweimal wöchentlich** ins Schwimmbad.
- Meine Nachbarin geht **einmal die Woche** putzen.
- Der Bus fährt **montags bis freitags alle halbe Stunde**.
- **Tagaus, tagein** gibt sie Klavierstunden.

### 2 ორი ან მეტი მოქმედების ტემპორალური შეთანადება რთულ წინადადებაში

რთული წინადადება ორ ან მეტ მოქმედებას ასახავს. ეს მოქმედებები ერთმანეთთან სხვადასხვა დროულ მიმართებებშია: ზოგი ერთდროულად ხდება, ზოგჯერ ერთი მოქმედება წინ უსწრებს მეორეს. ერთ შემთხვევაში საქმე გვაქვს ერთჯერად მოქმედებასთან, მეორეში მოქმედებები მეორდება და ა.შ. ჩვენ შევისწავლეთ ამგვარი სახის რამდენიმე რთული წინადადება ტემპორალური კავშირებით bis, solange, seit/seitdem:

- Bleib hier stehen, bis ich dich abhole! (მეორე მოქმედების განხორციელება ნიშნავს პირველის დასრულებას.)
- Solange du mich nicht verlässt, werde ich glücklich sein. (ორივე მოქმედებას ერთი ხანგრძლივობა აქვს.)
- Seit meine Eltern tot sind, bin ich nicht mehr in Münster gewesen. } (მოქმედებათა დასაწყისი ერთმანეთს ემთხვევა.)
- Seitdem er Geld geerbt hat, ist er ziemlich leichtsinnig geworden. }

ახლა კი ვაგრძელებთ ტემპორალური კავშირებისა და შესაბამისი მნიშვნელობის მქონე რთული წინადადებების შესწავლას.

#### 2.1 ურთიერთგანპირობებული კავშირები (als/wenn)

als და wenn ტემპორალური კავშირები (როცა, როდესაც) თავის მნიშვნელობას ერთმანეთთან მიმართებაში გამოხატავენ:

- als მხოლოდ წარსულ ერთჯერად მოქმედებებს აკავშირებს:
- Ich war draußen, als das Gewitter losbrach.
  - Als es an der Tür klingelte, lag ich schon im Bett.
  - Als ich zur Haltestelle kam, war der Bus schon abgefahren.

➤ **Als der Unterricht zu Ende war, gingen wir ins Café.**

მაგალითებიდან ჩანს, რომ als უკავშირდება როგორც ერთდროულად მიმდინარე, ისე წინარე და შემდგომ მოქმედებებს, რასაც მხარს უჭერს დროის ფორმების ხმარებაც:

➤ **Als ich ein Kind war, sprach ich fließend Russisch.** (თანადროულობა.)

➤ **Als ich das letzte Glas getrunken hatte, bekam ich Lust zu tanzen.** (პირველი მოქმედება წინ უსწრებს მეორეს.)

შენიშვნა: als-კავშირიანი დამოკიდებული წინადადება ქართულად ორგვარად ითარგმნება:

➤ **Als ich zur Haltestelle kam, war der Bus schon abgefahren.**

- გაჩერებასთან რომ მივედი, ავტობუსი უკვე წასულიყო.
- როცა გაჩერებასთან მივედი, ავტობუსი უკვე წასული დამხვდა.

wenn კავშირს მიმართავენ ახლანდელი და მომავალი მოქმედების დაკავშირებისას, აგრეთვე წარსული მრავალჯერადი მოქმედების გადმოცემისას. ამის შედეგად als და wenn კავშირების ხმარების სფერო შემდეგნაირადაა გამიჯნული:

	მრავალჯერადი მოქმედება	ერთჯერადი მოქმედება
ანმყო/მომავალი	wenn	wenn
წარსული	wenn	als

ნიმუშები:

- **Wenn er Kaffee trinkt, lese ich Zeitungen.**
- **Wenn es dunkel wird, geht unsere Katze jagen.**
- **Immer, wenn er mich umarmen wollte, bekam ich Angst.**

შენიშვნა: თუმცა wenn კავშირის ხმარების სფერო შედარებით ფართოა, თხრობით ტექსტში als ბევრად უფრო ხშირად გვხვდება, ვინაიდან თხრობისას ძირითადად წარსული ერთჯერადი მოქმედებები გადმოიცემა.

## 2.2 მოქმედებათა თანადროულობის/მონაცვლეობის გამომხატველი კავშირები (während, solange, seit/seitdem, sooft, dabei, zugleich, mal ... mal)

während (მაშინ როდესაც) უკავშირდება ისეთ მოქმედებებს, რომლებიც გარკვეული დროის მანძილზე პარალელურად მიმდინარეობს:

- **Während ich die Nummer meiner neuen Bekannten wählte, vergaß ich ihren Namen.**
- **Ich telefonierte, während mein Mann einen Krimi las.**

solange, როგორც ვიცით, უკავშირდება ისეთ მოქმედებებს, რომლებიც ხანგრძლივობით ერთმანეთს ემთხვევა:

- **Ich störe dich nicht, solange du arbeitest.**

**seit/seitdem** (გარკვეული დროიდან) უკავშირდება ხანგრძლივ მოქმედებას, რომლის სანყისიც ნარსულშია:

- **Seit ich mir einen Hund angeschafft habe, habe ich nachts keine Angst mehr.**
- – **Seit wann ist es bei euch so langweilig? – Seit man die Diskos geschlossen hat.**

**sooft** (როცა კი) აღნიშნავს, რომ მთავარი და დამოკიდებული წინადადებების მოქმედებები ერთნაირი სიხშირით მეორდება:

- **Sooft mein Onkel kommt, beginnt Rex laut zu bellen.**
- **Sooft ich bei Gerd war, telefonierte er mit Andrea.**

თანადროულობას გადმოსცემს აგრეთვე ორი მაერთებელი კავშირი **dabei** და **zugleich** (ამასთან, ამავე დროს):

Er rauchte, **zugleich** hustete er pausenlos.  
Er las in einer Zeitschrift, **dabei** hörte er Musik.

მოქმედებათა ურთიერთმონაცვლეობას გადმოსცემს, როგორც ვიცით, რთული მაერთებელი კავშირი **mal ... mal**:

- **Mal ist sie fröhlich, mal weint sie.**
- **Mal kommt er vorbei, mal ruft er an.**
- **Mal fuhr er mit dem Zug nach Mailand, mal flog er mit dem Flugzeug.**

### 2.3 მოქმედებათა არათანადროულობის გამომხატველი კავშირები (*nachdem, sobald, bevor, ehe*)

არათანადროულ მოქმედებათა აღმნიშვნელი კავშირები იწყებენ:

- დამოკიდებულ წინადადებას, რომლის მოქმედებაც წინ უსწრებს მთავარი წინადადების მოქმედებას;
- დამოკიდებულ წინადადებას, რომლის მოქმედებაც მოსდევს მთავარი წინადადების მოქმედებას.

პირველ შემთხვევაში ესაა კავშირები *nachdem, sobald, მეორეში – bevor, ehe*.

**nachdem** (მას შემდეგ, რაც) ძირითადად ნარსულ დროში იხმარება და მისი მნიშვნელობის გამოკვეთას ხელს უწყობს პრეტერიტუმისა და პლუსქვამპერფექტის მონაცვლეობა:

- **Nachdem die Gäste angekommen waren, schloss man das Tor.**
- **Nachdem der Lehrer den Text vorgelesen hatte, begannen wir, ihn nachzuerzählen.**

**sobald** (როგორც კი/... თუ არა) იხმარება დამოკიდებულ წინადადებაში, რომლის მოქმედების განხორციელებისთანავე იწყება მთავარი წინადადების მოქმედება. ამ ურთიერთმიმართებას გამოკვეთენ დროის ფორმებიც:

- **Sobald ich mich ins Bett gelegt hatte, schlief ich ein.**

➤ **Sobald** du mit deiner Magisterarbeit fertig bist, werden wir jeden Abend Karten spielen.

შენიშვნა: მას მნიშვნელობით უახლოვდება მაერთებელი კავშირი **kaum**:

- **Kaum** war das Licht ausgegangen, begann die Vorstellung.
- **Kaum** war ich aufgewacht, hörte ich meine Frau über mich schimpfen.

**bevor** (ვიდრე, სანამ):

- **Bevor** ich weggehe, schaue ich immer kurz in den Spiegel.
- **Bevor** ich wegging, hatte ich kurz in die Küche geschaut.
- **Bevor** du nach Japan reist, musst du Japanisch lernen.
- Ruf mich an, **bevor** du ins Konzert gehst!

**ehe** (ვიდრე, სანამ) ჩვეულებრივ **bevor** კავშირს ენაცვლება:

- **Ehe** ich weggehe, schaue ich kurz in den Spiegel.
- **Ehe** ich in den Urlaub fahre, kaufe ich alles ein, was ich brauche.
- **Ehe** ich begriff, was geschehen war, war der Hund nicht mehr zu sehen.

### 3 მოქმედებათა თანამიმდევრობის გადმოცემის საშუალებები თხრობისას

სიუჟეტის განვითარება თხრობით ტექსტში სხვადასხვაგვარად ხდება: ზოგჯერ მთხრობელი ერთ დროის ხაზს იცავს, ზოგჯერ კი უკან ბრუნდება ან წინ უსწრებს მოვლენებს, ერთ შემთხვევაში იგი აქცენტს უცაბედად მომხდარ ამბავზე აკეთებს, მეორეში – მოქმედების დაწყებას ან დასასრულზე და ა.შ. როგორც ვიცით, მოქმედებათა ენობრივ შეთანადებას უპირატესად დროის ფორმები ემსახურება, მაგრამ მათ დაკონკრეტებაში არანაკლებ როლს თამაშობენ აგრეთვე ზმნიზედები და სახელური შესიტყვებები.

მოქმედებათა ტემპორალური შეთანადების საშუალებები თხრობით ტექსტში ისევე უნდა შევისწავლოთ, როგორც ნებისმიერი გრამატიკული მოვლენა. მათ ხმარებას მოქმედებების ურთიერთმიმართება განაპირობებს:

- ერთი მოქმედება მოსდევს მეორეს.  
ამ მიმართების დაკონკრეტებას ემსახურება შემდეგი ენობრივი საშუალებები:

nach einigen Tagen (რამდენიმე დღის შემდეგ); აგრეთვე: nach einer Woche/nach vielen Jahren/nach wenigen Minuten/nach kurzer Zeit

eine Stunde später (ერთი საათის შემდეგ); აგრეთვე: eine halbe Stunde später/  
10 Minuten später/wenige Tage später/Sekunden später/Jahre später/keine 20 Minuten später

in den nächsten Tagen (შემდეგ/მომდევნო/დღეებში); აგრეთვე: in den folgenden Jahren/in wenigen Minuten

am nächsten Tag (მეორე დღეს); აგრეთვე: gleich (= schon) am nächsten Tag/am gleichen Tag/am folgenden Tag/am zweiten Tag

einen Monat nach (seinem Tod) (*მისი სიკვდილიდან/ერთი თვის შემდეგ*); აგრეთვე: zwei Jahre nach ...

kurz nach (15 Uhr) (*ოთხის წუთებზე*)

ein Jahr darauf (*ერთი წლის შემდეგ*)

darauf/daraufhin (*ამის შემდეგ*); აგრეთვე: gleich darauf (*მაშინვე*)

tags darauf

am Tag darauf

dann

da

} (*ერთი დღის შემდეგ/მეორე დღეს*)

} (*მერე/შემდეგ*)

später (*მოგვიანებით*)

danach (*ამის შემდეგ/შემდგომ*); აგრეთვე: kurz danach (*მალევე*)

erst/zuerst/zunächst ... dann (*ჯერ ... მერე*.)

zuletzt (*ბოლოს*)

viele Jahre danach (*მრავალი წლის შემდეგ*)

bald darauf (*ამის შემდეგ/მალევე*); აგრეთვე: sehr bald darauf

nachher (*შემდგომში/ამის შემდეგ*); აგრეთვე: gleich nachher

- ერთ მოქმედებას მეორე – მოულოდნელი მოქმედება – მოსდევს; ამ უკანასკნელის მიმანიშნებელია:

plötzlich

auf einmal

} (*უცებ, მოულოდნელად*)

- ერთი მოქმედება წინ უსწრებს მეორეს. ამ მიმართების გამოხატვას ემსახურება:

vor einigen Tagen (*რამდენიმე დღის წინ*); აგრეთვე: vor einem Monat/vor zwei Jahren/vor einiger Zeit/vor einem halben Jahr/vor knapp drei Wochen

einen Tag vor (Ostern) (*აღდგომის/წინა დღეს*); აგრეთვე: drei Tage vor .../wenige Jahre vor ...

eine Stunde zuvor (*ერთი საათით ადრე*); აგრეთვე: wenige Monate zuvor/zwanzig Jahre zuvor/tags zuvor

in den Tagen vor (Weihnachten) (*შობის/წინაღღებში*)

kurz vor ... (*ცოტა ხნით ადრე*)

vorhin (*ცოტა ხნის წინ/ამის წინ*)

zuvor (*წინათ/ადრე*)

bis dahin (*იქამდე*)

bisher (*აქამდე*)

eine Woche vorher (*ერთი კვირით ადრე*); აგრეთვე: (schon) Monate vorher

am vorletzten Montag (*წინა კვირის ორშაბათს*)

vorher (*ადრევე/წინათ/უწინ/წინდან/წინასწარ*)

- ერთი მოქმედება მეორეს ემთხვევა.  
მოქმედებათა თანხვედრას გადმოსცემს:

in diesem Augenblick (იმ წუთში/დროს); აგრეთვე: in diesem/im selben Moment zu dieser Zeit (ამ დროს/ამ ხანში); აგრეთვე: zu diesem Zeitpunkt/zur gleichen Zeit/zu dieser Stunde

um diese Zeit (ამ დროს/ამ დროისათვის)

ნიმუშები

- (1) Am 19. März 1947 begann der Sensationsprozess gegen Kriegsverbrecher. Vor Mitternacht schon, zwölf Stunden vor Prozessbeginn, fanden sich draußen die ersten Zuhörer ein. Morgens waren es Tausende. Als sich um halb zehn Uhr endlich die schwere Eisentür öffnete, gelangten wenige von ihnen in den Gerichtssaal.
- (2) Otto Krause stammte aus München. Um sich dem Gericht zu entziehen, war der Mann zunächst nach Wien, später nach London und dann nach Madrid übersiedelt. Ende Februar 1990 war Krause aus Madrid verschwunden. Ein Jahr danach tauchte er in Prag auf. Bald darauf hat man ihn in Ungarn verhaftet.
- (3) In Hamburg erst, später in allen Großstädten etablierte Daniel Beil seine Büros, und in den letzten Jahren überzog er ganz Deutschland mit fast fünfhundert Geschäften.
- (4) Man informierte Ingeborg über die Krankheit ihrer Mutter am späten Nachmittag. Noch am gleichen Tag machte sie sich auf den Weg nach Bern. Aber Frau Krug war zu diesem Zeitpunkt schon tot.

#### 4 სავარჯიშოები

1-1.3 დავალება 1. თარგმნეთ:

- (1) გუშინნინ მთელ დღეს მზეზე ვინეკით. ამის შემდეგ ყველას კანი დაენვა, ჩემს ვარდა. საღამოს ნაყინი ვჭამეთ და კოკა-კოლა დავლიეთ. გუშინ თავს ძალიან ცუდად ვგრძნობდი. დღეს არა მიშავს.
- (2) მაშინ ერთ პატარა ქალაქში ვცხოვრობდით. მამა ფირმაში მუშაობდა. ჩემი უმცროსი ძმა დღის პირველ ნახევარში საბავშვო ბაღში იყო. დედა თვეობით წერდა თავის დის-ერთაცას. მე თითქმის მთელ დღეს ჩემს ოთახში ვიჯექი და განუწყვეტლივ ტელევიზორს ვუყურებდი. მხოლოდ ცოტა ხნით გავდიოდი ოთახიდან, რომ ცოტა საქმელი ამელო. იმ ზაფხულს 12 წლის გავხდი. კვირა დღე იყო. მამა დილით ცხოველების ბაზარზე გავიდა და ლეკვი მიყიდა. მე მას ბინგო დავარქვი. ამ დღიდან ახალი ცხოვრება დავიწყე: დილით ადრე ვდგებოდი და საათობით ვსეირნობდი ბინგოსთან ერთად. ხანდა-ხან საბანაოდაც დავდიოდი. თავიდან ბინგოს ეშინოდა, სხვა ძაღლებს რომ ხედავდა, მაგრამ მალე დაიწყო მათთან თამაში.

ერთხელ ბინგო ავად გახდა. პატარა ბავშვებმა პარკში კამფეტები მისცეს. ვფიქრობ, ვერ მოინელა. მამაჩემმა ვეტერინარს დაურეკა, მაგრამ ის შინ არ იყო. ბინგო განუწყვეტილად წკმუტუნებდა. მე მთელი ღამე მასთან ვიჯექი. მეორე დღეს ბევრად უკეთესად იყო, საღამოს კი უკვე ხმამაღლა ყეფდა და ბალში დარბოდა.

**1-1.3** დავალება 2. ჩასვით *als* ან *wenn* კავშირები:

1. Zuletzt sahen wir uns auf einer Party, — ich gerade von einer anderen Party kam.
2. Ich wollte Renate besuchen – wie früher, — wir nächtelang Tee tranken und diskutierten.
3. Wir telefonieren immer noch gelegentlich, aber meistens, — wir telefonieren, schauen wir ungeduldig auf die Uhr.
4. Ich rufe ihn manchmal an, aber — er sich meldet, kriege ich auf einmal Angst und lege auf.
5. — ich ein Kind war, hatte ich Andersens Märchen besonders gern.
6. Immer, — unser Hausarzt zu uns kam, versteckten wir uns hinter dem Schrank.
7. — er gerade bei ihr im Zimmer saß, klingelte es plötzlich an der Tür.
8. — ich in Berlin wohnte, kamen Freundinnen zu mir und tranken Tee.
9. Eines Tages, — wir zu Hugo gegangen waren, um zu tanzen, wurde meiner Freundin übel.
10. Einmal, — ich zu Fuß heimkehrte, sah ich an der Straßenecke einen riesigen Hund sitzen.
11. Ich hasse es, — ich merke, dass man mich beneidet.
12. — er den Laden verließ, hatte er keinen einzigen Pfennig mehr.
13. Jedesmal, — ich ihm begegnete, fragte er mich nach meiner Dissertation.
14. — sie zu sich kam, war der Straßenräuber schon weg.
15. — ich deinen Brief gelesen hatte, lachte ich laut.

**2.2-2.3** დავალება 3. თარგმნეთ ქართულად:

1. Nachdem Paul angerufen hatte, gingen wir aus dem Haus.
2. Überlegen Sie sich die Sache genau, bevor Sie unterschreiben!
3. Solange ich Fieber hatte, durfte ich nicht ins Büro.
4. Als ich in England war, kaufte ich dort schöne Jeans.
5. Sobald ich mein Abitur gemacht hatte, musste ich zum Militär.
6. Ich lese die Zeitungen morgens, während ich mit dem Bus ins Büro fahre.
7. Wenn ich in den Semesterferien Zeit habe, gehe ich immer Geld verdienen.
8. Bevor du aus dem Haus gehst, musst du das Licht ausmachen.
9. Als mein Urgroßvater ein kleiner Junge war, gab es in Deutschland noch einen Kaiser.

10. Während ich mich auf meine Prüfungen vorbereite, will ich keinen Besuch haben.
11. Nachdem Manfred geboren war, zog unsere Familie in eine größere Wohnung um.
12. Seit meine Eltern gestorben waren, lebte ich bei meinem Onkel.
13. Sooft man sich bei uns für das neue Semester meldet, muss man eine Quittung über bezahlte Sozialgebühren vorlegen.
14. Nachdem wir eine Antenne installiert haben, sitzen wir den ganzen Abend vor unserem Fernseher.

**2.2-2.3** დავალება 4. ჩასვით კავშირები *während, sooft, nachdem, sobald, bevor/ehe, mal ... mal.*

1. — es draußen so schön ist, sitzt du wieder am Computer.
2. Er zog aus der Tasche einige Dollarscheine und bezahlte die Rechnung, — ich etwas sagen konnte.
3. — wir Platz genommen hatten, begann der Redner seinen Vortrag.
4. — er zurückging und die Tür des Autos öffnete, wurde er ganz nass.
5. — er weitersprach, nahm er aus einem Schreibtischfach eine Schachtel Zigaretten.
6. — er mich untersucht hatte, fragte er sofort nach meinem Beruf.
7. — Sie an der Uni studieren können, müssen Sie eine Deutschprüfung machen.
8. — wir fast zwei Stunden diskutiert hatten, sagte Günther: „Lasst uns in die Bar gehen!“
9. — ich dich anrufe, bist du beschäftigt.
10. — ich das Geschäft betreten hatte, schaute ich mir im Schaufenster die Preise an.
11. — bist du traurig, — lachst du laut.
12. — ich diese Straße entlang fahre, sehe ich diesen Mann vor dem Haus sitzen.

**3** დავალება 5. თარგმნეთ:

გუშინ დიტერის ძალი მოკვდა. დიტერი დასაძინებლად რომ მიდიოდა, დედამ ეს უკვე იცოდა, მაგრამ მას მხოლოდ მეორე დილას უთხრა, საუზმის შემდეგ. ამის შემდეგ ის დიდხანს იჯდა ფანჯარასთან და ჩუმად ტიროდა. მერე მისი ძმა მოვიდა და ისინი ბებიას სანახავად წავიდნენ. სახლში მხოლოდ მეორე დღეს დაბრუნდნენ. მამამ უთხრა დიტერს: „ნუ დარდობ, ძაღლები დიდხანს არ ცოცხლობენ. მე შენ სხვა რამეს გაჩუქებ“. რამდენიმე დღის შემდეგ მან დიტერს თუთიყუში მოუყვანა.

## მეცამეტე მონაკვეთის შეჯამება

მეცამეტე მონაკვეთის გავლის შემდეგ თქვენ უკვე შეგიძლიათ დააკავშიროთ ერთმანეთთან სხვადასხვა დროს მომხდარი მოქმედებები, დაიცვათ თხრობისას მათი თანამიმდევრობა, გადმოსცეთ მომხდარი ამბავი, მოყვეთ ზღაპარი და ა.შ.

საკონტროლო დავალებები შექნილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესამოწმებლად:

🔑 დავალება 1. თარგმნეთ. მიაქციეთ ყურადღება ტექსტის ტემპორალურ გაფორმებას.

- (1) წინა კვირას ერთი ფილმი ვნახე. ფილმი აჩვენებდა, თუ როგორ ცხოვრობდა ხალხი 70-იან წლებში. მანქანები მაშინ სრულიად სხვანაირად გამოიყურებოდა, ვიდრე დღეს. ბინებს ყვითელი, ყავისფერი და წითელი პლასტმასის საგნებით აწყობდნენ. ბებიჩემსაც წითელი სამზარეულო ჰქონდა. იმ დროს ეს ფერი მას ყველაზე ძალიან მოსწონდა.
- (2) ამ ზაფხულს ავტოსტოპით ევროპა შემოვიარეთ. ჯერ იტალიაში წავედით. იქ ბევრს ვბანაობდით. ერთი კვირის შემდეგ საბერძნეთისაკენ გავავარძელეთ გზა. იქ დეიდაჩემი მოვინახულეთ. იგი ცოტა ხნის წინ ბერძენზე გათხოვდა და ამჟამად ათენში ცხოვრობს. სამი დღის შემდეგ მისმა ქმარმა მანქანით სანაპიროზე წაგვიყვანა. მთელი შემდეგი კვირა ერთი კუნძულიდან მეორეზე გადავდიოდით. ბოლოს სტამბოლშიც ვიყავით.
- (3) ვიდრე სახლს ავაშენებდით, პატარა ქოხში ვცხოვრობდით. როცა ციოდა, ერთმანეთს ვეკვროდით ხოლმე. მამაჩემმა ლოტოში რომ მოიგო, მაშინვე სასტუმროში გადავედით და სახლის შენება დაიწყეთ. მას შემდეგ, რაც სახლი მზად იყო, თითოეულმა ჩვენთაგანმა თავისი საკუთარი ოთახი მიიღო.
- (4) დედა ცოტა ხნით გავიდა სახლიდან. მაგრამ, სანამ დაბრუნდებოდა, ბავშვებმა ორი ჭიქა გატეხეს, გაზი აანთეს და ტორტი შეჭამეს. ამიტომ იგი ბავშვებს დღის განმავლობაში შინ მარტო აღარ ტოვებდა.
- (5) ახლახან დისკოთეკაზე ახალგაზრდა კაცი გავიცანი. აქამდე ის იქ არასოდეს მიწახავს. მეორე დღესვე ერთმანეთს კაფეში შევხვდით. მოგვიანებით კიდევ დამირეკა. ახლა კი ერთმანეთს ყოველ შაბათ-კვირა ვნახულობთ.
- (6) სამუშაო დღეებში შეიძლება ყოველ ორ საათში ერთხელ ავტობუსით ქალაქში წასვლა, კვირაობით კი ავტობუსები არ დადის. ამიტომ მუდამ მიწვედა ჩემი მეზობლისთვის მეთხოვნა, რომ ქალაქში წავეყვანე. თუმცა ეს ჩემთვის ყოველთვის უხერხულია, მაგრამ ის ნებისმიერ დროს დიდი სიამოვნებით მენმარება.
- (7) ბიძაჩემის დასაფლავებისთანავე ჩემმა ნათესავებმა დაიწყეს მემკვიდრეობის თაობაზე დავა. მეორე დღეს ანდერძი იპოვეს. იქ ეწერა, რომ ყველაფერი საბავშვო ბაღს უნდა დარჩეს.
- (8) ბატონ მიულერს უყვარდა სასიეროდ სიარული. მაგრამ გასულ შაბათს უცებ ძლიერი ტკივილი იგრძნო მკერდის არეში. მალევე გულის ინფარქტი დაემართა. მაშინვე საავადმყოფოში წაიყვანეს. მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ მოვიდა გონს.

- იქამდე მასთან ლაპარაკი შეუძლებელი იყო. ახლა მას თითქმის ყოველდღე ვნახულობ. ზოგჯერ ძალიან მონყენილია და გაუთავებლად თავის ავადმყოფობაზე ლაპარაკობს. ეშინია, რომ ველარ ივლის მარტო სასიერნოდ. ამიტომ შევპირდი, რომ მომავალში კვირაში ერთხელ თან გავყვები ხოლმე.
- (9) შობის წინაღღებებში ჩვენი ოჯახი მუდამ ძალიან ნერვიულობს. როდესაც ყველა ერთად საშობაო ნაძვის ხის ქვეშ ვსხედვართ, ყველა ბედნიერია, მაგრამ იქამდე აღელვებულები აქეთ-იქით დავრბივართ. უმრავლეს შემთხვევაში ჩვენს საჩუქრებს ბოლო ნაშებში ვფუთავთ, თუმცა ისინი უკვე ერთი კვირით ადრე გვაქვს ნაყიდი.
- (10) ვიდრე სამზარეულოში იჯდა, პეტერმა ოცნება დაიწყო. გუშინწინ ინგასთან ერთად ტბაზე იყო. მთელი დღის მეორე ნახევარი იქ გაატარეს. პეტერს საბანაო კოსტიუმი დაავიწყდა. ჯინსებით ჩახტა წყალში. შემდეგ ინგას გვერდით ინვა და კითხულობდა. ინვა მძიმედ და ხმამალლა სუნთქავდა და პეტერმა ვერ შეძლო ნივთზე კონცენტრირება. სტატია ბოლომდე ვერ წაიკითხა. ამიტომ დღეს სემინარზე ვერ წავიდოდა.
- პეტერი ადგა და ფანჯარასთან მივიდა. ჰაერი დაბნუთული იყო. მან ყავა დალია, ჩაიცვა საბანაო კოსტიუმი, ზემოდან ჯინსები, შემდეგ პერანგი. ჩადო პირსახოცი ზურგჩანთაში და ველოსიპედისაკენ წავიდა. მას ისევ საბანაოდ წასვლა მოუნდა.
- (11) მარია კვირაში ორჯერ მიდიოდა (ბინის) დასალაგებლად, მაშინ, როცა მისი ქმარი დილიდან სალამომდე ბიუროში იჯდა.
- (12) მას უკვე ლამეები ველარ ეძინა კარგად, ამიტომ მთელ დღეს ალგ ზნებული იყო.

## თემა 44

- 1 ერთი და იმავე ფაქტის გადმოცემის განსხვავებული საშუალებები გერმანულ ენაში
- 1.1 პასივის პარადიგმა
- 2 ინფინიტივის ფორმათა სისტემა
- 3 პასივის ხმარება
- 4 პასიური მნიშვნელობის მქონე კონსტრუქციები
- 5 სავარჯიშოები

### 1 ერთი და იმავე ფაქტის გადმოცემის განსხვავებული საშუალებები გერმანულ ენაში

როგორც ვიცით, წინადადება რეალური ფაქტის ასახვაა. ცხადია, არის ისეთი ფაქტები, რომლებიც წინადადების მხოლოდ ერთი გარკვეული ტიპით გადმოიცემა (*Es regnet. Ich habe einen Bruder. Sie gefällt mir.*) მაგრამ არის ისეთებიც, რომლებსაც მოუბარი განსხვავებული კუთხით აღიქვამს და ენობრივადაც სხვადასხვაგვარად აფორმებს. ეს უმთავრესად ის ფაქტებია, რომლებშიც მოქმედი პირი (აგენსი) მოქმედებს (რამეს აკეთებს და ამავე დროს აქვს მოქმედების ობიექტიც).

მაგალითად მოვიყვანთ ფაქტს, რომლის შინაარსიცაა „ოპერაციის გაკეთება“. გერმანულში იგი ასე შეიძლება გადმოვცეთ:

- **Der Arzt operiert einen Kranken.** სიტუაცია დანახულია მოქმედი პირის (der Arzt) პოზიციიდან, რომელიც ზმნით ნაგულისხმევ მოქმედებას ასრულებს და მოქმედების ობიექტიც აქვს (der Kranke).
- **Man operiert einen Kranken.** სიტუაციის აღქმის კუთხე იგივეა, ოღონდ მოუბარს მოქმედი პირი ნაკლებად აინტერესებს და იგი მას განზოგადებულ, განუსაზღვრელ ხასიათს ანიჭებს.
- **Der Kranke wird operiert.** სიტუაციის აღქმის კუთხე მკვეთრად იცვლება: წინა პლანზე იწევს მოქმედების ობიექტი – პირდაპირი დამატება (der Kranke), რასაც ხაზს უსვამს მისი ახალი სინტაქსური სტატუსიც: იგი უკვე ქვემდებარეა. ხოლო მოქმედი პირი, რომელიც მოუბარს არ აინტერესებს, კადრს მიღმა რჩება. ამასთან მოქმედება ადგილს უთმობს პროცესს: რალაც კეთდება.
- **Der Kranke wird vom Chefarzt operiert.** სიტუაციის აღქმის კუთხე იგივეა: მოუბარს აინტერესებს ავადმყოფი და ის პროცესი, რომელშიც იგია ჩართული. მაგრამ არც მოქმედი პირია უმნიშვნელო – იგი ასახულია წინადადებაში von წინდებულიანი დამატების სახით: მოქმედება სრულდება მის მიერ.

პირველი ორი წინადადების ზმნა-შემასმენლის მორფოლოგიურ ფორმას აქტივი (das Aktiv), ხოლო ბოლო ორისას პასივი (das Passiv) ეწოდება. პასიური წინადადების შემასმენელი უმრავლეს შემთხვევაში გარდამავალი (პირდაპირობიექტიანი) ზმნაა. თუმცა ყველა გარდამავალი ზმნა პასიურ ფორმას ვერ აწარმოებს (ასეთია, მაგალითად, ზმნები *bekommen, besitzen, erhalten, haben, kennen, kosten* და სხვ.). მეორე მხრივ, ფაქტის ორი განსხვავებული კუთხით წარმოდგენა შესაძლებელია ზოგჯერ მაშინაც, როდესაც ზმნა-შემასმენელი გარდაუვალია:

- |                               |   |                                       |
|-------------------------------|---|---------------------------------------|
| ➤ Man spricht im Nebenzimmer. | } | Es wird im Nebenzimmer gesprochen.    |
| ➤ Der Notarzt hilft dem Kind. |   | Im Nebenzimmer wird gesprochen.       |
|                               |   | Dem Kind wird (vom Notarzt) geholfen. |

ამ შემთხვევას პირველისაგან განასხვავებს ის, რომ სიტუაცია აქ მაქსიმალურად განზოგადებულია, ხოლო ქვემდებარის ადგილს მისი შემცველი ფორმალური *es* იკავებს, რომელიც ხშირად გამოიყოფება და პასიური წინადადება ფაქტობრივად უქვემდებაროდ რჩება. ამიტომ ამგვარ სტრუქტურას უპირო პასივს უწოდებენ.

ერთი და იმავე კონკრეტული ფაქტის სხვადასხვა კუთხით წარმოდგენა ყველა ენას ერთნაირად არ ახასიათებს. ასე მაგალითად, გერმანულში იგი ბევრად უფრო გავრცელებულია, ვიდრე ქართულში. ამასთან პასივის პარადიგმაც უფრო სრულია, ვიდრე ვნე-ბითი გვარისა, რაც მოყვანილი მაგალითებიდანაც კარგად ჩანს: იშვიათად თუ იტყვის ვინმე *ავადმყოფს ოპერაცია უკეთდება*, ხოლო წინადადება *ავადმყოფს ოპერაცია უკეთდება მთავარი ექიმის მიერ* ქართულისათვის სრულიად არაბუნებრივია. რაც შეეხება უპირო პასივს, მას ქართულში ანალოგი არა აქვს.

### 1.1 პასივის პარადიგმა

პასივი ანალიზური ფორმაა. მის წარმოებაში მონაწილეობს *werden* დამხმარე ზმნა შესაბამისი დროის ფორმით და ძირითადი ზმნის მიმლეობა II:

პრეზენსი	პრეტერიტუმი	პერფექტი
ich werde gefragt	ich wurde gefragt	ich bin gefragt worden
du wirst gefragt	du wurdest gefragt	du bist gefragt worden
er wird gefragt	er wurde gefragt	er ist gefragt worden
wir werden gefragt	wir wurden gefragt	wir sind gefragt worden
ihr werdet gefragt	ihr wurdet gefragt	ihr seid gefragt worden
sie werden gefragt	sie wurden gefragt	sie sind gefragt worden
Sie werden gefragt	Sie wurden gefragt	Sie sind gefragt worden

პლუსკვამპერფექტი	ფუტურუმი I
ich war gefragt worden	ich werde gefragt werden
du warst gefragt worden	du wirst gefragt werden
er war gefragt worden	er wird gefragt werden

wir waren gefragt worden	wir werden gefragt werden
ihr wart gefragt worden	ihr werdet gefragt werden
sie waren gefragt worden	sie werden gefragt werden
Sie waren gefragt worden	Sie werden gefragt werden

შენიშვნა: პერფექტსა და პლუსკვაამპერფექტში geworden ფორმის ნაცვლად იხმარება worden.

წინადადებაში პასიური ფორმის შემადგენილი ნაწილები ასე განლაგდება:

- მარტივ წინადადებაში:
  - Auch Unschuldige **werden** manchmal **verurteilt**.
  - Das Radio **ist repariert worden**.
  - Die Eltern **waren nicht eingeladen worden**.
  - Morgen **wird** eine Buchmesse **eröffnet werden**.
- რთულ წინადადებაში
  - Das ist das Mädchen, das 1999 zur „Miss-Europa“ **gewählt wurde**.
  - Ich kenne die Frau, die ins Krankenhaus **gebracht worden ist**.

თუ გვსურს პასიურ წინადადებაში ჩაერთოთ მოქმედი პირი ან მოქმედების უშუალო გამომწვევი, უნდა გავაფორმოთ იგი, როგორც ვიცით, **von** წინდებულებიანი დამატებით:

- Der Verletzte wurde **von einem Notarzt** behandelt.
- Der Baum wurde **vom Blitz** getroffen.

პროცესის ხელშემწყობი საგანი კი **durch** წინდებულებიანი დამატებით გადმოიცემა:

- Wir wurden **durch Frau Welke** über den Konflikt unterrichtet.
- **Durch Toleranz** werden viele Probleme gelöst.
- Die Konferenz wird **durch die Deutsche Botschaft** finanziert.

ზოგჯერ **von** და **durch** წინდებულები შეიძლება ერთმანეთს შეეუწაცვლოთ:

- Amerika wurde **von Kolumbus/durch Kolumbus** entdeckt.

პროცესის განსახორციელებლად საჭირო საგანი (ინსტრუმენტი) პასიურ წინადადებაში, ისევე როგორც აქტიურში, **mit** წინდებულებით იხმარება:

- Die Gläser wurden **mit Sekt** gefüllt.

## 2 ინფინიტივის ფორმათა სისტემა

როგორც ვიცით, გერმანულ ენაში მოქმედებითი გვარის ინფინიტივს ორი ფორმა აქვს:

### Infinitiv I

kennen  
kommen

- Er behauptet, dich zu **kennen**.
- Er verspricht, morgen zu **kommen**.

### Infinitiv II

gekannt haben  
gekommen sein

- Er behauptet, dich **gekannt zu haben**.
- Er behauptet, gestern ins Büro **gekommen zu sein**.

პასივის მანარმოებელ ზმნებს ინფინიტივის კიდევ ორი ფორმა აქვს:

აქტივი		პასივი	
Infinitiv I	Infinitiv II	Infinitiv I	Infinitiv II (იშვიათად)
lesen	gelesen haben	gelesen werden	gelesen worden sein

პასივის ინფინიტივის ფორმები (განსაკუთრებით ინფინიტივი I) ხშირად გვხვდება მოდალურ ზმნებთან, შედარებით იშვიათად კი – ინფინიტიურ კონსტრუქციებში:

- Hier darf nicht **geraucht werden**.
- Die Autofahrer, die die Verkehrszeichen nicht beachten, müssen **bestraft werden**.
- Ich meine, dass diese Häuser **saniert werden müssen**.
- Dauerstudenten **sollen exmatrikuliert werden**.
- Es ist so schön, **geliebt zu werden**.
- Ich hoffe, am Flughafen **abgeholt zu werden**.

განსხვავება პასივის ინფინიტივ I-სა და ინფინიტივ II-ეს შორის აქტიური ფორმის ინფინიტივის ანალოგიურია:

- Ich habe Angst, nicht richtig verstanden zu werden. (მეშინია, რომ სწორად ვერ მიგებენ/მიგებთ.)
- Ich habe Angst, nicht richtig verstanden worden zu sein. (მეშინია, რომ არასწორედ გამიგეს/გამიგეთ.)

### 3 პასივის ხმარება

პასივის ძირითადი საკომუნიკაციო დანიშნულებაა ნაკლებად საინტერესო, უცნობი, მაქსიმალურად განზოგადებული მოქმედი პირის გამოტოვება და მოქმედებისა და მისი ობიექტის წინა პლანზე წამოწევა. ამიტომ პასიური წინადადების ყველაზე გავრცელებული სახეა ე.წ. ორწევრა პასივი **Der Kranke wird operiert**. (შესაბამისი აქტიური წინადადება: Man operiert den Kranken.). მეორე ადგილზეა სამწევრა კონსტრუქცია **Der Kranke wird vom Chefarzt operiert**. (შესაბამისი აქტიური წინადადება: Der Chefarzt operiert den Kranken.), ხოლო მესამეზე – უპირო პასივი: **Es wird getanzt/Hier wird getanzt**. (შესაბამისი აქტიური წინადადება: Man tanzt.)

პასივის ხმარება დამახასიათებელია პირველ რიგში ოფიციალური, სამეცნიერო, საკანცელარო, მასობრივი კომუნიკაციის და სხვ. სფეროებისათვის. ამიტომ პასიური კონსტრუქციების დიდი ნაწილი სპეციალურ (დარგობრივ) ტექსტებზე მოდის.

ნიმუშები:

- Der Vorschlag **wird einstimmig angenommen**.
  - Dann **wurde** das Auto auf den Abschleppwagen **gezogen**.
  - Hier **wird nicht geraucht**.
  - Für die Garderobe **wird nicht gehaftet**.
  - Die Bevölkerung **wird um Kenntnisnahme gebeten**.
- } (ოქმი)
- } (განცხადება)

- Die Gans kann auch **gefüllt werden**.
  - Wodurch kann die Negation „nicht“ **verstärkt werden**?
  - Auch in einem Passivsatz kann der Täter **erwähnt werden**.
  - Die schwachen Verben werden **regelmäßig konjugiert**.
  - Was **wird** durch Modalverben **ausgedrückt**?
  - Wie **werden** die Dialogpartikeln **gebraucht**?
  - Diese Figuren **werden Kreis und Dreieck genannt**.
- (კულინარიული რეცეპტი)
- (გრამატიკის  
სახელმძღვანელო)
- (მათემატიკის  
სახელმძღვანელო)
- Das Arzneimittel soll nach Ablauf des Verfallsdatums nicht mehr **angewandt werden**.
  - Die Tagesdosis darf nicht **überschritten werden**.
- (წამლის მიღების წესი)

ასევე ხშირად მიმართავენ პასივს საგაზეთო ცნობებში, სადაც იგი ინფორმაციის ოპტიმალურად გადმოცემას ემსახურება. ამგვარ ტექსტებში პირველი – ინფორმაციულად ყველაზე მნიშვნელოვანი – წინადადება ჩვეულებრივ პერფექტ-პასივით გადმოიცემა, შემდეგ კი პრეტერიტუმის ფორმები იხმარება:

#### Tote und Vermisste bei Erdbeben in Bolivien

LA PAZ, 22 Mai (dpa/AFP) – Bolivien ist am Freitag von einem Erdbeben der Stärke 6,6 **erschüttert worden**. Nach ersten Angaben kamen 32 Personen ums Leben, weitere 35 **wurden verletzt**, Hundert Menschen **werden vermisst**.

#### Fußgängerin überfahren

SCHWABACH – Beim Überqueren einer Straße **ist** in Schwabach gestern Abend eine 67-jährige Frau von einem Pkw **erfasst worden**. Sie starb noch an der Unfallstelle.

ტექნოლოგიური პროცესებიც ძირითადად პასივით გადმოიცემა:

Porzellan: Zur Herstellung **wird** die Porzellanerde **gesiebt**, Quarz und Feldspat **werden zerkleinert** und **hinzugefügt**. Die wasserhaltige Mischung **wird** durch Drehen zu Gegenständen **geformt**. Vor dem Brennen **werden** die Rohlinge **getrocknet**. Nach dem Trocknen **wird** die Ware im Rundofen auf 1 000C **erhitzt**. Dann **wird** die Glühware mit einer Glasurschicht **überzogen**. Das fertige Porzellan **wird sortiert** und durch Handmalerei mit Farbe und Gold **verziert**.

პროცესის ხაზგასმას ემსახურება პასივი აგრეთვე ანეკდოტებში:

- (1) Zwei Hunde sehen, wie Arbeiter eine neue Straßenlaterne aufstellen. Sagt der eine Hund zum anderen: „Komm, das **muss begossen werden!**“
- (2) Eine Bank **wird** nun schon zum drittenmal hintereinander vom selben Bankräuber **überfallen**. Hinterher spricht der Polizist mit den Angestellten: „Ist Ihnen denn gar nichts an dem Mann aufgefallen?“ Meint einer der Angestellten: „Doch, er war jedesmal **eleganter angezogen!**“

(3) – **Ist Ihr Sohn denn dieses Jahr versetzt worden?**

– Das leider nicht. Aber von denen, die sitzen geblieben sind, ist er der Beste.

გერმანულ ზეპირმეტყველებაში პასივი ბევრად უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე ქართულში:

(1) – Bei uns **werden** die Kinder normalerweise mit 6 Jahren **eingeschult**.

– Bei uns auch.

(2) – **Warum sagst du nichts?**

– Ich **bin nicht gefragt worden**.

– Aber das macht doch nichts.

– Doch, ich rede erst, wenn ich **gefragt werde**.

(3) – **Kommst du mal vorbei?**

– Gerne, mich interessiert, was hier **gemacht wird**.

როგორც ვხედავთ, აქტივისა თუ პასივის არჩევა ერთი და იმავე ფაქტის გადმოცემისას მთლიანად საკომუნიკაციო პირობებზეა დამოკიდებული. ამიტომ ხშირად მხოლოდ ერთ-ერთი მათგანია შესაძლებელი. მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ორივე შესაძლებლობა არსებობს, აქტიური და პასიური წინადადებების ლექსიკურ-გრამატიკული გაფორმება მუდამ ერთმანეთს არ ემთხვევა. ასე მაგალითად, თუ სასტუმროს ადმინისტრატორი ამბობს: „*Den Touristen werden nur gute Weinlokale empfohlen.*“, ეს არ ნიშნავს, რომ შესაბამის აქტიურ წინადადებაში ქვემდებარის როლი უთუოდ *man* ნაცვალსახელმა უნდა შეასრულოს, როგორც ამას გრამატიკული წესი გვასწავლის. შესაძლებელია აქ სწორედ განსაზღვრული მოქმედი პირი იგულისხმებოდეს: „*Wir empfehlen den Touristen nur gute Weinlokale.*“

აგრეთვე:

➤ – **Haben Sie mit dem Projekt aufgehört?**

– Nein, es wird immer noch intensiv daran weitergearbeitet (იგულისხმება: **Nein, wir arbeiten immer noch intensiv daran weiter.**)

პასიურ წინადადებას „*Was wird heute im Fernsehen gezeigt?*“ აქტივში შესაძლებელია ორი შესატყვისი ჰქონდეს: „*Was zeigt man heute im Fernsehen?*“ და „*Was zeigen sie heute im Fernsehen?*“

არ არის სრული შესაბამისობა პასივისა და აქტივის შორის აგრეთვე წარსულის დროის ფორმების (პრეტერიტუმისა და პერფექტის) ხმარებისას. ეს ძირითადად ზეპირმეტყველებას ეხება, სადაც ინდიკატივ აქტივში ინფორმაცია წარსულის შესახებ, როგორც ვიცით, პერფექტით გადმოიცემა. ხოლო თუ გვინდა იგივე ინფორმაცია პასივით გავაფორმოთ, შეგვიძლია ვიხმაროთ როგორც პერფექტი, ისე პრეტერიტუმი:

- |   |   |   |
|---|---|---|
| ➤ Ein Lastkraftwagen hat gestern Abend 6 Menschen angefahren. | } | ➤ 6 Menschen <b>sind</b> gestern Abend von einem Lastkraftwagen <b>angefahren worden</b> .<br>➤ 6 Menschen <b>wurden</b> gestern Abend von einem Lastkraftwagen <b>angefahren</b> . |
|---|---|---|

აგრეთვე:

- – In der Pressekonferenz **wurden** den Politikern kaum Fragen **gestellt**.
- – Was? Keine Fragen? Sie **sind** doch mit Fragen **bombardiert worden!**

ამრიგად, აქტივისა და პასივის ფორმათა ამგვარი შესაბამისობა ზეპირ-მეტყველებაში სავსებით ბუნებრივია:

- |   |  |
|---|--|
| ➤ – Ist Peter immer noch bei Ihnen<br>angestellt?               | ➤ – Ist Peter immer noch bei Ihnen<br>angestellt?        |
| – Nein, der Chef <b>hat</b> ihm plötzlich<br><b>gekündigt</b> . | – Nein, ihm <b>wurde</b> plötzlich<br><b>gekündigt</b> . |

ზოგ შემთხვევაში პასიური თუ აქტიური წინადადების არჩევას განაპირობებს მოუბრის სტილისტური ალლო. ასე მაგალითად, რკინიგზის სადგურის რადიოთი შეიძლება გადმოიცეს ერთი და იმავე განცხადების ორი შესაძლო ვარიანტი:

- (1) Die Eltern der kleinen Ulrike **werden gebeten**, sich in der Bahnhofsmission zu melden.  
და  
(2) Wir **bitten** die Eltern der kleinen Ulrike, zur Bahnhofsmission zu kommen.

პირველ შემთხვევაში დიქტორი მკაცრად იცავს ოფიციალურ სტილს, მეორეში კი არა.

#### 4 პასიური მნიშვნელობის მქონე კონსტრუქციები

1. პასიური მნიშვნელობა აქვს კონსტრუქციას sein + Partizip II:

- Das Haus **ist gebaut**.
- Wir **sind nicht eingeladen**.

ეს კონსტრუქცია გულისხმობს, რომ საგანი გარკვეულ მდგომარეობაშია და რომ ეს მდგომარეობა შესაბამისი მოქმედების შედეგია:

- Man **hat** uns nicht eingeladen. → Wir **sind nicht eingeladen**.
- Das Geschäft **ist geschlossen** worden. → Das Geschäft **ist geschlossen**.
- Die Straße **ist blockiert** worden. → Die Straße **ist blockiert**.

werden-იანი (პროცესის) პასივისაგან (Vorgangspassiv) განსხვავებით ამ კონსტრუქციას მდგომარეობის პასივი (Zustandspassiv) უწოდებენ. შესწავლის თვალსაზრისით მდგომარეობის პასივი სირთულეს არ წარმოადგენს, ვინაიდან მისი ფორმები მთლიანად ემთხვევა ჩვენთვის უკვე ნაცნობ წინადადების მოდელს *ქვემდებარე + sein + ზედსართავი სახელი*:

მდრ.: შედგენილი შემასმენელი

Ich **bin glücklich**.

Ich **war glücklich**

Ich **bin glücklich** gewesen.

Ich **war glücklich** gewesen.

Ich **werde glücklich** sein.

მდგომარეობის პასივი

Ich **bin eingeladen**.

Ich **war eingeladen**.

(Ich **bin eingeladen** gewesen.)

(Ich **war eingeladen** gewesen.)

Ich **werde eingeladen** sein.

## შენიშვნა:

- ვინაიდან მდგომარეობის პასივი ისედაც უკვე მომხდარ მოქმედებას გულისხმობს, იგი პერფექტსა და პლუსკექვამპერფექტში თითქმის არ გვხვდება. გამონაკლისია ის შემთხვევები, როდესაც მოქმედების დასრულება საგანგებოდაა ხაზგასმული: Franziska ist nur ein halbes Jahr verheiratet gewesen.
- იშვიათ შემთხვევაში პროცესისა და მდგომარეობის პასივი ერთი მნიშვნელობით იხმარება:
 

<ul style="list-style-type: none"> <li>➤ Ich wurde geboren.</li> <li>➤ Ich bin geboren worden.</li> <li>➤ Ich bin geboren.</li> </ul>	}	დავიბადე.
---	---	-----------

განსხვავება ამ ფორმებს შორის სტილისტურია: პირველი ორი იხმარება უპირატესად წერილობით ტექსტებში ფაქტის ოფიციალური დასახელებისას (დრო, ადგილი და ა.შ.), ხოლო მესამე – ზეპირმეტყველებაში:

➤ Ich wurde am 3. September 1957 in Tbilissi geboren.

მაგრამ: ➤ – Wo bist du geboren? – In Bonn.

თუმცა ზოგჯერ გვხვდება აგრეთვე:

➤ – Wo wurdest du geboren?                      ➤ – Wo bist du geboren worden?

2. პასიური მნიშვნელობა აქვს აგრეთვე რამდენიმე კონსტრუქციას, რომლებიც ჩვენ სხვადასხვა დროს შევისწავლეთ:

- Der Text ist zu übersetzen. (*აუცილებლობა*) = Der Text muss übersetzt werden.
- Ihm ist nicht zu helfen. (*შესაძლებლობა*) = Ihm kann nicht geholfen werden.
- Das Radio lässt sich nicht mehr reparieren. = Das Radio kann nicht repariert werden.
- Hier lässt es sich gut arbeiten. = Hier kann gut gearbeitet werden.
- Die Pilze sind essbar. = Die Pilze können gegessen werden.
- Ihr Vorschlag ist unakzeptabel. = Ihr Vorschlag kann nicht akzeptiert werden.
- Die Fahrkarte ist nicht übertragbar. = Die Fahrkarte darf nicht auf andere übertragen werden.
- Ist das machbar? = Kann das gemacht werden?
- Sie bekam die Juwelen geschenkt. = Ihr wurden die Juwelen geschenkt.
- Die Arbeiter wollen ihren Lohn ausbezahlt bekommen. = Die Arbeiter wollen, dass ihr Lohn ausbezahlt wird.
- Das Buch verkauft sich gut. = Das Buch wird gut verkauft.
- Die Tür schließt automatisch. = Die Tür wird automatisch geschlossen.

ზოგ შემთხვევაში – თუ შინაარსი ამის შესაძლებლობას იძლევა – არ არის გამორიცხვული პასიური მნიშვნელობის მქონე სამი ან მეტი კონსტრუქციის კონკურენცია:

- Die Kamera ist leicht zu bedienen.
- Die Kamera lässt sich leicht bedienen.
- Die Kamera kann leicht bedient werden.

## 5 საეარჯოშობი

1.1 დავალეა 1. აულელეთ პასივის ყველა დროის ფორმაში „ich werde bestraft“.

1.1 დავალეა 2. შევესეთ ფორმები:

Präsens	Das Auto wird geprüft.	Die Täter _____ .
Präteritum	Das Auto _____ .	Die Täter wurden festgenommen.
Perfekt	Das Auto _____ .	Die Täter _____ .
Plusquamperfekt	Das Auto _____ .	Die Täter _____ .
Futurum	Das Auto _____ .	Die Täter _____ .

1.1 დავალეა 3. დაადგინეთ, რა ფორმით არის ნახმარი შემდეგ ტექსტებში პასივი.

- (1) Ein Räuber schiebt der Bankkassiererin schweigend einen Zettel hin: „Geld her!“ Die Kassiererin nickt und schreibt auf die Rückseite: „Rücken Sie Ihre Krawatte zurecht! Sie werden gefilmt!“
- (2) „Wie möchten Sie rasiert werden?“, fragt der Friseur.  
„Schweigend“, antwortet der Kunde.
- (3) „Bei uns in Amerika zeigt die Uhr immer eine spätere Zeit an als bei euch in Deutschland“, erzählt eine Amerikanerin ihrer deutschen Freundin. „Das kann ich gut erklären“, meint die Deutsche, „Amerika ist ja auch viel später entdeckt worden!“

1.1 დავალეა 4. რითი განსხვავდება ერთი და იმავე ფაქტის ენობრივი გაფორმება ქართულსა და გერმანულში? როგორ იტყოდით ქართულად?

1. Die Lehrer werden bei uns sehr schlecht bezahlt.
2. 40 % Prozent der Büroarbeiten werden von Maschinen übernommen.
3. Fritzchen ist gerade mal wieder vom Lehrer fürchterlich ausgeschimpft worden.
4. Es wird gegessen, was auf den Teller kommt. Nichts darf verkommen.
5. In der Disko wurde Claudia von einem jungen Mann zum Tanz aufgefordert.
6. Wir konnten zusehen, wie die Fische im Aquarium gefüttert werden.
7. Die Gäste wurden vom Fabrikdirektor herzlich begrüßt.
8. Man darf nie Tiere küssen, denn dadurch können Krankheiten übertragen werden.
9. Bei uns ist heute Nacht eingebrochen worden.
10. Mama, ist Papa auch von seinem Vater verhauen worden, als er klein war?
11. Das wurde 1998 vom Parlament beschlossen.
12. Der Verkäuferin, die unfreundlich zu den Kunden war, wurde gekündigt.
13. In unserer Familie wird viel gesungen.
14. Einige Kunstwerke sind beim Transportieren beschädigt worden.
15. Das Rathausgebäude wurde durch den Krieg zerstört.

16. Tun Sie, was Ihnen befohlen wird!
17. Sind deine Eltern oft in die Schule bestellt worden?
18. Der Ministerpräsident wurde vom Papst empfangen.
19. Du, Ursula, bist du wieder mal von einem Mann enttäuscht worden?
20. Ist die Frage schon entschieden worden?
21. Es ist mir unangenehm, auf der Straße angeredet zu werden.
22. Der Flugverkehr wird heute fast ganz von Computern gesteuert.
23. Werden Sie schon bedient?
24. Sie werden ans Telefon verlangt.
25. Jetzt wird aber aufgeräumt.

3 დავალება 5. გადმოეცით ერთი და იგივე ფაქტი ორგვარად: პირველ შემთხვევაში აქცენტი გადაიტანეთ მოქმედ პირსა და მოქმედებაზე (რას აკეთებს)?, ხოლო მეორე შემთხვევაში – მოქმედების ობიექტსა და პროცესზე (რა კეთდება)?

ნიმუში:

I	II
<i>Zuerst untersucht der Notarzt den Kranken.</i>	<i>Zuerst wird der Kranke vom Notarzt untersucht.</i>
1) Der Internationale Währungsfonds [fö:n] unterstützt das Projekt.	1) — .
2) — .	2) Die Sicherheit von Atomkraftwerken wird intensiv überprüft.
3) Man redet nicht über das Problem.	3) — .
4) — .	4) Warum wird der Atommüll ins Meer geworfen?
5) Die Kunstdünger werden den Boden vergiften.	5) — .
6) — .	6) Von dir wird viel gesprochen.
7) Man wird das fertige Auto noch einmal prüfen.	7) — .
8) — .	8) Mir wird von meinem Arzt die Kur empfohlen.
9) — .	9) Dieser Roman wird einmal verfilmt werden.
10) Man wird dieses Haus bestimmt abreißen.	10) — .

2] დავალება 6. დაუკავშირეთ მოძალურ ზმნებს ფრჩხილებში მოცემული ზმნები ინფინიტივი I პასივის ფორმით და თარგმნეთ ქართულად:

ნიმუში:

*Der Verkehr soll von den Verkehrspolizisten (kontrollieren). → Der Verkehr soll von den Verkehrspolizisten kontrolliert werden.*

1. Ich muss gründlich \_\_\_\_ . (untersuchen)
2. Die Ferienreisen können erst ab dem 1. Mai \_\_\_\_ . (buchen)
3. Der gestohlene Wagen muss \_\_\_\_ . (finden)
4. Im Unterricht darf nicht \_\_\_\_ . (lachen)
5. Das Kleid muss \_\_\_\_ . (kürzen)
6. Die Bewerber müssen auf ihr Allgemeinwissen \_\_\_\_ . (testen)
7. Soll Ihre Terrasse \_\_\_\_ ? (überdachen)
8. Das Geheimnis konnte nicht länger \_\_\_\_ . (verschweigen)
9. Das Bett muss neu \_\_\_\_ . (beziehen)
10. Das muss anders \_\_\_\_ . (machen)

2-3] დავალება 7. გადმოეცით ერთი და იგივე ფაქტი ორგვარად.

I  
რა უნდა/შეიძლება გავაკეთო?

II  
რა უნდა/შეიძლება გავკეთდეს?

ნიმუში:

*Man muss Babys alle 4 Stunden  
füttern.*

*Die Babys müssen alle 4 Stunden  
gefüttert werden.*

- |   |  |
|---|--|
| 1) Eine Klasse darf man nur einmal wiederholen.         | 1) ____ .  |
| 2) ____ .   | 2) Diese Aufgabe kann kaum gelöst werden.                                |
| 3) Der Redakteur muss den Text überprüfen.              | 3) ____ .  |
| 4) ____ .   | 4) Zuerst muss der Text in die Sprache der Mathematik übertragen werden. |
| 5) Das Substantiv kann man durch ein Pronomen ersetzen. | 5) ____ .  |
| 6) ____ .   | 6) Kinder müssen konsequent erzogen werden.                              |
| 7) ____ .   | 7) Der Hund muss geimpft werden.   |
| 8) Jetzt darf man Fußball spielen.                      | 8) ____ .  |
| 9) ____ .   | 9) An diesem Freitag kann länger eingekauft werden.                      |

10) — .

10) Dem Verletzten kann nicht sofort geholfen werden.

2 დავალემა 8. ნაიკითხეთ შემდეგი ტექსტი. განსაზღვრეთ პასივის მორფოლოგიური ფორმა და დაადგინეთ შემასმენელი, რომლის შემადგენლობაშიც იგი შედის.

Tante Frieda sitzt am Klavier. Da klingelt es an ihrer Haustür. Sie öffnet, und draußen stehen zwei Polizisten. Erschrocken fragt sie: „Um Gottes willen, was ist denn passiert?“ Erklärt einer der Polizisten: „Wir haben gerade einen Anruf erhalten. Hier soll ein gewisser Herr Beethoven schwer misshandelt worden sein!“

3 დავალემა 9. შეუწყვეთ შემასმენლის აქტიურ ფორმას შესაბამისი პასიური ფორმები:

ნიმუში:

*Man hat ihn mit Fragen bombardiert.*1) *Er wurde mit Fragen bombardiert.*2) *Er ist mit Fragen bombardiert worden.*

1. Man hat diese Vasen in einem alten Keller gefunden.
2. Gestern Abend haben drei Unbekannte den Staatsanwalt K. erschossen.
3. Man hat meinen Onkel am Blinddarm operiert.
4. Man hat mir eine neue Stelle angeboten.
5. Ein Geschäftsmann hat den Polizisten bestochen.
6. Diese Tische hat man für Stammgäste reserviert.
7. Man hat ihn als Kleinkind entführt.
8. Man hat den Verletzten ins Krankenhaus gebracht.
9. Man hat die Kinder im letzten Moment gerettet.
10. Robert Müller hat den Rekord um 30 Sekunden verbessert.

3 დავალემა 10. გადმოეცით ინფორმაცია ქართულად:

**Altar angezündet**

REGENSBURG (dpa) – Ein Betrunkener hat einen Altar im Regensburger Dom angezündet. Ein Messner bemerkte dies und konnte sofort löschen, so dass kein großer Schaden entstand. Der Brandstifter wurde noch am Tatort festgenommen. Zwei Stunden zuvor war der Führerschein des Mannes nach einer Alkoholfahrt sichergestellt worden.

**Dealer geschnappt**

MÜNCHEN (dpa) – Ein 26-jähriger Drogendealer aus Memmingen ist in München mit einem Kilo Heroin geschnappt worden. Der Mann war seit längerem von der Sonderermittlungsgruppe „Organisierte Kriminalität“ der Polizei beobachtet worden.

**Steuer für Kampfhunde**

BONN (dpa) – In Bonn werden die Besitzer von Bullterrier, Pit-Bull, Mastino und Staffordshire zur Kasse gebeten. Ab 1999 wird eine Kampfhunde-steuer von 1200 Mark pro Tier verlangt. Für andere Tiere sind 204 Mark pro Jahr fällig.

3 დავალება 11. გადმოეცით მოცემული ზმნებით ნაგულისხმები მოქმედება პასივის ფორმით.

- (1) *zu Mittag essen*  
 – როდის სადილობთ ხოლმე?  
 – ჩვეულებრივ სამის ნახევარზე.
- (2) *arbeiten*  
 – არის აქ ვინმე?  
 – არა, დღეს აქ არ მუშაობენ.
- (3) *warten*  
 – დედა, უკვე ისადილეთ?  
 – ჰო, ფრანცისკა.  
 – მე არასოდეს მიცდიან, ცოტა თუ დამაგვიანდა.
- (4) *empfehlen*  
 – რომელი დაავადებების დროს ურჩევენ ხოლმე ამ მინერალურ წყალს ყველაზე მეტად?  
 – კუჭის ტკივილისას.
- (5) *asphaltieren*  
 – აქ ვერ გავივლით?  
 – ვერა, ქუჩაზე ასფალტს აგებენ.
- (6) *stehlen*  
 – რატომ ტირის დირკი?  
 – ველოსიპედი მოჰპარეს.
- (7) *stören*  
 – რატომ ჩხუბობ?  
 – არ მიყვარს, მუშაობისას ხელს რომ მიშლიან.
- (8) *kontrollieren*  
 – როგორ ფიქრობ, შეგვამონმებენ საზღვარზე?  
 – აუცილებლად.
- (9) *füttern*  
 – რას აკეთებ აქ?  
 – ვყურებ, როგორ აჭმევენ მაიმუნებს.
- (10) *fragen*  
 – რას ელაპარაკებოდი ჩემს მეგობრებს?  
 – მკითხეს, გიცნობ თუ არა.
- (11) *operieren*  
 – ქალბატონმა ბრაუნმა შეგვატყობინა, რომ ავად არის.  
 – ქალბატონმა ბრაუნმა? რა დაემართა?  
 – ნუხელ კუჭის ოპერაცია გაუკეთეს.
- (12) *behandeln, einladen*  
 – კმაყოფილი ხარ აფრიკაში მოგზაურობით?  
 – კი, ძალიან გულითადად გვექცეოდნენ.  
 – მართლა?  
 – ნამდვილად. ერთხელ ოჯახურ დღესასწაულზეც კი დაგვაპატიყეს.
- (13) *sprechen*  
 – რატომ სწავლობ ესპანურს?  
 – მექსიკაში მინდა წასვლა.  
 – მექსიკაში ესპანურად ლაპარაკობენ?  
 – რა თქმა უნდა.
- (14) *prüfen*  
 – გადავწყვიტე, ათასი ბოთლი თეთრი ღვინო შევუკვეთო.  
 – დარწმუნებელი ხარ, რომ ხარისხი საფუძვლიანად არის შემოწმებული?
- (15) *gebrauchen*  
 – როგორ იხმარება მოდალური ნანილაკი „halt“?  
 – ამის ახსნა არც ისე იოლია.
- (16) *wiederholen*  
 – საინტერესო გადაცემა იყო?

(17) *absagen*

- პროფესორ ჰერბიგის ლექცია გადაიდო.
- როგორც ჩანს, ავადაა.

- ძალიან. ორშაბათს ცხრა საათზე გაიმეორებენ.

(18) *zusagen*

- რა გიხარია?
- კრედიტზე თანხმობა მივიღე.



4

დავალება 12. თარგმნეთ გერმანულად. იხმარეთ მოცემული ზმნები მდგომარეობის პასივის ფორმით.

(1) *garantieren*

- გარანტირებულია მყარი შემოსავალი?
- ყველა შემთხვევაში.

(2) *schreiben*

- წერილი კომპიუტერით არის დაბეჭდილი?
- კი.

(3) *aufräumen*

- შენთან წავიდეთ!
- არა რა, ჩემთან დასალაგებელია.

(4) *fest anstellen*

- უნივერსიტეტში შტატში ხარ?
- ცხადია.

(5) *impfen*

- აცრილი ხარ ტეტანუსზე?
- არა.

(6) *taufen*

- ბავშვი მონათლულია?
- ჯერ არა.

(7) *sich verlieben*

- რატომ არაფერს ქამ?
- შეყვარებული ხარ?
- არა, უბრალოდ ცუდ გუნებაზე ვარ.

(8) *überraschen; enttäuschen*

- ფრანცისკა და რაინერი გაცილდნენ. გაოცებული არა ხარ?
- სულაც არა, რაინერი რამდენიმე დღის შემდეგ უკვე გულგატეხილი იყო.

(9) *erziehen*

- კლაუდიას ბავშვები ძალიან ცუდად არიან აღზრდილები.
- მართალია.

(10) *gebären*

- ვენაში ხარ დაბადებული?
- არა, ზალცბურგში.

(11) *schließen*

- ორი ბოთლი ღვინო მინდა ვიყიდო.
- როგორ? სუპერმარკეტი უკვე დაკეტილია.

(12) *reparieren*

- თქვენი ტელევიზორი უკვე შეკეთებულია.
- დიდი მადლობა!

(13) *installieren*

- ანტენა ცუდად არის დამონტაჟებული.
- ასე ფიქრობთ?

(14) *aufgeregt sein*

- რატომ ხარ აღელვებული?
- იმიტომ რომ გამოცდისათვის არ მოვმზადებულვარ.

(15) *speichern*

- თქვენი ცნობა (კომპიუტერში) შენახულია. შემიძლია ახლავე ამოგიბეჭდოთ.
- რა კარგია!

(16) *verbrennen*

- ნამცხვარი სულ დამწვარა.
- აფსუს!

4 დავალება 13. როგორ იტყოდით ქართულად?

1. Das neue Auto ist zu prüfen.
2. Der Stoff lässt sich gut waschen.
3. Ist Ihr Fahrschein übertragbar?
4. Was bekommst du am liebsten geschenkt?
5. Der Computer ist heute aus dem Alltag nicht mehr wegzudenken.
6. Es lässt sich darüber diskutieren.
7. Sind Sie heute erreichbar?
8. Eure Wohnungsprobleme sind sicherlich zu lösen.
9. Vielleicht lässt sich dieses Projekt verwirklichen.
10. Sie sind als Moderator nicht zu ersetzen.
11. Kann ich die Bescheinigung auch kopiert bekommen?
12. Ich glaube, das ist machbar.
13. Hier ist 2-3-5-0. Sie sind falsch verbunden.
14. Sind die Resultate der Prüfung bereits bekannt?
15. Lässt sich das regeln?
16. Welche Berufe sind in Ihrem Land momentan gefragt?
17. Ich bin total überarbeitet.
18. Mein Urlaubsfilm ist noch nicht entwickelt.

4 დავალება 14. რომელი კონსტრუქციებით შეიძლება შემდეგი წინადადებების შეცვლა?

1. Die Waschmaschine ist leicht zu bedienen.
2. Die Wohnung ist beim Auszug zu streichen.
3. Der Text ist abzuschreiben.
4. Diese Taschenlampe lässt sich wieder aufladen.
5. Ist das denn machbar?
6. Das neue Auto ist zu waschen.
7. Das lässt sich kaum lernen.
8. Ihr Vorschlag ist nur schwer zu akzeptieren.
9. Das feuchte Gras ist schwer zu schneiden.
10. Die Geschäfte schließen um 6 Uhr.
11. Ihr Sohn ist leicht zu beeinflussen.
12. Das ist heute nicht mehr zu schaffen.
13. Gibt es hier Käse und Wurst nicht ohne Verpackung zu kaufen?
14. Das lässt sich nicht beweisen.
15. Stell doch mal das Radio leiser! Das ist ja nicht auszuhalten.

## მეთოდმეტე მონაკვეთის შეჯამება

ამ მონაკვეთის გავლის შემდეგ თქვენ შეძლებთ ორნაირად გადმოსცეთ ფაქტი: მოქმედი პირისა და მოქმედების ობიექტის კუთხით. ამას გარდა გაგიადვილებათ დარგობრივი ტექსტის (მეცნიერული, საგაზეთო, ოფიციალური) გაგება.

საკონტროლო დავალებები შედენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესამოწმებლად:

🔑 დავალება 1. იხმარეთ ფრჩხილებში ჩასმული ზმნები პასივის შესაბამისი დროის ფორმით.

1. Der Mercedes, der gestern eine Rentnerin angefahren hat,  
— von einem jungen Mann — . (steuern)
2. Die Steuern für Privatautos — nächstes Jahr stark — . (erhöhen)
3. Die Zahl der Parkplätze — im vorigen Jahr erheblich — . (reduzieren)
4. Wie kann eine Umweltkatastrophe — ? (vermeiden)
5. Bei uns arbeiten nur Menschen, die zwischen 1975  
und 1982 — . (gebären)
6. Das Regenwasser kann auch im Haushalt — . (nutzen)
7. Oft sind alte Menschen deprimiert, weil sie nicht mehr — . (brauchen)
8. Oft — das Fahrzeug, das im Haltverbot parkt, von der  
Polizei — . (abschleppen)
9. Die Verkehrssicherheit soll — . (verbessern)
10. Wo — die Monatstickets — ? (verkaufen)
11. Um die Jahrhundertwende — pro Jahr durchschnittlich  
4000 Stunden — , in unserem Jahrhundert aber  
— die Arbeitszeit erheblich — . (arbeiten)  
(verkürzen)
12. Manche Abfälle können noch einmal — . (verwenden)
13. Das von zu Hause weggelaufene Kind — gestern von  
der Polizei — . (zurückbringen)
14. Der Anteil der Studienplätze, die für Ausländer — ,  
liegt bei 6%. (reservieren)
15. Es — ständig davon — , dass die Sicherheit von  
Atomkraftwerken jedes Jahr — , trotzdem  
sind die Risiken sehr groß. (sprechen)  
(überprüfen)
16. Bei uns — genug Lebensmittel — . (produzieren)
17. Wann — Sie — ? (immatrikulieren)
18. Wegen schlechter Leistungen — Peter dieses Jahr nicht — . (versetzen)
19. Es kann uns unglücklich machen, von den Menschen  
nicht — zu — . (verstehen)
20. — Normen und Wertvorstellungen der Zuschauer durch  
im Fernsehen gezeigte Serien wirklich — ? (beeinflussen)

- |  |                  |
|--|------------------|
| 21. Die Bank da gegenüber — .  | (überfallen)     |
| 22. Ich will nicht — .   | (fotografieren)  |
| 23. Die ganze Nacht hatten sie sich gestritten. Viel<br>Hässliches und Dummes — damals — . | (sagen)          |
| 24. Kathrin — von den Eltern nie richtig — .   | (bestrafen)      |
| 25. Das Schlimmste ist, — zu — .   | (erwischen)      |
| 26. Der Vertrag — vom Chef erst morgen — .   | (unterschreiben) |
| 27. Wir — uns auf einem Fest — .   | (vorstellen)     |
| 28. Dieser Text kann ohne Veränderungen — .  | (drucken)        |
| 29. Der Dichter K. — im Laufe der Zeit völlig — .  | (vergessen)      |
| 30. Die Computer — in vielen Bereichen noch — .  | (einsetzen)      |

დავალბა 2. გადმოცით ინფორმაცია ქართულად:

#### Tote bei Anschlag auf Markt in Algier

ALGIER, 22. Mai (AP). Bei einem Bombenanschlag auf einen Marktplatz in Algier sind am Freitag sechzehn Menschen getötet worden. Wie Sicherheitskräfte berichteten, wurden außerdem 61 Personen verletzt. Der Anschlag ereignete sich am Vormittag auf dem Wochenmarkt im Westen der algerischen Hauptstadt. Der Sprengsatz war vermutlich in einer Gemüsebox versteckt, wie Augenzeugen berichteten. Sie sprachen von einer starken Detonation. Sicherheitskräfte sperrten den Tatort weiträumig ab. Der Anschlag wird islamischen Fundamentalisten zugeschrieben.

დავალბა 3. დაწერეთ ავტობიოგრაფია. ისარგებლეთ პასუხებში მოცემული ნიმუშით. მიაქციეთ ყურადღება პასივის ფორმებს.

**დავალბა 4.** მოისმინეთ ანეკდოტები. დაუკვირდით პასივის ფორმების ხმარებას. ტექსტის გაგებას გაავადვილებთ შემდეგი სიტყვები:

- |                     |                              |                                |                                |
|---------------------|------------------------------|--------------------------------|--------------------------------|
| (1) der Hinweis     | - აქ: რჩევა                  | (2) hinschieben                | - მიცურება/მიწევა<br>(მიუნია)  |
| flüstern            | - ჩურჩული                    |                                |                                |
| das Luxusrestaurant | - მაღალი<br>კლასის რესტორანი | zurechtrücken                  | - აქ: გასწორება<br>(ჰალსტუხის) |
| die Schnecke        | - ლოკოკინა                   | (4) Sie ist am Verzweifeln.    | - ის<br>სასონარკვეთილია.       |
| die Spezialität     | - საფირმო კერძი              | betäubt                        | - აქ: გათიშული/ნარკოზით/       |
| (3) die Laterne     | - ფარანი                     | (6) die Souffleuse [suf'lø:zə] | -<br>სუფლიორი (ქალი)           |
| (7) der Pfarrer     | - მღვდელი                    | (8) der Passant                | - გამვლელი                     |
| die Sünde           | - ცოდვა                      | bedrohen                       | - დამუქრება                    |
| vergeben            | - აქ: შენდობა; მიტევა        | keuchen                        | - ქოშინი/ქშენა                 |
| sündigen            | - აქ: შეცოდავს               |                                |                                |
| (9) entdecken       | - აღმოჩენა                   |                                |                                |

## თემა 45

- 1 შესაძლო მოქმედება
- 2 კონიუნქტივი II-ის პარადიგმა
- 3 კონიუნქტივი II-ის ხმარება
- 4 ვარაუდის გამოხატვის სხვა საშუალებები
- 5 სავარჯიშოები

### 1 შესაძლო მოქმედება

აქამდე ჩვენ ვსწავლობდით ისეთი ფაქტების გამოხატვას, რომლებსაც მოუბარი თანამოუბარს როგორც ჭეშმარიტს წარმოუდგენს:

➤ Ich habe ein Haus. ➤ Wir vermissen dich. ➤ Er ist in Madrid geboren.

ზმნის გრამატიკულ ფორმას, რომელიც ნათქვამის ჭეშმარიტებას ადასტურებს, როგორც ვიცით, თხრობითი კილო (der Indikativ) ეწოდება და იგი მტკიცებით (თხრობით) წინადადებას უდევს საფუძვლად. მაგრამ მოუბარმა თანამოუბარს შეიძლება გადასცეს ისეთი ინფორმაცია, რომელიც შესაძლო, სავარაუდო, სასურველ მოქმედებას გულისხმობს, და არა რეალობის ფაქტს. ასეთ შემთხვევაში იგი ზმნის შესაბამის ფორმას – კავშირებით კილოს – მიმართავს. გერმანულ გრამატიკაში მას კონიუნქტივი II (Konjunktiv II) ეწოდება.

### 2 კონიუნქტივი II-ის პარადიგმა

კონიუნქტივი II-ს გერმანულში ორი გრამატიკული დრო აქვს: აწმყო, რომელსაც შეუძლია გამოხატოს როგორც ახლანდელი, ისე მომავალი მოქმედება, და წარსული.

აწმყოს ფორმების წარმოებისას ამოსავალია პრეტერიტუმის ფუძე.

სუსტი ზმნების კონიუნქტივი II-ის ფორმები ემთხვევა მათ პრეტერიტუმის პარადიგმას:

პრეტერიტუმი	კონიუნქტივი II
ich sagte	ich sagte
du sagte-st	du sagte-st
er sagte	er sagte
wir sagte-n	wir sagte-n
ihr sagte-t	ihr sagte-t
sie sagte-n	sie sagte-n
Sie sagte-n	Sie sagte-n

პრეტერიტულ-პრეზენტული და დამხმარე ზმნები ამავე დაბოლოებებთან ერთად იღებენ ფუძისეული ხმოვნის უმლაუტსაც (wollen და sollen ზმნების გარდა):

ich	hätte	wäre	würde	könnte	wüsste
du	hättest	wär(e)st	würdest	könntest	wüsstest
er	hätte	wäre	würde	könnte	wüsste
wir	hätten	wären	würden	könnten	wüssten
ihr	hättet	wäret	würdet	könntet	wüsstet
sie	hätten	wären	würden	könnten	wüssten
Sie	hätten	wären	würden	könnten	wüssten

აგრეთვე: er müsste, dürfte, möchte

მაგრამ: er wollte, sollte

ამავე წესით აიგება ძლიერი ზმნების პარადიგმაც:

ich	käme	ich	hielte	ich	ließe
du	kämeest	du	hieltest	du	liebest
er	käme	er	hielte	er	ließe
wir	kämen	wir	hielten	wir	ließen
ihr	kämet	ihr	hieltet	ihr	liebet
sie	kämen	sie	hielten	sie	ließen
Sie	kämen	Sie	hielten	Sie	ließen

ზოგ ზმნას ისტორიულად კონიუნქტივი II-ის ორი ვარიანტული ფორმა ჰქონდა:

stände – stünde (*stehen*)

hälfe – hülfe (*helfen*)

schwämme – schwömmе (*schwimmen*)

დღეს ენას მათგან მხოლოდ stände – stünde შემორჩა, დანარჩენს მხატვრულ ლიტერატურაში თუ შეხვედებით.

უმლაუტი აქვს უნესო უღლების რამდენიმე ზმნას: er brächte (*bringen*), er dächte (*denken*), er täte (*tun*) და სუსტ ზმნას bräuchte (*brauchen*; *სამხრეთგერმ.*)

კონიუნქტივი II-ის ფორმათა ხმარება ენის შემსწავლელთათვის გარკვეულ სიძნელეს წარმოადგენს, ვინაიდან მათ რამდენიმე თავისებურება ახასიათებს. პრობლემას არ ქმნის მხოლოდ დამხმარე და პრეტერიტულ-პრეზენტული ზმნების პარადიგმები. დანარჩენ შემთხვევებში კი უნდა გვახსოვდეს:

1. ვინაიდან სუსტი ზმნების კონიუნქტივი II-ის ფორმები პრეტერიტუმის ფორმებს ემთხვევა, ისინი თითქმის ყოველთვის იცვლება აღწერილობითი ანალიზური ფორმით, რომელიც ინარმოება werden ზმნის კონიუნქტივი II-ისა და ძირითადი ზმნის ინფინიტივისაგან:

ich würde sagen	(ნაცვლად: ich sagte)
wir würden kaufen	(ნაცვლად: wir kauften)
ihr würdet machen	(ნაცვლად: ihr machtet)

მარტივი ფორმა იხმარება უმთავრესად წერით მეტყველებაში, ისიც მაშინ, თუ სხვა ფორმებით უკვე შექმნილია კონიუნქტივის ხმარების კონტექსტი.

2. ძლიერი ზმნების დიდი უმრავლესობაც, რომლებსაც ფუძეში უმლაუტი ვერ ექნება, აღწერილობითი ფორმისაკენ იხრება:

	იშვიათია	ხშირია
> fallen:	ich fiel	ich würde fallen
> laufen:	ich lief	ich würde laufen

აღწერით ფორმებს ხმარების სიხშირით უახლოვდება მხოლოდ იმ ზმნების მარტივი ფორმები, რომლებიც ზეპირმეტყველებაში განსაკუთრებით გავრცელებულია:

er ginge = er würde gehen; er käme... = er würde kommen; er ließe = er würde lassen.

3. ყველაზე რთულია იმ ძლიერი და უნესო ზმნების კონიუნქტივი II-ის მარტივი ფორმა-თა ხმარებაში გარკვევა, რომლებსაც ფუძისეული ხმოვნის უმლაუტი აქვს, ვინაიდან მათი უმრავლესობა არა მხოლოდ ნიგნური სტილისთვისაა დამახასიათებელი, არამედ ძველმოდურადაც ითვლება. ამიტომ ისინი ზეპირმეტყველებაში უცნაურ, ზოგჯერ კომიკურ ეფექტს იწვევენ. მხოლოდ რამდენიმე მათგანი არ უღერს სასაუბრო ენაში უხერხულად. ესენია: er gäbe; er nähme [ne:mə]; er säße; er stände; er fände; er täte.

დანარჩენი კი ჩვეულებრივად აღწერილობითი ფორმით იცვლება:

ich würde tragen	ich würde springen
ich würde graben	ich würde befehlen
ich würde schwimmen	ich würde waschen და ა.შ.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება გამოვიტანოთ ასეთი დასკვნა: კონიუნქტივი II-ის მარტივი ფორმები ძირითადად სამწერლო ენაში იხმარება. მათი დაუფლება ჩვენ გვჭირდება, რათა შევძლოთ წერილობითი (უმთავრესად მხატვრული) ტექსტის ადეკვატური გაგება. სასაუბრო ენაში კი მათი ხმარება შეზღუდულია. სამაგიეროდ ძალიან გავრცელებულია და კიდევ უფრო მეტი გავრცელების ტენდენციას იჩენს რთული აღწერილობითი ფორმა werden + ინფინიტივი. სუსტი ზმნების შემთხვევაში მისი ხმარება ნორმაა. მას უნდა მივმართოთ აგრეთვე მაშინ, თუ საქმე გვაქვს ზეპირმეტყველებაში ნაკლებად გავრცელებულ ძლიერ ზმნებთან. ხოლო თუ ძლიერი ზმნა სასაუბრო ენაში ხმარების განსაკუთრებით მაღალი სიხშირით გამოირჩევა, შეგვიძლია გამოვიყენოთ ორივე ფორმა: მარტივი და აღწერილობითი. მხოლოდ მარტივი ფორმით (უმნიშვნელო გამოწვევების გარდა) იხმარება დამხმარე და მოდალური ზმნები.

ამრიგად:

Ich würde machen	(ნაცვლად: ich machte, ვინაიდან ხდება დამთხვევა პრეტერიტუმ ინდიკატივის ფორმასთან)
Ich würde springen	(ნაცვლად: ich spränge, ვინაიდან ეს ზმნა „განსაკუთრებით გავრცელებულად“ არ ითვლება)

ich käme = ich würde kommen	(ვინაიდან ეს „განსაკუთრებით გავრცელებული“ ზმნებია)
ich ließe = ich würde lassen	
ich hätte   ich könnte	(ვინაიდან საქმე გვაქვს დამხმარე და მოდალურ ზმნებთან)
ich wäre   ich sollte	

შენიშვნა: გერმანული გრამატიკები „განსაკუთრებით გავრცელებული“ ზმნების ნუსხას არ იძლევა.

კონიუნქტივი II-ის ფორმების არჩევას ზოგიერთი სხვა ფაქტორიც განსაზღვრავს. ასე, მაგალითად, ჩრდილოეთ გერმანიაში მარტივი ფორმა უფრო გავრცელებულია, ვიდრე სამხრეთში, მოსახლეობის განათლებული ფენაც მას შედარებით ხშირად მიმართავს და სხვ.

ნარსული დროის ფორმებს კონიუნქტივი II ანარმოებს haben და sein ზმნების კონიუნქტივი II-ის (hätte; wäre) და ძირითადი ზმნის მიმლეობა II-ის საშუალებით:

ich hätte gekauft	ich wäre gekommen
du hättest gekauft	du wärest gekommen
er hätte gekauft	er wäre gekommen
wir hätten gekauft	wir wären gekommen
ihr hättet gekauft	ihr wäret gekommen
sie hätten gekauft	sie wären gekommen
Sie hätten gekauft	Sie wären gekommen

ეს ფორმები მოდალურ ზმნებთან ერთად ასეთ სტრუქტურას ქმნის:

- Du hättest das nicht vergessen sollen. (ეს არ უნდა დაგვიწყებოდა.)
- Ihr hättet das nicht machen dürfen. (ამის გაკეთების უფლება არ გქონდათ.)
- Sie hätten das wissen müssen. (ეს უნდა გცოდნოდათ.)
- Das hätte diskutiert werden müssen. (ეს მსჯელობის საგანი უნდა გამხდარიყო.)

### 3 კონიუნქტივი II-ის ხმარება

მოუბარი კონიუნქტივი II-ს მიმართავს მაშინ, როდესაც მას სურს გამოხატოს:

1. სურვილი, ნატვრა (ეს ასე არ არის, მაგრამ ნეტავ ასე იყოს!):

გერმანულ ენაში ნატვრის გამოხატველი წინადადება ორგვარად აიგება:

- იგი შეიძლება დაიწყოს wenn სიტყვით. ამ შემთხვევაში შემასმენელი წინადადების ბოლოს დგას:
  - Wenn Holger doch hier wäre! (ნეტავ ჰოლგერი აქ იყოს!)
- wenn შეიძლება გამოითქვოს და წინადადება შემასმენლით დაიწყოს:
  - Wäre Holger doch hier!

ნატურის გამოხატვისას აუცილებელია doch, nur, bloß ნაწილაკების ხმარება:

- Wenn es **nur** nicht so kalt wäre!      ➤ Wäre ich **doch** Journalist!
- Wenn ich **doch nur** gewusst hätte,      ➤ Hätte ich das Buch **bloß**  
dass du Schauspielerin bist!                      mitgenommen!

2. პირობითობა (ეს რომ ასე ყოფილიყო, ისიც ასე იქნებოდა):

ეს მნიშვნელობა ძირითადად რთული ქვეწყობილი წინადადებით გადმოიცემა, სადაც wenn-კავშირიანი დამოკიდებული წინადადება მოსდევს მთავარს ან წინ უსწრებს მას:

- Wenn ich Zeit **hätte**, **käme** ich zu dir.      (დრო რომ მქონდეს, შენთან მოვიდოდი.)
- Ich **hätte** schon lange ein Auto **gekauft**,      (მანქანას უკევ დიდი ხანია ვიყიდდი,  
wenn ich genug Geld **hätte**.                      ფული რომ მქონოდა.)
- Es **wäre** besser, wenn du **dich** um deine      (უკეთესი იქნებოდა, შენ შვილებზე რომ  
Kinder **kümmern** würdest.                      გეზრუნა.)

wenn კავშირს თუ გამოვტოვებთ, დამოკიდებული წინადადება შემასმენლით უნდა დავინყოთ:

- **Hätte** ich von deinem Plan **gewusst**,      (შენი გეგმების შესახებ რომ მცოდნოდა,  
**hätte** ich dir **geholfen**.                              დაგეხმარებოდი.)

პირობითობის მნიშვნელობას აძლიერებენ კორელატები so და dann:

- Wenn ich Bildungsminister **wäre**, **so** würde ich in der Schule **jüngere** Lehrer einsetzen.
- Wenn ich das **gewusst** hätte, **dann** **wäre** ich zu Hause **geblieben**.

ზოგჯერ პირობითობას sonst და andernfalls კავშირებიანი თანწყობილი წინადადებაც გამოხატავს (ეს ასე უნდა გაკეთებულიყო, თორემ...):

- Ich musste ein Taxi nehmen, **sonst**      (ტაქსი უნდა გამეჩერებინა, თორემ  
**hätte** ich den Zug nicht erreicht.                      მატარებელს ვერ მივუსწრებდი.)
- Man musste ihn operieren, **andernfalls**      (მისთვის ოპერაცია აუცილებლად უნდა  
**wäre** er gestorben.                              გაკეთებინათ, სხვა შემთხვევაში  
დაიღუპებოდა.)

ზოგ შემთხვევაში პირობითობის მნიშვნელობა ისეთი მარტივი წინადადებით გადმოიცემა, რომელიც პირობის ერთ ნაწილს შეკუმშულად შეიცავს:

- Wenn ich **du** **wäre**, würde ich Ulrike heiraten.
- Wenn ich **einen guten** Computer **hätte**, würde ich mit dieser Arbeit natürlich schneller fertig.

მაგრამ:

- An **deiner** Stelle würde ich Ulrike heiraten.
- Mit **einem guten** Computer würde ich mit dieser Arbeit natürlich schneller fertig.

პირობითი წინადადება შეიძლება კითხვითი სახითაც გაფორმდეს:

- Was würdest du machen, wenn du mehr Geld hättest?
- Würdest du mich heiraten, wenn ich mein eigenes Haus hätte?

3. შედარება (ეს ისეა, თითქოს...):

ეს მნიშვნელობა გადმოიცემა დამოკიდებული წინადადებით, რომელიც als ob (იშვიათად als wenn, wie wenn) კავშირებით იწყება. მას მთავარ წინადადებაში ზოგჯერ კორელატები so, ganz, ganz so აძლიერებს:

- Marion ist 60, aber sie sieht aus, als ob sie 40 wäre. (მარიონი 60 წლისაა, მაგრამ ისე გამოიყურება, თითქოს ორმოცისა იყოს.)
- Tun Sie so, als ob/als wenn Sie zu Hause wären. (ისე მოიქეცით, როგორც საკუთარ სახლში.)

ეს კავშირები ხშირად als შეკვეცილი ფორმითაც იხმარება. ასეთ შემთხვევაში დამოკიდებული წინადადების შემასმენელი მეორე ადგილზე გადმოდის:

- Er sprach ganz so, als wäre er Politiker. ➤ Sie benimmt sich, als wisse sie alles.

4. განუხორციელებელი შესაძლებლობა (ეს ასეა, ისე რომ ის ვეღარ გამოვა):

ეს მნიშვნელობა გამოიხატება დამოკიდებული წინადადებით, რომელიც als dass, ohne dass კავშირებით იწყება. მთავარ წინადადებაში მას ჩვეულებრივ აძლიერებს ნაწილაკები zu, allzu, so:

- Er ist zu alt, als dass er schwimmen könnte. (ის მეტისმეტად ხნიერია (იმისათვის), რომ ცურვა შეძლოს.)
- Ich bin allzu müde, als dass ich tanzen könnte. (მე მეტისმეტად დაღლილი ვარ (იმისათვის), რომ ცეკვა შევძლო.)
- Meine Mutter schreibt schon jahrelang an ihrer Doktorarbeit, ohne dass sie damit fertig würde. (დედაჩემი წლობით წერს დისერტაციას, მაგრამ ვერ ამთავრებს.)

5. პოტენციური შესაძლებლობა (ეს შეიძლება (არ) გააკეთებულიყო):

- Ich kenne einen Arzt, mit dem du sprechen könntest. (ერთი ექიმი ვიცი, ვისაც შეიძლება დალაპარაკებოდი.)
- Ich könnte dir Geld leihen, aber meinem Mann würde das bestimmt nicht gefallen. (მე შემიძლო შენთვის ფულის სესხება, მაგრამ ჩემს ქმარს ეს ნამდვილად არ მოეწონება.)

6. დაეჭვება (მართლა ასეა?)

- Wäre das möglich? (ნუთუ ეს შესაძლებელია?)
- Hätte ich das geschafft? (ნუთუ ამას შევძლებდი?)



როგორც ვხედავთ, გერმანულ ენაში ხშირად ერთი და იმავე შინაარსის თავაზიანად გამოხატვის რამდენიმე საშუალება არსებობს. დავაკვირდეთ მათ თხოვნის მაგალითზე. ვთქვათ, მოუბარს უნდა, რომ მეგობარმა მას შაბათ-კვირას თავისი მანქანა ათხოვოს. თხოვნა საკმაოდ სერიოზულია, ამიტომ *Bitte leih mir übers Wochenende dein Auto!* შეიძლება საკმარისი არ აღმოჩნდეს. მოუბარმა მორიდებული თხოვნის ფორმა უნდა აირჩიოს, რისთვისაც მას გერმანული ენა რამდენიმე შესაძლებლობას სთავაზობს:

- Könntest du mir übers Wochenende dein Auto leihen?
- Ich würde dich bitten, mir übers Wochenende dein Auto zu leihen.
- Würdest du mir übers Wochenende dein Auto leihen?
- Ich möchte dich etwas fragen: Könntest du mir vielleicht übers Wochenende dein Auto leihen?
- Dürfte/Könnte ich dich bitten, mir übers Wochenende dein Auto zu leihen?
- Ich hätte da eine Bitte an dich: Leih mir doch bitte übers Wochenende dein Auto!
- Wäre es dir möglich, mir übers Wochenende dein Auto zu leihen?
- Wäre es möglich, dass du mir übers Wochenende dein Auto leihst?
- Würde es dir etwas ausmachen, wenn du mir übers Wochenende mal dein Auto leihst?
- Würde es dir etwas ausmachen, mir übers Wochenende dein Auto zu leihen?

10. კონიუნქტივი II ხშირად ისმის აგრეთვე ზეპირმეტყველების კლიშეებად ქცეულ ფრაზებში:

- Das wäre alles. (სულ ეს არის.)
- Wie wäre es mit einer Tasse Tee? (ერთი ჭიქა ჩაი ხომ არ დაგველია?)
- Wie wäre es mit einer Kanadareise? (კანადაში წასვლაზე რას იტყვოდი?)
- Auch diesmal hast du Glück, würde ich sagen. (მე ვიტყვოდი, რომ ამჯერადაც ბედი გწყალობს.)
- – Der Student hat sich gut vorbereitet. (– სტუდენტი კარგადაა მომზადებული.)  
– Ich würde sagen, ja. – მე ვიტყვოდი, კი.)
- Ich würde vorschlagen, wir gehen ins Kino. (წინადადება შემომაქვს, კინოში წავიდე.)
- Ich hätte da einen Vorschlag: Gehen wir zu Fuß! (წინადადება შემომაქვს, ფეხით წავიდე.)

#### 4 ვარაუდის გამოხატვის სხვა საშუალებები

1. ვარაუდს გამოხატავენ მოდალური ნაწილაკები wohl, sicher, gewiss, vielleicht, vermutlich, möglicherweise:

- Sie ist jetzt wohl in Bonn. (ის ახლა ალბათ ბონშია.)
- Anke ist vielleicht krank. (ანკე ალბათ ავად არის.)

2. იგივე მნიშვნელობა შეიძლება გამოხატოს ფურტურუმ I-მაც, თუ იგი ანმყოს გულისხმობს:

- > Er wird (wohl) in Bonn sein. (ის ალბათ ბონშია.)
- > Anke wird sicher krank sein. (ანკე ნამდვილად ავად არის.)

3. წარსულის შემთხვევაში ვარაუდს გადმოსცემს ფურტურუმი II<sup>1</sup>, რომლის წარმოებაშიც მონაწილეობს werden დამხმარე ზმნა და ძირითადი ზმნის ინფინიტივი II:

- > Elke wird ihre Brille verloren haben. (ელკემ ალბათ სათვალე დაკარგა.)
- > Sie wird das nicht so gemeint haben. (მას ეს არ უგულისხმია.)

4. ფრთხილად გამოთქმულ ვარაუდს გადმოსცემს dürfen მოდალური ზმნა კონიუნქტივი II-ის ფორმით ან mögen ზმნა ინდიკატივში:

- > Hanna dürfte etwa 30 sein. (ჰანა ასე ოცდაათისა თუ იქნება.)
- > Das dürfte wohl nicht so leicht sein. (ეს ასე ადვილი არ უნდა იყოს.)
- > Er mag damals 20 Jahre alt gewesen sein. (ის მაშინ ასე ოცისა იქნებოდა.)

ვარაუდს გამოხატავს სხვა მოდალური ზმნებიც:

- > Er muss wohl in Bonn sein. (ის ბონში უნდა იყოს.)
- > Sie müssen sich verählt haben. (ნომერი შეგეშალათ./როგორც ჩანს, არასწორად აკრიფეთ ნომერი.)
- > Elke muss ihren Zug verpasst haben. (ელკემ, როგორც ჩანს, მატარებელს ვერ მიუსწრო.)
- > Er muss auf dem Weg zum Bahnhof angefahren worden sein. (მას მანქანა, როგორც ჩანს, სადგურისკენ მიმავალს დაეჯახა.)
- > Er kann das gemacht haben. (შესაძლოა, მან ეს გააკეთა.)
- > In Indien soll es im Juli sehr heiß sein. (ივლისში ინდოეთში ძალიან უნდა ცხელოდეს.)

5. როდესაც მოუბარი ნათქვამზე პასუხისმგებლად სხვას მიიჩნევს, იგი wollen მოდალურ ზმნას მიმართავს:

- > Konrad will in Bremen studiert haben. (კონრადს ბრემენში უსწავლია.)
- > Ulrike will dich gestern in der Disko gesehen haben. (ულრიკეს გუშინ დისკოთეკაზე უნახავხარ.)

<sup>1</sup> ფურტურუმი II-ის ძირითადი მნიშვნელობაა მომავალი მოქმედების დასრულებულობის ხაზგასმა: Am kommenden Montag werden wir schon abgereist sein. მომავალ ორშაბათს აქედან უკვე წასულები ვიქნებით.

## 5 სავარჯიშოები

2 დავალება 1. აულღეთ კონიუნქტივ II-ში: *sitzen, lassen, sollen, tun, ich würde sagen*

3 დავალება 2. დაუკვირდით კონიუნქტივი II-ის ფორმების გამოყენებას პოეზიაში.

Wenn ich ein Vöglein wär

Wenn ich ein Vöglein wär  
Und auch zwei Flügel hätt,  
Flög ich zu dir.

Weil's aber nicht kann sein,  
Bleib ich allhier.

Bin ich gleich weit von dir,  
Bin ich doch im Traum bei dir  
Und red mit dir;  
Wenn ich erwachen tu,  
Bin ich allein.

Es vergeht kein Stund in der Nacht,  
Da nicht mein Herz erwacht  
Und an dich denkt,  
Daß du mir vieltausendmal  
Dein Herz geschenkt. (ავტორი უცნობია)

3 დავალება 3. იმსჯელეთ, თუ რა თავისებურებით გამოირჩევა კონიუნქტივი II-ის ფორმების ხმარება ზეპირმეტყველებაში.

ფურნალ „JUMA“-ს შეკითხვა:  
Was würdest du machen, wenn du  
König von Deutschland wärst?

ახალგაზრდების პასუხები:

- Wenn ich König von Deutschland wäre,
- würde ich erstmal für die deutsche Einheit spenden, damit Konflikte ausgeräumt werden.
  - würde ich dafür sorgen, dass die Menschen offener miteinander leben und dass die Gesellschaft nicht so geteilt ist. Es müsste mehr Gleichheit geben. Menschen, die anders sind, müssten besser in die Gesellschaft integriert werden. Die Umweltschutzgesetze würde ich verschärfen. Auf jeden Fall wäre ich gegen Atomenergie.
  - würde ich bessere Wohnbedingungen für Studenten schaffen. Ich würde den jungen Leuten auch mehr Mut machen, in die Politik zu gehen.

3 დავალება 4. კონიუქტივი II-ის რა მნიშვნელობებია გადმოცემული შემდეგ ნაწყვეტში?

„Das Mädchen saß zusammengekauert in seinem Stuhl, fremd und geheimnisvoll, als wäre es hierher verschlagen von der anderen Seite des Lebens. Ich hörte mich sprechen, aber es war, als wäre ich es nicht mehr, als spräche jetzt ein anderer, einer, der ich hätte sein mögen.“ (E. M. Remarque)

3 დავალება 5. კრისტინე ნოსტლინგერის (Ch. Nöstlinger) შემდეგი მოთხრობა შეიძლება ორ ნაწილად გავყოთ: პირველში გადმოცემულია ერთი პერსონაჟის შეხედულებები, მეორეში – მეორე პერსონაჟის წარმოდგენები. რა როლს ასრულებს კონიუქტივი II მეორე ნაწილის აგებაში?

### Mütter wollen gebraucht werden

Mütter und kinderlose Frauen können natürlich innig miteinander befreundet sein, sich prächtig verstehen und bei allen möglichen Problemen gleicher Meinung sein, aber wenn es um „die Kinder“ geht, dann treten doch oft enorme Unstimmigkeiten zwischen ihnen auf.

Sagt da – zum Beispiel – die Kinderlose: „Ja siehst du denn nicht, daß sie dich nur ausnutzen?“

Die Mutter schüttelt den Kopf, ganz energisch, ganz empört. Ihre Kinder? Ausnutzen? Einfach lächerlich!

„Na hör einmal“, sagt die Kinderlose. „Ich sehe ja ein, daß man für kleine Kinder immer parat sein muß! Aber die deinen sind ja erwachsen! In ihrem Alter waren wir schon total selbständig!“

„Meine Kinder sind total selbständig“, sagt die Mutter.

Die Kinderlose lacht hämisch und fährt fort: „Also wann bitte, kommen sie zu dir? Sie kommen, wenn sie Lust auf ein schönes Essen haben, sie kommen, wenn ihnen das Geld ausgegangen ist, sie kommen, wenn sie Trost und Zuspruch brauchen. Wenn sie keine Lust haben, den Pullover fertigzustricken, dann bringen sie ihn dir!

Wenn sie eine Party machen, dann holen

sie dich zum Gulaschkochen!

Sie kommen immer nur, wenn sie etwas brauchen!

Wenn es ihnen gut geht, wenn sie nichts brauchen, dann sehe ich sie nie bei dir!“

Die Mutter schaut verwirrt und ratlos. Um Himmels willen, denkt sie, was stellt sich die Gute eigentlich vor?

Der Gedanke, ihre Kinder könnten zu jemand anderem gehen, wenn sie ein „schönes Essen“ haben wollen, stört die Mutter.

Die Vorstellung, ihre Kinder könnten sich von jemand anderem trösten und Geld geben lassen, ist ihr eine schreckliche.

Und daß irgendwer – außer ihr selbst – für die Tochter Gulasch kocht und aus einem halben mißglückten Pullover einen ganzen gelungenen macht, kommt der Mutter einfach absurd vor.

Eine echte Horrorvision ist es, wenn sich die Mutter vorstellt, ihre Kinder kämen einfach bloß zu Besuch, säßen friedlich bei ihr herum und brauchten rein gar nichts von ihr.

Aber einer kinderlosen Freundin kann man das nicht erklären.

Mehr als „du bist ja verrückt“ wäre da an Verständnis nicht zu erwarten.

2-3 დავალება 6. შეცვალეთ ქვემდებარე დანარჩენი პირის ნაცვალსახელებით.

1. Wenn ich Fischer wäre, hätte ich bestimmt ein leichteres Leben.
2. Wenn wir Geld hätten, würden wir uns ein Haus bauen.
3. Wenn ich anders dächte, täte ich das auch.
4. Wenn er seinen Führerschein nicht mithätte, könnte er bestraft werden.

3 დავალება 7. შეცვალეთ შტრიქებითი წინადადებები პირობითით.

ნიმუში. *Ich bin kein Millionär. Deshalb habe ich keine Villa. → Wenn ich ein Millionär wäre, hätte ich eine Villa.*

1. Du bist kein Geschäftsmann. Deshalb hast du kein Geld. →
2. Mein Vater war nicht reich. Deshalb haben wir jetzt Geldprobleme. →
3. Ich wusste das nicht. Deshalb blieb ich zu Hause. →
4. Ich kam gestern so spät nach Hause, weil ich den Bus verpasst habe. →
5. Konrad weiß Renates Telefonnummer nicht, deshalb ruft er sie nicht an. →
6. Wir haben unsere Badehosen vergessen. Das ist nicht gut. →
7. Das Eis schmeckt gut. Deshalb esse ich es. →
8. Ich jobbe diesen Winter. Dann kann ich mir im Frühling ein Auto kaufen. →

3 დავალება 8. ჩასვით ზმნები haben, sein, werden კონიუნქტივი II-ის ფორმით:

- (1) – Haben Sie einen Hund?  
– Nein, aber ich \_\_\_ gern einen.
- (2) – Wir haben Ihr Angebot angenommen.  
– So ein Angebot \_\_\_ ja jeder angenommen.
- (3) – Ich war schrecklich müde und bin nicht ins Theater gegangen.  
– An deiner Stelle \_\_\_ ich auch zu Hause geblieben.
- (4) – Bist du in deiner Schulzeit fleißig gewesen?  
– Nicht so sehr. Ich \_\_\_ bestimmt mehr Interesse gezeigt, wenn ich nicht so oft bestraft worden \_\_\_\_ .  
– Und wenn die Lehrer nicht so streng gewesen \_\_\_\_ , nicht?  
– Genau.
- (5) – Möchtest du später in Berlin leben?  
– Nein, ich \_\_\_ lieber auf dem Dorf bleiben.
- (6) – \_\_\_ unser Alltag doch nicht immer so langweilig!  
– Ja, das \_\_\_ wirklich prima!
- (7) – Ich habe dieses Lokal sehr gern.  
– Hast du besondere Gründe dafür?  
– Ja. Wenn ich an einem schönen Samstagabend nicht hingegangen \_\_\_\_,  
\_\_\_ ich Alfred nicht getroffen.

- (8) – Wie \_\_\_\_ es heute Abend mit einem Spaziergang?  
– Wenn ich heute Abend Zeit \_\_\_\_ , \_\_\_\_ ich lieber fernsehen.

**3** დავალება 9. გახადეთ გამონათქვამი უფრო თავაზიანი. კონიუნქტივი II-ის ფორმების გარდა შევიძლიათ შეიტანოთ მოდალური სიტყვა *vielleicht*.

1. Kann ich noch ein Stück Torte haben? →
2. Leihen Sie mir bitte Ihre Brille für einen Augenblick! →
3. Können Sie uns ein Stück Seife besorgen? →
4. Macht es Ihnen etwas aus, wenn ich Ihnen ein Paket für Herrn Braun mitgebe? →
5. Können Sie mir einen Musiklehrer empfehlen? →
6. Kannst du mir verzeihen? →
7. Darf ich Ihr Theaterglas mal nehmen? →
8. Hast du nicht Lust, Musik zu hören? →
9. Ist es möglich, dass jemand Getränke mitbringt? →
10. Holt ihr mich ab? →
11. Darf ich Ihnen noch Kaffee einschenken? →
12. Warten Sie hier auf mich! →
13. Erledigen Sie das bitte für mich! →
14. Gedulden Sie sich noch einen Augenblick! →

**3** დავალება 10. თარგმნეთ!

- |  |  |
|--|--|
| (1) – საიდანა ხარ, ნიკო?<br>– საქართველოდან.<br>– ისე ლაპარაკობ, თითქოს გერმანელი იყო. | (2) – ტაქსის გაჩერებამდე ხომ ვერ მიმაცილებდით? ძალიან მაღლობელი დაგრჩებოდით!<br>– სიამოვნებით! |
| (3) – იცნობ ჰანსს?<br>– ჰო, მაგრამ ისე იქცევა, თითქოს ჯერ არასოდეს ვუნახივარ.          | (4) – ნამდვილად იწვიმებს.<br>– მართალია. ნეტავ ქოლგა თან მქონდეს!                              |
| (5) – შეიძლება ცოტა ხნით შეგანუხოთ?<br>– კი ბატონი, შემობრძანდით!                      | (6) – თუ შეიძლება, ერთი წუთით პროგრამა მათხოვეთ!<br>– ინებეთ!                                  |
| (7) – მარილი, თუ შეიძლება!<br>– ბატონო?<br>– მარილი მინდა, თუ არ შენუხდებით!           | (8) – გიყვარს ცურვა?<br>– ძალიან. არ არსებობს არაფერი, რაც ამაზე მეტ სიამოვნებას მანიჭებდეს.   |
| (9) – ხომ ვერ მიჩვენებდით, როგორ მუშაობს მობილური ტელეფონი?<br>– დიდი სიამოვნებით!     | (10) – თავს მთლად კარგად ვერ ვგრძნობ.<br>– შინ უნდა დარჩენილიყავი.                             |

- (11) – შეიძლება ტესტის ხვალ დანერა?  
– არა, ეს ჩვენს ინგლისურის მასწავლებელს ნამდვილად არ მოეწონებოდა.
- (12) – ქალბატონო ბრაუნ, რა ნელა მუშაობთ!  
– სწრაფად მუშაობა რომ შემეძლოს, თქვენს ბიუროში კი არ ვიჯდებოდი!
- (13) – ხვალ დრო ხომ არ გექნებოდათ?  
– რა თქმა უნდა!  
– შეგვეძლო რესტორანში წავსულიყავით. განყოფილება ასე 7 საათზე?  
– კი, კარგი იქნებოდა.
- (14) – დიტერი მოვიდა. სამზარეულოში ზის.  
– დრო არა მაქვს, გამოცდისთვის ვემზადები.  
– ისე იქცევი, თითქოს ამას არ ნატრობდი.
- (15) – რენატეს ხვალ დაბადების დღე აქვს. რას ფიქრობ, რა შეიძლება ვაჩუქოთ?  
– ალბათ ნიგნი.
- (16) – ცოტა მეტად რომ გიყვარდე, ყველაფერს გაჩუქებდი: ცას, ზღვას, ვარსკვლავებს.  
– ორიოდ ყვავილსაც?
- (17) – გუშინ თეატრში იყავი?  
– კი, მაგრამ არ წავიდოდი, ჩემს მშობლებს რომ არ სდომებოდათ.
- (18) – ერთი შეკვრა ასპირინი მინდოდა.  
– გაქვთ რეცეპტი?  
– ინებეთ.
- (19) – რას მირჩევდით, ესპანური ვისწავლო თუ ინგლისური?  
– ჩინური.
- (20) – გცივა?  
– ვიყინები. შეეძლოთ უკეთესად გაეთბოთ ბინა.
- (21) – გუშინ კარინს ვარდები გაუფუგზავნე.  
– შენს ადგილას მეც ასე მოვიქცეოდი.
- (22) – არ მჯერა, რომ კარლმა თავის ძმას სცემა.  
– მე რომ იქ არ ვყოფილიყავი, არც მე დავიჯერებდი.
- (23) – გემრიელია წვნიანი?  
– გემრიელი რომ არ იყოს, არ შეეჭამდი.
- (24) – ვიცი, ოდესმე მაინც მიმატოვებ.  
– შენ თუ მე გამოიგებ, მუდამ შენთან დავრჩები.
- (25) – ძალიან მაღლობელი ვიქნებოდი, აეროპორტში თუ დამხვდებოდი.  
– ამის გარანტიას სამწუხაროდ ვერ მოგცემთ.
- (26) – როგორ მოგწონს აი ის ქურთუკი?  
– კარგად გამოიყურება. უკეთესი ხარისხის რომ იყოს, ვიყიდოდი.
- (27) – რა ლამაზად თოვს!  
– კი, ასე რომ არ ციოდე!
- (28) – სივარეტი ხომ არ გექნებოდა?  
– აჰა!
- (29) – ცოტა დასალევი მოვიტანე.  
– დიდი მადლობა, მაგრამ არ იყო საჭირო.
- (30) – ჯემპრი მინდა, 50 ზომა.  
– თქვენთვის?  
– არა, მამაჩემისთვის.

- (31) – ძნელი არ არის ბებია-პაპასთან ერთად ცხოვრება?  
– პირიქით, ძალიან მოვინწყენდით, ბებია და პაპა აქ რომ არ იყვნენ.
- (33) – რატომ არ ცხოვრობთ თქვენს ქალიშვილთან?  
– იმიტომ, რომ მასაც და მის ოჯახსაც მხოლოდ შევანუხებდი.
- (35) – რას იტყვოდი, მარკუსმა რომ თავის მშობლებთან დაგპატიჟოს?  
– უარს არ ვიტყვოდი.
- (37) – შენს ძაღლს რომ ლაპარაკი შეძლებოდა, რას იტყოდა?  
– ყველა შენი მეგობარი ისეთი სულელია, როგორც ეს?
- (39) – ელკე, ხვალ კლასელების შეხვედრა გვაქვს. სალათს ხომ ვერ გააკეთებდი?  
– სალათს? არა, არ შემიძლია. პიცაზე რას იტყვი? ნავა?  
– რა თქმა უნდა, მშვენიერი იქნება!
- (32) – მარტო ცხოვრობთ თუ?  
– არა, ჩემს მშობლებთან.  
– არ გირჩევნია, გადახვიდე?  
– არა, ბინის ქირას ვერ გადავიხდი.
- (34) – თინა ლამაზია, არა?  
– მე ვიტყვოდი, ეფექტური.
- (36) – რა მიიღე?  
– სამიანი.  
– მეტი უნდა გესწავლა.
- (38) – ერთი შეკერა ბალახის ჩაი და ვიტამინი C მინდა.  
– კიდევ რაიმე?  
– გმადლობთ, სულ ესაა.
- (40) – გამარჯობა, დანიელა! პეტერი ვარ. მინდოდა დისკოთეკაზე დამეპატიჟე. გამიხარდება, თუ შეძლებ ნამოსვლას.  
– სიამოვნებით.  
– კვირა სალამოზე რას იტყვოდი?  
– სავსებით მანყობს.  
– მაშ, კვირამდე.  
– ჯერჯერობით.

4 დავალება 11. რას გამოხატავს შემასმენლის ფორმები? თარგმნეთ წინადადებები.

1. Er wird die Lösung gefunden haben.
2. Der Gast wird letzte Woche abgereist sein.
3. Das muss mein Mann gemacht haben.
4. Der Dolmetscher wird schon im Saal sein.
5. Du wirst zu viel getrunken haben.
6. Möglicherweise ist der Strom ausgefallen.
7. Meine Eltern wollen davon nichts gewusst haben.
8. Draußen ist alles nass. Es muss geregnet haben.
9. Die Wissenschaftler wollen dieses Problem gelöst haben.
10. Ihre Firma dürfte diese Geräte kaum liefern.

## თემა 46

- 1 ადრე ნათქვამის გამეორება: ირიბი თქმა
- 2 კონიუნქტივი I-ის ფორმები
- 3 ირიბი ნათქვამის გადმოცემის მორფოლოგიური საშუალებები
- 4 ირიბი შეკითხვა
- 5 ირიბი მოთხოვნა
- 6 კონიუნქტივი I-ის სხვა მნიშვნელობები
- 7 სავარჯიშოები

### 1 ადრე ნათქვამის გამეორება: ირიბი თქმა

მოუბარს საუბრისას თუ თხრობისას ხშირად უხდება სხვისი ან საკუთარი სიტყვების ციტირება. მას, ცხადია, შეუძლია ზუსტად გაიმეოროს ნათქვამი:

➤ Emil sagt: „Heute komme ich nicht.“

მაგრამ არსებობს მეორე შესაძლებლობაც: ირიბი თქმა. მის გაფორმებას ენობრივ საშუალებათა მთელი სისტემა ემსახურება:

1) ირიბი ნათქვამის სინტაქსური გაფორმება

როგორც წესი, ირიბ ნათქვამს რთული ქვენყობილი წინადადების სახე აქვს. ამასთან მთავარი წინადადება ჩვეულებრივ ლაპარაკის, ფიქრის, გრძნობის და ა.შ. ზმნას შეიცავს (*sagen, erklären, erzählen, glauben, wissen, hoffen, behaupten, betonen, berichten, mitteilen, drohen, ahnen* და სხვ.), რომელსაც *dass*-კავშირიანი დამოკიდებული წინადადება მოსდევს:

➤ Emil sagt, dass er heute nicht kommen kann.

შესაძლებელია *dass* კავშირის გამოტოვება, რასაც სიტყვათწყობის შეცვლა მოსდევს:

➤ Emil sagt, er kann heute nicht kommen.

ლაპარაკის ზმნებს შეიძლება შეკითხვის ზმნები (*fragen, wissen wollen* და სხვ.) შეენაცვლოს. ასეთ შემთხვევაში დამოკიდებული წინადადება *ob* კავშირით ან შესაბამისი კითხვითი სიტყვით იწყება:

➤ Der Chef fragt, ob Emil heute kommen kann.

➤ Der Chef wollte wissen, wann Emil kommen kann.

2) ირიბი ნათქვამის მორფოლოგიური გაფორმება

ირიბი ნათქვამის გადმოსაცემად მოუბარს ზმნის სამი სახის მორფოლოგიური ფორმებისაგან შეუძლია ერთ-ერთი აირჩიოს. ესენია ინდიკატივი, კონიუნქტივი I და კონიუნქტივი II. მათგან ჩვენთვის მხოლოდ კონიუნქტივი I-ის წარმოებაა უცნობი.

### 2 კონიუნქტივი I-ის ფორმები

კონიუნქტივ I-ს აქვს ანმყოს, წარსულისა და მომავლის ფორმები.

ანმყოს პარადიგმიდან დღეს რეალურად მხოლოდ რამდენიმე ფორმა იხმარება:

- სუსტი და ძლიერი ზმნების მხოლობითი რიცხვის III პირის ფორმა. იგი ინარმოება ზმნის ფუძეზე -e დაბოლოების დართვით. ამასთან ძლიერი ზმნები ფუძისეულ ხმოვანს არ იცვლიან: er sag-e, er komm-e, er trag-e, er nehm-e.

იგივე ეხება haben და werden ზმნებსაც: er habe, er werde.

ანმყოს პარადიგმის დანარჩენი ფორმები ინდიკატივის ფორმებს ემთხვევა ან პრაქტიკულად არ იხმარება.

- sein ზმნას ყველაზე სრული პარადიგმა აქვს:

ich sei	wir seien	
du sei(e)st	ihr (seiet)/wäret	Sie seien
er sei	sie seien	

- პრეტერიტულ - პრეზენსული ზმნები მხოლობითი რიცხვის I და III პირის ფორმით იხმარება:

ich	könne	solle	müsse	dürfe	wolle	möge	wisse
er	könne	solle	müsse	dürfe	wolle	möge	wisse

წარსულის ფორმებს ანარმოებს haben და sein ზმნების კონიუნქტივი I და საუღლებელი ზმნის მიმღეობა II:

er habe gelesen	ich sei gekommen
	wir seien gekommen

მომავლის მნიშვნელობით მხოლოდ ერთი ფორმალაა ხმარებაში: er werde + ინფინიტივი.

### 3 ირიბი ნათქვამის გადმოცემის მორფოლოგიური საშუალებები

როგორც ვთქვით, ირიბი ნათქვამში ზმნის სამი მორფოლოგიური ფორმა შეიძლება გამოვიყენოთ: ინდიკატივი, კონიუნქტივი I და კონიუნქტივი II. მაგრამ მათი არჩევის წესების ცალსახად ჩამოყალიბება ძალიან რთულია, ვინაიდან არ არის გამორიცხული ერთსა და იმავე შემთხვევაში ორი ან სამი ვარიანტული ფორმის ხმარება. ფორმის არჩევა დამოკიდებულია სტილზე, მეტყველების ფორმაზე (ზეპირი – წერიტი), მოუბრის ენობრივ ალლოსა და გემოვნებაზე. მნიშვნელოვანია აგრეთვე მოუბრის დამოკიდებულება სხვისი სიტყვების მიმართ: პასუხს აგებს იგი ნათქვამზე, თუ არ არის დარწმუნებული მის სიმართლეში.

ირიბი ნათქვამის გრამატიკული გაფორმების აღწერისას პირველ რიგში უნდა გავმიჯნოთ ზეპირი და წერიტი მეტყველება.

ზეპირმეტყველებაში ციტირების უნივერსალური ფორმაა ინდიკატივი:

➤ Sie sagen, dass sie heute aufs Land fahren.      ➤ Sie sagt, dass sie viel arbeitet.

➤ Er sagt, dass die Gäste erst morgen ankommen.

ინდიკატივის პარალელურად შეიძლება მივმართოთ კონიუნქტივი I-ის იმ ფორმებს, რომლებზეც ზემოთ ვილაპაკეთე. მაგრამ ამ შემთხვევაში ანგარიში უნდა გავუწიოთ არაერთ შინაარსობრივ თუ ფორმოზობრივ მომენტს:

1. არის ზმნები, რომლებიც კონიუნქტივი I-სადმი განსაკუთრებულ მიდრეკილებას იჩენენ. ესაა პირველ რიგში **haben, sein** და პრეტერიტულ-პრეზენტული ზმნები:

- – Ist Hanna mit ihrer Wohnung zufrieden?  
– Überhaupt nicht. Sie sagt, das Schlafzimmer sei so klein, dass sie nur eine schmale Liege reinstellen könne.
- – Man sagt, Ulrike wolle ein Eiscafé eröffnen.  
– Stimmt genau.
- – Mein Professor hat mir eine schlechte Note auf die Hausaufgabe gegeben.  
– Aber dein Referat war doch so gut!  
– Er behauptet, das habe damit nichts zu tun.

2) კონიუნქტივი I-ს, როგორც ინდიკატივის შემცველ ფორმას, თავის მხრივ კონიუნქტივი II ენაცვლება, რომელიც მას ხმარების სიხშირით ბევრად აღემატება. ეს შემდეგ შემთხვევებში ხდება:

- როდესაც მოუბარი ნათქვამის სისწორეზე პასუხს არ აგებს:
  - Ruth behauptet, du würdest ein Verhältnis mit Peter haben. (რუთი ამტკიცებს, თითქოს ურთიერთობა გქონდეს პეტერთან.)
  - Anke sagt, Herr Grau wäre ihr Onkel. (ანკე ამბობს, თითქოს ბატონი გრაუ ბიძამისია.)
- როდესაც მომავლის მნიშვნელობაა ხაზგასმული. ამ შემთხვევაში ჩვეულებრივ აღწერილობითი ფორმა გამოიყენება:
  - – Er sagt, er würde eine halbe Stunde später kommen.  
– Meint er etwa, wir würden auf ihn warten?
- როდესაც გარკვეულ ფრაზებში კონიუნქტივი II-ის ხმარებაა დამკვიდრებული:
  - Manfred sagt, es täte ihm Leid.
- როდესაც კონიუნქტივი I-ის ფორმა ინდიკატივის შესაბამისი პირის ფორმისგან არ განსხვავდება:
  - – Was hat euer Vater gesagt, als er eure Noten sah?  
– Er hat gesagt, wir hätten (ნაცვლად: haben) die Klugheit von unseren Eltern geerbt.

ამგვარ შენაცვლებას აზრი არა აქვს, ცხადია, მაშინ, როდესაც კონიუნქტივი II-ის უორმები, თავის მხრივ, პრეტერიტუმის ფორმებს ემთხვევა, რაც სუსტი ზმნების შემთხვევაში ხდება:

- Er behauptet, dass die Schafe hier ihm gehören. (ემთხვევა პრეზენტ-ინდიკატივის ფორმას)

➤ Er behauptet, dass die Schafe hier ihm **gehörten**. (ემთხვევა პრეტერიტუმ-ინდიკატივის ფორმას)

ასეთ შემთხვევაში მიზანშენილია würde-ფორმის ხმარება:

➤ Er behauptet, dass die Schafe hier ihm **gehören würden**.

თუმცა იმ შემთხვევაშიც, როდესაც კონიუნქტივ I-ს საკუთარი ფორმა აქვს, არ არის გამორიცხული კონიუნქტივი II-ის ხმარება:

➤ – Warum hat dich denn der Verkehrspolizist gestoppt?

– Er hat gesagt, ich **sei/(wäre)** durch den Ort gerast.

უფრო მეტიც, კონიუნქტივი I-ის ფორმათა უმრავლესობა ზეპირმეტყველებაში მაღალფარდოვნად უღერს და ამიტომ უპირატესობა კონიუნქტივ II-ს ენიჭება:

➤ Sie sagte, dass sie die Chefin **wäre** (ნაცვლად: sei) und darüber zu befinden **hätte** (ნაცვლად: habe), wer hier **eingestellt würde** (ნაცვლად: werde). (DUDEN 9)

ვინაიდან ენის შესწავლის საწყის ეტაპზე სტილისტურად შეფერილი ფორმების გამოჩენა ძალიან ძნელია, კონიუნქტივი I-ის ფორმების არჩევისას დიდი სიფრთხილე გვმართებს.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, ზეპირმეტყველებაში ირიბი ნათქვამის გამომხატველი ძირითადი ფორმა – ინდიკატივი – შეიძლება კონიუნქტივის ოთხმა ფორმამ შეცვალოს:

Peter sagt, dass er kommt

Peter sagt, dass er **komme**.

Peter sagt, dass er **kommen werde**.

კონიუნქტივი I

Peter sagt, dass er **käme**.

Peter sagt, dass er **kommen würde**.

კონიუნქტივი II

ეს ჩვეულებრივ ის შემთხვევაა, როდესაც მომავალი დროის მნიშვნელობით გამოყენებულია ძლიერი ზმნა მხოლობითის III პირში.

სხვა შემთხვევაში – მაშინაც კი, თუ სტილისტურ და შინაარსობრივ ფაქტორს გამოყენებისათვის – ამ საშუალებათა რიცხვი იკლებს, რასაც შემდეგი მორფოლოგიური ფაქტორები განაპირობებს:

- ზმნა სუსტია (სამი ფორმა):

Peter sagt, dass er das macht.

Peter sagt, dass er das **mache**.

Peter sagt, dass er das **machen werde**.

კონიუნქტივი I

Peter sagt, dass er das **machen würde**.

კონიუნქტივი II

- ზმნა არ დგას მხ. რიცხვის III პირში (ორი ფორმა):

Die Studenten sagen, dass sie kommen.



Die Studenten sagen, dass sie kämen.

Die Studenten sagen, dass sie **kommen würden**.

კონიუნქტივი II

- ზმნა სუსტია; ამასთან იგი არ დგას მხოლოდითი რიცხვის III პირში (ერთი ფორმა):

Die Studenten sagen, dass sie das machen.



Die Studenten sagen, dass sie das **machen würden**.

კონიუნქტივი II

ნერით მეტყველებაში კონიუნქტივი ციტირებისა და რეფერირების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. იგი იძლევა დიდი მოცულობის ირიბი ნათქვამის გაფორმების შესაძლებლობას. ლაპარაკის ზმნა, რომელსაც ირიბი ნათქვამი შემოჰყავს, შეიძლება მხოლოდ ერთხელ იყოს ნახსენები, შემდეგ კი თხრობა მთლიანად კონიუნქტივით გაგრძელდეს. მხატვრულ ტექსტში ხშირად სწორედ კონიუნქტივი განასხვავებს ირიბი თქმით გადმოცემულ პერსონაჟის მეტყველებას ავტორის/მთხრობელის მეტყველებისაგან.

ციტირება/რეფერირების ძირითადი ფორმაა კონიუნქტივი I. კონიუნქტივი II მას ენაცვლება იმ შემთხვევაში, როდესაც მისი ფორმები ინდიკატივისას ემთხვევა.

ციტირება და რეფერირება კონიუნქტივის საშუალებით ძირითადად შემდეგ საკომუნიკაციო სფეროებში ხდება:

1) სამეცნიერო სფეროში:

ნიმუშები:

- Sogar die Gräfin Schönfeld erwähnt in ihrem Benimmbuch mit leisem Tadel, dass das Wort „Scheiße“ heute in aller Munde sei.
- Einige Autoren behaupten, Deutsch als Fremdsprache sei eine eigenartige Disziplin und gehöre nicht zur Germanistik.

2) მასობრივი კომუნიკაციის სფეროში:

#### Mehrjährige Haftstrafe für türkischen Flugzeugentführer

KÖLN (dpa) Der 25 jährige Misret A., den das Kölner Landgericht zu fünf Jahren und neun Monaten Gefängnis verurteilte, hatte ausgesagt, er **habe** mit der Entführung der

#### Handel ist zufrieden

BONN (rtr) – Der Winterschlussverkauf hat dem Einzelhandel deutlich mehr Geld in die Kassen gebracht als im vergangenen Jahr. Der Umsatz **sei** voraussichtlich um fünf Prozent **gestiegen**, teilte der Hauptverband des

Maschine auf das Schicksal des Papst-Attentäters Ali A. aufmerksam machen wollen. Dieser **sitze** immer noch in Italien im Gefängnis, obwohl der Papst ihm längst vergeben **habe**.

3) მხატვრულ ლიტერატურაში:

Der **Bäcker** begann sich auszusprechen. Er erzählte mir, wie sparsam die [*seine*] Frau gewesen sei. Es war merkwürdig, wie gerührt die Erinnerung an gespartes Geld diesen verstoffenen Kegelbruder machte. Nicht einmal richtig photographieren **hätte** sie sich **lassen**, es sei ihr zu teuer gewesen. So **hätte** er nur ein Bild von der Hochzeit und ein paar kleine Momentaufnahmen von ihr.

Das brachte mich auf einen Gedanken. „Sie sollten sich ein schönes Bild von Ihrer Frau malen lassen“, sagte ich. „Dann haben Sie für immer was. Photographien verbleichen mit der Zeit. Es gibt hier einen Künstler, der das macht.“

Ich erklärte ihm Ferdinand Graus Tätigkeit. Er wurde sofort mißtrauisch und meinte, das sei wohl sehr teuer. Ich beruhigte ihn – wenn ich **mitginge**, **bekäme** er einen Sonderpreis. Er versuchte, sich zu drücken. Aber ich ließ ihn nicht los und erklärte, wenn er so an der Frau **hinge**, **dürfe** ihm das nicht zu viel sein. Schließlich war er bereit. Ich rief Ferdinand Grau an und sagte ihm Bescheid. Dann fuhr ich mit dem Bäckermeister los, um die Photographien der Frau abzuholen [...]

An den Wänden des Ateliers hingen einige stattliche Ölporträts in goldenen Rahmen, darunter die kleinen dazugehörigen Photographien[...] Ferdinand führte den Bäckermeister herum und fragte ihn, welche Art ihm am besten **gefiele**. Der Bäcker fragte zurück, ob die Preise sich nach der Größe **richteten**. Ferdinand erklärte, es **ginge** nicht nach dem Quadratmeter, sondern nach der Ausführung. Darauf gefiel dem Bäcker das größte am besten. (E. M. Remarque)

#### 4 ირიბი შეკითხვა

ირიბი შეკითხვა ოხ კავშირით ან კითხვითი სიტყვით იწყება:

- |  |  |
